

# **პალატების სამართალი**

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: [http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
სამოქალაქო საქმეებზე  
2013, №12

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Civil Cases**  
(in Georgian)  
2013, №12

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Zivilsachen**  
(in der georgischen Sprache)  
2013, №12

Решения Верховного Суда Грузии  
**по гражданским делам**  
(на грузинском языке)  
2013, №12

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი: 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების  
ქ. №32, ტელ: 298 21 03; [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო  
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

**ვალის არსებობის აღიარება**  
**ვალდებულების შესრულების მიღება**  
**არაუფლებამოსილი პირის მიერ**

**განჩინება**

№ას-1485-1401-2012

11 ნოემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
თ. თოდრია,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** თანხის დაკისრება

**აღწერილობითი ნაწილი:**

შპს „ა-გ-იმ“ გადახდის ბრძანების მიღების შესახებ განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს და მოითხოვა სს „ს. კ. ა. ბ-ის“ განმცხადებლის სასარგებლოდ 253459,39 ლარის, ასევე სასამართლო ხარჯების ანაზღაურების დაკისრება. განმცხადებელი თავის მოთხოვნას აფუძნებდა მხარეებს შორის გაფორმებული 2010 წლის 31 მარტის შეთანხმებაზე, რომელიც მისი მოსაზრებით წარმოადგენდა ვალის აღიარების ხელშეკრულებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2011 წლის 16 ნოემბერს გამოცემულ იქნა გადახდის ბრძანება, რომლითაც დაკმაყოფილდა განმცხადებლის მოთხოვნა.

სს „ს. კ. ა. ბ-ის“ პროტესტის საფუძველზე, შპს „ა-გ-ის“ მიერ აღძრული მოთხოვნა განხილულ იქნა საერთო სასარჩელო წესით.

სს „ს. კ. ა. ბ-იმ“ სარჩელი არ ცნო და შეგებებული სარჩელით მიმართა სასამართლოს შპს „ა-გ-ის“ მიმართ ფულადი ვალდებულების შესრულების – 142649 ლარის დაკისრების მოთხოვნით. შეგებებული სარჩელი ეფუძნებოდა იმ გარემოებებს, რომ შპს „ა-გ-იმ“ დაარღვია მხარეთა შორის 2009 წლის 4 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულების პირობები და მედიკამენტები გასცა არაუფლებამოსილ პირებზე, შესაბამისად სადაზღვევო კომპანიის მიერ უსაფუძვლოდ იქნა გადახდილი თანხები, რაც ექვემდებარება დაბრუნებას.

შპს „ა-გ-იმ“ შეგებებული სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყო-

ფილებზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილებით შპს „ა-გ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, სს „ს. კ. ა. ბ-ის“ მოსარჩელე შპს „ა-გ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 253459,39 ლარის გადახდა, ამავე გადაწყვეტილებით სს „ს.კ. ა. ბ-ის“ შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სს „ს. კ. ა. ბ-იმ“ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების, ახალი გადაწყვეტილების მიღებით შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილებისა და ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 18 სექტემბრის განჩინებით სს „ს. კ. ა. ბ-ის“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 30 აპრილის გადაწყვეტილება. სააპელაციო სასამართლო დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასებებს და დასკვნებს საქმის ფაქტობრივ და სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, კერძოდ:

მხარეთა შორის 2009 წლის 4 იანვარს დადებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებით, შპს „ა-გ-მა“ იკისრა ვალდებულება უზრუნველყო სს „ს. კ. ა. ბ-ი“ დაზღვეული პირები მის სააფთიაქო ქსელში არსებული და საგარანტიო ფურცელში გამოწერილი მედიკამენტებით.

შპს „ა-გ-ის“ მიერ სადავო თანხის ღირებულების მედიკამენტები გაცემული იქნა სს „ს. კ. ა. ბ-ი“ დაზღვეულ პირებზე.

2010 წლის 31 მარტს მხარეებს შორის გაფორმდა შედარების აქტი, რომელიც თავისი სამართლებრივი ბუნებით წარმოადგენს ვალის აღიარების ხელშეკრულებას. შედარების აქტზე ხელს აწერენ არა მხოლოდ ბუღალტრები ან ფინანსური საკითხების უფროსი მუშაკები, არამედ, საწარმოს დირექტორებიც. ამასთან, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებმა არა მარტო ხელი მოაწერეს ამ შეთანხმებას, არამედ აპელანტმა მოწინააღმდეგე მხარეს გადაურიცხა ამ ურთიერთობიდან გამომდინარე თანხები 2010 წლის 12 აპრილს, 14 მაისსა და 23 სექტემბერს, ჯამში 200 000 ლარის ოდენობით.

სადავო საგარანტიო ფურცლების საფუძველზე, შპს „ა-გ-ის“ მიერ გაცემული მედიკამენტების ღირებულების პროპორციულად სს „ს. კ. ა. ბ-ის“ მიერ დაზღვეული პირებისათვის შემცირებული იქნა ხელშეკრულებების საფუძველზე შეთანხმებული

ლიმიტი, რითაც აპელანტმა მიიღო სარებელი.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის განმარტება იმის თაობაზე, რომ ვინაიდან მთელ რიგ ქვითრებზე არ იყო დატანილი „ას“ სასაქონლო ნიშანი (ე.წ. ლოგო), შესაბამისად, იგი არ იყო უფლებამოსილი ასეთი საგარანტიო ფურცლების მიხედვით გაენია მომსახურება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ დავალიანების გადახდის აღიარებით, მოპასუხის მიერ მოწონებული იქნა მოსარჩელის მიერ მედიკამენტების გაცემა ისეთი საგარანტიო ფურცლების საფუძველზე, რომლებზეც შპს „ა-გ-ის“ ლოგო არ იყო განთავსებული.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ძირითადი სასარჩელო მოთხოვნის მატერიალურ-სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა, როგორც სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლი, ასევე 373-ე მუხლის მე-2 ნაწილი, ვინაიდან სახეზე იყო მოცემულ ნორმათა აღწერილობა.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „ს. კო. ა. ბ-ამ“, მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება და ძირითადი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით:

გასაჩივრებული განჩინებით, სააპელაციო სასამართლომ მხარეთა შორის 2010 წლის 31 მარტს გაფორმებული შედარების აქტი არასწორად მიიჩნია სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლით გათვალისწინებულ ვალის არსებობის აღიარებად, რადგანაც, როგორც არაერთხელ განიმარტა, აღნიშნული დოკუმენტი სწორედ ბუღალტრული ანაგარიშსწორების სისწორეს ისახავდა მიზნად და შედგა მას შემდეგ, რაც მხარეებმა ურთიერთმოთხოვნები გაქვითეს. ასეთ ვითარებაში, შპს „ა-გ-ი“ ერთხელ უკვე გადახდით თანხას (გაქვითულ თანხას), ცხადია, განმეორებით აღარ აღიარებდა. ამ მიმართებით ქვემდგომმა სასამართლოებმა არ გაიზიარეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაცია, რომლის თანახმადაც, საწარმოს ანგარიშსწორების დოკუმენტები ვალის არსებობის აღიარების დამადასტურებელ მტკიცებულებას არ წარმოადგენს. მხარეთა შორის ბუღალტრული შედარების აქტის გაფორმების მიუხედავად, სს „ს. კ. ა.ბ-იმ“ გამოარკვია, რომ შედარების აქტში მითითებული თანხის – 110810 ლარის მოთხოვნის უფლება მოწინააღმდეგე მხარეს არ გააჩნდა, ხოლო უკვე გადარიცხული თანხის ნაწილი – 142649 ლარი ანაზღაურებას არ ექვემდებარებოდა, შესაბამისად, კასატორს მოწინააღმდეგე მხარისაგან უსაფუძვლოდ მიღებული

თანხის დაბრუნების მოთხოვნის უფლება გააჩნდა შპს „ა-გ-ის“ უფლებამოსილების არარსებობის პირობებში მედიკამენტების გაცემის გამო. ამ საფუძვლით, შედარების აქტის გაფორმების შემდგომ, შესწავლილი შპს „ა-გ-ის“ მიერ წარდგენილი საგარანტიო წერილებით დადასტურდა, რომ მხოლოდ 200000 ლარი ექვემდებარებოდა კასატორის მხრიდან ანაზღაურებას, ხოლო დარჩენილი 253459 ლარი აღარ უნდა ანაზღაურებულიყო, რადგანაც მხარეთა შორის 2009 წლის 4 იანვარს გაფორმებული ხელშეკრულების 2.1 და 3.2.3 მუხლების თანახმად, ავთიაქიდან მედიკამენტების გაცემა დაიშვებოდა მხოლოდ ამავე ხელშეკრულების 3.1.3 და 6.4 მუხლების შესაბამისად გაფორმებული საგარანტიო წერილის საფუძველზე. როგორც წინა პერიოდის საგარანტიო ფურცლების შესწავლით დადასტურდა, მოწინააღმდეგე მხარემ ხელშეკრულების ზემოხსენებული პირობები დაარღვია და ამ პირობების საწინააღმდეგოდ, მედიკამენტები გაცა სხვა სააფთიაქო ქსელისათვის განკუთვნილი საგარანტიო ფურცლების საფუძველზე. აღნიშნულის თაობაზე ეცნობა სასამართლოს მტკიცებულებათა შესაგებებელზე დართვის გზით და დადასტურებულია, რომ სადავო საგარანტიო ფურცლები მოიცავს 2009 წლის ოქტომბრის, ნოემბრისა და დეკემბრის პერიოდს, კერძოდ, ოქტომბერში წარდგენილ იქნა 2540 ფურცელი (57051 ლარის ღირებულების), ნოემბერში – 5423 (85598 ლარის ღირებულების), დეკემბერში – 7326 (110810 ლარის ღირებულების), საქმეში ასევე წარმოდგენილია სს „სადაზღვევო კომპანია აღდაგი ბისიას“ №975 საგადახდო დავალება თანხით 38963,03 ლარი, №976 საგადახდო დავალება, თანხით 63375,75 ლარი და №364 საგადახდო დავალება, თანხით 26126,42 ლარი. აღნიშნული მტკიცებულებები ადასტურებს წარდგენილი ინვონტარის ფარგლებში კასატორის მიერ სავარაუდო ვალდებულების ფარგლებში ზემოაღნიშნულ თვეებში შესრულების საავანსო წესით ანაზღაურებას, რასაც თავად შპს „ა-გ-იც“ ადასტურებს. სწორედ ამ გადახდების საფუძველზე გაიქვითა მხარეთა შორის ვალდებულებები და ანაზღაურებული თანხა წარმოადგენდა საავანსო წესით შესრულებას, რომელიც არ ემყარებოდა წარდგენილი საგარანტიო ფურცლების დეტალურ ანალიზს. მათი დეტალური შესწავლა 2010 წლის 31 მარტის შემდგომ განხორციელდა და დადგინდა, რომ მოწინააღმდეგე მხარე არ იყო უფლებამოსილი, 2009 წლის ოქტომბერში მიეღო 57051 ლარი, ნოემბერში – 85598 ლარი, ხოლო დეკემბერში – 110810 ლარი. სწორედ აღნიშნულიდან გამომდინარე განაცხადა კასატორმა შესრულების ნაწილის ანაზღაურებაზე უარი და ზედმეტად გა-

დახდილი (2009 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში ზედმეტად გადახდილი თანხა შეადგენს 142694 ლარს) თანხის მონინაალმდევე მხარისაგან დაბრუნება მოითხოვა. სასამართლომ ამ ფაქტობრივი ვითარებისას გადაწყვეტილების მიღებისას დაარღვია კანონი, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე და 327-ე მუხლები, მხარეთა შორის გაფორებული ხელშეკრულებით განსაზღვრული საგარანტიო ფურცლის არსებობა და სწორედ ხელშეკრულების პირობების დაცვით მომსახურების განევა წარმოადგენდა შეთანხმების არსებით პირობას, რადგანაც ამ ურთიერთობაში სწორედ მზღვეველის საგარანტიო ფურცლის საფუძველზე ახორციელებდა ბენეფიციარი შესრულებას. სასამართლოს მსჯელობა ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის 371-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ვალდებულების შესრულების წესს, კერძოდ, საქმეში წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებით დასტურდება, რომ მონინაალმდევე მხარესთან სხვა ხელშეკრულების მხარეებს „ჯ-ა“ და „პ-ს“ შპს „ა-გ-ის“ მიერ მათ ნაცვლად ვალდებულების შესრულებაზე თანხმობა არ განუცხადებიათ, საწინააღმდეგოს არსებობის შემთხვევაშიც კი, სამოქალაქო კოდექსის 203-ე მუხლით გათვალისწინებული თანხმობა საქმის მასალებში არ მოიპოვება. სასამართლომ შედარების აქტის ჩანაწერი: 2010 წლის 1 იანვრიდან 2010 წლის 31 მარტის ჩათვლით დავალიანების შესახებ ინფორმაცია მუშავდება, მხოლოდ კასატორის საწინააღმდეგოდ განმარტა. სასამართლოს არ უმსჯელია და შეფასება არ მიუცია იმ გარემოებისათვის, რომ მონინაალმდევე მხარემ ზემოაღნიშნული ქმედება განზრახ განახორციელა, ვინაიდან, სამეწარმეო მიზნებიდან გამომდინარე, კასატორს გააჩნდა ინტერესი დაზღვეული პირების დიდ ნაწილს მიემართა სს „ჯ-სა“ და შპს „პ. ა-ის“, აღნიშნული გარემოების კვლევის საწინააღმდეგოდ, სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლის მე-2 ნაწილზე და არასწორად მიიჩნია, რომ სს „ს. კ. ა. ბ-ის“ შესრულების მიღებაზე შესრულების მოწონების გზით შპს „ა-გ-ის“ თანხმობა ჰქონდა მიცემული, ასევე ამ ურთიერთობიდან გამომდინარე, მიღებული ჰქონდა სარგებელი. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, სასამართლოს გადაწყვეტილების მიღებისას უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 371-ე მუხლით, ვინაიდან ვალდებულების პირადად შესრულება ეკისრებოდათ „პ. ა-სა“ და „ჯ-ის“, შს „ა-გ-იმ“ ამ უკანასკნელთა ნაცვლად, მათი თანხმობის გარეშე შეასრულა ვალდებულება, რის გამოც სს „ს. კ. ა. ბ-ი“ უფლებამოსილია უარი განაცხადოს ასეთი შესრულების მიღებაზე.

კასატორის განმარტებით, სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ სს „ს. კ. ა. ბ-ის“ არ წარუდგენია მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ სადაზღვევო კომპანია ვერ აკონტროლებდა რა სადაზღვევო ლიმიტების ხარჯვის პროცედურებს, მას სარგებელი დაზღვეულების სადაზღვევო ლიმიტის შემცირების გზით არ მიუღია. სასამართლოს აღნიშნული დასკვნა არ ემყარება საქმის მასალებს, კერძოდ, კასატორსა და შპს „პ. ა-ს“, ასევე შპს „ჯ.ა-ს“ შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება, რომელთა თანახმადაც ამ აფთიაქებს ჰქონდათ დაშვება სს „ს. კ. ა. ბ-ის“ ე.წ. საერთო ნვდომის ვებ-ინტერფეისზე და აღნიშნულის საფუძველზე შესაძლებელი იყო ბენეფიციარის კუთვნილი სადაზღვევო ლიმიტის გაკონტროლება, რასაც მონინალმდევე მხარესთან მიმართებაში ადგილი არ ჰქონია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა და თვლის, რომ სს „ს. კ. ა. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე:

მხარეთა შორის 2009 წლის 4 იანვარს დადებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებით, შპს „ა-გ-მა“ იკისრა ვალდებულება უზრუნველყო სს „ს. კ. ა. ბ-ი“ დაზღვეული პირები მის სააფთიაქო ქსელში არსებული და საგარანტიო ფურცელში გამოწერილი მედიკამენტებით.

შპს „ა-გ-ის“ მიერ სადავო თანხის ფარგლებში მედიკამენტები გაცემული იქნა სს „ს. კ. ა. ბ-ი“ დაზღვეულ პირებზე.

2010 წლის 31 მარტის ხელშეკრულებით სს „ს. კ. ა. ბ-იმ“ აღიარა ვალი შპს „ა-გ-ის“ წინაშე. ვალის აღიარება ასევე დადასტურდა ანგარიშსწორების (გადახდის) გზით, კერძოდ სს „ს. კ. ა. ბ-იმ“ ა-ს გადაურიცხა ამ ურთიერთობიდან გამომდინარე თანხები 2010 წლის 12 აპრილს, 14 მაისსა და 23 სექტემბერს, ჯამში 200 000 ლარის ოდენობით.

დავალიანების გადახდის აღიარებით, მოპასუხემ მოინონა მოსარჩელის მიერ მედიკამენტების გაცემა ისეთი საგარანტიო ფურცლების საფუძველზე, რომლებზეც შპს „ა-გ-ის“ ლოგო არ იყო განთავსებული.

სადავო საგარანტიო ფურცლების საფუძველზე, შპს „ა-გ-ის“ მიერ გაცემული მედიკამენტების ღირებულების პროპორციულად, სს „ს.კ.ა. ბ-ის“ მიერ დაზღვეული პირებისათვის შემცირებული იქნა ხელშეკრულების საფუძველზე შეთანხმებული ლიმიტი, რითაც აპელანტმა მიიღო სარგებელი.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლით გათვალისწინებული ვალის აღიარების ხელშეკრულება წარმოადგენს ცალმხრივ და აბსტრაქტულ ხელშეკრულებას, რომლის თანახმად, ერთი მხარე მეორე მხარის სასარგებლოდ დამოუკიდებლად კისრულობს გარკვეულ შესრულებას. იგი დამოუკიდებელია ძირითადი ვალდებულებითი ურთიერთობისგან და მისი მიზანი არ არის ძირითადი ვალდებულებიდან გამომდინარე შესრულების მოთხოვნა. ვალის აღიარებასთან არ გვაქვს საქმე, როდესაც სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში ხდება ნების გამოვლენა, ან თუ მხარეები არსებული ვალდებულების შინაარსიდან გამოდიან ან მის ფარგლებში მოქმედებენ.

ვინაიდან ვალის აღიარების ხელშეკრულება დამოუკიდებელი გარიგებაა, კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე, იგი უნდა აკმაყოფილებდეს გარიგების ნამდვილობისათვის დადგენილ პირობებს. ამასთან, აუცილებელია მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულების არსებით პირობებზე. ამ თვალსაზრისით მართებულია კასატორის მითითება სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლზე, რომლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, ხელშეკრულება დადებულიად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ. პალატის მოსაზრებით, არსებითად უნდა ჩაითვალოს ისეთი პირობები, როგორიცაა: მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულების საგანზე, ძირითადი უფლება-მოვალეობების განსაზღვრა, ფასი, შესრულების ვადა და ა.შ. აქედან გამომდინარე, ნებისმიერი დოკუმენტი, რომელშიც ვალის არსებობაა დაფიქსირებული, ვერ ჩაითვლება ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულებად, თუ არ დადგინდება, რომ მხარეები შეთანხმდნენ ხელშეკრულების არსებით პირობებზე. ერთ-ერთ საქმეზე, საქარ-

თველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ ბუღალტრული ურთიერთშედარების აქტი ძველი ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებულ დოკუმენტს წარმოადგენდა, რომელშიც არაფერი იყო ნათქვამი აქტში მითითებული თანხის გადახდის თაობაზე (იხ. სუსგ ას-237-498-08; 3 ოქტომბერი, 2008 წელი).

საქმეში წარმოდგენილი 2010 წლის 31 მარტის შედარების აქტის შეფასებისას, სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო ისეთი გარემოებები, როგორიცაა: აქტზე საწარმოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა; ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა; აქტის საფუძველზე განხორციელებული ანგარიშსწორება (გადახდა).

საკასაციო პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სააპელაციო სასამართლოს არ დაუდგენია ვალის აღიარების ხელშეკრულების ისეთი არსებითი პირობა, როგორიცაა სს „ს. კ. ა. ბ-ის“ ვალდებულება, რომ ეს უკანასკნელი შპს „ა-გ-ს“ გადაუხდის აქტში მითითებულ თანხას. ამგვარი ნება აუცილებლად უნდა დგინდებოდეს ვალის აღიარების ხელშეკრულებიდან, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს. შესაბამისად, ვერც 2010 წლის 31 მარტის შედარების აქტის საფუძველზე განხორციელებული გადახდა ჩაითვლება ვალის აღიარებად. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ 2010 წლის 31 მარტის შედარების აქტი არ წარმოადგენს ვალის არსებობის აღიარების ხელშეკრულებას, არამედ იგი ადრე არსებული ვალდებულებიდან გამომდინარე ფაქტის კონსტატაციას შეიცავს. საკასაციო პალატის ამ რწმენას კიდევ უფრო მეტად ამყარებს ის გარემოება, რომ როგორც პირველი, ასევე სააპელაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებენ მხარეთა შორის 2009 წლის 4 იანვარს დადებულ ორმხრივ ხელშეკრულებაზე და ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების ჯეროვნად შესრულებაზე.

სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოება იმის შესახებ, რომ 2009 წლის 4 იანვრის ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ შემდეგ არსებით პირობებზე: შპს „ა-გ-ს“ უნდა უზრუნველყოს სს „ს. კ. ა. ბ-ი“ დაზღვეული პირები მის სააფთიაქო ქსელში არსებული და საგარანტიო ფურცელში გამოწერილი მედიკამენტებით. საგარანტიო ფურცლის ნიმუში განისაზღვრა ხელშეკრულების დანართი 1-ით, რომელშიც სხვა მონაცემებთან ერთად სამ სექციად დატანილია შპს „ბ“-ს, შპს „ჯ“-ს და შპს „ას“ ლოგოები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნაკ-

ლებად გასაზიარებელია სააპელაციო სასამართლოს ის მსჯელობა, რომლის თანახმადაც, მთელ რიგ საგარანტიო ფურცლებზე ას ლოგოს არარსებობის მიუხედავად, ა უფლებამოსილი იყო გაენიხა მომსახურება აღდაგში დაზღვეული პირებისათვის. ამ ნაწილში შეფასებას საჭიროებს სს „ს. კ. ა. ბ-ის“ შესაგებელი, სადაც ეს უკანასკნელი განმარტავს, რომ მას გარკვეული მედიკამენტები შეეძლო უფრო ხელსაყრელ ფასად მიეღო სხვა სააფთიაქო ქსელიდან და სწორედ ამ მოტივით ზოგიერთ შემთხვევაში საგარანტიო ფურცელზე არ იყო დატანილი ას ლოგო და სექცია. ამდენად საკასაციო პალატა სრულად იზიარებს კასატორის პოზიციას იმასთან დაკავშირებით, რომ საგარანტიო ფურცლის არსებობა და სწორედ ხელშეკრულების პირობების დაცვით მომსახურების განევა წარმოადგენდა ხელშეკრულების არსებით პირობას, რადგანაც ამ ურთიერთობაში სწორედ მზღვეველის საგარანტიო ფურცლის საფუძველზე ახორციელებდა ბენეფიციარი შესრულებას.

კასატორი მიიჩნევს, რომ სახეზე არ არის სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლის შემადგენლობა, ამასთან, კასატორმა სასამართლოს წარუდგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ას მიერ არაუფლებამოსილ პირებზე მედიკამენტების გაცემით სადაზღვევო კომპანიას სარგებელი არ მიუღია.

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს მტკიცების ტვირთზე, რომელზეც მართალია კასატორი არ უთითებს, თუმცა იმ პრინციპის გათვალისწინებით, რომ სასამართლოს ვალდებულებაა სწორი მიმართულება მისცეს მტკიცებით საქმიანობას, პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს განმარტოს შემდეგი: სასამართლომ საქმისათვის მნიშვნელოვანი ფაქტების განსაზღვრის შემდეგ უნდა განსაზღვროს სადაო და უდავო ფაქტები. სადავო ფაქტები მტკიცების საგანში შემავალ ფაქტებს წარმოადგენს და მტკიცების ტვირთის განაწილების პროცესიც სწორედ აქ ჰპოვებს გამოვლინებას. სასამართლომ, როგორც საპროცესო საქმიანობის სუბიექტმა, მტკიცების ტვირთი იმგვარად უნდა განაწილოს, რომ საფრთხე არ შეექმნას მხარეთა მატერიალურ-სამართლებრივი უფლების რეალიზაციას. მტკიცების ტვირთის განაწილების ზოგადი პროცესულაური წესი მოცემულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლში, რომლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოცემული მუხლის საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლთან ერთობლიობაში განხილვის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ მხარე, რომელმაც სასამარ-

თლოს მიმართა მოთხოვნით, მას აწვევს როგორც ამ მოთხოვნის საფუძველად არსებული ფაქტების მითითების, ასევე მათი დამტკიცების, ანუ მტკიცებულებების წარდგენის ტვირთი. როგორც წესი, ფაქტის მითითების და მისი დამტკიცების ტვირთი მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ მატერიალურ-სამართლებრივი ნორმით ერთ მხარეს მხოლოდ ფაქტის მითითების ტვირთი ეკისრებოდეს, ხოლო მეორე მხარეს საწინააღმდეგოს დამტკიცების ტვირთი.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ შპს „ა-გ-ას“ სასარჩელო მოთხოვნის საფუძველად მითითებული ნორმის, სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენებისას არასწორად გაანალიზა როგორც ფაქტის მითითების, ასევე მისი დამტკიცების ტვირთი. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ მოსარჩელე შპს „ა-გ-ს“ არც სარჩელში და არც შემდგომ, ახსნა-განმარტებაში არ მიუთითებია 373-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ფაქტები (ვალდებულების შესრულება მიიღო იმ პირმა, რომელიც არ იყო უფლებამოსილი; არაუფლებამოსილი პირის წინაშე შესრულებით კრედიტორმა მიიღო სარგებელი), ასევე საქმის მასალებიდან არ ჩანს, რომ მოსარჩელემ რაიმე ღონისძიებებს მიმართა ამ გარემოებათა დასამტკიცებლად საჭირო მტკიცებულებათა მოსაპოვებლად.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს მოპასუხისათვის მტკიცების ტვირთის დაკისრებას იმ მოტივით, რომ სადავო გარემოების (აღდაგში დაზღვეული პირებისათვის ლიმიტის შემცირება) დამტკიცებისათვის საჭირო ინფორმაცია და შესაბამისი მტკიცებულებები ხელმისაწვდომი უნდა ყოფილიყო მოპასუხისათვის და არა მოსარჩელისათვის, კერძოდ, მოპასუხეს შეეძლო მოეპოვებინა და სასამართლოსთვის წარმოედგინა იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ სს „ს. კ. ა. ბ-ი“ დაზღვეულთაგან თუნდაც ერთ პირს, რომელსაც სადავო საგარანტიო ფურცლის საფუძველზე მოსარჩელემ მედიკამენტები გადასცა, შესაბამისი ლიმიტი არ შემცირებია. რომც გავიზიაროთ ის მოსაზრება, რომ მტკიცებულებები მოპასუხესთანაა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ფაქტის მითითების ტვირთისაგან მოსარჩელე ვერ გათავისუფლდება, ამასთან, საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. სასამართლოს შეუძლია შესთავაზოს მხარეებს წარმოადგინონ დამატებითი მტკიცებულებები. თუ მხარეებმა ამა თუ იმ მიზეზით ვერ შეძლეს მტკიცებულებების უშუალოდ მიღება და სასამართლოში წარდგენა, მხარეთა შუამდგომლობით სასამართლოს შე-

უძლია თვითონ გამოითხოვოს მტკიცებულებები, ვისთანაც უნდა იყოს ისინი.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ საკასაციო სასამართლოს განმარტებების გათვალისწინებით, სწორად უნდა გაანალიზოს მტკიცების ტვირთი და მხოლოდ ამის შემდეგ დაადგინოს მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები ისე, რომ არ დაირღვეს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი.

როგორც საქმის მასალების ანალიზიდან ირკვევა, კასატორის შეგებებული მოთხოვნა ემყარებოდა იმ გარემოებებს, რომ ანაზღაურებული თანხა საავანსო წესით იქნა გადახდილი, რომელიც არ ემყარებოდა წარდგენილი საგარანტიო ფურცლების დეტალურ ანალიზს, ხოლო მათი დეტალური შესწავლა 2010 წლის 31 მარტის შემდგომ განხორციელდა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია დადგინდეს დაიცვა თუ არა შპს „ა-გ-მა“ 2009 წლის 4 იანვრის ხელშეკრულების 4.1 პუნქტის მოთხოვნები – ანგარიშთან ერთად წარუდგინა თუ არა კასატორს შესაბამისი საგარანტიო ფურცლების კომპანიისათვის განკუთვნილი პირები, რითაც აღდაგს შესაძლებლობა მიეცემოდა მათი შესწავლის საფუძველზე მოეხდინა გადარიცხვა. მხოლოდ აღნიშნული ფაქტის უტყუარად დადგენის შემთხვევაშია შესაძლებელი დასკვნის გაკეთება იმის შესახებ, ადგილი აქვს თუ არა არაუფლებამოსილი პირების წინაშე განხორციელებული შესრულების შემდგომ მოწონებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ: ა) საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა; ბ) არსებობს ამ კოდექსის 394-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები, გარდა აღნიშნული მუხლის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებისა. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ უნდა გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულის ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩე-

ლის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გადაწყვიტოს სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების საკითხი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. სს „ს. კ. ა. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 18 სექტემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე პალატას.

3. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **ფულადი ვალდებულების შესრულება**

### **განჩინება**

№ას-354-337-2013

16 სექტემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
თ. თოდრია**

**დავის საგანი:** მოთხოვნის დათმობის სასყიდლიანი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება, ზიანის ანაზღაურება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

შპს „ბ. ჯ. პ. თ. ჯ-ამ“ სარჩელი აღძრა სასამართლოში ნ. მ-ის

მიმართ მოპასუხისათვის 59 200 აშშ დოლარისა და ყოველწლიურად დარიცხული სარგებელის - 59 200 აშშ დოლარის 17%-ის (რაც 2010 წლის 10 ივნისიდან შეადგენს 20 000 აშშ დოლარს) დაკისრების მოთხოვნით შემდეგი გარემოებების გამო:

2007 წლის 17 სექტემბერს შპს „პ.+სა“, რომლის სამართალმემკვიდრეც შპს „ბ. ჯ. პ. თ. ჯ.-ა“ და შპს „...“ შორის გაფორმებული სესხის ხელშეკრულების საფუძველზე, მოსარჩელემ უნივერსიტეტს ასესხა 100 000 აშშ დოლარი, სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო წლიური 17%-იანი სარგებელი. სესხის უზრუნველსაყოფად კი, იპოთეკით დაიტვირთა მხარის კუთვნილი, ქ.თბილისში, ყ-ის ქ.№16ა-ში მდებარე უძრავი ქონება. 2010 წლის 10 ივნისს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაფორმდა იპოთეკისა და მის საფუძველზე არსებული მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება, ამ ხელშეკრულებით ნ. მ-ემ სანაცვლოდ იკისრა მოსარჩელისათვის 2010 წლის 17 ივნისამდე გადაეხადა 59 200 აშშ დოლარი. მოპასუხემ დაარღვია თანხის გადახდის ვალდებულება, რის გამოც შპს „ბ. ჯ. პ. თ. ჯ.-ამ“ მიუღებელი შემოსავლის სახით ასევე მიიღო ზიანი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა შემდეგი საფუძველებით:

მოსარჩელესა და ნ. მ-ეს შორის მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება დაიდო არა 2010 წლის 10 ივნისს, არამედ 2010 წლის 4 ივნისს და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება მოპასუხემ სრულად შეასრულა, კერძოდ, ამავე წლის 16 ივნისს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული 59 200 აშშ დოლარი ნ. მ-ემ გადაუხადა შპს „ბ. ჯ. პ. თ. ჯ.-ას“ იმდროინდელ დირექტორ გ. ბ-ეს, რომელიც აღჭურვილი იყო საზოგადოების წარმომადგენლობის უფლებამოსილებით. მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების დადებამდე, შპს „...“ მოსარჩელისათვის უკვე ანაზღაურებული ჰქონდა 5-წლიანი ვადით გაფორმებული სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წლიური 17%-იანი სარგებელი, კერძოდ, მოსარჩელეს მიღებული ჰქონდა 85 000 აშშ დოლარი, ხოლო სესხის დარჩენილი თანხა იყო 100 000 აშშ დოლარი, რომლის დაბრუნების ვადად, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით, განსაზღვრული იყო 2012 წლის 17 სექტემბერი, სწორედ ამ თანხის მოთხოვნის უფლება შეიძინა ნ. მ-ემ საზოგადოებისაგან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა შპს „ბ. ჯ. პ. თ. ჯ.-ამ“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 6 თებერვლის განჩინებით შპს „ბ. ჯ. პ. თ. ჯ-ას“ სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2007 წლის 17 სექტემბერს, ერთი მხრივ, შპს „პ.+სა“ (სამართალმემკვიდრე შპს „ბ. ჯ. პ. თ. ჯ-ა“) და, მეორე მხრივ, შპს „...“ შორის დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც შპს „პ.+მა“, როგორც გამსესხებელმა, საკუთრებაში გადასცა მსესხებელ შპს „...“ 100 000 აშშ დოლარი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო სარგებელი წლიური 17%-ის ოდენობით. ხელშეკრულება დაიდო 5 წლის ვადით. კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით, იპოთეკით დაიტვირთა მსესხებლის კუთვნილი უძრავი ნივთი. 2010 წლის 4 ივნისს შპს „ბ. ჯ. პ. თ. ჯ-სა“ და ნ. მ-ეს შორის დაიდა იპოთეკისა და მის საფუძველზე არსებული მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, მოპასუხეს დაეთმო 2007 წლის 17 სექტემბერს დადებული სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შპს „...“ მიმართ არსებული მოთხოვნის უფლება. მითითებული ხელშეკრულება იყო სასყიდლიანი, კერძოდ, ხელშეკრულების პირობების თანახმად, მოთხოვნის დათმობის სანაცვლოდ, მოპასუხე ვალდებული იყო, 2010 წლის 17 ივნისამდე გადაეხადა მოსარჩელის სასარგებლოდ 59 200 აშშ დოლარი. შპს „პ.+სა“ და შპს „ე. თ. ჯ-ას“ 2007 წლის 14 ნოემბრის პარტნიორთა ერთობლივი კრების ოქმის თანახმად, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება შპს „ე. თ. ჯ-ას“ შპს „პ.+ან“ შერწყმის თაობაზე, ამასთან, შპს „პ.+ს“ ეწოდა შპს „ბ. ჯ. პ. თ. ჯ-ა“. სასამართლომ მიუთითა საქმეში წარმოდგენილ 2010 წლის 16 ივნისისა და 2012 წლის 11 მაისის ხელწერილებზე და აღნიშნა, რომ 2010 წლის 16 ივნისის ხელწერილით გ. ბ-ე, როგორც შპს „ბ. ჯ. პ. თ. ჯ-ას“ დამფუძნებელი და დირექტორი, ადასტურებდა, რომ 2012 წლის 16 ივნისს ნ. მ-ისაგან მიიღო 59 200 აშშ დოლარი 2010 წლის 4 ივნისის ხელშეკრულების საფუძველზე. აღნიშნულის სანინააღმდეგოდ, მოსარჩელემ წარადგინა 2012 წლის 11 მაისის ხელწერილი, გ. ბ-ის ხელმოწერით, რომლის შესაბამისადაც, გ. ბ-ე ადასტურებს, რომ მას, როგორც „ბ. ჯ. პ. თ. ჯ-ას“ დირექტორს, არანაირი თანხა ნ. მ-ან არ მიუღია და, რომ ნ. მ-ის ვალდებულება საზოგადოების წინაშე შეუსრულებელია. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მოწმედ დაკითხულმა გ. ბ-ემ დაადასტურა

ვალდებულების შესრულების ფაქტი, ამასთან განმარტა, რომ მიღებული თანხა გამოიყენა არა საზოგადოების, არამედ პირადი მიზნებისათვის.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, პალატამ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა მოპასუხის მიერ ვალდებულების შესრულების თაობაზე და აღნიშნა, რომ, მიუხედავად საქმეში ორი ურთიერთგამომრიცხავი მტკიცებულების არსებობისა, ნ. მ-ის მიერ ვალდებულების შესრულება დადასტურებულად უნდა ყოფილიყო მიჩნეული. სასამართლოს მოსაზრებით, გაზიარებული უნდა ყოფილიყო მოწმე გ. ბ-ის განმარტება ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით, ვინაიდან სწორედ აღნიშნული პიროვნება წარმოადგენდა იმ მომენტისათვის საზოგადოების დირექტორს (ასევე, ერთადერთ დამფუძნებელს), ანუ პირს, რომელიც კანონის შესაბამისად, ახორციელებდა საწარმოს ხელმძღვანელობით და წარმომადგენლობით უფლებამოსილებას. გ. ბ-ის ახსნა-განმარტების საფუძველზე პალატამ დაადგინა, რომ სადავო თანხა საზოგადოების დირექტორმა გამოიყენა პირადი მიზნებისათვის.

სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 373-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.1 მუხლით და აღნიშნა, რომ 2010 წლის 4 ივნისის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულება ნ. მ-ეს 2010 წლის 17 ივნისამდე უნდა შეესრულებინა, რა დრომდეც, შპს „ბ. ჯ. პ. თ. ჯ-ას“ ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი (ასევე, ერთადერთი დამფუძნებელი) იყო გ. ბ-ე, ანუ ის წარმოადგენდა პირს, რომელსაც გააჩნდა უფლებამოსილება, მიეღო შესრულება. გ. ბ-ის განმარტებით, ნ. მ-ემ ვალდებულება შეასრულა. ვინაიდან, გ. ბ-ე წარმოადგენდა უფლებამოსილ პირს, მიეღო შესრულება, მისი განმარტება სადავო ფაქტობრივი გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებად იქნა მიჩნეული, შესაბამისად, პალატამ ჩათვალა, რომ მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულება, სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდა მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებით. სასამართლომ მიუთითა იმ გარემოებაზეც, რომ მიღებული თანხა გ. ბ-ემ პირადი მიზნებისათვის გამოიყენა, რაც სხვა დავის საგანი შეიძლებოდა გამხდარიყო.

სააპელაციო პალატამ ასევე შეაფასა მოსარჩელის მიერ წარდგენილი ახალი მტკიცებულება – 2010 წლის 30 მაისის ხელშეკრულება და მის საფუძველზე მიიჩნია, რომ გ. ბ-ემ ნ. მ-ან ისესხა

59 200 აშშ დოლარი. შეთანხმებით განისაზღვრა საპროცენტო სარგებელი და თანხის დაბრუნების ვადა – 27 თვე, ასევე, თანხის დაბრუნების გრაფიკი. ხელშეკრულება ხელმოწერილი იყო, ერთი მხრივ, ნ. მ-სა და, მეორე მხრივ, გ. ბ-ის მიერ. იპოთეკისა და მის საფუძველზე არსებული მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულების გაფორმების თარიღის (2010 წლის 4 ივნისი), ასევე გ. ბ-ის განმარტების გათვალისწინებით, შპს „ბ. ჯ. პ. თ. ჯ-ას“ მოთხოვნის უფლება მესამე პირის მიმართ გ. ბ-ემ დაუთმო ნ. მ-ეს, ხოლო ნ. მ-ან მიღებული 59 200 აშშ დოლარი გამოიყენა არა საზოგადოების, არამედ პირადი მიზნებისათვის.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „ბ. ჯ. პ. თ. ჯ-ამ“, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგი საფუძველებით:

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება მხოლოდ გ. ბ-ის ხელწერილზე და მის ჩვენებაზე დაყრდნობით მიიღო და არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ამავე სასამართლოს სხდომაზე ნ. მ-ის განმარტებით, მონმე გ. ბ-ან თანაცხოვრებაში იმყოფება, აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო დაემყარა დაინტერესებული მხარის მიერ შედგენილი ხელწერილი. ამასთანავე, გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ არ გამოიკვლია მოსარჩელის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები: სასამართლოს განჩინებები, გ. ბ-ის მიერვე შედგენილი ხელწერილი, სადაც მხარე განსხვავებულ ვითარებას ადასტურებს, ასევე ყურადღება არ გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ მოპასუხის მიერ წარდგენილი ხელწერილი არაა სანოტარო წესით დამონმებული, რაც მისი შედგენის დროს დაადასტურებდა, ხელწერილზე ასევე არაა დასმული საზოგადოების ბეჭედი და თანხა, რომლის გადახდის ნამდვილობაზეც არის წინამდებარე დავა, არ არის ასახული საზოგადოების საგადასახადო ვალდებულებებში, საქმეში არ მოიპოვება სხვა არც ერთი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა მოპასუხის მიერ ვალდებულების შესრულებას, შესაბამისად, სასამართლომ მიიღო დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება, ამასთან, არასწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლი. ნ. მ-ის მიერ წარდგენილი ხელწერილის ნამდვილობის შემონმებისას სააპელაციო პალატამ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ ხელწერილი შედგენილია 2010 წლის 16 ივნისს, მაშინ, როდესაც ნ. მ-ე საქართველოში არ იმყოფებოდა, აღნიშნული ფაქტი თავად მოპასუხემ დაადასტურა, ამასთანავე, მხარემ კონკრეტულად ვერ მიუთითა პირი, ვინც უშუალოდ გადასცა თანხა გ. ბ-ეს. აღნიშნულით დასტურ-

დება ის გარემოება, რომ მონმე და მოპასუხე ცდილობენ სასამართლოს შეცდომაში შეყვანას, საყურადღებოა თავად ნ. მ-ის განმარტება, რომ ის ზემოაღნიშნული თანხის მოსაძიებლად იმყოფებოდა ისრაელში, მაშინ, როდესაც მოპასუხეს არ წარმოუდგენია მტკიცებულება თანხის გადმორიცხვისა თუ ვინმესათვის ამ თანხის გამოტანების თაობაზე, სადავო ხელწერილი შინაარსობრივად წარმოადგენს მონმის ჩვენებას, რომლის ნამდვილობაც საქმეში არსებული მტკიცებულებებით გაქარწყლებულია, თანხის გადახდის ფაქტი უნდა დადასტურდეს წერილობითი მტკიცებულებით, რაც სასამართლომ არასწორად დამყარა მონმის ჩვენებაზე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 27 მაისის განჩინებით შპს „ბ. ჯ. პ. თ. ჯ-ას“ საკასაციო საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიზნულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე, თანახმად ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილისა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, შეისწავლა საქმის მასალები, შპს „ბ. ჯ. პ. თ. ჯ-ას“ საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

გასაჩივრებული განჩინებით დადგენილია საქმის სწორად განწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოება, რომ 2007 წლის 17 სექტემბერს შპს „პ.+სა“ და შპს „...“ შორის დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც შპს „პ.+სა“, როგორც გამსესხებელმა, საკუთრებაში გადასცა მსესხებელ შპს „...“ 100 000 აშშ დოლარი. სესხი იყო სარგებლანი და მისი წლიური ოდენობა მხარეებმა განსაზღვრეს 17%-ის ოდენობით, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადა – 5 წლით.

კრედიტორის მოთხოვნის უზრუნველყოფის მიზნით, იპოთეკით დაიტვირთა მსესხებლის კუთვნილი უძრავი ქონება.

შპს „პ.+სა“ და შპს „ე. თ. ჯ-ას“ 2007 წლის 14 ნოემბრის პარტნიორთა ერთობლივი კრების გადაწყვეტილებით მოხდა შპს „ე. თ. ჯ-ას“ შერწყმა შპს „პ.+ან“, ამასთან, შპს „პ.+ის“ სახელწოდება განისაზღვრა შპს „ბ. ჯ. პ. თ. ჯ-ი“.

2010 წლის 4 ივნისს შპს „ბ. ჯ. პ. თ. ჯ-სა“ და ნ. მ-ეს შორის დაიდო იპოთეკისა და მის საფუძველზე არსებული მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მოპასუხეს დაეთმო 2007 წლის 17 სექტემბერს დადებული სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შპს „...“ მიმართ არსებული მოთხოვნის უფლება. ხელშეკრულება იყო სასყიდლიანი, კერძოდ, ხელშეკრულების პირობების თანახმად, მოთხოვნის დათმობის სანაცვლოდ, მოთხოვნის მიმღები ვალდებული იყო, 2010 წლის 17 ივნისამდე დათმობის სასარგებლოდ გადაეხადა 59 200 აშშ დოლარი.

სადავო პერიოდისათვის შპს „ბ. ჯ. პ. თ. ჯ-სა“ ხელმძღვანელობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი (ასევე, ერთადერთი დამფუძნებელი), „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 9.1 მუხლის შესაბამისად, იყო გ. ბ-ე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულიად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). აღნიშნული ნორმისა და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ შპს „ბ. ჯ. პ. თ. ჯ-სა“ ზემოაღნიშნული გარემოებები სადავო არ გაუხდია, ისინი სავალდებულო ძალის მქონეა საკასაციო სასამართლოსათვის.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ აპელანტის (მოსარჩელის) მოთხოვნა იყო უსაფუძვლო და ეს ფაქტი სასამართლომ დაამყარა შემდეგ გარემოებებზე:

პალატის შეფასებით, ნ. მ-ემ მოთხოვნის დათმობის სასყიდლიანი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეასრულა ჯეროვნად, მოვალემ 2012 წლის 16 ივნისს მოთხოვნის უფლების მქონე პირს გადაუხადა 59 200 აშშ დოლარი, შესაბამისად, მხარეთა შორის წარმოშობილი ვალდებულება შეწყდა.

სასამართლომ მიუთითა საქმეში მოპასუხის მიერ წარმოდგენილ 2010 წლის 16 ივნისისა და მოსარჩელის მიერ წარმოდგენილ 2012 წლის 11 მაისის ხელწერილებზე. 2010 წლის 16 ივნისის ხელწერილით გ. ბ-ე, როგორც შპს „ბ. ჯ. პ. თ. ჯ-სა“ დამფუძნებელი და დირექტორი, 2012 წლის 16 ივნისს, 2010 წლის 4 ივნისის ხელშეკრულების საფუძველზე, ნ. მ-ან 59 200 აშშ დოლარის მიღების ფაქტს ადასტურებდა, 2012 წლის 11 მაისის ხელწერილით კი, რომელიც ასევე ხელმოწერილი იყო გ. ბ-ის მიერ, ხელმომწერი პირი ადასტურებდა, რომ მას, როგორც „ბ. ჯ. პ. თ.

ჯ-ას“ დირექტორს, არანაირი თანხა ნ. მ-ან არ მიუღია და, რომ ნ. მ-ის ვალდებულება კრედიტორი საზოგადოების წინაშე შეუსრულებელი იყო. სასამართლოს შეფასებით, საქმეში წარმოდგენილი ურთიერთგამომრიცხავი მტკიცებულებების მიუხედავად, ნ.მ-ის მიერ ვალდებულების შესრულების ფაქტი დადასტურებული იყო, ეს დასკვნა პალატამ ასევე დაამყარა მოპასუხის შუამდგომლობით პირველი ინსტანციის სასამართლოში მონმედ დაკითხული გრიგოლ ბუაძის განმარტებაზე, სადაც ამ უკანასკნელმა დაადასტურა, როგორც შესრულების მიღება, ისე ამ თანხის პირადი მიზნებისათვის გამოყენების ფაქტი.

კასატორი არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნულ მსჯელობას იმ საფუძვლით, რომ ვალდებულების შესრულების ფაქტის დადგენის ნაწილში სასამართლომ არასრულყოფილად გამოიკვლია მტკიცებულებები, რასაც საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს და ყურადღებას გაამახვილებს შემდეგზე:

მოცემულ შემთხვევაში სადავო მოვალის მიერ ფულადი ვალდებულების შესრულების ნამდვილობაა. ამ თვალსაზრისით საკასაციო პალატა მიუთითებს მატერიალური კანონმდებლობით მხარეთა შორის განაწილებულ მტკიცების ტვირთზე. სამოქალაქო კოდექსის 429-ე მუხლის 1-ლი ნაწილით კანონმდებელმა დაადგინა რა, რომ კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გაცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი, თანხის გადახდის ფაქტის დადასტურება მთლიანად მოვალეს დააკისრა. დასახელებული ნორმის შესაბამისად, მოპასუხემ (მოვალემ) სარჩელზე წარდგენილ შესაგებელს დაურთო შესრულების მიღებაზე უფლებამოსილი პირის, საზოგადოების იმდროინდელი დირექტორის მიერ 2010 წლის 16 ივნისს გაცემული სავალო საბუთი, სადაც გარკვევითაა მითითებული ნ. მ-ის მიერ ფულადი ვალდებულების ჯეროვანი შესრულების თაობაზე.

რაც შეეხება მოსარჩელის მიერ წარდგენილ, 2012 წლის 11 მაისით დათარიღებულ ხელწერილს, სადაც იმავე საზოგადოების დირექტორი გ.ბ-ე აღნიშნავს სადავო ურთიერთობიდან გამომდინარე, ნ.მ-ის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტს, საკასაციო პალატა სავსებით იზიარებს გასაჩივრებული განჩინების დასკვნას, რომ მიუხედავად მტკიცებულებათა ურთიერთგამომრიცხავობისა, მოვალის მიერ ვალდებულების ჯეროვანი შესრულების ფაქტი დადასტურებულად უნდა იქნას მიჩნეული. ამ თვალსაზრისით სააპელაციო პალატამ სავსებით სამართლიანად მიუთითა პირველი ინსტანციის სასამართლოში

მოპასუხის შუამდგომლობის საფუძველზე მონმედ დაკითხული გ. ბ-ის ჩვენებაზე, სადაც მონმემ, როგორც შესრულების დროისათვის საზოგადოების უფლებამოსილმა წარმომადგენელმა, აღიარა ნ. მ-ან შესრულების მიღების ფაქტი, ამდენად, საქმეში არსებული მტკიცებულებების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინების დასკვნა მოვალის მიერ ფულადი ვალდებულების შესრულების თაობაზე დასაბუთებულია და სწორედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესიდან გამომდინარეობს.

პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სამოქალაქო სამართალწარმოება შეჯიბრებითობის პრინციპზეა დამყარებული, რაც თავისთავად მიანიშნებს მხარეთა შესაძლებლობაზე, მათი მოთხოვნები თუ ამ მოთხოვნის წინააღმდეგ წარდგენილი შესაგებლები დამაჯერებლად დაადასტურონ. მტკიცების პროცესში მხარე არ არის შეზღუდული და ის თავად წყვეტს რომელი ფაქტით დაამტკიცოს მოთხოვნის მართებულობა, თუმცა ვალდებულია მითითებული ფაქტები სარწმუნო მტკიცებულებებს დაამყაროს. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძველად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის არგუმენტს ხელწერილის ნამდვილად მიჩნევისათვის მის სანოტარო თუ საზოგადოების ბეჭდით დამონმების თაობაზე, ვინაიდან მოქმედი კანონმდებლობა სავალო საბუთის ნამდვილობის კუთხით მსგავს დათქმას არ ითვალისწინებს, ამასთან, თანხის მოვალის მიერ გადახდის ფაქტი გამყარებულია როგორც საქმეში არსებული წერილობითი მტკიცებულებით, ისე მონმის ჩვენებით. რაც შეეხება შპს „ბ. ჯ. პ. თ. ჯ-ას“ პრეტენზიას, რომელიც ემყარება ნ. მ-სა და გ. ბ-ის თანაცხვორების ფაქტს, მიუხედავად ნ.მ-ის მიერ ამ ფაქტის დადასტურებისა, სამართლებრივი დამაჯერებლობის კუთხით პალატა ეჭვქვეშ ვერ დააყენებს მონმის ჩვენების ნამდვილობას ამ პრეტენზიის დაუსაბუთებლობის გამო. ამასთანავე, საკასაციო სასამართლო მიუთითებს სააპელაციო

საჩივარზე დართული ახალ მტკიცებულებაზე, რომელიც სააპელაციო პალატის შეფასებით მიუთითებდა გ. ბ-ის მიერ ნ. მ-ან 59 200 აშშ დოლარის სესხებაზე. გასაჩივრებული განჩინებით მტკიცებულების პირდაპირი კავშირი სარჩელის საფუძვლიანობასთან მიმართებით დადგენილი არ არის. იმ გარემოების მხედველობაში მიღებით, რომ სააპელაციო სასამართლოს ამ მსჯელობის საწინააღმდეგოდ კასატორს რაიმე შედაგება არ წარმოუდგენია, საკასაციო პალატა ვერ იმსჯელებს განჩინებაში ასახულ სააპელაციო სასამართლოს ამ მსჯელობის მართებულობაზე.

სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლის თანახმად, ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით (შესრულება). კანონის აღნიშნული დანაწესისა და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოვალემ მის მიერ ფულადი ვალდებულების შესრულების ფაქტი სათანადოდ დაადასტურა, რისი გაქარწყლებაც მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განჩინებით კასატორს მართებულად ეთქვა უარი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

საქმის განხილვასთან დაკავშირებული სასამართლო ხარჯების თაობაზე პალატა ყურადღებას გაამახვილებს შემდეგზე: საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 22 აპრილის განჩინებით შპს „ბ. ჯ. პ. თ. ჯ-ას“ შუამდგომლობა ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და კასატორს საკასაციო საჩივარზე გადასახდელი სახელმწიფო ბაჟის გადახდა გადაუვადდა საქმის წარმოების დასრულებამდე, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ წინამდებარე განჩინებით არ დაკმაყოფილდა საკასაციო საჩივარი, პალატა თვლის, რომ შპს „ბ. ჯ. პ. თ. ჯ-ას“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს გადავადებული სახელმწიფო ბაჟის – 3960 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნული ლარის გადახდა, რადგანაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გა-

დახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა. ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. შპს „ბ. ჯ. პ. თ. ჯ-ას“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 6 თებერვლის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. შპს „ბ. ჯ. პ. თ. ჯ-ას“ სახელმწიფო ბიუჯეტის (ქ. თბილისი, „სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №200122900, სახაზინო კოდი 300773150) სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის – 3690 აშშ დოლარის ეკვივალენტი ეროვნული ლარის გადახდა.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# ნივთის ნაკლით გამონვეული ზიანის ანაზღაურება

## გადაწყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-24-22-2013

12 დეკემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ბ. ალავიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** გაცვლის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურება

### აღწერილობითი ნაწილი:

ი. კ-ემ სარჩელი აღძრა სასამართლოში თ. კ-ის მიმართ უფლებრივი ნაკლის მქონე ნივთის გადაცემით გამოწვეული ზიანის – 4500 აშშ დოლარის ანაზღაურების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით:

2011 წლის 26 აპრილს მხარეთა შორის დაიდო გაცვლის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც თ. კ-ეს საკუთრებაში გადაეცა 1999 წელს გამოშვებული შავი ფერის „ჰონდა კაპას“ მარკის ავტოსატრანსპორტო საშუალება სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომრით „...“, რომელიც ი. კ-ემ მიიღო ა. ნ-ან, გაცვლის დროისათვის ნივთი კვლავ ა. ნ-ის საკუთრებად ირიცხებოდა და სწორედ მან გადაუფორმა ავტოსატრანსპორტო საშუალება თ. კ-ეს.

2011 წლის 27 აპრილს, გაცვლის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ი. კ-ემ თ. კ-ან მიიღო 1998 წელს გამოშვებული ავტომანქანა შავი ფერის „ჰონდა CR-V 2.0i 16V 4WD“. ი. კ-ემ ზემოაღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული მანქანა მოგვიანებით გაასხვისა, რა დროსაც მისთვის ცნობილი გახდა, რომ ნივთი ინტერპოლის მიერ იძებნებოდა, შესაბამისად, ავტომობილი ამოღებულ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს მიერ, თუმცა მოსარჩელე იძულებული გახდა 4500 აშშ დოლარად შემძენ ო. გ-ის ეყიდა ამავე მარკის ავტომობილი.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველად მიუთითა შემდეგი:

შავი ფერის „ჰონდა კაპას“ ფირმის ავტოსატრანსპორტო სა-

შუალეზა სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომრით „...“ მოპასუხის საკუთრებას არ წარმოადგენს. ნივთის ფაქტობრივი მესაკუთრე დ. ც-ა, რომელსაც ავტომობილი მოპასუხემ ასევე გაცვლის ხელშეკრულების საფუძველზე გადასცა. მოსარჩელემ სასამართლო შეცდომაში შეიყვანა და დ.ც-ას მფლობელობაში მყოფ ავტომობილს არასწორად დაედო ყადაღა. ის გარემოება, რომ ნივთი მფლობელის საკუთრებად არ არის რეგისტრირებული კანონმდებლობის მოთხოვნებს არ ეწინააღმდეგება, რადგანაც, სამოქალაქო კოდექსის 155-166-ე მუხლების შესაბამისად, მფლობელი ნივთის მესაკუთრედ მიიჩნევა. სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლოა, რადგან მოპასუხემ მოსარჩელეს უფლებრივად უნაკლო ნივთი გადასცა, განხორციელდა ნივთზე მოსარჩელის უფლების რეგისტრაცია და ის ავტომობილს ფლობდა წელიწადზე მეტი ხნით, შესაბამისად, მოპასუხეს ი.კ-ის მიერ გასხვისებული ნივთის გამო პასუხისმგებლობა არ უნდა დაეკისროს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილებით ი. კ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება და ი. კ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, თ. კ-ეს ი. კ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ზიანის – 4500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის ანაზღაურება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

მხარეთა შორის დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ 2011 წლის 26 აპრილს ი. კ-ემ და თ. კ-ემ ერთმანეთს გაუცვალეს მათი კუთვნილი ავტომანქანები. ი. კ-ემ თ. კ-ეს გადასცა მის საკუთრებაში არსებული 1999 წელს გამოშვებული „ჰონდა კაპას“ მარკის შავი ფერის ავტომანქანა სანომრე ნიშნით „...“, ტექპასპორტი ..., სანაცვლოდ მისგან მიიღო 1998 წელს გამოშვებული „ჰონდა CR-V-ს“ მარკის 2.01 16V 4WD შავი ავტომანქანა სახელმწიფო ნომრით „...“, ტექპასპორტი №.... გაცვლილი ავტომანქანები დარეგისტრირდა მხარეთა საკუთრებად.

ი. კ-ემ გაცვლის გზით მიღებული ავტომანქანა მიჰყიდა ო. გ-ს, თუმცა 2012 წლის 30 მაისს აღნიშნული ნივთი ამოღებულ იქნა პოლიციის მიერ სისხლის სამართლის №088300512001 საქმესთან დაკავშირებით. ავტომანქანის ამოღების მიზეზი გახდა

ის, რომ ავტომანქანა იძებნება ინტერპოლის მიერ. პალატამ დაადგინა, რომ ქვეყნის საზღვარზე შემოყვანისას სადავო ავტომანქანა მესაკუთრის ნების სანინალმდეგოდ გავიდა მისი მფლობელობიდან.

მხარეები არ დავობენ, რომ მოსარჩელემ, ამოღებული ავტომანქანის სანაცვლოდ, ო. გ-ს 4500 აშშ დოლარად უყიდა სხვა ავტომანქანა. მოსარჩელე თვლის, რომ 4500 აშშ დოლარი წარმოადგენს მოპასუხის მიერ მისთვის მიყენებულ ზიანს, რადგანაც მოპასუხემ მას გაუცვალა უფლებრივად ნაკლიანი ნივთი მაშინ, როცა მისი ვალდებულება იყო, გაეცვალა უფლებრივად უნაკლო ნივთი. სასამართლოს განმარტებით, დასახელებულ შემთხვევაში შესაძლებელია, მანქანა უფლებრივად ნაკლიანი იყოს (ნაკლის საკითხი ჯერ დასადგენია გამოძიების მიერ), მაგრამ ნაკლის არსებობა მასზე პასუხისმგებლობას ავტომატურად მოპასუხეს არ აკისრებს.

პალატის მითითებით, მოსარჩელემ ო. გ-ს პოლიციის მიერ ამოღებული ავტომანქანის სანაცვლოდ 4500 აშშ დოლარად შეუძინა სხვა მანქანა, მაგრამ ეს არ არის გამოწვეული იმით, რომ მან ამონურა მანქანის დაბრუნების ყველა საშუალება. თუ ის დაიბრუნებს ამოღებულ მანქანას, მაშინ ზიანი აღარ იარსებებს. მართალია, მხარეს გადახდილი აქვს 4500 აშშ დოლარი, მაგრამ შეიძლება მან დაიბრუნოს მანქანა, ამიტომ ჯერჯერობით ნაადრევია იმის თქმა, რომ მოსარჩელემ ზიანი განიცადა. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მიუხედავად მოსარჩელის მიერ 4500 აშშ დოლარის გადახდისა, ეს დანახარჯი არ წარმოადგენს მხარეებს შორის ავტომანქანების გაცვლის შედეგად მიღებულ დანაკარგს, ანუ ზიანს.

სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 521-ე, 523-ე მუხლებით, 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 487-ე მუხლით, 489-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და განმარტა, რომ კანონი მხარეებს ავალდებულებს, ერთმანეთის მიმართ გამოიჩინონ კეთილსინდისიერება და ნასყიდობისას გამყიდველმა მყიდველს მიანოდოს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი. ეს პრინციპი მოქმედებს გაცვლის დროსაც. ანუ გაცვლის დროს თითოეული მხარე ვალდებულია, მეორე მხარეს მიანოდოს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი.

სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლომ მიუთითა, რომ კეთილსინდისიერი შემძენი ვერ გახდება ნივთის მესაკუთრე, თუ ეს ნივთი მესაკუთრემ დაკარგა, მას მოჰპარეს, ან მისი ნების წინააღმდეგ სხვაგვარად გავიდა მისი

მფლობელობიდან, ანდა შემძენმა ის უსასყიდლოდ მიიღო. ეს შეზღუდვები არ მოქმედებს ფულის, ფასიანი ქაღალდებისა და აუქციონზე გასხვისებული ნივთების მიმართ.

საქმეში არსებული მასალით დადგენილია, რომ ი. კ-ემ, გაცვლის გზით მიღებული ჰონდა CR-V, ნასყიდობის გზით გაასხვი-სა ო. გ-ედ.

სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ თ. კ-ემ ი. კ-ეს გაუცვალა უფლებრივად ნაკლიანი ნივთი მაშინ, როცა მას ევალბო-და, გაცვალა უფლებრივად უნაკლო ნივთი. ამასთან, სადავო ქონება მესაკუთრის ნების წინააღმდეგ გავიდა მისი მფლობე-ლობიდან, რის გამოც შემძენი ვერ გახდებოდა მესაკუთრე. ცალ-სახად დადგენილია, რომ ავტომანქანა ამოღებულია სისხლის სამართლის საქმის გამო და იძებნებოდა ინტერპოლის მიერ. მი-თითებული სამართლებრივი ნორმების შესაბამისად, მოცემუ-ლი ურთიერთობის რეგულაციისას მაქსიმალურად დაცულია პი-რის საკუთრების უფლება.

პალატამ განმარტა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა.

სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 494-ე მუხ-ლის 1-ლი ნაწილის, 408-ე, 409-ე მუხლების, 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის დანაწესები და მიუთითა დადგენილ გარემოებებზე, რომ ი. კ-ის მიერ ო. გ-ის მიყიდული „ჰონდის“ მარკის ავტომანქანა 2012 წლის 30 მაისს ამოღებულ იქნა პოლიციის მიერ სისხლის სამართლის №088300512001 საქმესთან დაკავშირებით. ავტომანქანის ამო-ღების მიზეზი გახდა ის ფაქტი, რომ ავტომანქანა იძებნება ინ-ტერპოლის მიერ. იმის გამო, რომ მან ო. გ-ს ავტომანქანა ვეღარ გადასცა საკუთრებაში, სანაცვლოდ შეუძინა სხვა ავტომანქა-ნა.

ყოველივე აღნიშნულის შეფასების შედეგად სასამართლომ დაასკვნა, რომ ი. კ-ის სარჩელი 4500 აშშ დოლარის მოპასუხი-სათვის დაკისრების შესახებ საფუძვლიანია.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება თ. კ-ემ გაასა-ჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გა-დანყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო პალატის მითითებით, მან გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გა-რემოებანი, თუმცა არ ირკვევა, კონკრეტულად რომელ გარე-მოებას ეთანხმება ან არ ეთანხმება იგი.

არასრულია სასამართლოს დასაბუთება, თუ რატომ უნდა

დაეკისროს კასატორს 4500 აშშ დოლარის გადახდა და რის საფუძველზე უნდა აგოს მან პასუხი ისეთი გარემოების გამო, რომლის მიმართ არც სისხლის და არც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა არ ეკისრება. თ.კ-ის მიერ ნივთის გაყიდვისას იგი არ იძებნებოდა და არც შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში არანაირი ხარვეზი არ აღმოჩენილა. პალატას არ გაურკვევია, სადავო ავტომანქანა ვისი ბრალეულობით გავიდა საზღვარგარეთ მცხოვრები პირის მფლობელობიდან. აღნიშნული მიუთითებს, რომ თ. კ-ე მოცემულ დავაში არასათანადო მოპასუხეა.

სააპელაციო პალატამ ისარგებლა იმავე ნორმებით, რაც პირველი ინსტანციის სასამართლომ მცირედი განსხვავებით, თუმცა არ დაუსაბუთებია, მის საფუძველზე სხვაგვარი გადაწყვეტილება რატომ მიიღო. არ ირკვევა, რის გამო იხელმძღვანელა პალატამ სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლით.

სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 489-ე მუხლი, თუმცა არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ თ. კ-ე ავტომანქანის გასხვისების დროს სრულიად კეთილსინდისიერი იყო.

გაურკვეველია, რატომ იხელმძღვანელა სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლით. უსაფუძვლოა აღნიშნულთან დაკავშირებით პალატის მითითება, რომ კასატორი ვალდებული იყო, მოწინააღმდეგე მხარისათვის გადაეცა უნაკლო ნივთი, არ ირკვევა, საიდან გამომდინარეობს მითითებული ვალდებულება.

სააპელაციო და პირველი ინსტანციის სასამართლოებმა გამოიყენეს სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლი. პირველი ინსტანციის სასამართლომ აღნიშნულ მუხლთან მიმართებით ობიექტურად და სწორად განმარტა, რომ ავტომანქანის ინტერპოლის მიერ ძებნა არ წარმოადგენს მოსარჩელისათვის ზიანის მიყენების ფაქტს. ჯერჯერობით საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება და გამოძიებით უნდა დადგინდეს, რომ მანქანა დანაშაულებრივი გზითაა მოპოვებული. მოცემული მომენტისათვის არაა დადგენილი მისი დანაშაულებრივი გზით შექმნის ან არ შექმნის საკითხი. ასევე არაა გადაწყვეტილი ავტომანქანის, როგორც ნივთმტკიცების ბედი. იგი შესაძლებელია, დაუბრუნდეს მოსარჩელეს, მის პირველ მესაკუთრეს ან მისი ბედი გადაწყდეს სხვაგვარად.

სააპელაციო პალატას არ დაუსაბუთებია პირველი ინსტანციის ამ განმარტებას რატომ არ ეთანხმება და თვითონ რას მოიაზრებს იმავე მუხლის შინაარსში. სასამართლომ იხელმძღვანელა რა ტერმინით „კრედიტორი“, აღნიშნულით თავისთავად

იგულისხმება, რომ არსებობს მოვალეც. სასამართლო არ მიუთითებს, ვის თვლის მოვალედ და რომელი ხელშეკრულების საფუძველზე. თუ არსებობს კრედიტორი და მოვალე, ანუ ვალდებულება, მაშინ მისი პირობები უნდა გამომდინარეობდეს ხელშეკრულებიდან. ფაქტობრივად, არანაირი ხელშეკრულება თ. კ-სა და ი. კ-ის შორის არ არსებობს. გაურკვეველია, რის საფუძველზე გაუჩნდა სააპელაციო სასამართლოს შინაგანი რწმენა, გაეუქმებინა პირველი ინსტანციის გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

მხარეთა შორის დავა არ გამოუნვევია იმ ფაქტს, რომ თ. კ-ემ და დ. ც-ამ გაცვალეს ავტომანქანები. კასატორმა გადაიფორმა ავტომანქანა თავის სახელზე, დ. ც-ამ კი გადაფორმება თანხის არქონის გამო გარკვეული ხნით გადადო. მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების საკითხზე, რადგან დადენილია, რომ 2012 წლის 25 ივნისის განჩინებით გამოყენებულ იქნა უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც ყადაღა დაედო თ. კ-ის სახელზე რიცხულ „ჰონდა კაპას“.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ თ. კ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება უნდა გაუქმდეს და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება ი. კ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი შემდეგი ფაქტობრივი გარემოები:

2011 წლის 26 აპრილს ი. კ-ემ და თ. კ-ემ ერთმანეთს გაუცვალეს მათ საკუთრებაში არსებული ავტომანქანები. გაცვლის შედეგად ი. კ-ემ თ. კ-ან მიიღო ავტომანქანა ჰონდა CR-V2.01 16V 4WD, შავი ფერის, გამოშვებული 1998 წელს, სახელმწიფო ნომრით ..., ტექ. პასპორტი .... გაცვლილი ავტომანქანები დარეგისტრირდა მხარეთა საკუთრებაში.

ი. კ-ემ, გაცვლის გზით მიღებული ავტომანქანა მიყიდა ო. გ-ს. ო. გ-ის მიყიდული სადავო ავტომანქანა 2012 წლის 30 მაისს ამოღებული იქნა პოლიციის მიერ სისხლის სამართლის №088300512001 საქმესთან დაკავშირებით. ავტომანქანის ამოღების მიზეზი გახდა ის, რომ ავტომანქანა იძებნებოდა ინტერპოლის მიერ.

მოსარჩელემ ამოღებული ავტომანქანის სანაცვლოდ ო. გ-ს 4500 ამერიკულ დოლარად უყიდა სხვა ავტომანქანა. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელემ 4500 ამერიკული დოლარი დახარჯა, ეს დანახარჯი არ წარმოადგენს მხარეებს შორის ავტომანქანების გაცვლის შედეგად მიღებულ დანაკარგს, ანუ ზიანს.

ქვეყნის საზღვარზე შემოყვანისას სადავო საგანი მესაკუთრის ნების საწინააღმდეგოდ გავიდა მისი მფლობელობიდან.

თ. კ-ემ ი. კ-ეს გაუცვალა უფლებრივად ნაკლიანი ნივთი, მაშინ, როცა მისი ვალდებულება იყო მისთვის გაეცვალა უფლებრივად უნაკლო ნივთი.

კასატორის ერთ-ერთ პრეტენზიას წარმოადგენს მითითება იმ გარემოებაზე, რომ სასამართლომ არასწორად გადანყვიტა სადავო ავტომანქანის ნაკლის მქონე ნივთად მიჩნევის საკითხი, კერძოდ, ჯერჯერობით სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება და გამოძიებით უნდა დადგინდეს, რომ მანქანა დანაშაულებრივი გზითაა მოპოვებული. ამასთან, არ დასტურდება მოპასუხის ბრალეული ქმედება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასამართლოს უპირველესი ამოცანაა სწორად განმარტოს გამოსაყენებელი ნორმის შინაარსი. მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი შესამოწმებელ ფაქტობრივ გარემოებათა განსაზღვრა.

როგორც გასაჩივრებული გადანყვიტელებითაა დადგენილი, მხარეებს შორის დაიდო ავტომანქანების გაცვლის ხელშეკრულება. საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ სარჩელის დასასაბუთებლად მართებულად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 523-ე და 487-ე მუხლები. შესაბამისად, სწორად განსაზღვრა თ. კ-ის ვალდებულება, ი. კ-ის გადაეცა ნივთობრივად და უფლებრივად ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი. განსახილველ შემთხვევაში, სადავოა უფლებრივი ნაკლის საკითხი. აქაც მართებულად იქნა სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოყენებული სამოქალაქო კოდექსის 489-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, თუმცა, არასწორად იქნა დადგენილი მითითებული მუხლის ფაქტობრივი შემადგენლობა, რაც გამოიხატა შემდეგში:

კოდექსის 489-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ნივთი უფ-

ლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირს არ შეუძლია განუცხადოს მყიდველს პრეტენზია თავისი უფლებების გამო. ამდენად, მოცემული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, კანონმდებელი ნივთის უფლებრივი ნაკლის არსებობას უკავშირებს ისეთ გარემოებას, როდესაც მესამე პირს გასასხვისებელი ნივთის მიმართ თავისი სანივთო ან ვალდებულებითი სახის უფლება გააჩნია. შესაბამისად, ნამდვილი მესაკუთრის უფლების რეალიზაცია იწვევს შემძენის უფლებათა შეზღუდვას, თავისუფლად ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს შეძენილ ნივთს და იმავედროულად წარმოშობს გამყიდველის პასუხისმგებლობის საფუძვლებს.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ფაქტობრივ საფუძვლიანობაზე და აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება შეიცავს ურთიერთსაინააღმდეგო ფაქტებზე მსჯელობას უფლებრივი ნაკლის თაობაზე. სასამართლო, ერთის მხრივ, ადგენს, რომ ნაკლის საკითხი ჯერ დასადგენია გამოძიების მიერ, ამასთან, თუ მოსარჩელე დაიბრუნებს ამოღებულ მანქანას, მაშინ ზიანს ადგილი აღარ ექნება, ხოლო, მეორე მხრივ, ადგენს, რომ თ. კ-ემ ი. კ-ეს გაუცვალა უფლებრივად ნაკლიანი ნივთი, ვინაიდან ქვეყნის საზღვარზე შემოყვანისას სადავო საგანი მესაკუთრის ნების საინააღმდეგოდ გავიდა მისი მფლობელობიდან. ამდენად, საქმეზე ერთმნიშვნელოვნად და უტყუარად არ არის დადგენილი, თუ ვინ აცხადებს სადავო ავტომანქანაზე პრეტენზიას, ანუ არ არის გამოკვეთილი მესამე პირი, რომელიც ნამდვილი მესაკუთრეა.

თვით სააპელაციო სასამართლომ ვერ აურა გვერდი იმ ფაქტზე მსჯელობას, რომ მიმდინარეობს გამოძიება და დასადგენია უფლებრივი ნაკლის საკითხი. როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, მოსარჩელე ნაკლის დადასტურებას ცდილობს იმ გარემოებაზე მითითებით, რომ სადავო ავტომანქანა ამოღებულ იქნა შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, თუმცა, არც მოსარჩელე უარყოფს იმ ფაქტს, რომ მიმდინარეობს გამოძიება და ჯერ არ გადაწყვეტილა სადავო ავტომანქანის საკითხი.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილზე, რომლის მიხედვითაც საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. ის გარემოება, რომ გაცვლის ხელშეკრულების დადებაამდე, სადავო ავტომანქანა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახუ-

რების სააგენტოს მონაცემებით ირიცხებოდა თ. კ-ის სახელზე და იმყოფებოდა მოპასუხის მფლობელობაში, ქმნის ვარაუდის საფუძველს იმისათვის, რომ თ. კ-ე, როგორც გამყიდველი წარმოადგენდა გასხვისებული ნივთის მესაკუთრეს. სანინალმდევოს დამადასტურებელი მტკიცებულებები მოსარჩელეს არ წარმოუდგენია, რისი დამტკიცებაც, მტკიცების ტვირთის სამართლიანი განაწილების პრინციპის მიხედვით, მას ეკისრებოდა, ხოლო ის გარემოება, რომ სისხლის სამართლის საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება, რომელიც ჯერ არ დასრულებულა, ვერ აბათილებს ამ პრეზუმფციას. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო ავტომანქანის უფლებრივ ნაკლთან დაკავშირებით კასატორის პრეტენზია დასაბუთებულია და გაზიარებულ უნდა იქნეს.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 494-ე მუხლის 1-ლი ნაწილის და 394-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დებულებები. იმისათვის, რომ სარჩელი დაკმაყოფილდეს, მთავარი პირობაა სამოქალაქო კოდექსის 494-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობის დადასტურება, კერძოდ, მხარეთა შორის დადებული უნდა იყოს ნასყიდობის ხელშეკრულება (განსახილველ შემთხვევაში გაცვლის ხელშეკრულება), გამყიდველს მყიდველისათვის უნდა ჰქონდეს გადაცემული უფლებრივად ნაკლიანი ნივთი (გასხვისებული ნივთის ნამდვილი მესაკუთრეა მესამე პირი), სახეზე უნდა იყოს ნაკლით გამოწვეული ზიანი (მესამე პირის პრეტენზიის წარდგენის გამო, შემძენს ჩამოერთვა ნივთი, რის გამოც სახეზეა მოსარჩელის ქონებრივი დანაკლისი). დასახელებული შემადგენლობიდან რომელიმე ელემენტის არარსებობა გამორიცხავს იმ სამართლებრივი შედეგის დადგომას, რომლის მიღწევაც მოსარჩელეს სურს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. განსახილველ შემთხვევაში, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები, ამასთან, საკასაციო პრეტენზიის დასაბუთებულობისა და საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარე-

მოებების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლოს შეუძლია შეამოწმოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება, რის შედეგადაც პალატა მიიჩნევს, რომ ი. კ-ის სარჩელი უსაფუძვლოა და არ არსებობს მისი დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძვლები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის 1-ლი წინადადების შესაბამისად, იმ მხარის მიერ გაღებულ ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. საქმის მასალებით დადგენილია, რომ კასატორმა საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟის სახით გადაიხადა 372 ლარი, შესაბამისად, ი. კ-ეს უნდა დაეკისროს თ. კ-ის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ გაღებული სასამართლო ხარჯების ანაზღაურება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup> მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (გაჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას.

დადგენილია, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 25 ივნისის განჩინებით გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების შედეგად ყადაღა დაედო თ. კ-ის სახელზე რიცხულ „HONDA CAPA-სა“ (სახელმწიფო ნომრით „...“, გამოშვების წელი – 1999, ტექპასპორტი „...“) და „VOLKSWAGEN GOLF IV“ 1.8-ს (სახელმწიფო ნომრით „...“, გამოშვების წელი – 1999, ტექპასპორტი „...“) მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ი. კ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის პირობებში აღნიშნული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საჭიროება აღარ არსებობს და ზემოხსენებულ სატრანსპორტო საშუალებებს ყადაღა უნდა მოეხსნას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. თ. კ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 20 ნოემბრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება.

3. ი. კ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

4. ი. კ-ის დაეკისროს თ. კ-ის სასარგებლოდ 372 ლარის გადახდა.

5. მოეხსნას ყადაღა თ. კ-ის სახელზე რიცხულ „HONDA CAPA-სა“ (სახელმწიფო ნომრით „...“, გამოშვების წელი – 1999, ტექპასპორტი „...“) და „VOLKSWAGEN GOLF IV“ 1.8-ს (სახელმწიფო ნომრით „...“, გამოშვების წელი – 1999, ტექპასპორტი „...“) მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებებს.

6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა**

### **ბანჩინება**

№ას-934-877-2012

24 დეკემბერი, 2012 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** თანამესაკუთრედ ცნობა, ჩუქების ხელშეკრულებისა და ანდერძის ნაწილობრივ ბათილად ცნობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ლ. ვ-ემ და ნ. მ-მა სარჩელი აღძრეს სასამართლოში ნ. მ-ის, ც. ძ-ასა და გ. მ-ის წინააღმდეგ და მოითხოვეს ნ. მ-სა და დ. მ-ს შორის 1994 წლის 24 აპრილს დადებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა ქ. თბილისში, ი. ნ-ის ქ. №2-ში მდებარე 33კვ.მ. საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემის შესახებ; სანოტარო აქტის – 2005 წლის 3 ივნისის ანდერძის ნაწილობრივ ბათილად ცნობა, კერძოდ, იმ ნაწილში, რომელიც დ. მ-ის სამკვიდრო ქონებას განაკუთვნებს ქ. თბილისში, ი. ნ-ის ქ. №22-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის ნაწილს 33 კვ.მ-ს ოდენობით და ამ ქონების სამკვიდრო ქონებიდან ამორიცხვა; ქ. თბი-

ლისში, ი. ნ-ის ქ. №22-ში მდებარე დ. მ-ის სახელზე რიცხული უძრავი ქონების 33 კვ.მეტრიდან ლ. ვ-ის მესაკუთრედ ცნობა მის კუთვნილ 20.7 კვ.მ ნილზე და, ასევე ქ. თბილისში, ი. ნ-ის ქ. №22-ში მდებარე დ. მ-ის სახელზე რიცხული უძრავი ქონების – 33 კვ.მეტრიდან ნ. მ-ის მესაკუთრედ ცნობა მის კუთვნილ 12.3 კვ.მ ნილზე შემდეგი საფუძვლებით: სარჩელის თანახმად, მოსარჩელებმა – ლ. ვ-ემ და ნ. მ-მა მოპასუხე ნ. მ-თან ერთად საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107-ე დადგენილების თანახმად, 1992 წლის 16 მაისის პრივატიზაციის ხელშეკრულებით მოიპოვეს თანასაკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე მდებარე თბილისში, ი. ნ-ის ქ. №22-ში. 1992 წლის 20 ივნისს ნ. მ-მა მის სახელზე რიცხული 62 კვ.მ. საცხოვრებელი ფართიდან 29კვ.მ ჩუქების ხელშეკრულებით საკუთრებაში გადასცა ნ. მ-ს, ხოლო 1995 წლის 25 აპრილს დარჩენილი ფართი 33 კვ.მ ჩუქების ხელშეკრულებით გადასცა ძმას – დ. მ-ს, რა დროსაც ნ. მ-მა განკარგა მოსარჩელების განკუთვნილი ქონება. 2005 წლის 3 ივნისის საანდერძო განკარგულებაში დ. მ-ის ჩუქების გზით გადაცემული ქონება შეტანილი იქნა სამკვიდრო მასაში.

მოპასუხე ნ. მ-მა სარჩელი ცნო იმ მოტივით, რომ დ. მ-ის ჩუქებით გადაცემული ქონება მან არასწორად განკარგა.

მოპასუხეებმა ც. ძ-ამ და გ. მ-მა სარჩელი არ ცნეს იმ მოტივით, რომ პრივატიზაციის დროს მოდავე მხარეებს შორის წილები განისაზღვრა და ამგვარად ცხოვრობენ წლების განმავლობაში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით ლ. ვ-სა და ნ. მ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი ნ. მ-სა და დ. მ-ს შორის 1994 წლის 24 აპრილს დადებული ჩუქების ხელშეკრულება ქ. თბილისში, ი. ნ-ის ქ. №22-ში მდებარე 33 მ<sup>2</sup> საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემის შესახებ; ნაწილობრივ ბათილად იქნა ცნობილი 2005 წლის 3 ივნისის სანოტარო აქტი (ანდერძი), რომელიც დ. მ-ის სამკვიდრო ქონებას განაკუთვნებს ქ. თბილისში, ი. ნ-ის ქ. №22-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის ნაწილს- 33 მ<sup>2</sup>-ის ოდენობით. ლ. ვ-ე ცნობილ იქნა ქ. თბილისში, ი. ნ-ის ქ. №22-ში დ. მ-ის სახელზე რიცხული უძრავი ქონების 33 მ<sup>2</sup> ფართიდან თავისი კუთვნილი წილის – 20.7მ<sup>2</sup>-ის, ხოლო ნ. მ-ი ცნობილ იქნა ამავე ფართიდან მისი კუთვნილი წილის 12.3 მ<sup>2</sup>-ის მესაკუთრედ.

საქალაქო სასამართლოს დასახელებული გადაწყვეტილება

სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ც. ძ-ამ და გ. მ-მა, მოითხოვეს მისი გაქუმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 აპრილის განჩინებით ც. ძ-ას სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1992 წლის 16 მაისს ნოტარიუს ლ. გ-ის მიერ დამონმებული პრივატიზაციის ხელშეკრულების თანახმად, ნ. მ-ს საკუთრებაში გადაეცა უძრავი ნივთი ქ. თბილისში, ი. ნ-ის ქ. №22-ში.

1992 წლის 3 მაისს გაცემული საბინაო შემონმების შესახებ გაცემული ცნობით დადგინდა, რომ ცნობის გაცემის დროს სადავო ბინაში მდებარე ქ. თბილისში, ი. ნ-ის ქ. №22-ში ჩანერილი იყო და ცხოვრობდა სამი სული, კერძოდ, ნ. მ-ი 1956 წლის 5 ივლისიდან, ლ. მ-ი 1969 წლის 21 მარტიდან, რომელიც 1968 წლის 19 დეკემბერს დაქორწინდა დ. მ-ზე და ქორწინებამდელი გვარი – ვ-ის ნაცვლად მიიღო მეუღლის გვარი – მ-ი და ნ. მ-ი 1986 წლის 22 აპრილიდან.

გამომდინარე იქიდან, რომ მოსარჩელები ლ. ვ-ე და ნ. მ-ი ჩანერილი იყვნენ და ცხოვრობდნენ სადავო ბინაში ბინის პრივატიზაციამდე, ამიტომ ისინი წარმოადგენდნენ სადავო ბინის დამქირავებლის ოჯახის წევრებს.

საქართველოს ეროვნული არქივის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, ლ. ვ-ე მისამართზე ქ. თბილისში, ი. ნ-ის ქ. №22-ში რეგისტრირებულია 1969 წლის 21 მარტიდან, ხოლო ამონერილია 1995 წლის 11 იანვარს (ბინის პრივატიზაციის შემდგომ). საქართველოს ეროვნული არქივის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, ნ. მ-ი მისამართზე ქ. თბილისში, ი. ნ-ის ქ. №22-ში რეგისტრირებულია 1986 წლის 22 აპრილიდან დღემდე. ამ თვალსაზრისით სააპელაციო პალატამ უსაფუძვლოდ მიაჩნია სააპელაციო საჩივრის ავტორის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელები პრივატიზაციამდე სადავო ბინაში ჩანერილები არ ყოფილან დალ შესაბამისად, არ დამქირავებლებს არ წარმოადგენდნენ.

პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო საჩივრის დასაბუთება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელებს საკუთრების უფლება არ წარმოეშვათ სადავო ბინაზე, იქიდან გამომდინარე, რომ მათ თანხმობა განაცხადეს საკუთრების გაყოფაზე.

პალატამ მიუთითა „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართვე-

ლოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილების მე-5 პუნქტზე, რომლის თანახმად, საცხოვრებელი სახლი (ბინა) უსასყიდლოდ გადაეცათ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებიც ამ სახლის (ბინის) დამქირავებლები ან დამქირავებლის ოჯახის წევრები არიან, აღნიშნულიდან გამომდინარე, ყველა იმ პირს, ვინც იყო დამქირავებლის ოჯახის წევრი და პრივატიზაციის დროს ცხოვრობდა ბინაში, წარმოეშობოდა უფლებალ საკუთრებაში მიეღო უსასყიდლოდ გადაცემული საცხოვრებელი ბინა, მიუხედავად იმისა, სრულწლოვანი იქნებოდა იგი თუ არასრულწლოვანი, ამასთან, ყველა მათგანი უნდა ჩათვლილიყო ბინის პოტენციურ თანამესაკუთრედ იმის მიუხედავად, ოჯახის რომელ წევრზე მოხდა ბინის პრივატიზაცია. ამასთან, ოჯახის წევრების თანხმობა, რომ ბინის პრივატიზაცია მომხდარიყო ოჯახის რომელიმე ერთი წევრის სახელზე, არ ნიშნავდა იმას, რომ ბინა მხოლოდ ამ უკანასკნელის საკუთრება იყო და დანარჩენები თმობდნენ საკუთრებიდან თავიანთ წილს. აღნიშნულის შესაბამისად, პალატამ განმარტა, რომ მართალია, პრივატიზაციის დროს ბინაში მცხოვრებმა პირებმა გამოხატეს თანხმობა საცხოვრებელი ბინის მოპასუხე ნ. მ-ის სახელზე პრივატიზაციისა, მაგრამ აღნიშნული არ ნიშნავდა იმას, რომ მხოლოდ ნ. მ-ი გახდა სადავო ფართის ერთპიროვნული მესაკუთრე.

ზემოთადადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით პალატამ გამოარკვია, რომ პრივატიზაციის მომენტში 1992 წლის 16 მაისისათვის სადავო ბინაში რეგისტრირებული იყვნენ და იმავდროულად ცხოვრობდნენ ნ. მ-ი, ლ. მ-ი, ნ. მ-ი. შესაბამისად, პრივატიზაციის შედეგად სამივე მათგანმა თანაბარი წილის უფლებით მოიპოვა საკუთრების უფლება სადავო ბინაზე, რის გამოც თბილისის საქალაქო სასამართლომ მართებულად მიიჩნია მოსარჩელეთა მოთხოვნა სადავო ბინის 1/3-1/3 ნაწილზე მესაკუთრედ ცნობას შესახებ.

იქიდან გამომდინარე, რომ ნ. მ-ის საკუთრებას შეადგენდა მხოლოდ მთლიანი სადავო სახლის 1/3 ნაწილი, ნ. მ-ი არ იყო უფლებამოსილილ 1994 წლის 24 აპრილის ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე განეკარგა საცხოვრებელი ბინის მდებარე, ქ. თბილისში, ი. ნ-ის ქ. №22-ის 33/138 ნაწილი, რომელიც რეალურად წარმოადგენდა ლ. ვ-სა და ნ. მ-ის წილს.

პალატის განმარტებით, ჩუქების ხელშეკრულების დადების დროს მოქმედი საქართველის სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის (1964 წლის რედ.) 113-ე მუხლის თანახმად, საერთო წილადი საკუთრების მფლობელობა, სარგებლობა, განკარგვა ხორ-

ციელდება ყველა მონაწილის თანხმობით, ხოლო ამავ ეკოდექსის 115-ე მუხლის მიხედვით, საერთო წილადი საკუთრების ყველა მონაწილეს უფლება აქვს გაასხვისოს მხოლოდ თავისი წილი. ამავ კანონის 147-ე მუხლის თანახმად, თუ ქონება შეძენილია უსასყიდლოდ იმ პირისაგან, რომელსაც არ ჰქონდა მისი გასხვისების უფლება, მესაკუთრეს უფლება აქვსლ გამოითხოვოს იგი ყველა შემთხვევაში.

მოქმედი 54-ე მუხლი დანაწესით, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობის ნორმებს. გამომდინარე იქიდან, რომ ნ. მ-ის საკუთრების უფლება ვრცელდებოდა მხოლოდ სადავო ქონების 1/3 ნაწილზე, პალატამ მიიჩნია, რომ ქონების 33/138 ნაწილის განკარგვის ნაწილში ნ. მ-ის მიერ სადავო ქონების განკარგვა ეწინააღმდეგებოდა საჯარო წესრიგს, რის გამოც არსებობდა მისი ბათილობის საფუძველი.

ის გარემოება, რომ სადავო ქონებაზე ჩუქების ხელშეკრულების დადების მომენტში საჯარო რეესტრში რეგისტრირებული იყო ნ. მ-ის საკუთრების უფლება, პალატის მოსაზრებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 312-ე მუხლის შესაბამისად, არ ცვლიდა ამ ხელშეკრულებით დ. მ-ის სასარგებლოდ გამოვლენილი ნების ბათილობას, ხოლო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 185-ე მუხლის თანახმად, დ. მ-მა საკუთრება სადავო ქონების ნაწილზე მოიპოვა უსასყიდლო გარიგების – ჩუქების საფუძველზე, რაც ნიშნავდა, რომ ამ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა რეესტრის ჩანაწერებს ვერ ექნებოდა დ. მ-ის სასარგებლოდ.

2011 წლის 9 მარტს გარდაიცვალა დ.მ-ი. 2005 წლის 3 ივნისის ანდერძით დ. მ-მა მთელი თავისი უძრავ-მოდრავი ქონება, მათ შორის საცხოვრებელი სახლი მდებარე ქ. თბილისში, ი. ნ-ის ქ. №22-ში უანდერძა გ. მ-ს.

პალატამ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1404.1-ე მუხლზე მითითებით, აღნიშნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, არ არსებობდა ქ. თბილისში, ი. ნ-ის ქ. №22-ში მდებარე 33მ<sup>2</sup> საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემის სამართლებრივი საფუძველი, ამიტომ ქონების ამ ნაწილზე დ. მ-მა სათანადო წესით ვერ მოიპოვა საკუთრების უფლება, შესაბამისად, ქონების ამ ნაწილზე დ. მ-ის მიერ შედგენილი საანდერძო განკარგულება ბათილი იყო.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტების მოსაზრება მოთხოვნის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სააპელაციო საჩივრის ავტორის მოსაზრება ხანდაზ-

მულობის ერთნაირი ვადის გამოყენების თაობაზე არ უნდა გავრცელებულიყო კონკრეტულ შემთხვევაზე, ვინაიდან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩუქების გაუქმების ერთნაირი ხანდაზმულობის ვადას ადგენს მოთხოვნის იმგვარი საფუძვლის მიმართ, როგორცაა ჩუქების გაუქმება დასაჩუქრებულის უმადურობის გამო. კონკრეტულ შემთხვევაში კი, ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების საფუძველს არ წარმოადგენდა დასაჩუქრებულის უმადურობა.

პალატამ მიიჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, უნდა გამოყენებულიყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლი, რომელიც უძრავ ნივთებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო მოთხოვნების ხანდაზმულობის ექვსწლიან ვადას ითავლისწინებს. ამავე კოდექსის 130-ე მუხლის დანაწესით, ამ ვადის ათვლა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან, ანუ იმ დროიდან, როდესაც პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო თავისი უფლების დარღვევის შესახებ.

სასამართლოს სხდომაზე დაკითხული მოწმე ე. გ-ის ჩვენებით პალატამ დადასტურებულად მიიჩნია საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტი იმის შესახებ, რომ „ლ.ვ-ის ჩუქების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ცნობილი გახდა დ. მ-ის გარდაცვალების შემდეგ, 2011 წლის 27 სექტემბერს“. ამასთან, საქმის მასალებით, დ. მ-ი ნაჩუქარ ქონებას ფაქტობრივად არ დაუფლებია და ჩუქების ხელშეკრულების გაფორმების შემდგომაც სადავო ბინაში კვლავ ცხოვრობდა ნ. მ-ი ნ. მ-თან ერთად, ამასთან, ნ. მ-ი კვლავ რეგისტრირებული იყო სადავო ბინაზე კომუნალური გადასახადების გადამხდელად (აბონენტად). ზემოაღნიშნული გარემოების მოცემულობის პირობებში პალატამ მიიჩნია, რომ ხანდაზმულობის მტკიცების ტვირთი აპელანტის (მოპასუხე მხარის) მხარეზე იყო და საქმის მასალებში არ ყოფილა წარმოდგენილი მტკიცებულებები სარჩელის ხანდაზმულობის დასადასტურებლად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 აპრილის განჩინება საკასაციო წესით გაასჩივრეს (ვ. ძ-ამ და გ. მ-მა, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადანყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა იმ საფუძველით, რომ სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობა სამოქალაქო რეესტრიდან მასალების გამოთხოვაზე, რაც მისთვის შეუძლებელი იყო, რამდენადაც ლ. ვ-ის თაობაზე მასალებს რეესტრი მათ არ აძლევდა როგორც არაუფლებამოსილ პირს. აღნიშნული მასალებით კი, დადგენილი იქნებოდა ლ. ვ-ის სადავო ბინაში 1977

წლამდე რეგისტრაციის ფაქტი. ამასთან, კასატორის მოსაზრებით, უსაფუძვლოდ არ იქნა გაზიარებული მისი მოსაზრება სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ ც. ძ-სა და გ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას სააპელაციო სასამართლოს მიერ პროცესუალურ დარღვევასთან მიმართებით, კერძოდ, კასატორი აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობა სამოქალაქო რეესტრიდან მასალების გამოთხოვაზე, რაც მისთვის შეუძლებელი იყო, რამდენადაც ლ. ვ-ის თაობაზე მასალებს რეესტრი მათ არ აძლევდა როგორც არაუფლებამოსილ პირს. საკასაციო საჩივარში ასევე მითითებულია, რომ ამ მასალებით დადგენილი იქნებოდა ლ. ვ-ის სადავო ბინაში 1977 წლამდე რეგისტრაციის ფაქტი.

აღნიშნულთან მიმართებით საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად უთხრა უარი მხარეს შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 382-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო მიიღებს ახლად წარმოდგენილ მტკიცებულებებს, თუ მათ მნიშვნელობა აქვთ საქმისათვის, 380-ე მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით. ამავე კოდექსის 380-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლო არ მიიღებს ახალ ფაქტებსა და მტკიცებულებებს, რომლებიც მხარეს შეეძლო, წარედგინა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას, მაგრამ არასაპატიო მიზეზით არ წარადგინა.

ზემოაღნიშნული სამართლებრივი ნორმები მიგვითითებენ იმაზე, რომ სააპელაციო სასამართლოში ახალ ფაქტებზე მითითება და ახალი მტკიცებულებების წარმოდგენა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მხარე დაადასტურებს საპატიო მიზეზს მათი წარმოუდგენლობის თაობაზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 215-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად ამ კანონის მიზნებისათვის, საპატიო მიზეზად ჩაითვლება მხარის მიერ შუამდგომლობისა და

განცხადების წარდგენის შეუძლებლობა, რაც გამოწვეულია ავადმყოფობით, ახლო ნათესავის გარდაცვალებით ან სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოებით, რომელიც მისგან დამოუკიდებელი მიზეზით შეუძლებელს ხდის სასამართლო პროცესზე გამოცხადებას ან/და შუამდგომლობისა და განცხადების წარდგენას. ავადმყოფობა დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელიც პირდაპირ მიუთითებს სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობაზე, შესაბამისად, კასატორს პირველი ინსტანციაში მტკიცებულებების შეგროვების ეტაპზე შეეძლო, მიემართა სასამართლოსათვის მითითებული მტკიცებულებების გამოთხოვის თაობაზე, რაც მას არ გაუკეთებია და, არც მითითებულია საპატიო მიზეზზე თუ იგივე შუამდგომლობა რატომ არ დააყენა პირველი ინსტანციის სასამართლოში შესაბამის სტადიაზე.

არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს კასატორის მოსაზრება სასარჩელო ხანდაზმულობასთან დაკავშირებით. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ სასამართლოს სხდომაზე დაკითხული მონწილე. გ-ის ჩვენებით დასტურდება საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტი იმის შესახებ, რომ „ლ. ვ-ის ჩუქების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ცნობილი გახდა დ. მ-ის გარდაცვალების შემდეგ, 2011 წლის 27 სექტემბერს“. ამასთან, საქმის მასალებით დგინდება, რომ დ. მ-ი ნაჩუქარ ქონებას ფაქტობრივად არ დაუფლებია და ჩუქების ხელშეკრულების გაფორმების შემდგომაც სადავო ბინაში კვლავ ცხოვრობდა ნ. მ-ი ნ. მ-თან ერთად. ამასთან, ნ. მ-ი კვლავ რეგისტრირებულია სადავო ბინაზე კომუნალური გადასახადების გადამხდელად (აბონენტად). ზემომითითებულის მიხედვით საკსაცო პალატა აღნიშნავს, რომ კასატორი არ უთითებს პროცესუალურ დარღვევაზე, რაც გამორიცხავდა სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტებს. კასატორი არ ეხება, ასევე მონმის ჩვენების კანონიერების საკითხს, ამდენად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მითითებული ფაქტები სავალდებულოა საკსაცო სასამართლოსათვის, რადგან კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი დასაბუთებული საკსაცო პრეტენზია.

საკსაცო პალატა, ასევე ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე, კერძოდ. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ 1992 წლის 16 მაისს ნოტარიუს ლ. გ-ის მიერ დამონმებული პრივატიზაციის ხელშეკრულების თანახმად, ნ. მ-ს საკუთრე-

ბაში გადაეცა უძრავი ნივთი ქ. თბილისში, ი. ნ-ის ქ. №22-ში. 1992 წლის 3 მაისს გაცემული საბინაო შემონმების შესახებ გაცემული ცნობით დგინდება, რომ ცნობის გაცემის დროს სადავო ბინაში, მდებარე ქ. თბილისში, ი. ნ-ის ქ. №22-ში ჩანერილი იყო და ცხოვრობდა სამი სული, კერძოდ, ნ. მ-ი 1956 წლის 5 ივლისიდან, ლ/ მ-ი 1969 წლის 21 მარტიდან, რომელიც 1968 წლის 19 დეკემბერს დაქორწინდა დ. მ-ზე და ქორწინებამდელი გვარი „ვ-ის“ ნაცვლად მიიღო მეუღლის გვარი „მ-ი“ და ნ. მ-ი 1986 წლის 22 აპრილიდან.

საქართველოს ეროვნული არქივის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, ლ. ვ-ე მისამართზე ქ. თბილისში, ი. ნ-ის ქ. №22-ში რეგისტრირებულია 1969 წლის 21 მარტიდან, ხოლო ამონერილია 1995 წლის 11 იანვარს (ბინის პრივატიზაციის შემდგომ). საქართველოს ეროვნული არქივის მიერ გაცემული ცნობის თანახმად, ნ. მ-ი მისამართზე ქ. თბილისში, ი. ნ-ის ქ. №22-ში რეგისტრირებულია 1986 წლის 22 აპრილიდან დღემდე.

პრივატიზაციის მომენტში 1992 წლის 16 მაისისათვის სადავო ბინაში რეგისტრირებული იყვნენ და იმავდროულად ცხოვრობდნენ ნ. მ-ი, ლ. მ-ი, ნ. მ-ი, შესაბამისად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ პრივატიზაციის შედეგად სამივე მათგანმა თანაბარი წილის უფლებით მოიპოვა საკუთრების უფლება სადავო ბინაზე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ კასატორის მიერ არ არის წარმოდგენილი დასაბუთებული პრეტენზია. კონკრეტულ შემთხვევაში, დასაშვებ და დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ ფაქტობრივი გარემოებების დადგენის პროცესში, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად დადგენა ან დაუდგენლობა, ამ ფაქტების შეფასება და მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან განმარტება.

კასატორი ვერ უთითებს ისეთ გარემოებებზე, რომლებიც, კონკრეტული სადავო ურთიერთობის ზემოაღნიშნული თავისებურებებიდან გამომდინარე, გამორიცხავენ მოსარჩელების მიერ სადავო ბინაზე თანასაკუთრების უფლებას. ამდენად, მი-

თითებული ნორმის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ისმის კითხვა, მოიპოვეს თუ არა მოსარჩელეებმა სადავო ბინაზე საკუთრების უფლება.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს რესპუბლიკის ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლო გადაცემის) შესახებ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107-ე დადგენილების 1-ლი პუნქტის თანახმად, ბინების პრივატიზაცია წარმოადგენს მოქალაქეთათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივ საბინაო ფონდში მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლის (ბინის) ნებაყოფლობითი შეღავათიანი პირობებით საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემას. განსახილველი ნორმის თანახმად, გასათვალისწინებელია, რომ საცხოვრებელი სახლის (ბინის) პრივატიზაციისას თანაბარი უფლებებით სარგებლობენ ის პირები, ვინც წარმოადგენენ ამ საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირაველებს ან მათი ოჯახის წევრებს, ანუ აღნიშნული ნორმატიული აქტი არ აყენებს საცხოვრებელი სახლის (ბინის) არც ერთ დამქირაველებს ან მისი ოჯახის წევრს პრივილიგიურებულ მდგომარეობაში.

განსახილველი ნორმატიული აქტის თანახმად, საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირაველები ან მისი ოჯახის წევრები გამოთქვამენ ნებას, თავისი კონსტიტუციური უფლების რეალიზაციის მიზნით, საკუთრებაში მიიღონ საცხოვრებელი სახლი (ბინა), რომელიც მათ გადაცემული ჰქონდათ სარგებლობაში.

აღნიშნული ურთიერთობის სამართლებრივი კვალიფიკაციისათვის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1507-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, გამოყენებულ უნდა იქნეს 1983 წლის 4 ივნისის „საქართველოს სსრ საბინაო კოდექსი“ (ძალადაკარგულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1505-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად), რადგან განსახილველი ურთიერთობა წარმოშობილია ამ კოდექსის ამოქმედებამდე, კერძოდ, „საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის“ მე-60 მუხლის 1-ლი აბზაცის თანახმად, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის სახლებში საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება იდება წერილობით საცხოვრებელი სადგომის ორდერის საფუძველზე დამქირავებელს – საბინაო-საექსპლუატაციო ორგანიზაციისა და დამქირავებელს – მოქალაქეს შორის, რომლის სახელზეც გაცემულია ორდერი. ამავე კოდექსის 62-ე მუხლის

1-ლი აბზაცის 1-ლი წინადადების თანახმად, განსაზღვრულია, ასევე, იმ პირთა უფლება-ვალდებულებები, რომლებიც დამქირავებლის ოჯახის წევრები არიან და მასთან ერთად ცხოვრობენ. მიუხედავად იმისა, რომ მათ არა აქვთ დადებული საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის შესახებ ხელშეკრულება, ისინი სარგებლობენ ყველა უფლებით და ეკისრებათ ყველა მოვალეობა საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე. ამავე აბზაცის მე-2 წინადადების თანახმად, ოჯახის სრულწლოვან წევრებს დამქირავებელთან ერთად ეკისრებათ სოლიდარული ქონებრივი პასუხისმგებლობა აღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებისათვის.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107-ე დადგენილებით განისაზღვრა უფლება, რომლის რეალიზაციის ფაქტობრივ საფუძველს წარმოადგენს «საქართველოს სსრ საბინაო კოდექსის» თანახმად, საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის ფაქტი, რაც გააჩნიათ, ასევე, დანარჩენ ოჯახის წევრებს. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ სარგებლობის უფლება, ერთ შემთხვევაში, წარმოიშობა წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე, ხოლო სხვა შემთხვევაში დამქირავებელთან მცხოვრები ოჯახის წევრობის ინსტიტუტის არსებობის შემთხვევაში და მათ გააჩნიათ ყველა ის უფლება, რომლითაც სარგებლობს დამქირავებელი. ამრიგად, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107-ე დადგენილებით მინიჭებული უფლების რეალიზაცია ვრცელდება დამქირავებელთა ერთად მცხოვრები ყველა ოჯახის წევრზე და, მიუხედავად იმისა, რომ საკუთრების უფლება მათი თანხმობით შეიძლება აღირიცხოს ერთ-ერთ დამქირავებელზე, საერთო უფლებებთან ერთად მათ ეკისრებათ სარგებლობიდან გამომდინარე მესაკუთრის ყველა ვალდებულება. აღნიშნული დებულება დაცულია, ასევე დადგენილების მე-5 პუნქტის პირველი აბზაცით, რომლის თანახმად, საცხოვრებელი სახლი (ბინა) უსასყიდლოდ გადაეცემათ საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეებს, რომლებიც ამ საცხოვრებელი სახლის (ბინის) დამქირავებლები ან დამქირავებლის ოჯახის წევრები არიან. ამდენად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ის ფაქტი, რომ სადავო საცხოვრებელ ბინაზე საკუთრების უფლება რეგისტრირებული იყო ნ.მ-ზე, არ ნიშნავს იმას, რომ მასთან მცხოვრები ოჯახის წევრებმა უარი განაცხადეს საკუთრების უფლების მოპოვებაზე. ამ შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ პრივატიზაციის განხორციელებაზე ყველა ოჯახის წევრის ნების არსე-

ბობა (რაც დავის საგანს არ წარმოადგენს) გულისხმობს საკუთრების უფლების მოპოვებას ყველა ოჯახის წევრის სასარგებლოდ, მიუხედავად იმისა, რომ საკუთრების უფლება შეიძლება რეგისტრირებულ იქნეს მხოლოდ ერთ-ერთ დამქირავებელზე. ამ შემთხვევაში არ შეიძლება საკუთრების ინსტიტუტი განვმარტოთ მხოლოდ უძრავი ნივთების შეძენის იურიდიული დეფინიციის ფარგლებში. კონკრეტულ შემთხვევაში მას გააჩნია სოციალური დანიშნულება, რაც პოზიტიურ-სამართლებრივი სახით ვლინდება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107-ე დადგენილების პირველ აზარცში, ანუ საქართველოს მოქალაქეთა ბინის კონსტიტუციური უფლების რეალიზაციის, დაჩქარების, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდის მოქალაქეთათვის საკუთრებაში გადაცემის, საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობისათვის მოქალაქეთა დაინტერესების გაზრდის მიზნის მიღწევაში.

ამრიგად, მხოლოდ ერთ-ერთი დამქირავებლის სახელზე (სხვა ოჯახის წევრების არსებობის შემთხვევაში) პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრების რეგისტრაციის ფაქტი არ ნიშნავს მხოლოდ მასზე საკუთრების უფლების გასხვისებას. ამრიგად, საცხოვრებელი სახლის უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულებით დანარჩენი ოჯახის წევრებს წარმოეშობათ უფლება საჯარო რეესტრში დაარეგისტრირონ (შესაბამის ნილის გათვალისწინებით) საკუთრების უფლება. (აღნიშნული საკითხი ასევე დარეგულირებული იყო იმ დროს მოქმედი საქართველოს უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1996 წლის 2 აპრილის №1 დადგენილების მე-2 პუნქტით, რომელშიც მითითებულია, რომ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1994 წ. 5 აგვისტოს №520-ე დადგენილებამ გააუქმა ბინების პრივატიზაციისათვის ოჯახის სრულწლოვანი წევრების თანხმობის აუცილებლობა. მიუხედავად ამისა, პრივატიზებულ ბინებზე საკუთრების უფლება აქვს ყველა იმ პირს, რომელსაც საცხოვრებელ ფართობზე უფლება მოპოვებული აქვს ბინის პრივატიზაციის დროისათვის).

რაც შეეხება მხარეთა შეთანხმებას პრივატიზაციის შემდეგ ფართის გაყოფასთან დაკავშირებით, საქმის მასალების თანახმად, არ ირკვევა ამ წესით ფართის გაყოფის ფაქტი, რომლის თაობაზე საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებულ პრეტენზიას.

ამრიგად, ნ. მ-ის მიერ აღნიშნული ფართის პრივატიზაციის შედეგად თავის სახელზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის ფაქტი არ გამოირიცხავს დანარჩენ ოჯახის წევრების სასარ-

გებლოდ ამ უფლების შექმნის ფაქტს, რადგან ამ უფლების რეგისტრაციით (ანუ შექმნის ინსტიტუტით გათვალისწინებული წესების რეალიზაციით) მან უზრუნველყო საკუთრების უფლება, რაც მან მოიპოვა ყველა იმ ოჯახის წევრის სასარგებლოდ ვინც თანხმობა განაცხადა პრივატიზაციაზე. აქედან გამომდინარე დანარჩენი ოჯახის წევრების თანხმობა ერთ-ერთ ოჯახის წევრის სახელზე საკუთრების უფლების დარეგისტრირების თაობაზე არ ნიშნავს თავის წილ საკუთრებაზე უარის თქმას.

ამის გათვალისწინებით, საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ ნ. მ-ის საკუთრებას შეადგენდა მხოლოდ მთლიანი სადავო სახლის 1/3 ნაწილი, ამიტომ ნ. მ-ი არ იყო უფლებამოსილი, 1994 წლის 24 აპრილის ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე განეკარგა ქ. თბილისში, ი. ნ-ის ქ. №22-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის 33/138 ნაწილი, რომელიც რეალურად წარმოადგენდა ლ. ვ-სა და ნ. მ-ის წილს. უშუალოდ თავისი 1/3 წილი ნ. მ-მა 1992 წლის 20 ივნისის ჩუქების ხელშეკრულებით აჩუქა ნ. მ-ს. ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიჩნია, რომ 1994 წლის 24 აპრილის ჩუქების ხელშეკრულებით დ. მ-ისათვის ქონების გაჩუქების მომენტში სადავო ქონებაზე ნ. მ-ს საკუთრების უფლება გასხვისებულ ფართზე არ გააჩნდა. ამდენად, ნ. მ-მა თავისი 1/3 წილი განკარგა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე. სააპელაციო სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ ნ. მ-მა 1994 წლის 24 აპრილის ჩუქების ხელშეკრულებით განკარგა ქონება, რომელზედაც მას არ გააჩნდა საკუთრება, ამდენად (1964 წლის რედაქციის) საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლის მე-3 აზვაციის თანახმად, თუ ქონება შექმნილია უსასყიდლოდ იმ პირისაგან, რომელსაც არ ჰქონდა მისი გასხვისების უფლება, მესაკუთრეს უფლება აქვს, გამოითხოვოს იგი ყველა შემთხვევაში. ამავე კოდექსის 48-ე მუხლის პირველი აზვაციის თანახმად ბათილია გარიგება, რომელიც კანონის მოთხოვნებს არ შეესაბამება.

2005 წლის 3 ივნისის ანდერძის კანონიერების შემოწმებასთან მიმართებით მართებულად გამოიყენა მოქმედი სამოქალაქო კოდექსის 1404-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, ამავე კოდექსის 1507-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1404-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ის საანდერძო განკარგულება, რომლის საფუძველზედაც ხდება ისეთ ნივთზე მემკვიდრედ მოწვევა, რომელიც არ არის სამკვიდროში, ბათილია. ამ სამართლებრივი ნორმის საფუძველზე საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას,

რომ კონკრეტულ შემთხვევაში, არ არსებობდა ქ. თბილისში, ი. ნ-ის ქ. №22-ში მდებარე 33 მ<sup>2</sup> საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემის სამართლებრივი საფუძველი, ამიტომ ქონების ამ ნაწილზე დ. მ-მა სათანადო წესით ვერ მოიპოვა საკუთრების უფლება, შესაბამისად, ქონების ამ ნაწილზე დ. მ-ის მიერ შედგენილი სანდერძო განკარგლება ბათილია.

ამრიგად, საქმეში არ მოიპოვება ისეთი მტკიცებულებები, რომლებიც, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის თანახმად, გამოორიცხავდა სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძვლები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას მიიჩნევს, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრების დაკმაყოფილების საფუძველი, რადგან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ მითითებული კანონი არ დარღვეულა. სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410 მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ც. ძ-სა და გ. მ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 24 აპრილის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გააჩივრდება.

# რუქების დაუშვებლობა

## ბანრინება

№ას-257-247-2013

10 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება, გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა

### აღწერილობითი ნაწილი:

თ. ბ-ომ თბილისის საქალაქო სასამართლოში ნ. კ-ას წინააღმდეგ სარჩელი აღძრა და მოითხოვა 2008 წლის 21 აპრილის ქ. თბილისში, დ. მასივის მე-4 კვარტლის პირველ კორპუსში მდებარე №7 ბინის ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება შემდეგი საფუძვლებით: 2008 წლის 21 აპრილის ხელშეკრულებით თ. ბ-ომ შვილიშვილ ნ. კ-ას აჩუქა თავისი კუთვნილი ბინა. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ გაუუარესდა მატერიალური მდგომარეობა. მის ერთადერთ შემოსავალს წარმოადგენს პენსია. 2 ნელზე მეტია მარტო ცხოვრობს, მატერიალურად არავინ ეხმარება. 2011 წლის მარტიდან, დავალიანების გადაუხდელობის გამო, გათიშული აქვს ბუნებრივი აირის მიწოდება. ასაკის გამო გაუარესდა მისი ჯანმრთელობაც, უჭირს მოძრაობა, დაუქვეითდა მხედველობა, გაიზარდა მკურნალობის ხარჯები.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მიუთითა, რომ თ. ბ-ოს ქონებრივი მდგომარეობა ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ არ გაუარესებულა. დასაჩუქრებულმა გააუმჯობესა მოსარჩელის საყოფაცხოვრებო პირობები, აფინანსებდა მოსარჩელის მკურნალობას. თ. ბ-ო სარგებლობს გაჩუქებული ქონებით. მოპასუხემ ასევე წარადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა თ. ბ-ოს სარჩელი ნ. კ-სა და ნ. ი-ის წინააღმდეგ 2008 წლის 21 აპრილის ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილებით თ. ბ-

ოს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება თ. ბ-ომ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილებით თ. ბ-ოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 14 სექტემბრის გადაწყვეტილება და საქმეზე მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, თ. ბ-ოს სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა 2008 წლის 21 აპრილის უძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულება და ქ. თბილისში, დ. მასივის მე-4 კვარტლის 1-ლ კორპუსში მდებარე ბინა №7 აღირიცხა თ. ბ-ოს სახელზე.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. 2008 წლის 21 აპრილის თ. ბ-ომ ნ. კ-ას აჩუქა ქ. თბილისში, დ. მასივის მე-4 კვარტლის, პირველ კორპუსში მდებარე №7 ბინა;

2. ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე ნ. კ-ა დარეგისტრირდა უძრავი ქონების მესაკუთრედ;

3. უძრავი ქონების გაჩუქების შემდეგ, თ. ბ-ო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და არ შეუძლია საკუთარი თავის რჩენა;

4. ჯანმრთელობის გაუარესების გამო გაიზარდა თ. ბ-ოს მკურნალობის ხარჯები. საქმეში წარმოდგენილი ჯანმრთელობის ცნობით დასტურდება, რომ თ. ბ-ოს ესაჭიროება მუდმივი მედიკამენტური მკურნალობა და ასევე რევმატოლოგის კონსულტაცია ექვს თვეში ერთხელ. თ. ბ-ოს განმარტების საფუძველზე (იხ. 18.01.2013 წლის სხდომის ოქმი) ასევე დასტურდება, რომ 2008 წლის ზაფხულში, 2012 წელთან შედარებით, გაცილებით უკეთესად გრძნობდა თავს, კერძოდ, თ. ბ-ომ განმარტა, რომ მისი ქალიშვილის გარდაცვალების შემდეგ სიძემ შესთავაზა მასთან საცხოვრებლად გადასვლა, ყოველდღიური საოჯახო საკითხების მოგვარებაში მისახმარებლად. თ. ბ-ოს განმარტებით ასევე დასტურდება, რომ 2008 წელს, როდესაც მისმა შვილიშვილმა შესთავაზა ნოტარიუსთან გაყოლა, ისიც თავისი ფეხით გაჰყვა მას ნოტარიუსის ოფისში. ამდენად, ჩუქების ხელშეკრულების დადებისას თ. ბ-ოს ჯანმრთელობა დღევანდელთან შედარებით იმდენად უკეთესი იყო, რომ მას აქტიური დახმარების გარეშე დამოუკიდებლად გადაადგილება შეეძლო. აღნიშნული ფაქტი მოწინააღმდეგე მხარეს სადავოდ არ გაუხდია;

5. მოსარჩელე თ. ბ-ოს, დავალიანების გადაუხდელობის გამო, შეუნყდა ბუნებრივი აირის მიწოდება. საქმეში წარმოდგე-

ნილი, შპს „ყ-ის“ ცნობის საფუძველზე დგინდება, რომ 2010 წლის აგვისტოში და, ასევე, 2011 წლის მარტიდან – 2012 წლის 3 აპრილამდე შეწყვეტილი იყო თ. ბ-ოს საცხოვრებელი ბინის ბუნებრივი აირით მომარაგება. შესაგებელზე თანდართული გადახდის ქვითრებით დასტურდება, რომ ნ. კ-ამ თ. ბ-ოს კომუნალური გადასახადები გადაიხადა 2012 წლის 27 ივლისს, ანუ სასამართლოში შესაგებლის წარდგენამდე ორი დღით ადრე. კომუნალური გადასახადები მოპასუხემ გადაიხადა მხოლოდ სარჩელის ჩაბარების შემდგომ, ანუ მას შემდეგ, რაც მისთვის ცნობილი გახდა, რომ თ. ბ-ომ წამოიწყო ახალი დავა ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების თაობაზე. საქმეში წარმოდგენილია ასევე თანხის გადარიცხვის ქვითრები, რომლებიც 2010 წლით თარიღდება, ანუ დროის იმ მონაკვეთით, როდესაც მიმდინარეობდა სასამართლოში საქმის განხილვა თ. ბ-ოს მიერ პირველად აღძრული სარჩელის საფუძველზე, თუმცა, მოწინააღმდეგე მხარემ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, ასევე ვერ დაადასტურა, რომ თ. ბ-ის გამოგზავნილ ფულს უშუალოდ მოსარჩელე იღებდა და მოიხმარდა პირადი საჭიროებისთვის;

6. თ. ბ-ო რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში, სარეიტინგო ქულით 52840. ამონაწერი მომზადებულია 2011 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით ანუ ჩუქების ხელშეკრულების დადებიდან სამი წლის შემდეგ, რაც ასევე იწვევს გონივრულ ეჭვს, რომ ჩუქების ხელშეკრულების დადების შემდეგ მკვეთრად გაუარესდა თ. ბ-ოს ეკონომიკური მდგომარეობა;

7. მოწმე თ. ჯ-ა უჩვენა, რომ თ. ბ-ოს არ შეუძლია დამოუკიდებლად გადაადგილება და საჭმლის გაკეთება. მეზობლები ეხმარებიან მას, როგორც ფიზიკურად გადაადგილებაში, ასევე, საკვებითა და მედიკამენტებით. მოწმე ვ. ა-ა უჩვენა, რომ თ. ბ-ოს არ შეუძლია დამოუკიდებლად სიარული, რადგან მხედველობა დაქვეითებული აქვს. იგი თვეში ერთხელ მიდის მოსარჩელესთან, საყოფაცხოვრებო წარჩენების გადასაყრელად და სხვა წვრილმანი პრობლემების მოსაგვარებლად. მოწმე ნ. მ-ემ უჩვენა, რომ ყოფილა ისეთი შემთხვევა, როდესაც სამაშველო სამსახურის გამოძახება გამხდარა საჭირო, რადგან ნაქცეული თ. ბ-ო ვერ ახერხებდა გადაადგილებას და კარის გაღებას. ხშირად ყოფილა შემთხვევები, როდესაც თ. ბ-ოს მაცივარი სულ ცარიელი ჰქონდა და აპელანტის ერთადერთი საჭმელი იყო ერთი კვირის წყალში დამბალი პური. მოწმეთა ჩვენებების ერთობლიობით დასტურდება, რომ თ. ბ-ო ორ წელზე მეტია ცხოვრობს მარ-

ტო, გაუსაძლის პირობებში. მას არ შეუძლია დამოუკიდებლად თავის მოვლა, გადაადგილება და საკვების მომზადება. მის დასახმარებლად და მოსავლელად მხოლოდ თვეში რამდენჯერმე ახერხებენ მისვლას ნათესავები და ახლობლები.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებული გარემოებების არსებობის შემთხვევაში – თუკი ჩუქების შემდეგ მჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება. ასეთი გარემოების მტკიცების ტვირთი აწევს მჩუქებელს, რომელმაც უნდა ადასტუროს, რომ მისი მატერიალური მდგომარეობა ჩუქების შემდეგ მნიშვნელოვნად გაუარესდა. სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მიზნებისთვის მძიმე მდგომარეობად მიიჩნევა ისეთი ვითარება, როდესაც გამჩუქებელს არ გააჩნია სახსრები იმისთვის, რომ გამოკვებოს და ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობებით უზრუნველყოს საკუთარი თავი. თ. ბ-ოს პენსიის გარდა შემოსავალი არ გააჩნია და მეზობელ-ნათესავების დახმარების იმედად ცხოვრობს.

სასამართლოს მითითებით, სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლით კანონმდებელმა გამჩუქებელთან ერთად ასევე გაითვალისწინა დასაჩუქრებულის ინტერესებიც და განსაზღვრა, რომ გამჩუქებული ნივთის დაბრუნება დასაჩუქრებულს არ უნდა აყენებდეს მძიმე მდგომარეობაში. აღნიშნულ ნორმაში მითითებული გარემოების მტკიცების ტვირთი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად, ეკისრება დასაჩუქრებულს, კერძოდ, მან უნდა ამტკიცოს, რომ ჩუქების საგნის უკან გამოთხოვით გაუარესდება მისი ეკონომიკური მდგომარეობა. აღნიშნული გარემოების შეფასებისას, გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ჩუქების საგანს განსახილველ საქმეში წარმოადგენს მატერიალური სიკეთე – უძრავი ქონება და დასაჩუქრებულის საკუთრებიდან მისი გამოთხოვა ყველა შემთხვევაში გამოიწვევს ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებას, თუმცა, სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლით გათვალისწინებულ ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებაში იგულისხმება არა ნებისმიერი გაუარესება, არამედ არსებითი გაუარესება, კერძოდ, მდგომარეობა, როდესაც სადავო უძრავი ქონება წარმოადგენს მხარეთათვის ერთადერთ შემოსავლის წყაროს ან, როდესაც უძრავი ქონება დატვირთულია რაიმე სანივთოსამართლებრივი უფლებით, რის გამოც მისი საკუთრებიდან გამოთხოვა დასაჩუქრებულს არსებითი ზიანს მიაყენებს. ნ. კ-ას სასამართლოსათვის არ წარმოუდგენია მტკიცებულებები, რომ-

ლითაც უტყუარად დადასტურდებოდა, რომ უძრავი ქონების საკუთრებიდან გამოთხოვით არსებითად გაუარესდებოდა მისი ეკონომიკური მდგომარეობა.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ მოთხოვნის საფუძვლიანობა უნდა შემოწმდეს ნებისმიერი სამართლებრივი საფუძვლით, მათ შორის, რაზედაც შესაძლოა, მხარე არ მიუთითებდეს და, მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტებიდან გამომდინარე, დამატებით შეაფასა საქმის გარემოებები სამოქალაქო კოდექსის 526-ე მუხლთან მიმართებითაც.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 526-ე მუხლის თანახმად, პირს უფლება არა აქვს გააჩუქოს ქონება, თუ ქონების გაჩუქება საარსებო წყაროს უსპობს მჩუქებელს ან მის კმაყოფაზე მყოფ პირებს. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, საარსებო წყარო არის ის, რაც განკუთვნილია, საჭირო და აუცილებელია ადამიანის არსებობისათვის, რის გარეშეც ადამიანი ვერ მოახერხებს საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ადამიანის არსებობისათვის, აუცილებელია ჰქონდეს საცხოვრებელი. თ. ბ-ო კუთვნილი სახლის გაჩუქებით საცხოვრებლის გარეშე დარჩა. მონინაალმდეგე მხარემ განმარტა, რომ ჩუქების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, აპელანტი სადავო საცხოვრებელ სახლში ცხოვრებდა და არავინ აპირებს მის გამოსახლებას. აღნიშული ნება ნ. კ-ამ ნოტარიუსის მიერ გაფორმებული ხელწერილითაც დაადასტურა. მიუხედავად ამისა, პალატა მიიჩნევს, რომ აღნიშნული განმარტება, ვერ გახდება მომავალში ნ. კ-ას მიერ საკუთრებით თავისუფლად სარგებლობისა და განკარგვის შეზღუდვის საფუძველი, რის გამოც თ. ბ-ო, შეიძლება, საცხოვრებლის გარეშე დარჩეს, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ სასამართლოში დავის წარმოების შემდგომ მხარეთა შორის არსებულ დაძაბულ ურთიერთობას.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ნ. კ-ამ საკასაციო წესით გაასაჩივრა, მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით შემდეგი საფუძველით:

1. საქმეში წარმოდგენილია კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა თ. ბ-ოს სარჩელი ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის შესახებ. ამის შემდეგ თ. ბ-ომ ახალი სარჩელი აღძრა და ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება კვლავ სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლის საფუძველზე მოითხოვა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის საფუძველზე, ეს გარემოება საქმის წარმოების შენ-

ყვეტის საფუძველია;

2. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლით უნდა ეხელმძღვანელა და პრეიუდიციული ძალა მიენიჭებინა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებისათვის. ამ გადაწყვეტილებით დადგინდა, რომ თ. ბ-ო ბინით თავისი სურვილისამებრ სარგებლობს. იგი ქონების გაჩუქებით მძიმე მდგომარეობაში არ ჩავარდნილა. ბინას შემოსავლის წყაროდ მანამდეც არ იყენებდა. იმავე გადაწყვეტილებით დადგენილია, რომ ნ. კ-ამ თ. ბ-ოს მაცივარი და ტელევიზორი უყიდა, ასევე სთავაზობდა მომვლელის დაქირავებას, რაზეც თავად მოსარჩელემ უთხრა უარი, რადგანაც სურდა, ნ. კ-ა ჩამოსულიყო უკრაინიდან მასთან საცხოვრებლად. სასამართლოს ეს გადაწყვეტილებები უნდა შეეფასებინა და დაესაბუთებინა, დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს პრეიუდიციული ძალა რა საფუძველით არ ენიჭებოდა;

3. სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 530-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის მიხედვითაც, ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება ვერ მოხდება, თუ გამჩუქებელმა თავად ჩაიგდო თავი მძიმე მდგომარეობაში. თ. ბ-ო, დაინტერესებული პირების ნაქეზებით, თავად არ იღებს ფინანსურ დახმარებას ნ. კ-ან, გარდა ამისა, მას იგივე შემოსავალი აქვს, რაც ხელშეკრულების გაფორმებამდე ჰქონდა;

4. სასამართლო დაეყრდნო საქმეში არსებულ ჯანმრთელობის ცნობას, რომელიც არ ადასტურებს, რომ თ. ბ-ოს თავის რჩენა არ შეუძლია;

5. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ თ. ბ-ოს, დავალიანების გამო, შეუწყდა გაზომარაგება. აღნიშნული გარემოება სიმართლეს არ შეესაბამება. ჯერ ერთი, ამ პერიოდში თ. ბ-ო თხევად აირს მოიხმარდა და, მეორეც, მას ბუნებრივი აირის მიწოდება დავალიანების გამო კი არ შეუწყვიტეს, არამედ, იმ მიზეზით, რომ მის სახლში მილი მრიცხველის გვერდით ავლით იყო შეყვანილი, რის გამოც ნ. კ-ამ ჯარიმაც გადაიხადა და გაზომარაგების აღდგენის საფასურიც;

6. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე ჩუქების ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დარეგისტრირდა სოციალურად დაუცველი პირების მონაცემთა ერთიან ბაზაში, რაც არასწორია. თ. ბ-ო 2007 წლიდანაა რეგისტრირებული ბაზაში, ხოლო 2011 წლისათვის დაბალი სარეიტინგო ქულები მოტყუებით მოიპოვა. მან ძვირადღირებული ტექნიკა მეზობელთან გადაამალა;

7. მოწმე ვ. ა-ს ჩვენება მიკერძოებულია, რადგანაც იგი თ. ბ-

ოს ნათესავია, სასამართლომ კი, ეს გარემოება არ გაითვალისწინა;

8. სააპელაციო სასამართლო გასცდა სარჩელისა და სააპელაციო საჩივრის ფარგლებს, როდესაც თავისი ინიციატივით იმსჯელა სამოქალაქო კოდექსის 526-ე მუხლიდან გამომდინარე სარჩელის საფუძვლიანობაზე;

9. სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილებით არასწორად გაანაწილა სასამართლო ხარჯები. ნ. კ-ას სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 1200 და არა 2100 ლარის გადახდა უნდა დაჰკისრებოდა, რადგანაც 30 000 ლარის 4% 1200 ლარია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ ნ. კ-ას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ თ. ბ-ოს ქონებრივი მდგომარეობა სადავო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ არსებითად გაუარესდა.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ 2010 წელს თ. ბ-ოს აღძრული ჰქონდა სარჩელი ნ. კ-სა და საჯარო რეესტრის თანამშრომლის წინააღმდეგ, რომლითაც ასევე მოითხოვდა 2008 წლის 21 აპრილის ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებას. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებით აღნიშნული სარჩელი არ დაკმაყოფილდა, გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო, მხარეთა განცხადებით ან თავისი ინიციატივით, შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ არსებობს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ან განჩინება, რომელიც გამოტანილია დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით.

აღნიშნული ნორმის საფუძველზე, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ როდესაც დავის ფარგლებში მტკიცებულებების სახით წარმოდგენილია კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმის განმხილველმა სასამართლო შემადგენლობამ უნდა გამოიკვლიოს, იყო თუ არა გადაწყვეტილება გამოტანილი იმავე მოდავე მხარეების მიმართ, რა იყო სასარჩელო მოთხოვნა, იყო თუ არა დავის საგანი იდენტური (იგი-

ვე ნივთის მიკუთვნება, იგივე ხელშეკრულების ბათილად ცნობა და ა.შ) და რას წარმოადგენდა სარჩელის საფუძვლები. „სარჩელის საფუძვლები“ მოცემული ნორმის მიზნებისათვის გულისხმობს სასარჩელო მოთხოვნის როგორც ფაქტობრივ, ისე – სამართლებრივ დასაბუთებას, თუმცა, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გადამწყვეტი მნიშვნელობა სარჩელის ფაქტობრივ საფუძვლებს უნდა მიენიჭოს, ვინაიდან, კონკრეტული ფაქტობრივი გარემოებების მიმართ გამოსაყენებელ სამართლის ნორმას თავად სასამართლო განსაზღვრავს, თუნდაც მხარეს იგი მითითებული არ ჰქონდეს.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ სააპელაციო სასამართლოს უნდა ემსჯელა, არსებობდა თუ არა საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლები.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თ. ბ-ოს 2010 წლის სარჩელის მოთხოვნა იყო 2008 წლის 21 აპრილის ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა, როგორც მოტყუებით დადებული გარიგების, გარდა ამისა, მოსარჩელე მოითხოვდა იმავე ხელშეკრულების გაუქმებას დასაჩუქრებულის უმადურობის გამო, ასევე იმ საფუძვლით, რომ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ არსებითად გაუარესდა მისი ქონებრივი მდგომარეობა. სწორედ მითითებულ გარემოებებზე იმსჯელა თბილისის საქალაქო სასამართლომ 2010 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებაში. განსახილველ საქმეზე აღძრული სარჩელით კი, თ. ბ-ო 2008 წლის 21 აპრილის ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებას ითხოვს მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ მისი ქონებრივი მდგომარეობა ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დამძიმდა. 2010 წლის სარჩელის მოპასუხეები იყვნენ ნ. კ-ა და საჯარო რეესტრის თანამშრომელი ნ. ი-ი, ხოლო მოცემულ საქმეზე მოპასუხეა ნ. კ-ა, შესაბამისად, არსებობს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც გამოტანილია იმავე მხარეების მიმართ, იდენტურ დავის საგანზე. რაც შეეხება სარჩელის საფუძვლებს, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ თ. ბ-ოს სარჩელის განხილვა შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი იმგვარ ფაქტებზე მიუთითებდა, რის შესახებაც აღნიშნული არ ჰქონდა 2010 წლის სარჩელში, წინააღმდეგ შემთხვევაში, მოცემულ სარჩელზე საქმის წარმოება უნდა შეწყვეტილიყო. სააპელაციო სასამართლომ, მოცემულ შემთხვევაში, საერთოდ არ გაითვალისწინა, იმავე მხარეების მიმართ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების არსებობა და არც ზემოაღნიშნულ საკითხებზე არ იმსჯელა.

საკასაციო სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ, სამო-

ქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს თავისი ინიციატივით შეუძლია შეწყვეტოს საქმის წარმოება იმავე მუხლში ჩამოთვლილი საფუძვლების არსებობისას, თუნდაც დაინტერესებული მხარე ამგვარ მოთხოვნას არ აყენებდეს.

თუნდაც სააპელაციო სასამართლოს მიეჩნია, რომ საქმის წარმოების შეწყვეტის საფუძვლები არ არსებობდა, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილება მაინც უნდა მიეღო მხედველობაში, ვინაიდან, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის მიხედვით, მხარეები თავისუფლდებიან მტკიცებულებათა წარმოდგენისაგან ისეთი ფაქტების დასადასტურებლად, რომლებსაც თუმცა ემყარება მათი მოთხოვნები, თუ შესაგებებელი, მაგრამ დამტკიცებას არ საჭიროებენ, კერძოდ, ფაქტები, რომლებიც დადგენილია ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ.

საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებას განსახილველი დავის მიმართ პრეიუდიციული ძალა აქვს. ამ გადაწყვეტილებით კი, სასამართლომ დაადგინა, რომ თ. ბ-ოს ქონებრივი მდგომარეობა არ გაუარესებულა ჩუქების ხელშეკრულების დადების შემდეგ, უძრავი ქონების გაჩუქების შემდეგ გამჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში არ აღმოჩენილა და თ. ბ-ო სადავო ბინას შემოსავლის წყაროდ არასოდეს იყენებდა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თ. ბ-ოს სარჩელი სააპელაციო სასამართლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დაეკმაყოფილებინა, თუ მხარე იმგვარ ფაქტებზე მიუთითებდა, რომლებიც თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ წარმოიშვა და უტყუარად დაადასტურებდა, რომ მისი ქონებრივი მდგომარეობა 2010 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილების მიღების შემდეგ კვლავ დამძიმდა. სააპელაციო სასამართლოს კი, მხარის მიერ მითითებული გარემოებები და შესაბამისი მტკიცებულებები ამ თვალსაზრისით არ შეუსწავლია. როგორც 2010 წლის 2 ივლისის გადაწყვეტილებით ირკვევა, თ. ბ-ო მაშინაც ამტკიცებდა, რომ ნ. კ-ა მას არ ეხმარებოდა, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმე იყო და თავის რჩენას ვერ ახერხებდა.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს კასატორის მტკი-

ცებას, რომ სააპელაციო სასამართლო გასცდა სარჩელისა და სააპელაციო საჩივრის ფარგლებს, როდესაც თავისი ინიციატივით იმსჯელა სამოქალაქო კოდექსის 526-ე მუხლიდან გამომდინარე სარჩელის საფუძვლიანობაზე, მართალია, საპროცესო კანონმდებლობითა და საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკით, მოსარჩელეს საკუთარი მოთხოვნის დამადასტურებელი ფაქტების მითითება ევალება, ხოლო მათ მიმართ გამოსაყენებელ სამართლის ნორმას სასამართლო განსაზღვრავს, მხარის მითითების მიუხედავად, მაგრამ მოცემულ შემთხვევაში, თ. ბ-ოს არასოდეს უმტკიცებია, რომ სადავო ბინას შემოსავლის წყაროდ იყენებდა.

საკასაციო სასამართლო ასევე მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 526-ე მუხლი, კერძოდ, აღნიშნული ნორმის თანახმად, პირს უფლება არა აქვს გააჩუქოს ქონება, თუ ქონების გაჩუქება საარსებო წყაროს უსპობს მჩუქებელს ან მის კმაყოფაზე მყოფ პირებს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მითითებული მუხლის მიზნებისათვის, ქონების გაჩუქების შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ქონება არის გამჩუქებლის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების საარსებო წყარო, ანუ, ამ ქონების მეშვეობით გამჩუქებელი შემოსავალს უნდა იღებდეს და გაჩუქების შემდეგ აღარ უნდა რჩებოდეს შემოსავლის სხვა წყარო, რომელიც მისი აუცილებელი მოთხოვნების დაკმაყოფილებას უზრუნველყოფს. საცხოვრებელი სახლის გაჩუქება, თავისთავად, არ გულისხმობს საარსებო წყაროს მოსპობას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, თუ ერთადერთი საცხოვრებელი სახლის გაჩუქების შემდეგ გამჩუქებელი, უხეშად რომ ითქვას, ქუჩაში რჩება, მას ხელშეკრულების გაუქმება შეუძლია, მოითხოვოს სამოქალაქო კოდექსის 530-ე და არა 526-ე მუხლის საფუძველზე, ვინაიდან, ქონების გაჩუქების შემდეგ იგი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, 526-ე მუხლი კი, ეხება შემთხვევას, როდესაც, ქონების გაჩუქების შემდეგ გამჩუქებელი შემოსავლის გარეშე რჩება, ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ 530-ე მუხლის საფუძველზე მოთხოვნის უფლება გააჩნია მხოლოდ გამჩუქებელს, 526-ე მუხლის საფუძველზე კი, გამჩუქებლის კმაყოფაზე მყოფ პირებსაც. განსახილველ შემთხვევაში, არ დასტურდება, რომ თ. ბ-ო სადავო ბინიდან შემოსავალს იღებდა, ასევე ის გარემოებაცაა საყურადღებო, რომ ბინას კვლავ მოსარჩელე ფლობს და ნ. კ-ა ხელს არ უშლის, ქონებით საკუთარი შეხედულებისამებრ სარგებლობაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქმე მნიშვნელოვანი საპროცესო დარღვევით განიხილა, რამაც, შე-საძლოა, საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების მიღება განაპი-რობა, ასევე არასწორად გამოიყენა და განმარტა სამოქალაქო კოდექსის 526-ე მუხლი, შესაბამისად, არსებობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული კასაციის საფუძვლები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის მიხედ-ვით, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასა-მართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისე-თი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და სა-ჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. ამ მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასა-ციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუდოს სამართლებრი-ვი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამარ-თლოსათვის.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა გან-ხილვისას სააპელაციო სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს მოცემული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებით, დაად-გინოს შესაბამისი ფაქტობრივი გარემოებები და დავა იმგვარად გადაწყვიტოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპ-როცესო კოდექსის 284-ე, 412-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ნ. კ-ას საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 18 იანვრის გადაწყვეტილე-ბა და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სა-სამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გა-საჩივრდება.

**რუქების გაუქმება დასაჩუქრებულის უმადურობის  
ბამო**

**გადაწყვეტილება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ას-62-59-2012

5 ნოემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება, გაჩუქებული ქონების გამოთხოვა

**აღწერილობითი ნაწილი:**

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ, 2011 წლის 24 თებერვლის განჩინებით, განიხილა ფ. გ-ის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე და იგი დააკმაყოფილა, კერძოდ, აღნიშნული განჩინებით ყადაღა დაედო ქ.თბილისში, ა-ის ქ. №17-ში მდებარე ი. მ-ის კუთვნილ უძრავ ქონებას.

2011 წლის 4 მარტს ფ. გ-მა იმავე სასამართლოში სარჩელი აღძრა მოპასუხე ი. მ-ის მიმართ. საბოლოოდ, მოსარჩელემ მოითხოვა ქ.თბილისში, გ. ა-ის №17-ში (ყოფილი პ-ას №17) მდებარე ბინაზე მასა და ი. მ-ს შორის 1997 წლის 26 დეკემბერს დადებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა და დასახელებული უძრავი ქონების მის საკუთრებაში აღრიცხვა.

მოსარჩელემ განმარტა, რომ 1993 წლის 3 მაისს დაქორწინდა ისრაელის მოქალაქე ი. მ-ზე. 1997 წლის 26 დეკემბერს მან მოპასუხეს ერთგულებისა და სიყვარულის დამტკიცების მიზნით მშობლების მიერ შეძენილი ბინა აჩუქა. დასაჩუქრებულმა მჩუქებლის მიმართ გამოიჩინა უმადურობა, რაც გამოიხატა მის ფიზიკურ შეურაცხყოფაში, ისრაელის აეროპორტში დაპატიმრებაში და ნაჩუქარი ბინიდან გამოსახლების მუქარაში. ამიტომ, მოსარჩელემ მოითხოვა ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება და გაჩუქებული ქონების გამოთხოვა. მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძვლად სარჩელში დასახელებულია საქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა

კოლეგიის 2011 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებით ფ. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ფ. გ-სა და ი. მ-ს შორის 1997 წლის 26 დეკემბერს დადებული ჩუქების ხელშეკრულება, ფ. გ-ი ცნობილ იქნა ქ.თბილისში, ა-ის ქ. №17-ში მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრედ.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. მ-მა, რომელმაც მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა ხანდაზმულობის და უსაფუძვლობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 16 ნოემბრის განჩინებით ი. მ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგინილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1997 წლის 26 დეკემბერს ფ. გ-სა და ი. მ-ს შორის დაიდო ჩუქების ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ფ. გ-მა ი. მ-ს აჩუქა ქ.თბილისში, ა-ის ქ. №17-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა;

ფ. გ-მა არაერთხელ მიმართა სასამართლოს სარჩელით ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნით. სარჩელები დარჩა განუხილველად მოსარჩელის მიერ სარჩელის გახმობის გამო;

ქ.თბილისში, ა-ის ქ. №17-ში მდებარე უძრავი ქონება, საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია ი. მ-ის სახელზე;

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის პოზიცია სარჩელის ხანდაზმულობის თაობაზე. ამასთან დაკავშირებით სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 128-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სხვა პირისაგან რაიმე მოქმედების შესრულების ან მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის უფლებაზე ვრცელდება ხანდაზმულობა. ამავ კოდექსის 130-ე მუხლის მიხედვით, ხანდაზმულობა იწყება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოთხოვნის წარმოშობის მომენტად ჩაითვლება დრო, როცა პირმა შეიტყო ან უნდა შეეტყო უფლების დარღვევის შესახებ. სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლი აწესებს ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას, კერძოდ, ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოებათა შესახებ, რომელიც მას ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების უფლებას

აძლევს.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება მძიმე შეურაცხყოფისა და დიდი უმადურობის გამო. დასახელებულ მოთხოვნაზე ვრცელდებოდა ხანდაზმულობის სპეციალური ვადა – ერთი წელი. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა და მიიჩნია, რომ შეურაცხყოფისა და დიდი უმადურობის სიმძიმის ხარისხის განსაზღვრა მხოლოდ კონკრეტული სუბიექტის – მჩუქებლის შეფასების საგანს წარმოადგენდა. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ უმადურობის გამოჩენის ათვლის წერტილად მიიჩნია სარჩელის შეტანამდე რამდენიმე დღით ადრე მოპასუხის მიერ გაცემებული მუქარა გამოსახლების თაობაზე. ის გარემოება, რომ მოსარჩელემ ჯერ კიდევ 2003 წელს აღძრა სარჩელი ანალოგიური მოთხოვნით, არ მიუთითებდა სარჩელის ხანდაზმულობაზე, ვინაიდან მოსარჩელის განმარტებით დგინდებოდა, რომ წინა წლებში აღძრულ სარჩელს საფუძვლად დაედო შეურაცხყოფის და უმადურობის სხვა ფაქტები. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა იმასთან დაკავშირებით, რომ სარჩელი არ იყო ხანდაზმული.

სააპელაციო სასამართლომ დადგინილად მიიჩნია, რომ ი. მ-მა გამოიჩინა დიდი უმადურობა მჩუქებლის მიმართ, ასევე მიაყენა მას მძიმე შეურაცხყოფა. კერძოდ, მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და საქმეში წარდგენილი მტკიცებულებების შეფასების შედეგად დგინდებოდა, რომ მხარეთა შორის წლების მანძილზე მიმდინარეობდა დავა ჩუქების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. ასევე დგინდებოდა, რომ ფ. გ-ი დეპორტირებულ იქნა ისრაელიდან ისრაელის მოქალაქესთან ფიქტიური ქორწინების გამო, აღნიშნულს კი საფუძვლად დაედო ი. მ-ის განცხადება, რის გამოც ფ. გ-ი დაპატიმრებულ იქნა ისრაელის საემიგრაციო პოლიციის მიერ და 5 დღე იმყოფებოდა დაკავების საკანში, რის შემდგომაც გაუკეთდა დეპორტაცია და სამუდამოდ აეკრძალა ისრაელში ჩასვლა. დგინდებოდა ფ. გ-ის ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტი და მუქარა გამოსახლების თაობაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლოს შეექმნა შინაგანი რწმენა იმისა, რომ დასაჩუქრებულის მხრიდან ადგილი ჰქონდა მჩუქებლის მიმართ დიდ უმადურობასა და შეურაცხყოფას.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა

საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და მართებულად ინელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 529-ე, 128-ე, 130-ე და 138-ე მუხლებით.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 524-ე მუხლზე, რომლის თანახმად, ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებად მისი თანხმობით; ამავე კოდექსის 525-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, უძრავ ნივთზე ჩუქების ხელშეკრულება დადებულად ითვლება ხელშეკრულებით განსაზღვრული საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან. სააპელაციო სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში დადგინდა ფ. გ-ის მიერ ი. მ-ის ქ.თბილისში, ა-ის ქ. №17-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის ჩუქების ფაქტი, რომელიც საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით რეგისტრირებულია ი. მ-ის სახელზე.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლი და არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებებს. კანონის დასახელებული ნორმის მიხედვით, ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების შესაძლებლობას კანონი უკავშირებს ისეთი განსაკუთრებული გარემოებების არსებობას, როგორც არის: 1. დასაჩუქრებულის მხრიდან მძიმე შეურაცხყოფა, ანდა 2. მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ გამოვლენილი დიდი უმადურობა. მითითებული ნორმა ხაზს უსვამს მჩუქებლის მიმართ მძიმე შეურაცხყოფის მიყენებისა და დიდი უმადურობის გამოჩენის შემთხვევებს. კანონი პირდაპირ არ განსაზღვრავს, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს მძიმე შეურაცხყოფად, ან დიდ უმადურობად, რომლის გამოც შეიძლება გაუქმდეს ჩუქების ხელშეკრულება. ამდენად, სასამართლო ვალდებულია ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვროს დასაჩუქრებულის უმადურობის ხარისხი და გადაწყვიტოს საკითხი იმის შესახებ, წარმოადგენს თუ არა დასაჩუქრებულის ქმედება არაზნეობრივ, გასაკიცხ საქციელს, რაც შეიძლება უმადურობის გამოვლენად, შესაბამისად, ჩუქების გაუქმების საფუძველად შეფასდეს.

მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე, სააპელაციო სასამართლომ დადგინი-

ლად მიიჩნია, რომ დასაჩუქრებულის მხრიდან ადგილი ჰქონდა მჩუქებლის მიმართ დიდ უმადურობასა და შეურაცხყოფას.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის მითითება იმასთან დაკავშირებით, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო გასცდა სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებს და მოსარჩელეს მიაკუთვნა ის, რაც მას არ მოუთხოვია. ასევე სასამართლომ უსაფუძვლოდ გადაუვადა სახელმწიფო ბაჟის გადახდა მოსარჩელეს და არ განსაზღვრა დავის საგნის ფასი.

სააპელაციო სასამართლომ ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 9 მარტის განჩინებით მოსარჩელეს დაუდგინდა ხარვეზი და დაევალა აღიარებითი სარჩელის იურიდიული ინტერესის მითითება. მოსარჩელემ შეავსო ხარვეზი 2011 წლის 24 მარტის განცხადებით, რომლითაც მოითხოვა ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა და საჯარო რეესტრში უძრავი ქონების მის სახელზე რეგისტრაცია. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, დაუსაბუთებელი იყო აპელანტის პოზიცია საპროცესო ნორმის დარღვევის თაობაზე.

რაც შეეხებოდა სახელმწიფო ბაჟის გადავადებისა და დავის საგნის ფასის განსაზღვრის საკითხს, საქმის მასალებით სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის მიერ სარჩელის ფასი განისაზღვრა 30000 ლარით. შესაბამისად, სახელმწიფო ბაჟი შეადგენდა 900 ლარს. 2011 წლის 24 მარტის განცხადებით მოსარჩელემ იშუამდგომლა სახელმწიფო ბაჟის გადახდის გადავადება და წარადგინა სახელმწიფო ბაჟის სახით 200 ლარის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულება. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 29 მარტის განჩინებით სარჩელ მიღებულ იქნა წარმოებაში და მოსარჩელეს გადაუვადდა დარჩენილი სახელმწიფო ბაჟის გადახდა გადაწყვეტილების გამოტანამდე. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის თანახმად, დავის საგნის ფასს მიუთითებს მოსარჩელე, რაც განხორციელდა კიდევ მოცემულ შემთხვევაში. კერძოდ, პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის შუამდგომლობა ბაჟის გადავადების თაობაზე. მართალია, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 29 მარტის განჩინება არ შეიცავდა დასაბუთებას სახელმწიფო ბაჟის გადავადების თაობაზე, თუმცა სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული არ წარმოადგენდა ისეთ საპროცესო დარღვევას, რასაც

შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილების გამოტანა მოჰყვა.

სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 16 ნოემბრის განჩინება ი. მ-მა გაასაჩივრა საკასაციო წესით. კასატორი მოითხოვს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას და საქმის ხელახლა განსახილველად სააპელაციო სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის დაბრუნებას, რასაც შემდეგი არგუმენტებით ასაბუთებს:

ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა დავა სამართლებრივად არასწორად შეაფასეს. აღნიშნულს შედეგად მოჰყვა საქმეზე არასწორი გადაწყვეტილებისა და განჩინების მიღება;

სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი შეფასება მისცა იმ გარემოებას, რომ ი. მ-ის მიერ თავისი კანონიერი უფლებების დასაცავად საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 21 მაისის №317 ბრძანებულების შესაბამისად მიღებული, შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანების შესაბამისი მოქმედება და კანონიერი მოთხოვნა, რაც ამავედროულად ეფუძნება „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის „ფ“ ქვეპუნქტს, არ წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლით გათვალისწინებულ „მძიმე შეურაცხყოფის“ ან თუნდაც „დიდი უმადურობის“ გამოვლენას და შესაბამისად, ჩუქების გაუქმების საფუძველს. სასამართლომ არ გამოიყენა დასახელებული ნორმატიული აქტები. კასატორს მიაჩნია, რომ იგი არ არის ვალდებული ითმინოს ყოფილი ცოლის (ფ. გ-ის) ცხოვრება თავის საკუთარ სახლში, მით უფრო მოსარჩელის მეორე მეუღლესთან ერთად. ამის შესახებ საქმის განმხილველ სასამართლოს არ უმსჯელია;

საქმეს თან ერთვის 1998 წლის 23 ივნისს შედგენილი და სა-ნოტარო წესით დამოწმებული ხელწერილი (მითითებული ხელწერილი ორიგინალის სახით დართულია საკასაციო საჩივარზე), რომლის თანახმადაც, ფ. გ-ი თავისუფალი ნების გამოხატვის საფუძველზე აცხადებს, რომ მას არასდროს არ ექნება პრეტენზია ქ.თბილისში, ა-ის №17-ში მდებარე ი. მ-ის კუთვნილ უძრავ ქონებაზე;

ფ. გ-მა სარჩელში აღნიშნა, რომ სადავო ბინა მას არუქვს მშობლებმა მზითვის სახით. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა მითითებული გარემოება გაიზიარეს, მიუხედავად იმისა, რომ ფ. გ-ს არ გააჩნდა მზითვის სახით სახლის ჩუქების დამადასტურებელი მტკიცებულება. კასატორი განმარტავს, რომ სინამდვილეში ა-ს №17-ში მდებარე უძრავი ქონება შეძენილ იქნა ი. მ-ის მიერ ფ. გ-ის ისრაელიდან გამოტანებული ფუ-

ლით, რომელიც ეკუთვნოდა ი. მ-ს. მოსარჩელემ მოპასუხისაგან ფარულად, ი. მ-ის ნაცვლად სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმა თავის სახელზე. მას შემდეგ, რაც ი. მ-მა შეიტყო მეუღლის ქმედების თაობაზე, ფ. გ-მა ჩუქების ხელშეკრულებით სახლი კვლავ მოპასუხის სახელზე გააფორმა. სწორედ ამ მიზეზით დაწერა მოსარჩელემ 1998 წლის 23 ივნისს ხელწერილები იმის შესახებ, რომ სახლს არ მოითხოვდა არანაირ შემთხვევაში;

ფ. გ-ი 2011 წლის სარჩელში განმარტავს, რომ თითქოს მან ა-ის №17-ში მდებარე უძრავი ქონება ი. მ-ს აჩუქა სიყვარულისა და ერთგულების მიზნით, როგორც ცოლმა ქმარს. 1998 წელს მან მეუღლეს დაუდასტურა, რომ განუქმედებდა ქონებას უკან აღარ მოსთხოვდა. აღნიშნული, იურიდიულად ცოლ-ქმარს შორის დადებული საქორწინო ხელშეკრულების ტოლფასია. ამის შემდეგ, 2009 წლის 30 ნოემბერს, მხარეები (ი. მ-ი და ფ. გ-ი) განქორწინდნენ სამოქალაქო კოდექსის 1123-ე და 1124-ე მუხლების საფუძველზე, ყოველგვარი სასამართლო დავის გარეშე, სამოქალაქო რეესტრის მეშვეობით. ფ. გ-მა მეუღლეთა ერთობლივ განცხადებაზე თავისი პირადი ხელმოწერით დაადასტურა, რომ მას ი. მ-ან არანაირი ქონებრივი დავის საფუძველი არ გააჩნია. მოსარჩელეს 2009 წლის ნოემბრის თვეში რომ რაიმე ქონებრივი პრეტენზია ჰქონოდა მოპასუხის მიმართ, განქორწინება არ მოხდებოდა სამოქალაქო რეესტრში. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებს არც აღნიშნულ გარემოებაზე უმსჯელიათ;

სამოქალაქო კოდექსის 524-ე მუხლი ჩუქებას განმარტავს, როგორც მჩუქებლის მიერ დასაჩუქრებულისათვის ქონების უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემას. კანონმდებლის დანაწესით აქ ნაჩუქარი ქონების გადაცემაა მთავარი, რამდენადაც მფლობელობისა და სარგებლობის გარეშე ჩუქებას აზრი ეკარგება. კასატორისათვის გაუგებარია, რა აზრი აქვს ისეთ ჩუქებას, თუ დასაჩუქრებული (ი. მ-ი) თავის სიცოცხლეში ვერ დაეუფლება ჩუქებით მიღებულ ქონებას, მასში ვერ შეეა და ვერ იცხოვრებს;

სადავო საცხოვრებელი სახლის კანონიერი მესაკუთრის ი. მ-ის მიერ, საქართველოს პრეზიდენტის №317 ბრძანებულებით და შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 24 მაისის №747 ბრძანების საფუძველზე ჩამოყალიბებული კანონიერი მოთხოვნა არ შეიძლება სასამართლომ შეაფასოს როგორც მჩუქებლის მიმართ მძიმე შეურაცხყოფა დასაჩუქრებულის მხრიდან; არ შეიძლება ამ მიზეზით გაუქმდეს ჩუქება;

ფ. გ-ი 2011 წლის 4 მარტის სარჩელში დაუფარავად მიუთითებს მის მიერ იმავე მხარის (ი. მ-ის) წინააღმდეგ, იმავე დავის საგანზე და იმავე სამართლებრივი საფუძვლით 2003 წლის 2 აპრილს აღძრულ, ხოლო 2005 წლის 21 ივნისს თავისივე ნებით უკან გათხოვილ და განუხილველად დატოვებულ სარჩელზე. ამ შემთხვევაში მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 831-ე მუხლი, რომელიც მხარეს უფლებას ანიჭებს სარჩელის უკან გათხოვის შემდეგ კვლავ აღძრას სარჩელი იმავე მხარის წინააღმდეგ, იმავე დავის საგანზე და იმავე საფუძვლით, ძალაში შევიდა 2007 წლის 18 დეკემბერს, ე. ი. ფ. გ-ის მიერ სარჩელის უკან გამოსმობის შემდეგ აღნიშნულის გამო, მოსარჩელეს პროცესუალურად მოესპო იგივე სარჩელის აღძვრის იურიდიული უფლება. მიუხედავად ამისა, ფ. გ-მა 2007 წლის 24 აპრილს ხელახლა აღძრა სარჩელი ი. მ-ის წინააღმდეგ იმავე დავის საგანზე, რა დროსაც მოითხოვა თბილისში, ა-ის ქ. №17-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის მის საკუთრებაში დაბრუნება 2002 წელს განხორციელებული ინციდენტის ფაქტზე დაყრდნობით და იმავე სამართლებრივი საფუძვლით, რაც განსახილველ დავაზე აღძრულ სარჩელშია ჩამოყალიბებული. 2007 წლის 24 აპრილის სარჩელი ფ. გ-მა 2008 წლის 8 ოქტომბერს კვლავ უკან გაიხმო. შედეგად, სარჩელი კიდევ ერთხელ დარჩა განუხილველად. ამჯერადაც, სარჩელის ხანდაზმულობის ერთნლიანმა ვადამ, რომელიც აღნიშნული დროისათვის დიდი ხნის გასული იყო, განაგრძო დენა;

საქმის განმხილველ სასამართლოებს, მიუხედავად მოპასუხის დაჟინებული მტკიცებისა, მხედველობაში არ მიუღიათ სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის მე-3 ნაწილის იმპერატიული მოთხოვნა ჩუქების გაუქმების შესახებ აღძრული სარჩელის ერთნლიანი ხანდაზმულობის თაობაზე;

ფ. გ-მა 2003, 2007 და 2011 წლებში სარჩელები აღძრა ერთსა და იმავე, კერძოდ, 2002 წლის ივნის-აგვისტოს ინციდენტზე დაყრდნობით, რადგან მოცემული დავის პირველი ინსტანციის წესით განმხილველი მოსამართლე მსჯელობს სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით მითითებულ ფაქტთან პირდაპირ დამაკავშირებელ მტკიცებულებებზე;

კასატორი მიუთითებს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს ძველი თბილისის სამმართველოს მე-7 განყოფილების უფროსის, ზ. პ-ის 2011 წლის 30 დეკემბრის წერილობით პასუხზე, რომელშიც გაზიარებულია მისი პოზიცია;

კასატორი მიუთითებს ასევე ფ. გ-ის მიერ სარჩელში მოყვა-

ნილ გარემოებაზე, რომ 2002 წლის ინციდენტი, რაც გამოიხატა ფიზიკურ შეხებაში, მომდევნო წლების მანძილზე სამჯერ აპა-ტია ი. მ-ს. კასატორი აღნიშნავს, რომ არ არის გამორკვეული და დადასტურებული, 2002 წლის ინციდენტის დროს სინამდვილეში ვინ ვის მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა;

ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებს სამართლებრივად არ შეუფასებიათ ის გარემოება, რომ მართალია მოდავე მხარეები იყვნენ კანონიერ ქორწინებაში, როცა მოხდა ჩუქების ხელშეკრულების დადება, მაგრამ მოსარჩელე ითხოვს არა ი. მ-ან რეგისტრირებული ქორწინებისას შექმნილი ქონების 50% წილს, არამედ სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის საფუძველზე ითხოვს ჩუქების გაუქმებას. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა ერთი წელია, რომელიც უნდა აითვალოს 2002 წლის აგვისტოს თვიდან, რადგან სხვა არანაირი საფუძველი არ შექმნილა მომდევნო წლებში. შესაბამისად, კასატორი მიიჩნევს, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების მსჯელობა სარჩელის ხანდაზმულობასთან დაკავშირებით არასწორია;

პირველი ინსტანციის სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ დაინტერესებული პირის ფ. გ-ის ცრუ, ზეპირ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ი. მ-ი თითქოს სიტყვიერად დაემუქრა სახლიდან გამოძევებაზე, რაც არანაირი მტკიცებულებით არ დასტურდება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ ი. მ-ის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და გასაჩივრებული გადაწყვეტილება შეამოწმა საკასაციო საჩივრის ფარგლებში.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ 1997 წლის 26 დეკემბერს ფ. გ-სა და ი. მ-ს შორის დაიდო ჩუქების ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ფ. გ-მა ი. მ-ს აჩუქა ქ. თბილისში, ა-ის ქ. №17-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა. ი. მ-მა გამოიჩინა დიდი უმადურობა მჩუქებლის მიმართ, ასევე მიაყენა მას მძიმე შეურაცხყოფა, კერძოდ, მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და საქმეში წარდგენილი მტკიცებულებების შეფასების შედეგად დგინდებოდა, რომ მხარეთა შორის წლების მან-

ძილზე მიმდინარეობდა დავა ჩუქების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით. ასევე დგინდებოდა, რომ ფ. გ-ი დეპორტირებულ იქნა ისრაელიდან ისრაელის მოქალაქესთან ფიქტიური ქორწინების გამო, აღნიშნულს კი საფუძვლად დაედო ი. მ-ის განცხადება, რის გამოც ფ. გ-ი დააპატიმრა ისრაელის საემიგრაციო პოლიციამ და 5 დღე იმყოფებოდა დაკავების საკანში, რის შემდგომაც გაუკეთდა დეპორტაცია და სამუდამოდ აეკრძალა ისრაელში ჩასვლა. საქმის მასალებით დასტურდება ფ. გ-ის ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტი და მუქარა გამოსახლების თაობაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით სააპელაციო სასამართლოს შეექმნა შინაგანი რწმენა, რომ დასაჩუქრებულის მხრიდან ადგილი ჰქონდა მჩუქებლის მიმართ დიდ უმადურობასა და შეურაცხყოფას. სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ ფ. გ-ის სარჩელი ხანდაზმული არ იყო.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). „დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია“ აღნიშნული ნორმის მიზნებისათვის გულისხმობს მხარის მითითებას იმ საპროცესო სასამართლებრივ დარღვევებზე, რის შედეგადაც საქმის ფაქტობრივი გარემოებები არასწორად დადგინდა. განსაკუთრებით ეს ეხება მტკიცებულებათა არასწორად შეფასების საკითხს. განსახილველ შემთხვევაში კასატორმა ისარგებლა გარანტირებული შედავების უფლებით და დასაშვები პრეტენზია წარმოადგინა.

საკასაციო სასამართლომ შეამოწმა რა შედავების საფუძვლები, მიიჩნევს, რომ კასატორის პოზიცია გაზიარებული უნდა იქნეს.

სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ფ. გ-ის სარჩელი ხანდაზმული არ იყო, ვინაიდან შეურაცხყოფისა და დიდი უმადურობის სიმძიმის ხარისხის განსაზღვრა მხოლოდ კონკრეტული სუბიექტის – მჩუქებლის შეფასების საგანს წარმოადგენდა. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელემ უმადურობის გამოჩენის ათვლის წერტილად მიიჩნია სარჩელის შეტანამდე რამდენიმე დღით ადრე მოპასუხის მიერ გაკეთებული მუქარა გამოსახლების თაობაზე. ის გარემოება, რომ მოსარჩელემ ჯერ კიდევ 2003 წელს აღძრა სარჩელი ანალოგიური მოთხოვნით, არ მითითებდა სარჩელის ხანდაზმულობაზე, ვინაიდან მოსარჩელის განმარტებით დგინდებოდა, რომ წინა წლებში აღძრულ სარჩელს

საფუძვლად დაედო შეურაცხყოფის და უმადურობის სხვა ფაქტები.

სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის მიხედვით, ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩინს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ. თუ ჩუქება გაუქმდება, მაშინ გარუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მჩუქებლის მიერ. ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს. ამრიგად, აღნიშნული ნორმა უფლებას ანიჭებს გამჩუქებელს ჩუქების გაუქმება მოითხოვოს, თუ არსებობს კანონით გათვალისწინებული საფუძვლები. ჩუქების გაუქმება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს გამჩუქებელს ან დიდ უმადურობას გამოიჩინს მის მიმართ. საკასაციო სასამართლო ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ მსგავსი მოთხოვნის შემთხვევაში, მოსარჩელის განსაზღვრია, რომელ ქმედებას მიიჩნევს უმადურობად ან შეურაცხყოფად, თუმცა არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ ქმედების სიმძიმის ხარისხი ასევე გამჩუქებლის შეფასების საგანია და მის სუბიექტურ აღქმასზეა დამოკიდებული. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ კონკრეტული ფაქტი წარმოადგენს თუ არა ისეთი სახის შეურაცხყოფას ან უმადურობას, რაც ჩუქების გაუქმებას შეიძლება დაედოს საფუძვლად, სასამართლოს შეფასების საგანია და არა თავად მოსარჩელის. სასამართლომ მხარეთა ურთიერთდამოკიდებულების, მათი შეხედულებების, თავად ქმედების შეფასების, ასევე კონკრეტულ საზოგადოებაში არსებული წესჩვეულებებისა და დამკვიდრებული მოსაზრებების გათვალისწინებით უნდა განსაზღვროს, იჩენს თუ არა დასაჩუქრებული უმადურობას გამჩუქებლის მიმართ, ან არის თუ არა მისი ქმედება შეურაცხმყოფელი. ბუნებრივია, ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია თავად მხარის სუბიექტური დამოკიდებულება კონკრეტული ქმედების მიმართ, მაგრამ გადამწყვეტი ამ ქმედების შეფასებაა, იმ თვალსაზრისით, ობიექტურად, შეიძლება თუ არა, უმადურობად ან შეურაცხყოფად იქნეს მიჩნეული, მით უფრო, რომ სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლიდან გამომდინარე, დასაჩუქრებულის არა ყოველგვარი გასაკიცხი ქმედება იძლევა ჩუქების გაუქმების საფუძველს, არამედ მხოლოდ მძიმე შეურაცხყოფა და დიდი უმადურობა.

საკასაციო სასამართლო ასევე არ იზიარებს სააპელაციო სა-

სამართლოს მითითებას, რომ ფ. გ-ის სარჩელის საფუძველი მხოლოდ ის გარემოება იყო, რომ მოპასუხე მას ბინიდან გამოსახლებით ემუქრებოდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სამართალწარმოება მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონვე განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. სარჩელის საფუძველები თავის თავში მოიცავს ფაქტობრივ და სამართლებრივ დასაბუთებას. სარჩელის ფაქტობრივი საფუძველი არის იმ ფაქტების ერთობლიობა, რომლებსაც მოსარჩელე მიუთითებს და რომლებიც ასაბუთებენ, ამართლებენ ფაქტობრივად მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას.

მოცემულ შემთხვევაში, ფ. გ-ი ი. მ-ის უმადურობას შემდეგ ფაქტებზე დაყრდნობით ასაბუთებდა:

1. 2002 წლის 2 ივნისს და 5 აგვისტოს მოპასუხემ მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა;

2. 2006 წლის იანვარში მოსარჩელე თელავის აეროპორტში დააკავა ისრაელის სამიგრაციო პოლიციამ, ი. მ-ის განცხადების საფუძველზე, რომ ფ. გ-ი მასთან ფიქტიურ ქორწინებაში იმყოფებოდა;

3. სარჩელის აღძვრამდე რამდენიმე დღით ადრე ი. მ-მა აცნობა, რომ ბინის გაყიდვას აპირებს, ბინის დაცლა მოსთხოვა და გამოსახლებით დაემუქრა.

ზემოაღნიშნული ყველა გარემოება ქმნის სარჩელის ფაქტობრივ საფუძველს და დავის გადანყვეტისათვის აუცილებელია, მათი ერთობლივად შეფასება.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ სამოქალაქო უფლების განხორციელების შესაძლებლობა შეზღუდულია ხანდაზმულობით. ხანდაზმულობის ვადის ამონაურვა მოთხოვნას განუხორციელებლად აქცევს. სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლი ხანდაზმულობის სპეციალურ ვადას ითვალისწინებს, კერძოდ, ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხე მიუთითებდა, რომ ფ. გ-ის

სარჩელი ხანდაზმული იყო.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ იმ გარემოებების ნაწილი, რომლებიც სააპელაციო სასამართლომ უმადურობის ფაქტის დამადასტურებლად მიიჩნია, 2002 და 2006 წელს განხორციელდა, კერძოდ, თავად მოსარჩელე უთითებს, რომ ცემის ფაქტებს ადგილი ჰქონდა 2002 წელს, ხოლო ისრაელში დაკავებასა და დეპორტაციას – 2006 წელს. თავად ქმედებების ხასიათიდან გამომდინარე, გამჩუქებლისთვის იმთავითვე იყო ცნობილი დასაჩუქრებული ქმედების თაობაზე, შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის თანახმად, ამ ნაწილში სარჩელი ხანდაზმულია.

საკასაციო სასამართლო იმ გარემოებებზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ იმავე საფუძველზე ფ. გ-მა ორჯერ, 2003 და 2007 წელს მიმართა სასამართლოს ჩუქების გაუქმების მოთხოვნით. ორივე შემთხვევაში სარჩელი განუხილველად დარჩა.

სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლის თანახმად, სარჩელის შეტანა ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას არ გამოიწვევს, თუ სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით სარჩელი განუხილველად იქნება დატოვებული. თუ უფლებამოსილი პირი ექვსი თვის ვადაში შეიტანს ახალ სარჩელს, მაშინ ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად ითვლება პირველი სარჩელის შეტანის დროიდან.

მოცემულ შემთხვევაში ფ. გ-ს სასამართლოსათვის ხელახლა არ მიუმართავს სარჩელის განუხილველად დატოვებიდან 6 თვის ვადაში, ამდენად, ხანდაზმულობის ვადის დენა შეწყვეტილი არ ყოფილა, ამდენად, ცემისა და ისრაელიდან დეპორტაციის ფაქტები სარჩელის დაკმაყოფილებას საფუძველად ვერ ედება.

რაც შეეხება ბინიდან გამოსახლების მოთხოვნას, როგორც ზემოთ აღინიშნა, ჩუქების გაუქმების საფუძველი მხოლოდ დასაჩუქრებულის მხრიდან დიდი უმადურობა ან გამჩუქებლის მძიმე შეურაცხყოფა შეიძლება გახდეს, შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილების შემთხვევაში, სასამართლოს უნდა დაესაბუთებინა, რატომ შეიძლება ჩაითვალოს უმადურობად ან შეურაცხყოფად, მოპასუხის მიერ მისი კუთვნილი ბინის განკარგვის სურვილი და, ამ მიზნით, ნივთის მფლობელობის შეწყვეტის მოთხოვნა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 524-ე მუხლის საფუძველზე, დასაჩუქრებული იძენს საკუთრების უფლებას ნაჩუქარ ქონებაზე, შესაბამისად, იგი უფლებამოსი., სამოქალაქო კოდექსის 170-ე მუხლით გათვალის-

წინებულ ფარგლებში ფლობდეს, ისარგებლოს ან განკარგოს ნა-  
ჩუქარი ქონება, მას ასევე შეუძლია, არ დაუშვას სხვა პირების  
მიერ მისი კუთვნილი ქონებით სარგებლობა. „სხვა პირებში“ ამ  
შემთხვევაში, გამჩუქებელიც შეიძლება მოიაზროდეს, გარ-  
და იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი სარგებლობა ჩუქების  
ხელშეკრულების მხარეთა მიერ წინასწარაა შეთანხმებული. სა-  
კასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ჩუქების ხელშეკრულე-  
ბის უსასყიდლო ხასიათის გათვალისწინებით, ქონების გამჩუ-  
ქებელს ამგვარი უფლებები გააჩნია, რაც ვერ ექნება, მაგალი-  
თად, ნივთის გამყიდველს, მაგრამ აღნიშნული გარემოება არ  
გულისხმობს დასაჩუქრებულის საკუთრების უფლების შეზ-  
ღუდვის შესაძლებლობას, თუ იგი თავის უფლებებს კეთილსინ-  
დისიერად და მართლზომიერად ახორციელებს. სწორედ ჩუქე-  
ბის უსასყიდლო ხასიათიდან გამომდინარე, დასაჩუქრებული  
ვალდებულია, განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდეს  
გამჩუქებლის მიმართ, მაგრამ ამგვარი ვალდებულება გონივ-  
რულობის ფარგლებში უნდა ექცეოდეს. თავად გამჩუქებელმა  
საკუთარი უფლებები კეთილსინდისიერად უნდა განახორციე-  
ლოს. დაუშვებელია დასაჩუქრებულის უფლებებისა და კანო-  
ნიური ინტერსების არათანაზომიერი შეზღუდვა გამჩუქებლის  
სურვილით და ჩუქების გაუქმების შესაძლებლობის არაკეთილ-  
სინდისიერად რეალიზებით.

მოცემულ შემთხვევაში, საყურადღებოა ის გარემოება, რომ  
მეუღლეები 2009 წელს განქორწინდნენ, ამასთან, ქორწინების  
პერიოდში მრავალი უთანხმოება და კონფლიქტი ჰქონდათ, ფ.  
გ-მა არაერთხელ მოითხოვა ჩუქების გაუქმება, თუმცა ორივე  
შემთხვევაში სარჩელი თავად გამოიხმო. საქმიდან არ დასტურ-  
დება მხარეთა შეთანხმების არსებობა, რომ ქორწინების შენ-  
ყვეტის შემდეგაც ფ. გ-ი ი. მ-ის კუთვნილ ბინაში გააგრძელებ-  
და ცხოვრებას. ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ კა-  
სატორის განმარტებით, ფ. გ-ი ი. მ-ის ნაჩუქარ ბინაში მამას-  
თან, თავის შვილთან პირველი ქორწინებიდან და მესამე ქმარ-  
თან ერთად ცხოვრობს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ი. მ-ის საკუთრების  
უფლება ვერ შეიზღუდება გამჩუქებლის სურვილით მუდმივად  
გააგრძელოს ცხოვრება გაჩუქებულ ბინაში თავის ოჯახთან ერ-  
თად. ამგვარი მოთხოვნა გონივრულობის ფარგლებს სცილდება  
და ი. მ-ის ნება, რომ არ დაუშვას თავისი საკუთრებით ამგვარი  
სარგებლობა, უმადურობად ან შეურაცხყოფად ვერ შეფასდე-  
ბა. ი. მ-ს, როგორც ბინის მესაკუთრეს, შეუძლია, შეუზღუდა-  
ვად ისარგებლოს თავისი საკუთრებით, მით უფრო, რომ საქმი-

დან არ დასტურდება მხარეთა შეთანხმების არსებობა ფ. გ-ის მიერ ბინით სარგებლობის თაობაზე.

რაც შეეხება კასატორის მიმართვას საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის №747 ბრძანებით დამტკიცებული „საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ხელყოფის ან სხვაგვარად ხელშეშლის აღკვეთის წესის“ შესაბამისი ღონისძიებებისათვის, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ აღნიშნული მხარისათვის კანონით მინიჭებულ ლეგიტიმურ უფლებას წარმოადგენს და ფ. გ-ის შეურაცხყოფად ვერ შეფასდება, რაც სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს განჩინება სამართლებრივად დაუსაბუთებელია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის საფუძველზე მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

იმავე კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი.

ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები დადგენილ, ხოლო საქმეში წარმოდგენილი არ არის მტკიცებულება, რომელიც სასამართლოს არ შეუფასებია, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ფ. გ-ის სარჩელი უსაფუძვლოა და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც, ხოლო იმავე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან.

ვინაიდან ფ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, ამ უკანასკნელმა ი. მ-ს უნდა აუნაზღაუროს სააპელაციო და საკასაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი, სულ 10 695, 55 ლარი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის, სარჩელის დაკმაყოფი-

ლებზე უარის თქმის, სარჩელის განუხილველად დატოვების ან საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით (განჩინებით) აუქმებს ამ სარჩელთან დაკავშირებით გამოყენებულ უზრუნველყოფის ღონისძიებას, რაც საჩივრდება ამ გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრებისათვის კანონით დადგენილი წესით.

ვინაიდან ფ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, მოცემულ საქმეზე უნდა გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 24 თებერვლის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა მოეხსნას ი. მ-ის კუთვნილ ქ. თბილისში, ა-ის ქ. №17-ში მდებარე უძრავ ქონებას (საკადასტრო კოდი ...).

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :**

1. ი. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 16 ნოემბრის განჩინება და საქმეზე მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ფ. გ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. ფ. გ-ს ი. მ-ის სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, სულ 10 695, 55 ლარის, ანაზღაურება;
5. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 24 თებერვლის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და ყადაღა მოეხსნას ი. მ-ის კუთვნილ ქ. თბილისში, ა-ის ქ. №17-ში მდებარე უძრავ ქონებას (საკადასტრო კოდი ...);
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# საზღაურის გადახდა შესრულებული სამუშაოსათვის

## ბანკინება

№ას-223-215-2013

1 ნოემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** ხელშეკრულებით ნაკისრი თანხის ანაზღაურება

### აღწერილობითი ნაწილი:

შპს „რ. ს. უ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „კ-ის“ მიმართ მხარეთა შორის 2009 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით მოპასუხისათვის 7500 ლარის დაკისრების მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

2009 წლის 15 ოქტომბერს მხარეთა შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის ძალითაც უნივერსიტეტმა იკისრა ვალდებულება, სწავლის ერთწლიანი სასწავლო პროგრამით, დამკვეთის სურვილის შესაბამისად, შეექმნა ახალი სპეციალობები და 2 სტუდენტი მიეღო საინჟინრო ფაკულტეტზე, ხოლო ოთხი სტუდენტი – ჰუმანიტარულ ფაკულტეტზე. მოსარჩელემ 2010-2011 სასწავლო წლისათვის, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიიღო ის 6 სტუდენტი, რომლებმაც გამსვლელი ქულა დააგროვეს მისაღებ გამოცდაზე და სასურველი კანდიდატები იყვნენ შპს „კ-ის“. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების გამო, უნივერსიტეტმა მიიწვია პროფესორ-მასწავლებლები სალექციო კურსის წასაკითხად და მათთან გააფორმა შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები. მოპასუხემ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება არაჯეროვნად შეარულა, მან ნაცვლად 9000 ლარისა, უნივერსიტეტს გადაურიცხა მხოლოდ ერთი სტუდენტის სწავლის საფასური – 1500 ლარი. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტი კომერციულია, ხოლო მასში სწავლა – ფასიანი, მოსარჩელე იძულებული გახდა, შპს „კ-ის“ მიერ ვალდებულების დარღვევის გამო, მიღებული სტუდენტისათვის შეეჩერებინა სტუდენტის სტატუსი სწავლების მე-

2 კურსზე. მიუხედავად უნივერსიტეტის არა ერთი მიმართვისა, შეესრულებინა მოპასუხეს ნაკისრი ვალდებულება, შპს „კ-ას“ თანხა მოსარჩელისათვის არ გადაურიცხავს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

2009 წლის 15 ოქტომბრის ხელშეკრულებით უნივერსიტეტში ჩარიცხვის პროცედურის მარეგულირებელი დეტალური პირობები მხარეებს ერთობლივად უნდა შეემუშავებინათ, შპს „კ-ას“ მიეცა შესაძლებლობა, ხმის უფლებით მონაწილეობა მიეღო აბიტურიენტთა ჩასარიცხ გამოცდაში იმ ფარგლებში, რომელსაც თავად დააფინანსებდა. მოსარჩელის მიერ ჩატარებულ გამოცდაში მონაწილეობა მოპასუხეს არ მიუღია იმ საფუძვლით, რომ გამოცდების ჩატარების დროისათვის მხარეთა შორის ხელშეკრულება დადებული არ ყოფილა, ასევე არ ყოფილა შეთანხმებული კანდიდატთა ჩარიცხვა, სპეციალობა და შემდგომი დასაქმების პირობები. მოპასუხის მიერ დასახელებულ პირთა შერჩევაში მონაწილე პირი არ წარმოადგენს სანარმოს უფლებამოსილებით აღჭურვილ პირს, რაც გამორიცხავს დასახელებულ სტუდენტთა მოპასუხის მიერ შერჩეულ პირებად მიჩნევის შესაძლებლობას. დაფინანსების საკითხი პირდაპირ იყვ დაკავშირებული უნივერსიტეტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებასთან, რაც მოსარჩელემ დაარღვია, შესაბამისად, მას მოთხოვნის უფლებაც არ გააჩნია. საყურადღებოა, რომ თავად ხელშეკრულებით განისაზღვრა მისი მოქმედების ვადა – 2009-2010 სასწავლო წელი, ხოლო მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულება, რომლის საფუძველზეც მან პროფესორ-მასწავლებლები მიიწვია, შეეხება 2010-2011 სასწავლო წელს. ამავე პერიოდში აქვთ შეჩერებული სტატუსი სტუდენტებს. შპს „რ. ს. უ-მა“ დაარღვია ხელშეკრულების ის პირობაც, რომელიც ითვალისწინებდა უკვე არსებულ ფაკულტეტებზე შესაბამისი სპეციალობების შექმნას, ხოლო სტუდენტები, რომელთაც უნივერსიტეტი ხელშეკრულების ფარგლებში განიხილავს, ჩარიცხული არიან უკვე არსებულ და არა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფაკულტეტებზე. საყურადღებოა, რომ მოსარჩელე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბაკალავრიატის პროგრამის სწავლების უზრუნველყოფისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომის გაცემის სანაცვლოდ, სტუდენტებს სთავაზობდა მხოლოდ პროფესიულ განათლებას და ვერ გასცემდა სათანადო დიპლომს იმ საფუძვლით, რომ ავტორიზებულ სასწავლო დანესებულებას არ წარმოადგენდა, რაც შეეხება სტუდენტ თ. გ-ს სწავლის საფასურის გა-

დახდას, მოპასუხის განმარტებით, აღნიშნული სადავო ხელშეკრულების ფარგლებში არ განხორციელებულა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილებით, შპს „რ. ს. უ-ის“ სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილებით შპს „რ. ს. უ-ის“ სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 30 იანვრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს „რ. ს. უ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხე შპს „კ-ას“ შპს „რ. ს. უ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 7500 ლარის გადახდა შემდეგი დასაბუთებით:

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2009 წლის 15 ოქტომბერს, მხარეებს შორის დაიდო №06/01 ხელშეკრულება, რომლის საგნად განისაზღვრა უნივერსიტეტის მიერ დამკვეთისათვის ერთწლიანი სასწავლო პროგრამით სტუდენტების მომზადება. ერთწლიანი სასწავლო პროგრამა უნდა ყოფილიყო ბაკალავრიატის სრული კურსის (ოთხწლიანი საგანმანათლებლო პროგრამა, გათვლილი არანაკლებ 240 კრედიტზე) განუყოფელი შემადგენელი ნაწილი. სწავლების ერთწლიანი პროგრამა 6 სტუდენტზე უნდა დაეფინანსებინა დამკვეთს, რომლის მოთხოვნის შესაბამისად უნივერსიტეტს უკვე არსებულ ფაკულტეტებზე უნდა შეექმნა ახალი სპეციალობები: საინჟინრო ფაკულტეტზე – სამრეწველო მანქანა-დანადგარების ექსპლუატაცია და კომპიუტერული პროექტირება (ორი ადგილი) და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე – „ინგლისური ენის ტექნიკური თარჯიმან-რეფერენტი“ (ოთხი ადგილი). აბიტურიენტი უნდა ჩარიცხულიყო უნივერსიტეტში (ორივე სპეციალობაზე) მისაღები გამოცდების წარმატებით გავლის შემდეგ. სწავლების საფასურის ოდენობა ერთ სტუდენტზე ერთი სასწავლო წლის პერიოდზე განისაზღვრა 1500 ლარით, 6 სტუდენტზე – 9000 ლარით. ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2009-2010 სასწავლო წელი. შპს „რ. ს. უ-ის“ მიერ 2009-2010 სასწავლო წლისთვის მისაღები გამოცდები ჩატარდა 2009 წლის 24 სექტემბერს. 2009 წლის 30 სექტემბერს შპს „რ. ს. უ-ის“ რექტორმა გამოსცა №03 ბრძანება, რომლის მიხედვით უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის პირველ კურსზე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე (სპეციალობა – ინგლისური ენა და ლიტერატურა) ჩაირიცხა 13 სტუდენტი, ხოლო საინჟინრო ფაკულტეტზე – სპეციალობა – სამ-

შენებლო წარმოების ტექნოლოგიები – 15 სტუდენტი. ხელშეკრულებით შპს „კ-ას“ მიენიჭა უფლებამოსილება, მონაწილეობა მიეღო უნივერსიტეტში აბიტურიენტთა ჩარიცხვისათვის გამართულ მისაღებ გამოცდებში გადამწყვეტი ხმის უფლებით იმ ფარგლებში, რომელსაც თვითონ დააფინანსებდა. უნივერსიტეტში ჩარიცხვის პროცედურის მარეგულირებელი დეტალური პირობები (საბუთების ნუსხა, წარდგენის ვადები, მომსახურებისათვის დადგენილი თანხის გადახდის ოდენობა, წესი და პირობები) უნდა შემუშავებულიყო ერთობლივად. გაზიარებულ იქნა გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნა, რომ მოსარჩელის მიერ შექმნილ საგამოცდო კომისიაში მითითებული პირი – ნ. ტ-ი, რომელიც საგამოცდო კომისიის წევრად არის დასახელებული და მოხსენიებულია შესაბამის საგამოცდო ოქმებშიც, როგორც შპს „კ-ის“ მენეჯერი, არ წარმოადგენდა ამ საწარმოს უფლებამოსილებით აღჭურვილ პირს. სასამართლო არ დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებას მოსარჩელის მიერ 2009 წლის 15 ოქტომბრის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის შესახებ და შეფასებას, რომ შპს „კ-ას“ მოსარჩელის მიმართ არ წარმოშობია ვალდებულებები, რომ შპს „კ-ა“ არ იყო პასუხისმგებელი მოსარჩელის წინაშე.

პალატის მოსაზრებით, საქალაქო სასამართლომ სათანადოდ შეფასება არ მისცა მხარეთა შორის 2009 წლის 15 ოქტომბერს გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობებს, პალატამ თავად ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, მიუთითა, რომ მხარეთა ძირითად შემხვედრ მოვალეობებს შეადგენდა, ერთი მხრივ, შპს „რ. ს. უ-ის“ მიერ 6 სტუდენტის მომზადება შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სპეციალობით, რა მიზნითაც მოსარჩელეს უნდა უზრუნველყო მაღალპროფესიონალი პროფესორ-მასწავლებლების მოწვევა, ასევე აუდიტორიებისა და ლაბორატორიების თანამედროვე დონის ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა, ხოლო, მეორე მხრივ, შპს „კ-ის“ ვალდებულებას წარმოადგენდა 6 სტუდენტის სწავლების დაფინანსება მხოლოდ (პირველი კურსის) ერთი – 2009-2010 სასწავლო წლისათვის, ამასთან, შპს „კ-ამ“ იკისრა ვალდებულება, წარჩინებული სტუდენტები დაესაქმებინა თავის საწარმოში.

სააპელაციო პალატის შეფასებით, დავის სწორად გადაწყვეტისათვის განმსაზღვრელი მნიშვნელობისა იყო იმ საკითხის გარკვევა, განახორციელა თუ არა მოსარჩელემ ზემოთ აღნიშნული ვალდებულება, რადგანაც სწორედ ამ ვალდებულების ფარგლებში უნდა ყოფილიყო მოსარჩელის მიერ ნაკისრი ვალ-

დებულების შესრულების საკითხი.

სასამართლოს შეფასებით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მხარეთა სხვა უფლებამოსილებები, მაგალითად, როგორც იყო დამკვეთის უფლება, მონაწილეობა მიეღო უნივერსიტეტში აბიტურიენტთა ჩარიცხვისათვის გამართულ მისაღებ გამოცდებში გადამწყვეტი ხმის უფლებით, ასევე აბიტურიენტის უნივერსიტეტში ჩარიცხვის პროცედურის მარეგულირებელი დეტალური პირობების შემუშავებაში შპს „რ. ს. უ-ან“ ერთად, სასამართლომ ჩათვალა, რომ შპს „კ-ის“ მიერ აღნიშნული უფლებამოსილების განხორციელება დამოკიდებული იყო მის სურვილზე და თუკი მის მიერ გამოყენებული იქნებოდა მითითებული უფლებამოსილება, შესაბამისად, მეორე მხარეს წარმოეშობოდა მოვალეობა, საშუალება მიეცა შპს „კ-ის“ განეხორციელებინა ამ უფლებამოსილებათა რეალიზაცია. საქმის მასალებში არ მოიპოვებოდა იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ შპს „კ-ას“ ქონდა რაიმე მცდელობა, განეხორციელებინა ამ უფლებამოსილების რეალიზება და, რომ შპს „რ. ს. უ-მა“ არ უზრუნველყო შესაბამისი მოვალეობის შესრულება. სასამართლოს შეფასებით, უდავო იყო, რომ ხელშეკრულება ხელმოწერილ იქნა 2009 წლის 15 ოქტომბერს, ანუ უნივერსიტეტში ჩატარებული მისაღები გამოცდების შემდეგ. რამდენადაც 2009 წლის 24 სექტემბერს უნივერსიტეტმა ჩაატარა 2009-2010 წლის სასწავლო წლისათვის გათვალისწინებული მისაღები გამოცდები და მხარეთა მიერ ხელშეკრულება გაფორმებულ იქნა ამ გამოცდების ჩატარების შემდგომ, ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული იყო სწორედ 2009-2010 სასწავლო წლისათვის 6 სტუდენტის დაფინანსება, სასამართლომ ჩათვალა, რომ შპს კ-ამ ფაქტობრივად, თავადვე გამოიციხა ზემოთ მითითებული უფლებამოსილებების გამოყენების შესაძლებლობა, რამდენადაც, მიუხედავად იმისა, რომ 2009-2010 სასწავლო წლისათვის გათვალისწინებული მისაღები გამოცდები უკვე ჩატარებული იყო, მან მაინც გამოავლინა ნება და ხელი მოაწერა 2009 წლის 15 ოქტომბრის ხელშეკრულებაზე. შპს კ-ის წარმომადგენლის არგუმენტი, რომ 2009 წლის 15 ოქტომბრის შემდეგ კიდევ უნდა ჩატარებულიყო მისაღები გამოცდები, სასამართლომ უსაფუძვლოდ მიიჩნია და ჩათვალა, რომ მოკლებული იყო დამაჯერებლობას, იმ საფუძვლით, რომ უნივერსიტეტს, მას შემდეგ, რაც 2009-2010 წლის სასწავლო წლისათვის გათვალისწინებული მისაღები გამოცდები უკვე ჩატარებული ჰქონდა ამავე წლის 24-30 სექტემბერს, კიდევ განეხორციელებინა იმავე სასწავლო წლისათვის მისაღები

გამოცდების ჩატარება, თანაც მხოლოდ 6 სტუდენტის მისაღებად. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საგამოცდო კომისიაში შპს „კ-ის“ წარმომადგენლის მონაწილეობის გარეშე შპს „რ. ს. უ-ში“ 6 სტუდენტის ჩარიცხვა და ის გარემოება, რომ ეს სტუდენტები არ შეურჩევია შპს „კ-ას“, არ შეიძლებოდა მიჩნეული ყოფილიყო 2009 წლის 15 ოქტომბრის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების მოსარჩელის მიერ დარღვევად. ერთ-ერთი ძირითადი გარემოება, რასაც პირველი ინსტანციის სასამართლომ დააფუძნა სამართლებრივი დასკვნა მოსარჩელის მიერ ვალდებულების დარღვის თაობაზე, წარმოადგენდა სწორედ იმას, რომ შპს „კ-ას“ არ მიუღია მონაწილეობა სტუდენტების შერჩევაში, რაც პალატამ მიუღებლად მიიჩნია.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე და განმარტა, რომ მტკიცების ტვირთი, განსახილველ შემთხვევაში, ერთი მხრივ, მოსარჩელეს ავალდებულებდა იმის დადასტურებას, რომ მან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეასრულა, რის საცვლოდაც შემხვედრი ვალდებულება დაარღვია მოპასუხემ, ხოლო მოპასუხეს, მისი შესაგებლისა და პოზიციის შინაარსიდან გამომდინარე, მართებდა იმ გარემოების დადასტურება, რომ მოსარჩელემ არ შეასრულა ვალდებულება, რის გამოც მან ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება და არ არსებობდა მისი მხრიდან შემხვედრი ვალდებულების განხორციელების საფუძველი. საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები მოსარჩელის მტკიცების გასაზიარებლად, რომ მან 2009 წლის 15 ოქტომბრის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ფარგლებში 6 სტუდენტი მიიღო შესაბამის ფაკულტეტებზე და სტუდენტებისათვის განუღო იქნა პირველი კურსით გათვალისწინებული სასწავლო პროგრამა, სასამართლომ საკმარისად მიიჩნია. ამის საწინააღმდეგოდ არ იქნა გაზიარებული მოპასუხის მოსაზრება, რომ სტუდენტების მიღება შესაბამის პროცედურებში შპს „კ-ის“ მონაწილეობის გარეშე განხორციელდა და მოსარჩელემ დაარღვია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება.

არ იქნა გაზიარებული მოპასუხის არგუმენტი, რომ მოსარჩელემ დაარღვია უკვე არსებულ ფაკულტეტებზე ახალი სპეციალობის შექმნის პირობა, ასევე ის, რომ ავტორიზაციის არარსებობის გამო, მოსარჩელე ვერ გასცემდა სათანადო დიპლომებს, რომელსაც აღიარებდა სახელმწიფო. სასამართლოს მითითებით, ხელშეკრულებით არ ყოფილა გათვალისწინებული

კონკრეტული თარიღი, თუ როდიდან – რომელი კურსიდან, უნდა შეექმნა უნივერსიტეტს კონკრეტული სპეციალობები. ხელშეკრულების 1.3. პუნქტის შინაარსიდან გამომდინარე, დამკვეთის მოთხოვნის შესაბამისად, უნივერსიტეტს უკვე არსებულ ფაკულტეტზე უნდა შეექმნა სპეციალობები. რამდენადაც კონკრეტული თარიღი მითითებული არ ყოფილა და მოსარჩელის ახსნა-განმარტების შესაბამისად, ვინრო სპეციალიზაცია ხორციელდებოდა მხოლოდ მე-3 კურსიდან. პალატამ მოპასუხის ეს მოსაზრება უსაფუძვლოდ ჩათვალა. მოსარჩელის მიერ ამგვარი დარღვევის დადასტურების შემთხვევაშიც კი, შპს „კ-ას“, სასამართლოს შეფასებით, არ წარმოეშობოდა დადებული ხელშეკრულების უპირობოდ მოშლის სამართლებრივი საფუძველი, არამედ მას მხოლოდ მოსარჩელისათვის დამატებითი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ წარმოექმნებოდა ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის უფლება. მოპასუხეს სასამართლოსათვის ასევე არ წარუდგენია საკმარისი მტკიცებულება იმ გარემოების დადასტურებულად მიჩნევისათვის, რომ მოსარჩელის მიერ 2009-2010 წლისათვის მიღებულ სტუდენტებზე ვერ მოხდება შესაბამისი დიპლომების გაცემა. სასამართლომ მიიჩნია, რომ, მართალია, მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებით დასტურდება, შპს „რ. ს. უ-ი“ აღარ იყო ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულება, თუმცა, სასამართლოს შეფასებით, აღნიშნული არ გამოირიცხავდა იმის შესაძლებლობას, რომ 2009-2010 წელს უნივერსიტეტის მიერ მიღებული სტუდენტების მიერ მე-4 კურსის დასრულებისას მოსარჩელე ალჭურვილიყო ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულების უფლებამოსილებით. მნიშვნელოვანია, რომ ხელშეკრულების გაფორმების მომენტშიც მოსარჩელე არ წარმოადგენდა ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რის თაობაზეც ცნობილი უნდა ყოფილიყო მოპასუხისათვის. აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხემ ვერ დაასაბუთა მოსარჩელის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების იმგვარი დარღვევა, რაც მას, როგორც ორმხრივი ხელშეკრულების მონაწილე მხარეს, შეუქმნიდა ხელშეკრულების უპირობოდ მოშლისა და ხელშეკრულებიდან გასვლისათვის საკმარის საფუძველს. ამასთანავე, მოპასუხეს არც მტკიცებულება და არც დასაბუთებული მტკიცება არ წარუდგენია სასამართლოსათვის, რითაც მის მიერ შპს „რ. ს. უ-ან“ დადებული ხელშეკრულების მოშლის შესახებ გამოვლენილი ნების მოსარჩელისათვის კანონით დადგენილი წესით მიწოდებას დაადასტურებდა.

პალატამ ასევე მიუთითა მოსარჩელის მიერ საქმეში წარმოდგენილ 2010 წლის 7 ივლისით დათარიღებულ საგადასახადო დავალებაზე, რომლის მონაცემებითაც დგინდებოდა, რომ შპს „კ-ამ“ შპს „რ. ს. უ-ს“ 2009 წლის 15 ოქტომბრის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით 2007 წლის 7 ივლისს გადაურიცხა 1500 ლარი. მოპასუხეს ამ მტკიცებულების გასაბათილებლად რაიმე საპირისპირო მტკიცებულება არ წარუდგენია, ხოლო შპს „კ-ის“ წარმომადგენლის მხოლოდ განმარტება, რომ ამ თანხის გადარიცხვა შეცდომით განხორციელდა, პალატის მოსაზრებით, ვერ გამოდგებოდა მითითებულ დოკუმენტში დაცული მონაცემების გაბათილებისათვის საკმარის საფუძვლად, უფრო მეტიც, ზემოაღნიშნული დოკუმენტი პალატამ ჩათვალა ვალის აღიარებად, რამდენადაც განხორციელებული ანგარიშსწორებით შპს „კ-ამ“ დავალიანების ნაწილის – 1500 ლარის დაფარვით, ფაქტობრივად აღიარა შპს „რ. ს. უ-ის“ მოთხოვნა მის მიმართ. მოპასუხემ ასევე ვერ მიუთითა თუ რა მომენტიდან მოშალა მან ხელშეკრულება მოსარჩელესთან. შპს „კ-ამ“ შპს „რ. ს. უ-ის“ სასარგებლოდ 2009 წლის 7 ივლისს განხორციელებული ანგარიშსწორებით და დავალიანების ნაწილის დაფარვით, ფაქტობრივად აღიარა ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე შპს „რ. ს. უ-ის“ მოთხოვნა.

სადავო სამართლებრივი ურთიერთობის შეფასებასთან დაკავშირებით სააპელაციო პალატამ გაიზიარა გასაჩივრებული გადანყევტილების მსჯელობა, კერძოდ, მითითება სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე რომლითაც განმტკიცებულია სამოქალაქო სამართალურთიერთობის მონაწილეთა უფლება, თავისუფლად და დამოუკიდებლად გამოხატონ ნამდვილი ნება ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრისას. ეს უფლება გულისხმობს იმასაც, რომ მხარეებს შეუძლიათ, დადონ სამოქალაქო კოდექსით გაუთვალისწინებელი შინაარსის ხელშეკრულებებიც. მხარეთა შორის გაფორმებული სადავო ხელშეკრულება სამოქალაქო კოდექსით პირდაპირ მოწესრიგებული არ არის, თუმცა იგი სწორად იქნა მიჩნეული განსაკუთრებული სახის სამართლებრივ ურთიერთობად, რომლის მოსაწესრიგებლად გამოყენებულ უნდა იქნას დებულებები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, (სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილი). საქალაქო სასამართლომ სწორად დაასკვნა, რომ მხარეთა შორის წარმოშობილი ურთიერთობის დარეგულირებისას გამოყენებულ უნდა იქნეს წარდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები. მიუხედავად აღნიშნულისა, პალატამ ჩათვალა, რომ გასა-

ჩივრებული გადაწყვეტილებით არასწორად დადგინდა ფაქტობრივი გარემოებები და მათი არასწორი შეფასების გამო, საქალაქო სასამართლომ სარჩელი მცდარად მიიჩნია უსაფუძვლოდ.

პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 629-ე, 648-ე მუხლებით, 405-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 341-ე მუხლის მე-2 ნაწილით და განმარტა, რომ მოსარჩელემ 2009 წლის 15 ოქტომბრის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ფარგლებში 6 სტუდენტი მიიღო შესაბამის ფაკულტეტებზე, რომელთაც გაენიათ პირველი კურსით გათვალისწინებული მომსახურება (სასწავლო პროგრამა). სასამართლომ ასევე მიუთითა დადგენილ გარემოებებზე და სამოქალაქო კოდექსის 316-ე და 317-ე მუხლების პირველი ნაწილების თანახმად, მიიჩნია, რომ შპს „კ-ა“ შპს რ. ს. უ-ის წინაშე წარმოადგენდა ვალდებულ პირს 2009 წლის 15 ოქტომბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დარჩენილი ფულადი ვალდებულების შესრულებაზე. მით უმეტეს, რომ შპს „კ-ამ“ შპს „რ. ს. უ-ის“ სასარგებლოდ 2009 წლის 7 ივლისს განხორციელებული ანგარიშსწორებით და დავლიანების ნაწილის დაფარვით, ფაქტობრივად, აღიარა ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე შპს „რ. ს. უ-ის“ მოთხოვნა.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „კ-ამ“, მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით მოითხოვა:

სააპელაციო სასამართლომ 2012 წლის 29 ოქტომბრის განჩინებით არასწორად გააუქმა ამავე სასამართლოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება და განახლდა სააპელაციო საჩივრის არსებითად განხილვა, მაშინ, როდესაც აპელანტს არ წარმოუდგენია არც ერთი ახალი მტკიცებულება. აპელანტის წარმომადგენელმა მხოლოდ ზეპირად განმარტა, რომ სასამართლო სხდომის ჩატარებიდან რამდენიმე დღის შემდეგ იგი მოათავსეს საავადმყოფოში და სწორედ ეს იყო პროცესზე გამოუცხადებლობის მიზეზი. სააპელაციო სასამართლოს არ ჰქონდა სამართლებრივი და ფაქტობრივი საფუძველი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისათვის. სასამართლოს არ დაუსაბუთებია თუ როგორ შეიძლებოდა სასამართლოს სხდომის გამართვიდან რამდენიმე დღის შემდეგ საავადმყოფოში აპელანტის წარმომადგენლის მოთავსებას ხელი შეეშალა აპელანტის გამოცხადებისათვის სასამართლოში რამდენიმე დღით ადრე.

შპს „რ. ს. უ-მა“ შეიცვალა სახელწოდება და 2012 წლის 21 თებერვლიდან წარმოადგენს შპს „ს. კ. ე. და დ-ი“. სააპელაციო

საჩივარი შედგენილია 2012 წლის 29 მაისს სადაც აპელანტად დასახელებულია შპს „რ. ს. უ-ი“. სააპელაციო სასამართლოს უფლებამონაცვლეობაზე საერთოდ არ უმსჯელია, ფაქტიურად, მან წარმოებაში მიიღო და დააკმაყოფილა სააპელაციო საჩივარი, რომლის ავტორიც ფიზიკურად არ არსებობდა. სასამართლოს არ გაურკვევია აპელანტისა და მისი წარმომადგენლის უფლებამოსილების საკითხი, ასევე არ გაურკვევია, თუ რა უფლებამოსილება გააჩნია შპს „ს. კ. ე. და დ-ის“, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებას და რა გავლენა აქვს ამ გარემოებას 2009 წლის 15 ოქტომბრის ხელშეკრულებით მხარეთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრაზე. სასამართლოს არ უმსჯელია იმ გარემოებაზე, შეუძლია თუ არა შპს „ს. კ. ე. და დ-ს“ 2009 წლის 15 ოქტომბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბაკალავრის დიპლომის გაცემა.

პალატამ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ 2009 წლის 15 ოქტომბრის ხელშეკრულება წარმოადგენს პირობით გარიგებას, თანახმად ხელშეკრულების 1.1 პუნქტის, 3.2 პუნქტისა და 3.3. პუნქტებისა, 2009 წლის 15 ოქტომბრის ხელშეკრულებაში დაზუსტებული არ არის სტუდენტების ვინაობა, რომლებიც შერჩეული უნდა ყოფილიყო თავად შპს „კ-ის“ მიერ და სწორედ მათ დასაქმებას კისრულობდა კასატორი, შესაბამისად, სამოქალაქო კოდექსის 90-ე მუხლის თანახმად, სახეზეა პირობა ანუ სამომავლო და უცნობი მოვლენა, რადგან ნათელია, რომ შპს „კ-ას“ შეეძლო არც ერთი სტუდენტისათვის არ მიეცა ხმა საკუთარი დაფინანსების ფარგლებში, თუ ეს სტუდენტები ვერ დააკმაყოფილებდნენ მის მოთხოვნებს. სწორედ ამ პირობის შესრულებაზე დამოკიდებული ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობების ფარგლები. სააპელაციო სასამართლომ დაადგინა ის გარემოება, რომ შპს „კ-ას“ არ შეურჩევია სტუდენტები, შესაბამისად, 2009 წლის 15 ოქტომბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა არ შესრულებულა და კასატორს არ წარმოშობია ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის გადახდის ვალდებულება. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობის თანახმად, შპს „კ-ა“ მხოლოდ მაშინ გათავისუფლდებოდა თანხის გადახდის ვალდებულებისაგან, თუ იგი მოშლიდა ან შეწყვეტდა ხელშეკრულებას და ამის თაობაზე, სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის მოთხოვნათა დაცვით, შეატყობინებდა კონტრაქტს, რაც არასწორია, ასევე უადგილოა სასამართლოს აპელირება სამოქალაქო კოდექსის 352-ე და 405-ე მუხლებზე, რადგან, სამოქალაქო კოდექსის 93-ე მუხლის თანახმად, კასატორს არ გააჩნდა ხელშეკრულებაზე უარის თქმის,

დამატებითი ვადის დაწესების ან კონტრაჰენტისათვის ხელშეკრულების მოშლის შესახებ შეტყობინების მიწოდების აუცილებლობა, 2009 წლის 15 ოქტომბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა არ დამდგარა. სასამართლო არ მსჯელობს იმ საკითხზე, თუ რომელი სტუდენტის სწავლის საფასური გადაიხადა შპს „კ-ამ“, ასევე გადახდილი 1500 ლარი ერთი კონკრეტული სტუდენტის სწავლის საფასურს წარმოადგენს თუ ექვსი სტუდენტის. გაუგებარია როგორ დაადგინა სასამართლომ ვალდებულების აღიარება, თუ იგი მოკლებულია შესაძლებლობას, დაადგინოს ვის სასარგებლოდ უნდა განხორციელდეს ასეთი შესრულება ან რომელი სამუშაოს შესრულების სანაცვლოდ უნდა განხორციელდეს ასეთი გადახდა. 2010 წლის 7 ივლისის საგადახდო დავალების საფუძველზე შპს „კ-ამ“ თანხა შეცდომით გადაიხადა და არა 2009 წლის 15 ოქტომბრის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, რომლის მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა ჯერ გასული არ არის და შპს „კ-ა“ აპირებს მიმართოს კანონით გათვალისწინებულ ზომებს შეცდომით გადახდილი თანხის დასაბრუნებლად. სააპელაციო პალატამ დადგენილ გარემოებად მიიჩნია, რომ შპს „რ. ს. უ-მა“ 2009 წლის 15 ოქტომბრის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ფარგლებში მიიღო 6 სტუდენტი შესაბამის ფაკულტეტებზე და სტუდენტებისათვის განეული იქნა პირველი კურსით გათვალისწინებული სასწავლო პროგრამა, ამასთან, არ იმსჯელა ვინ არიან ის პირები, რომლებიც მოიაზრებიან 2009 წლის 15 ოქტომბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ 6 სტუდენტად. არასწორად იქნა დადგენილი, რომ შპს „კ-ამ“ თავად გამოირიცხა სტუდენტების შერჩევაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა, რადგან ხელშეკრულებას ხელი მოაწერა 2009 წლის 15 ოქტომბერს და შპს „კ-ას“ არგუმენტი, რომ უნდა ჩატარებულიყო სტუდენტების შესარჩევი დამატებითი პროცედურები არ არის დადასტურებული რაიმე მტკიცებულებით. ის გარემოება, რომ სტუდენტები შპს „კ-ას“ არ შეურჩევია, არ შეიძლება განხილულ იქნას შპს „რ. ს. უ-ის“ მიერ 2009 წლის 15 ოქტომბრის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევად. თავად 2009 წლის 15 ოქტომბრის ხელშეკრულების მიხედვით, სწორედ შემსრულებელს უნდა უზრუნველყო დამკვეთის მონაწილეობა სტუდენტების შერჩევაში, თუ შემსრულებელს არ შეეძლო აღნიშნულის განხორციელება 2009 წლის 15 ოქტომბრის შემდეგ, მაშინ მას ეს ვალდებულება არ უნდა ეკისრა. შპს „კ-ა“ მხოლოდ იმ შემთხვევაში იყო თანახმა, დაეფინანსებინა სტუდენტები, თუ იგი თვითონ შეარჩევდა მათ გადამწყვეტი ხმის უფლებით,

რადგან მან აიღო ვალდებულება საკუთარ საწარმოში სწორედ შერჩეული სტუდენტების დასაქმებაზე, შესაბამისად, სახეზეა შპს „რ. ს. უ-ის“ მიერ ხელშეკრულების არსებითი დარღვევა. არასწორია სასამართლოს დასკვნა, თითქოს შპს „კ-ას“ არ წარმოუდგენია საკმარისი მტკიცებულება იმ გარემოების დასადასტურებლად, რომ მოსარჩელის მიერ 2009-10 სასწავლო წლისათვის მიღებულ სტუდენტისათვის ვერ მოხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული დიპლომის გადაცემა, მაშინ, როდესაც საქმეში წარმოდგენილია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წერილი, საპირისპირო მტკიცებულება კი, წარმოდგენილი არ არის, ამასთან, შპს „რ. ს. უ-მა“ შეიცვალა სახელწოდება და 2012 წლის 21 თებერვლიდან წარმოადგენს ორგანიზაციას სახელწოდებით შპს „ს. კ. ე. და დ-ი“, რომელმაც უნდა ამტკიცოს, რომ მას შეუძლია 2009 წლის 15 ოქტომბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბაკალავრის დიპლომის გაცემა და არა – პირიქით. არასწორია ასევე გადაწყვეტილების დასკვნა, რომ ფაკულტეტებზე სპეციალობების განსაზღვრა ხორციელდება მე-3 კურსიდან, რადგანაც საქმეში წარმოდგენილია სტუდენტების მიღების შესახებ შპს „რ. ს. უ-ის“ №33 ბრძანება, რომელშიც სპეციალობები უკვე განსაზღვრულია. საპირისპირო მტკიცებულება არ მოიპოვება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 22 აპრილის განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, შპს „კ-ის“ საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე, თანახმად ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილისა, ამასთან, ამავე პალატის 2013 წლის 1 ნოემბრის განჩინებით შპს „რ. სასწავლო უნივერსიტეტის“ უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა შპს „ს. კ. ე. და დ-ი“.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „კ-ის“ საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად

აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. განსახილველ შემთხვევაში, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველს სწორედ მტკიცებულებათა არასრული გამოკვლევა წარმოადგენს, რის გამოც საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, შეაფასოს გადაწყვეტილების სამართლებრივი საფუძვლიანობა.

პირველ ყოვლისა, საკასაციო პალატა მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ მხარეთა შორის 2009 წლის 15 ოქტომბერს დადებული სადავო გარიგება სააპელაციო პალატამ წარდობის ხელშეკრულებად მიიჩნია, საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს ამ სამართლებრივ შეფასებას და სადავო სამართალურთიერთობიდან გამომდინარე, მიიჩნევს, რომ შპს „კა“ წარმოადგენს დამკვეთს, ხოლო შპს „რ. ს. უ-ის“ უფლებამონაცვლე შპს „ს. კ. ე. და დ-ი“ – მენარდეს, რომელმაც იკისრა ვალდებულება, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო.

მოცემულ შემთხვევაში, დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ მენარდის მოთხოვნას წარმოადგენს ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებული სამუშაოს გამო, დაპირებული ანაზღაურების მიღება. ამ ტიპის სარჩელის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია, მოსარჩელემ (მენარდემ) დაადასტუროს მის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ფაქტი იმდენად, რამდენადაც, სამოქალაქო კოდექსის 648-ე მუხლის თანახმად, შემკვეთი მოვალეა მენარდეს გადაუხადოს საზღაური სამუშაოს შესრულების შემდეგ, თუ ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ნაწილ-ნაწილ გადახდას.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ დადგინილად მიიჩნია, რომ 2009 წლის 15 ოქტომბერს, მხარეებს შორის დაიდო №06/01 ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც უნივერსიტეტს ერთწლიანი სასწავლო პროგრამით დამკვეთისათვის უნდა მოემზადებინა სტუდენტები.

ერთწლიანი სასწავლო პროგრამა უნდა ყოფილიყო ბაკალავრიატის სრული კურსის (ოთხწლიანი საგანმანათლებლო პროგრამა, გათვლილი არანაკლებ 240 კრედიტზე) განუყოფელი შემადგენელი ნაწილი.

სწავლების ერთწლიანი პროგრამა 6 სტუდენტზე უნდა დაე-

ფინანსები და დამკვეთს, რომლის მოთხოვნის შესაბამისად, უნივერსიტეტს უკვე არსებულ ფაკულტეტებზე უნდა შეექმნა ახალი სპეციალობები: საინჟინრო ფაკულტეტზე – სამრეწველო მანქანა-დანადგარების ექსპლუატაცია და კომპიუტერული პროექტირება (ორი ადგილი) და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე – „ინგლისური ენის ტექნიკური თარჯიმან-რეფერენტი“ (ოთხი ადგილი).

აბიტურიენტი უნდა ჩარიცხულიყო უნივერსიტეტში (ორივე სპეციალობაზე) მისაღები გამოცდების წარმატებით გავლის შემდეგ.

სწავლების საფასურის ოდენობა ერთ სტუდენტზე ერთი სასწავლო წლისათვის განისაზღვრა 1500 ლარით, 6 სტუდენტზე – 9000 ლარით.

ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2009-2010 სასწავლო წელი.

შპს „რ. ს. უ-ის“ მიერ 2009-2010 სასწავლო წლისთვის მისაღები გამოცდები ჩატარდა 2009 წლის 24 სექტემბერს.

2009 წლის 30 სექტემბერს შპს „რ. ს. უ-ის“ რექტორმა გამოსცა №03 ბრძანება, რომლის მიხედვით უნივერსიტეტის ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის პირველ კურსზე, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე (სპეციალობა – ინგლისური ენა და ლიტერატურა) ჩაირიცხა 13 სტუდენტი, ხოლო საინჟინრო ფაკულტეტზე – სპეციალობა – სამშენებლო წარმოების ტექნოლოგიები – 15 სტუდენტი.

ხელშეკრულებით შპს „კ-ას“ მიენიჭა უფლებამოსილება, მონაწილეობა მიეღო უნივერსიტეტში აბიტურიენტთა ჩარიცხვისათვის გამართულ მისაღებ გამოცდებში გადამწყვეტი ხმის უფლებით იმ ფარგლებში, რომელსაც თვითონ დააფინანსებდა.

უნივერსიტეტში ჩარიცხვის პროცედურის მარეგულირებელი დეტალური პირობები (საბუთების ნუსხა, წარდგენის ვადები, მომსახურებისათვის დადგენილი თანხის გადახდის ოდენობა, წესი და პირობები) უნდა შემუშავებულიყო ერთობლივად.

მოსარჩელის მიერ შექმნილ საგამოცდო კომისიაში მითითებული პირი – ნ. ტ-ი, რომელიც საგამოცდო კომისიის წევრად იყო დასახელებული და მოხსენებული შესაბამის საგამოცდო ოქმებშიც, როგორც შპს „კ-ის“ მენეჯერი, არ წარმოადგენდა ამ საწარმოს უფლებამოსილებით აღჭურვილ პირს.

საკასაციო პალატის მოსაზრებით, ზემოაღნიშნული გარემოებები წარმოადგენს ხელშეკრულების იმ არსებით პირობებს, რომელთა შესრულებაც ხელშეკრულების მხარეთა ნამდვილი ნებიდან გამომდინარეობდა და რამაც განაპირობა სწორედ ამ

შინაარსის ხელშეკრულების დადება, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატის მოსაზრებით, უმნიშვნელოვანეს გარემოებას წარმოადგენს მხარეთა მიერ შეთანხმებული ნების (ხელშეკრულების პირობების) სწორად განსაზღვრა.

ამ კუთხით საკასაციო პალატა იზიარებს კასატორის მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის დარღვევით, ყოველმხრივ და სრულად არ გამოიკვლია საქმის მასალები.

პირველ ყოვლისა, საკასაციო პალატა მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ 7.1 მუხლით მხარეებმა განსაზღვრეს, რომ ხელშეკრულება ძალაში შედიოდა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებდა 2009-2010 სასწავლო წლის განმავლობაში, თავად ხელშეკრულება ხელმოწერილია 2009 წლის 15 ოქტომბერს, აღნიშნულის პარალელურად სასამართლომ დაადგინა, რომ მისაღები გამოცდები ხელშეკრულების დადებაამდე ჩატარდა და 2009-2010 სასწავლო წლისათვის მეტი მისაღები გამოცდა უნივერსიტეტს აღარ ჩაუტარებია. ამ დასკვნის საწინააღმდეგოდ, პალატა ასკვნის, რომ ხელშეკრულების დადებაამდე ჩატარებული მისაღები გამოცდების შედეგად უნივერსიტეტში ჩარიცხული აბიტურიენტები სწორედ ამ ხელშეკრულების სუბიექტებს წარმოადგენდნენ. საყურადღებოა ის გარემოება, რომ სააპელაციო პალატამ თავადვე დაადგინა, რომ მისაღებ გამოცდაზე დამსწრე პირი დამკვეთის უფლებამოსილი წარმომადგენელი არ ყოფილა.

ზემოაღნიშნული საფუძვლიდან გამომდინარე (ხელშეკრულების დადების შემდეგ მისაღები გამოცდა არ ჩატარებულა) საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს გასაჩივრებული გადწყვეტილების დასკვნას, რომ ხელშეკრულებით განისაზღვრა დამკვეთის უფლება, ხმის უფლებით მონაწილეობა მიეღო მისაღები გამოცდების ჩატარებაში, რისი რეალიზაციაც უშუალოდ მხარემ არ განახორციელა. პალატის შეფასებით, ეს გარემოება საჭიროებს სამართლებრივ შეფასებას. გასაჩივრებული გადწყვეტილებით დადგენილია, რომ დამკვეთმა სტუდენტების დაფინანსება იკისრა არა ყველა, არამედ განსაზღვრულ ფაქულტეტზე, ამასთან, წარმატებული სტუდენტი უნდა დასაქმებულიყო სანარმოში. ამ პირობის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა ლეგიტიმურად მიიჩნევს შპს „კ-ის“ ნებას, ხმის უფლებით მონაწილეობა მიიღოს მისაღები გამოცდების ჩატარებაში.

საკასაციო პალატა ასევე იზიარებს კასატორის არგუმენტს მენარდის მიერ განსაზღვრულ სპეციალობათა შეუქმნელობის,

უნივერსიტეტის, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო და-  
წესებულების სტატუსისა და მიღებული სტუდენტების ჩარიც-  
ხვის თაობაზე შპს „კ-ის“ მიერ გამოვლენილი ნების არასებობის  
თაობაზე და მიიჩნევს, რომ ამ მხრივ გასაჩივრებული გადან-  
ყვეტილების დასკვნები არ ემყარება საქმეში არსებული მტკი-  
ცებულებების სრულყოფილ კვლევას, კერძოდ, საკასაციო სა-  
სამართლოს შეფასებით, ამ გარემოებათა დადგენის მიზნით,  
გამსაზღვრელია სადავო ხელშეკრულების მე-4 მუხლის სრულ-  
ყოფილი კვლევა, რომლითაც დადგინდა მხარეთა შეთანხმების  
აუცილებლობა „ერთობლივად გადასაწყვეტ საკითხებზე“, სა-  
ყურადღებოა, რომ მხარეებმა ხელშეკრულებით განსაზღვრეს  
ვადა და ამ ხელშეკრულების არსებითი პირობები, მათ შორის  
სწავლების სპეციალიზაცია. სასამართლო დასკვნა, რომ, შესაძ-  
ლოა, უნივერსიტეტს შესაბამისი სტატუსი სწავლების პროგრამის  
დასრულებამდე მოეპოვებინა, მე-3 კურსიდან შეექმნა სპე-  
ციალობები, საქმეში არსებული მტკიცებულებებით არ არის და-  
დასტურებული და ემყარება მხოლოდ ვარაუდს, მაშინ, როდესაც  
ამ გარემოებათა დამტკიცება, სწორედ მოსარჩელის ვალ-  
დებულებას წარმოადგენდა (სსკ 102-ე მუხლი), რაც შეეხება თა-  
ვად შერჩეულ სტუდენტებს, საკასაციო პალატა იზიარებს შპს  
„კ-ის“ მსჯელობას, სტუდენტთა შერჩევის თაობაზე დამკვე-  
თის მიერ ნების გამოხატვის დამადასტურებელი მტკიცებულებების  
საქმეში არარსებობის შესახებ, ხოლო ხელშეკრულების და-  
დებამდე უნივერსიტეტის რექტორის მიერ გამოცემული ბრძა-  
ნებები, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, არ შეიძლება  
გახდეს სადავო გარემოების დამტკიცებულედად მიჩნევის უალ-  
ტერნატივო წინაპირობა.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქმეში წარმოდ-  
გენილ 2010 წლის 7 ივლისის №001 საგადახდო დავალებაზე,  
რომლითაც შპს „კ-ამ“ გადარიცხა გარკვეული თანხა უნივერსი-  
ტეტის ანგარიშზე. სააპელაციო პალატამ აღნიშნული დოკუმენ-  
ტი მიიჩნია ვალის აღიარების დამადასტურებელ მტკიცებულე-  
ბად, რასაც არ ეთანხმება კასატორი იმ საფუძვლით, რომ მან  
თანხა შეცდომით გადარიცხა. საკასაციო პალატა ნაწილობრივ  
იზიარებს კასატორის არგუმენტს და თვლის, რომ, მართალია,  
სამოქალაქო კოდექსის 341-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად,  
ანგარიშსწორების გზით, შესაძლებელია ვალის აღიარების და-  
დასტურება, თუმცა, ისეთ ვითარებაში, როდესაც უტყუარად  
არ არის დადგენილი მენარდის მიერ ხელშეკრულების შესრუ-  
ლება, სასამართლომ ეს დოკუმენტი სამოქალაქო საპროცესო  
კოდექსის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სათანადო-

ბის თვალსაზრისით უნდა შეაფასოს.

რაც შეეხება შპს „კ-ას“ პრეტენზიას სააპელაციო პალატის მიერ 2012 წლის 23 ივლისის დაუნრებელი გადაწყვეტილების არასწორად გაუქმების თაობაზე, საკასაციო პალატა ვერ იმსჯელებს ამ არგუმენტის მართებულობაზე, იმ საფუძვლიდან გამომდინარე, რომ კასატორს დაუსწრებელი გადაწყვეტილების ძალაში დატოვება საკასაციო საჩივრით არ მოუთხოვია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 409-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია შეცვალოს სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ ფარგლებში, რასაც მხარეები მოითხოვენ. აღნიშნული ნორმის დისპოზიციიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მხარის მიერ მითითებულ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლებს სწორედ საკასაციო მოთხოვნის ფარგლებში შეისწავლის და არ არის უფლებამოსილი გასცდეს მხარის მოთხოვნას, შესაბამისად, სამართლებრივ დასაბუთებასაა მოკლებული შპს „კ-ის“ მტკიცება დაუსწრებელი გადაწყვეტილების არასწორად გაუქმების თაობაზე მაშინ, როდესაც მან ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა (იხ. საკასაციო საჩივრის მოთხოვნა).

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქმის სწორად გადაწყვეტისათვის საჭიროა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა, საკასაციო სასამართლო მოკლებულია სამართლებრივ შესაძლებლობას, თავად მიიღოს გადაწყვეტილება დევაზე, შესაბამისად, საქმე ხელახლა განსახილველად უნდა დაუბრუნდეს საკასაციო სასამართლოს, რომელმაც საქმეში არსებული მტკიცებულებების ყოველმხრივი შეფასების გზით უნდა დაადგინოს ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, მენარდემ შესარულა თუ არა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, სწორედ ამ გარემოების დადგენის გზით არის შესაძლებელი იმის გადაწყვეტა, წარმოეშობა თუ არა მას შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებუ-

ლი, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. ამავე ნორმის მე-4 ნაწილის შესაბამისად კი, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საქმე ხელახლა განსახილველად უბრუნდება სააპელაციო სასამართლოს, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების მხარეთა შორის განაწილების საკითხიც შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას უნდა განისაზღვროს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე, 284-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „კ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 28 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## საკუთრების მინდობა

### გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-398-377-2012

13 დეკემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** საკუთრების მინდობის შესახებ სანოტარო აქტისა და ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა, სამკვიდრო ქონების გამოთხოვა მოპასუხის უკანონო მფლობელობიდან და მოსარჩელის საკუთრებაში გადაცემა (ქ. ტ-ის სარჩელის მიხედვით), საკუთრების მინდობის შესახებ სანოტარო აქტისა და ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა (ს. ა-ის სარჩელის მიხედვით), ანდერძების ბათილად ცნობა (მ. ბ-ის სარჩელის მიხედვით)

#### აღწერილობითი ნაწილი:

ქ. ტ-ემ მ. ბ-სა და ნოტარიუს ქ. ჩ-ის მიმართ წარდგენილი სარჩელით მოითხოვა: 1. ბათილად იქნეს ცნობილი საკუთრების მინდობის შესახებ 2009 წლის 16 აპრილის სანოტარო აქტი, რომლითაც გ. ხ-მა მ. ბ-ს მინიჭა კუთვნილი მოძრავი ქონების მართვისა და განკარგვის უფლებამოსილება, 2) ბათილად იქნეს ცნობილი 2009 წლის 16 აპრილის მინდობილობის საფუძველზე მ. ბ-ის მიერ 2009 წლის 22 აპრილს გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულება, 3. გამოთხოვილ იქნეს მ. ბ-ის მფლობელობიდან გ. ხ-ის სამკვიდრო მასაში შემავალი მოძრავი ნივთები, რომლებით ანდერძით გადაეცა ქ. ტ-ეს.

ს. ა-მა მ. ბ-სა და ნოტარიუს ქ. ჩ-ის მიმართ წარდგენილი სარჩელით მოითხოვა: 1. ბათილად იქნეს ცნობილი საკუთრების მინდობის შესახებ 2009 წლის 16 აპრილის სანოტარო აქტი, რომლითაც გ. ხ-მა მ. ბ-ს მინიჭა კუთვნილი უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის უფლებამოსილება, 2) ბათილად იქნეს ცნობილი 2009 წლის 16 აპრილის მინდობილობის საფუძველზე მ. ბ-ის მიერ 2009 წლის 22 აპრილს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება.

მოსარჩელეთა მითითებით, მ. ბ-მა გ. ხ-ს 2009 წლის 16 აპრი-

ლის სანოტარო აქტზე ნდობის ბოროტად გამოყენებით, მოტყუებით მოაწერინა ხელი. გ. ხ-მა გააცნობიერა რა დასახელებული დოკუმენტის მნიშვნელობა, კუთვნილი ქონების გადარჩენის მიზნით 2009 წლის 21 აპრილს შეადგინა ანდერძი, რომლითაც თავის მემკვიდრეებად ს. ა-ი და ქ. ტ-ე დაასახელა. 2009 წლის 27 აპრილს გ. ხ-მა გააუქმა 2009 წლის 16 აპრილის სანოტარო აქტი, თუმცა ამ დროისთვის მ. ბ-ს მინდობილობის საფუძველზე 2009 წლის 22 აპრილის ხელშეკრულებებით უკვე თავის საკუთრებად ჰქონდა გადაფორმებული გ. ხ-ის კუთვნილი მოძრავი და უძრავი ქონება. მ. ბ-ი ვალდებული იყო, მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილება განეხორციელებინა საკუთრების მიმდობის ინტერესების შესაბამისად, კეთილსინდისიერად, ასევე საკუთრების მიმდობიასთვის მიენდებინა ცნობები ქონების განკარგვის შესახებ. აღნიშნული ვალდებულებები მის მიერ შესრულებული არ ყოფილა. ამგვარად, მ. ბ-მა ზნეობის საწინააღმდეგო ხელშეკრულებებით მიისაკუთრა გ. ხ-ის ქონება.

ქ. ტ-სა და ს. ა-ის სარჩელები მ. ბ-მა არ ცნო და მათ მიმართ წარადგინა შეგებებული სარჩელები, რომლებითაც მოითხოვა გ. ხ-ის მიერ 2009 წლის 21 აპრილს შედგენილი ანდერძების ბათილად ცნობა. მ. ბ-ის მითითებით, ანდერძის შედგენისას გ. ხ-ს არ შეეძლო, განეგო თავისი მოქმედებები და ანდერძის შინაარსი არ შეესაბამება გ. ხ-ის ნამდვილ ნებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა არცერთი მხარის სასარჩელო მოთხოვნები.

პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს ქ. ტ-ემ, ს. ა-მა და მ. ბ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილებით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა ქ. ტ-სა და ს. ა-ის სააპელაციო საჩივარი, ასევე მ. ბ-ის შეგებებული სააპელაციო და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება შემდეგი სახით: ქ. ტ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ბათილად იქნა ცნობილი გ. ხ-სა (წარმომადგენელი 2009 წლის 16 აპრილის საკუთრების მინდობის სანოტარო აქტით – მ. ბ-ი) და მ. ბ-ს შორის 2009 წლის 22 აპრილს დადებული მოძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულება (რეესტრში რეგისტრაციის №090058035) და გ. ხ-ის დანაშთი მოძრავი ნივთები გამოთხოვილ იქნა მ. ბ-ის მფლობელობიდან ანდერძისმიერი მემკვიდრის – ქ. ტ-ის სასარგებლოდ, ს. ა-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და ბათილად იქნა ცნობილი გ. ხ-

სა (წარმომადგენელი 2009 წლის 16 აპრილის საკუთრების მინდობის სანოტარო აქტით – მ. ბ-ი) და მ. ბ-ს შორის 2009 წლის 22 აპრილს დადებული უძრავი ქონების (მდებარე თბილისში, ჭ-ის ქ. №4, ბინა №7) ნასყიდობის ხელშეკრულება, არ დაკმაყოფილდა ს. ა-სა და ქ. ტ-ის სარჩელები 2009 წლის 16 აპრილის სანოტარო აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნის ნაწილში, ისევე როგორც არ დაკმაყოფილდა მ. ბ-ის შეგებებული სარჩელები გ. ხ-ის 2009 წლის 21 აპრილის ანდერძების ბათილად ცნობის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგინილად ცნო შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1. საკუთრების მინდობის შესახებ 2009 წლის 16 აპრილის ხელშეკრულებით (სანოტარო აქტი №090052397) გ. ხ-მა მ. ბ-ს მართვისა და განკარგვის უფლებით მიანდო მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონება. ამავე ხელშეკრულების პირველი პუნქტის მიხედვით, განკარგვაში იგულისხმება მინდობილი ქონების გასხვისება ნებისმიერი ფორმით (ჩუქება, გაცვალა, გაყიდვა), მათ შორის, თავის თავზე გადაფორმების უფლებით. ხელშეკრულების მე-5 პუნქტში მითითებულია, რომ წინამდებარე აქტით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში მინდობილი მესაკუთრე უფლებამოსილია, დადოს გარიგებები საკუთრების მიმდობის სახელითა და ხარჯით, მათ შორის დადოს გარიგება საკუთარ თავთან (მინდობილი მესაკუთრე ერთდროულად წარმოადგენს საკუთარ თავსაც და მიმდობსაც);

2. 2009 წლის 21 აპრილს ნოტარიუსმა ნ. ხ-ამ კლინიკა „მედულაში“ ტექნიკური საშუალების გამოყენებით, მონმეების თანდასწრებით გ. ხ-ის თხოვნით შეადგინა ანდერძი (ანდერძის შედგენის დრო – 10.30 საათიდან 11.30 საათამდე). იმავე დღეს, 13.00 საათიდან 13.45 საათამდე დროის მონაკვეთში, იმავე ნოტარიუსის მონაწილეობით შედგა დამატებით ახალი საანდერძო განკარგულება ქ. ტ-სა და ს. ა-ის სასარგებლოდ. ამ შემთხვევაში მოანდერძის თხოვნით მის ნაცვლად ანდერძზე ხელი მოაწერა მკურნალმა ექიმმა ლ. ა-ამ;

3. 2009 წლის 22 აპრილს გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე გ. ხ-მა, როგორც მჩუქებელმა, რომელსაც 2009 წლის 16 აპრილს გაფორმებული საკუთრების მინდობის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოადგენდა მ. ბ-ი, მოძრავი ქონება – ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები აჩუქა მ. ბ-ს;

4. 2009 წლის 22 აპრილს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გ. ხ-მა, როგორც გამყიდველმა, რომელსაც 2009 წლის 16 აპრილს გაფორმებული მინდობილობის

საფუძველზე წარმოადგენდა მ. ბ-ი, მ. ბ-ს მიჰყიდა უძრავი ქონება – თბილისში, ჭ-ის ქ. №4-ში მდებარე ბინა №7;

5. 2009 წლის 27 აპრილის სანოტარო აქტის თანახმად, ნოტარიუსი ნ. ხ-ა გამოცხადდა კლინიკა „მედულაში“ და გ. ხ-ის თხოვნით, მოწმეების – მ. ვ-ას, მ. ყ-სა და მ. მ-ის თანდასწრებით, ლ. ა-ას ხელმოწერით (ვინაიდან გ. ხ-ს ედგა გადასხმის სისტემა და არ შეეძლო ხელის მოწერა), გააუქმა 2009 წლის 16 აპრილს ნოტარიუს ქ. ჩ-ის მიერ გაცემული საკუთრების მინდობის ხელშეკრულება №090052397;

6. გ. ხ-ი გარდაიცვალა 2009 წლის 1 მაისს;

7. 2009 წლის 5 მაისს ნოტარიუს ნ. ხ-ას ქ. ტ-ემ წარუდგინა 2009 წლის 1 მაისს გარდაცვლილი გ. ხ-ის გარდაცვალების მოწმობა და 2009 წლის 21 აპრილს მის მიერ გაცემული ორივე ანდერძის დედანი, რაც გამოქვეყნდა და შედგა შესაბამისი სანოტარო აქტი;

8. სამკვიდროს გახსნის დროისათვის – 2009 წლის 1 მაისის მდგომარეობით ანდერძში მითითებული ქონება გასხვისებული იყო და იგი აღარ წარმოადგენდა სამკვიდრო მასაში შემავალ ქონებას;

9. გ. ხ-ს 2009 წლის 21 აპრილს, სადავო ანდერძების შედგენის მომენტში, ჯანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე ჰქონდა უნარი შეეგნო თავისი მოქმედებების მნიშვნელობა და ეხელმძღვანელა მისთვის. სასამართლოს მითითებით, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2010 წლის 30 ივლისის №7214 დასკვნის თანახმად, გ. ხ-ს ანდერძის შედგენის დროს რაიმე ფსიქოზური აშლილობა არ აღენიშნებოდა. მას შეეძლო, შეეგნო თავისი მოქმედების მნიშვნელობა და განეგო იგი. მოწმე მ. მ-ის (კლინიკა „მ-ს“ კონსულტანტ-ნევროლოგი) განმარტებით, საანდერძო განკარგულების შედგენამდე გ. ხ-ს ჩაუტარდა ნევროლოგიური შემოწმება და იგი იყო კონტაქტური, ცნობიერება ჰქონდა ნათელი, დროსა და ადგილში ორიენტირებული, ასევე შემოწმდა მისი მგრძობელობა, საკოორდინაციო სისტემა, რეფლექსები და ა.შ. ანდერძის შედგენის დროს გ. ხ-ი იყო აბსოლუტურად მშვიდი და არანაირ ძალდატანებას ადგილი არ ქონია. მოწმე ლ. ა-ას (კლინიკა „მ-ს“ ონკოლოგი, გ. ხ-ის მკურნალი ექიმი) განმარტებით, ქალბატონ გ-ს ჰქონდა სიმსივნე თედოს ფრთაში, რაც მის აზროვნებაზე ვერანაირ გავლენას ვერ მოახდენდა და ვერც ტკივილგამაყუჩებელი პრეპარატები მის გონებრივ შესაძლებლობებზე ვერ იქონიებდა გავლენას;

10. მამკვიდრებელ გ. ხ-ის მიერ გამოვლენილი ნება, გარდაც-

ვალდების შემდეგ მისი კუთვნილი უძრავი ქონება გადასულიყო ს. ა-ზე, ხოლო მოძრავი ნივთები (ნიგნები, არქივი, ჩანახატები, სურათები...) – ქ. ტ-ე, ასევე საავტორო უფლება და მისგან გამომდინარე ყველა უფლება-მოვალეობები თანაბარი უფლებით გადასცემოდა ს. ა-ს და ქ. ტ-ეს, შესაბამებოდა მის ნამდვილ ნებას. აღნიშნულ დასკვნამდე პალატა მივიდა მოწმეების – ლ. ა-ას, მ. ვ-ას, მ. ყ-სა და მ. მ-ის ჩვენებების შეფასების შედეგად;

11. პალატამ არ მიიჩნია დადასტურებულად ის გარემოება, რომ 2009 წლის 16 აპრილის საკუთრების მინდობის შესახებ ხელშეკრულების დადებისას ადგილი ჰქონდა მ. ბ-ის მიერ საკუთრების მიმნდობის – გ. ბ-ის მოტყუებას.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ 2009 წლის 16 აპრილის საკუთრების მინდობის ხელშეკრულების მე-7 პუნქტის მიხედვით, მინდობილი მესაკუთრე ვალდებულია, დაიცვას საკუთრების მიმნდობის ინტერესები არა მხოლოდ სასამართლო ორგანოებში, არამედ ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობისას, ხოლო მე-8 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, მინდობილი მესაკუთრე ვალდებულია, საკუთრების მიმნდობს მიაწოდოს ცნობები ქონების მართვისა და განკარგვის შესახებ. პალატამ მიუთითა ასევე სამოქალაქო კოდექსის 724-ე, 114-ე, მე-8, 361-ე, 54-ე მუხლებზე და განმარტა, რომ მ. ბ-ს მინდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები უნდა განეხორციელებინა კეთილსინდისიერად, მინდობილი მესაკუთრისათვის საჭირო გულისხმიერებით, საკუთრების მიმნდობის ინტერესების შესაბამისად და საკუთარ თავთან გარიგებების დადებისას, საკუთრების მიმნდობისათვის მიენდობინა ცნობები ქონების ამგვარი მართვისა და განკარგვის შესახებ. როგორც პალატამ მიიჩნია, მოცემულ შემთხვევაში დასახელებული ვალდებულებები მ. ბ-ს არ შეუსრულებია, ასევე არ გადაუცია ნასყიდობის თანხა გ. ხ-ის. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ცხადია, რომ მინდობილი მესაკუთრე – მ. ბ-ი მოქმედებდა არა მარწმუნებლის ინტერესების გათვალისწინებით, არამედ მხოლოდ თავისი ინტერესებიდან გამომდინარე. მან მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით დაარღვია როგორც ხელშეკრულებით, ასევე კანონმდებლობით გათვალისწინებული კეთილსინდისიერების პრინციპი. ასეთ შემთხვევაში მარწმუნებელს (მესაკუთრეს) თუნდაც ვერ მოესწრო, გაეუქმებინა 2009 წლის 16 აპრილის საკუთრების მინდობის ხელშეკრულება, სამოქალაქო კოდექსის 54-ე მუხლის მიხედვით, 2009 წლის 22 აპრილის ჩუქებისა და ნასყიდობის სადავო ხელშეკრულებები წარმოადგენენ ბათილ გარი-

გებებს, რადგან მინდობილი მესაკუთრის მოქმედება ეწინააღმდეგება ზნეობის ნორმებს. ამასთან, მითითებული გარიგებები ეწინააღმდეგებოდა სამოქალაქო კოდექსის 724-ე მუხლისა და საკუთრების მინდობის შესახებ 2009 წლის 16 აპრილის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

ანდერძის ბათილად ცნობის თაობაზე მოთხოვნასთან დაკავშირებით პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 1403-ე მუხლით, რომლის მიხედვით, ანდერძი ბათილად ჩაითვლება იმ პირობების არსებობისას, რომლებიც ინვესტორს გარიგების ბათილობას საერთოდ. ანდერძი სასამართლოს მიერ შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ იგი შედგენილია კანონით დადგენილი წესების დარღვევით, ასევე ისეთ მდგომარეობაში, როცა პირს არ შეეძლო შეეგნო თავისი მოქმედების მნიშვნელობა და წარემართა იგი. სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, დასახელებული ნორმის სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ ანდერძი შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუკი იგი შედგენილია კანონით დადგენილი იმ წესების დარღვევით, რომლებიც ბუნდოვანს ხდის ან ეჭვის ქვეშ აყენებს მონადერძის ნებას, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია. ანდერძის შედგენის ფაქტობრივი გარემოებები საინტერესო იყო იმ კუთხით, ხომ არ ჰქონდა ადგილი ზემოქმედებას მონადერძის ნებაზე და შეძლო თუ არა მან თავისი სურვილის შესაბამისად ნების გამოხატვა. ანდერძის იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, ანდერძის ბათილობისას უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება მამკვიდრებლის ნების ნამდვილობას. დადგინდა, რომ ანდერძის შედგენის დროს მამკვიდრებელზე რაიმე ძალადობას ან იძულებას ადგილი არ ჰქონია. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ არ არსებობდა 2009 წლის 21 აპრილის ანდერძების ბათილად ცნობის საფუძველი.

იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ ბათილად ცნობას ექვემდებარებოდა გ. ხ-სა (წარმომადგენელი 2009 წლის 16 აპრილის მინდობილობით – მ. ბ-ი) და მ. ბ-ს შორის 2009 წლის 22 აპრილს დადებული მოძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულება, ამასთან, არ არსებობდა 2009 წლის 21 აპრილის ანდერძების ბათილად ცნობის საფუძველი, სამოქალაქო კოდექსის 170-ე და 172-ე მუხლების საფუძველზე სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საფუძველიანი იყო ქ. ტ-ის სარჩელი სამკვიდრო ქონების (მოძრავი ნივთების) მ. ბ-ის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვისა და ქ. ტ-ის გადაცემის თაობაზე.

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მ. ბ-მა და ქ. ჩ-ემ, მოითხოვეს ამ გადაწყვეტი-

ლების გაუქმება ქ. ტ-სა და ს. ა-ის სარჩელების დაკმაყოფილებისა და მ. ბ-ის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში და ახალი გადაწყვეტილებით მ. ბ-ის სარჩელის დაკმაყოფილება, ხოლო ქ. ტ-სა და ს. ა-ის სარჩელების დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

საკასაციო საჩივარი ეფუძნება შემდეგ არგუმენტებს:

ჩუქებისა და ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. ბ-მა დაარღვია საკუთრების მინდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები საკუთრების მიმდობის ინტერესების დაცვასა და მისთვის მინდობილი საკუთრების განკარგვის თაობაზე ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებით, თუმცა არ ირკვევა, რომელი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მივიდა სასამართლო ამგვარ დასკვნამდე;

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, საქმის მასალებით ასევე დასტურდება ის გარემოება, რომ სადავო უძრავი ქონების ნასყიდობის თანხა საერთოდ არ გადასცემია გ. ხ-ს. სააპელაციო სასამართლოს არც ამ შემთხვევაში მიუთითებია, კონკრეტულად რომელ მტკიცებულებაზე დაყრდნობით მივიდა ასეთ დასკვნამდე. უძრავი ქონების ნასყიდობის შესახებ 2009 წლის 22 აპრილის ხელშეკრულების პირველი პუნქტის თანახმად, გამყიდველს წარმოადგენს გ. ხ-ი, წარმოდგენილი მ. ბ-ის სახით, ხოლო მყიდველს – მ. ბ-ი. ამავე ხელშეკრულების მე-4 პუნქტის თანახმად, მხარეთა განცხადებით, ნასყიდობის საგანი გაიყიდა 20000 ლარად, ხოლო მე-5 პუნქტის თანახმად, მყიდველი ვალდებულია გამყიდველს ნასყიდობის ფასი სრულად გადაუხადოს ამ ხელშეკრულების სანოტარო წესით დამონმებისთანავე, გამყიდველი კი ვალდებულია მიიღოს ნასყიდობის ფასი. საგულისხმოა ერთი დეტალი – უძრავი ქონების მყიდველი მ. ბ-ი ადასტურებს, რომ ნასყიდობის თანხა სრულად გადასცა გამყიდველს, ამასთან, გამყიდველის წარმომადგენელი მ. ბ-ი ადასტურებს, რომ ნასყიდობის თანხა სრულად მიიღო ხელშეკრულების სანოტარო წესით დამონმებისთანავე. სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, იმ გარიგებით, რომელსაც წარმომადგენელი დებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში და იმ პირის სახელით, რომელსაც იგი წარმოადგენს, უფლებები და მოვალეობები წარმოეშობა მხოლოდ წარმოდგენილ პირს. ამავე კოდექსის 729-ე, 716-ე მუხლებიდან გამომდინარე, ქონება, რომელიც რწმუნებულმა დავალბებული მოქმედების შესრულებისას შეიძინა მარწმუნებლის ხარჯზე და

საკუთარი სახელით, ან მარნმუნებელმა გადასცა მას დავალებული მოქმედების შესასრულებლად, კრედიტორებთან რწმუნებულის ურთიერთობაში ჩაითვლება მარნმუნებლის ქონებად. დასახელებული ნორმებიდან გამომდინარე იგულისხმება, რომ გამყიდველმა მიიღო ნასყიდობის თანხა. იმ შემთხვევაში, როდესაც წარმომადგენელი მარნმუნებელს თანხას არ გადასცემს, არეგულირებს სამოქალაქო კოდექსის 715-ე მუხლი. ამ მუხლის მიხედვით, რწმუნებული მოვალეა დაუბრუნოს მარნმუნებელს ყველაფერი, რაც მან მიიღო მინდობილი მოქმედების შესრულებასთან დაკავშირებით. ყურადსაღებია, რომ მარნმუნებელსა და რწმუნებულს შორის წარმოშობილი ურთიერთობები გავლენას ვერ მოახდენენ მარნმუნებლის სახელით დადებული გარიგების ნამდვილობაზე;

კასატორები ყურადღებას მიაქცევენ 2009 წლის 16 აპრილის „საკუთრების მინდობის“ ხელშეკრულებაზე. აღნიშნული ხელშეკრულების პირველი პუნქტის თანახმად, საკუთრების მიმდობმა მინდობილ მესაკუთრეს მართვისა და განკარგვის უფლებით მიანდო მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონება (შენობა-ნაგებობები, მიწა, აქციები და სხვა ფასიანი ქალაქდები, წილები სამეწარმეო საზოგადოების სანესდებო კაპიტალში). მინდობილ ქონებაში იგულისხმება ყველა ის ქონებრივი და არაქონებრივი სიკეთე, რომელიც მოცემული აქტის შედგენისას არის ან მომავალში იქნება საკუთრების მიმდობის საკუთრებაში, სარგებლობასა და/ან მფლობელობაში. მართვაში იგულისხმება ყველა ის მოქმედება, რაც აუცილებელია მინდობილი ქონების ჯეროვანი მოვლისა და დაცვისათვის, ან სასარგებლო საკუთრების მიმდობისათვის ნაყოფის მიღების (შემოსავლის) თვალსაზრისით (გაქირავება, იჯარა, აღნაგობა, უზუფრუქტი). განკარგვაში იგულისხმება მინდობილი ქონების გასხვისება ნებისმიერი ფორმით (ჩუქება, გაცვლა, გაყიდვა), მათ შორის, თავის თავზე გადაფორმების უფლებით. ამავე ხელშეკრულების მე-5 პუნქტის მიხედვით, წინამდებარე აქტით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში მინდობილი მესაკუთრე უფლებამოსილია დადოს გარიგებები საკუთრების მიმდობის სახელითა და ხარჯით, მათ შორის, დადოს გარიგება საკუთარ თავთან (მინდობილი მესაკუთრე ერთდროულად წარმოადგენს საკუთარ თავსაც და საკუთრების მიმდობსაც). ამავე ხელშეკრულების მე-9 პუნქტის თანახმად, მინდობილი მესაკუთრე ვალდებულია: ა. წინამდებარე აქტით მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელოს კეთილსინდისიერად და გულისხმიერებით, ბ. საკუთრების მიმდობს მიაწოდოს ცნობები ქონების მართვის ან/და გან-

კარგვის შესახებ. სამოქალაქო კოდექსის 114-ე მუხლის თანახმად, თუ თანხმობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, წარმომადგენელს არ შეუძლია წარმოდგენილი პირის სახელით საკუთარ თავთან თავისი სახელით, ან, როგორც მესამე პირის წარმომადგენელმა, დადოს გარიგება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გარიგება უკვე არსებობს რაიმე ვალდებულების შესასრულებლად. ამავე კოდექსის 713-ე მუხლის მიხედვით, რწმუნებული მოვალეა მისცეს მარწმუნებელს ინფორმაცია, ხოლო მისი მოთხოვნით – მიაწოდოს ცნობები დავალების შესრულების მიმდინარეობის შესახებ, შესრულების შემდეგ კი ჩააბაროს მას ანგარიში. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკუთრების მინდობის შესახებ ხელშეკრულებიდან და კანონის ზემოთ მოყვანილი ნორმებიდან გამომდინარე კასატორებს მიაჩნიათ, რომ მ. ბ-ს სრული უფლება ჰქონდა დაედო ჩუქებისა და ნასყიდობის ხელშეკრულებები, მისი ქმედებები არ ეწინააღმდეგება არც ხელშეკრულების არსს, არც კანონის მოთხოვნებს და არც ზნეობის ნორმებს. ეს ქმედებები პირდაპირ და ზუსტად ასახავდნენ გ. ხ-ის ნამდვილ ნებას;

კასატორების მითითებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2005 წლის 22 დეკემბრის №2359 ბრძანებით დამტკიცდა ინსტრუქცია სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ, რომლის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სანოტარო აქტს ტექსტის ბოლოს ხელი უნდა მოაწეროს სანოტარო მოქმედების ყველა მონაწილემ. ხელმოწერა უნდა შეიცავდეს ხელმომწერის სახელსა და გვარს, სახელი და გვარი უნდა დაიწეროს სრულად და გარკვევით. მოცემულ შემთხვევაში სადავო ანდერძზე გ. ხ-ის სახელი მითითებულია არასწორად, დაფიქსირებულია სახელი „გ.“, ხოლო გვარი საერთოდ არ იკითხება. კასატორთა მოსაზრებით, იმ შემთხვევაში, თუ გ. ხ-ი ნამდვილად იყო საღ გონებაზე და სურდა ანდერძის შედგენა მოსარჩელეების სასარგებლოდ, მას არ გაუჭირდებოდა სახელისა და გვარის სწორად დაწერა. აქედან გამომდინარე ირკვევა, რომ მას არ სურდა ანდერძის შედგენა და ყველანაირად ცდილობდა ხელი მოეწერა გაურკვევლად, ბუნდოვნად, არასწორად;

კასატორების მითითებით, სამოქალაქო კოდექსის 1358-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოანდერძის სიტყვებით ნოტარიუსის მიერ ჩაწერილი ანდერძი უნდა წაიკითხოს მოანდერძემ და ნოტარიუსის თანდასწრებით მოაწეროს ხელი. სადავო ანდერძში არ არსებობს იმის მინიშნება, რომ ნოტარიუსმა შეასრულა კანონის მოთხოვნა – ანდერძი მიაწოდა გ. ხ-ს, რომელმაც წაიკითხა ანდერძი ნოტარიუსისა და მოწმეების თანდას-

ნრებით. საგულისხმოა, რომ არც ერთმა მოწმემ არ დაადასტურა ეს გარემოება. აღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორების მოსაზრებით, ხსენებული ანდერძი ბათილად უნდა იქნეს ცნობილი;

საკასაციო საჩივრის მიხედვით, სამოქალაქო კოდექსის 1360-ე მუხლის შესაბამისად, თუ მოანდერძე რაიმე მიზეზით თვითონ ვერ მოანერს ხელს ანდერძს, მას შეიძლება ხელი მოაწეროს სხვა პირმა, ამასთან, უნდა აღინიშნოს მიზეზი, რის გამოც მოანდერძემ ხელი ვერ მოანერა. კონკრეტულ შემთხვევაში, სადავო ანდერძში გაკეთებულია შემდეგი ჩანაწერი: „ვინაიდან მოანდერძე ველარ ახერხებს ხელის მოწერას, რადგანაც მას უყენია სპეციალური გადასხმის სისტემა, მისი თხოვნით ანდერძს ხელს მოანერს ლ. ა-ა“. აღნიშნულ ჩანაწერს ეწინააღმდეგება ნოტარიუს ნ. ხ-ას ჩვენება 2010 წლის 16 მარტის სხდომაზე, რომლის მიხედვით, გ. ხ-ს არ აუხსნია ხელის მოწერის შეუძლებლობის მიზეზი. ამავე სხდომაზე მოწმე მანანა ვადაჭკორიამ განმარტა, რომ ანდერძის შედგენისას გ. ხ-ს ხელზე ეკეთა წვეთოვანი, გაუჭირდა, მაგრამ ანდერძს ხელი მოანერა, ხოლო რაც შეეხება მეორე ანდერძს, მასზე ხელმოწერა უნდოდა, თუმცა ვერ შეძლო და დასვა ჯვარი. იგივე დაადასტურა მოწმე მ. ყ-მა. ამდენად, გ. ხ-ს უარი არ უთქვამს ანდერძის ხელმოწერაზე. ამასთან, საქმეში არსებულ მეორე ანდერძზე არ არის მოანდერძის მიერ დასმული ჯვარი. შესაბამისად, საქმეში არსებული ანდერძი არ წარმოადგენს გ. ხ-ის მიერ შედგენილ ანდერძს;

საკასაციო საჩივრის მიხედვით, სამოქალაქო კოდექსის 1403-ე მუხლის თანახმად, ანდერძი ბათილად ჩაითვლება იმ პირობების არსებობისას, რომლებიც იწვევენ გარიგების ბათილობას საერთოდ. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ანდერძი სასამართლოს მიერ შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი, თუ იგი შედგენილია კანონით დადგენილი წესების დარღვევით. აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, ნოტარიუს ნ. ხ-ას მიერ შედგენილი სანოტარო აქტები ეწინააღმდეგება კანონს, არ არის შედგენილი კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვით, რის გამოც შეუძლებელია მოანდერძის ნების დადგენა. აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ანდერძი სამართლებრივ შედეგს იძენს სამკვიდრო მასის გახსნის დღიდან და იგი ვრცელდება მხოლოდ იმ ქონებაზე, რომელიც წარმოადგენდა მოანდერძის საკუთრებას გარდაცვალების მომენტისათვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 2 აპრილის განჩინებით ქ. ჩ-ის საკასაციო საჩივარი დარჩა განუხილველად კასატორის მიერ ხარვე-

ზის შეუვსებლობის გამო. ამავე სასამართლოს 2012 წლის 6 აპრილის განჩინებით მ. ბ-ის საკასაციო საჩივარი წარმოებაში იქნა მიღებული სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის შესამოწმებლად, 2012 წლის 11 ივნისის განჩინებით კი მითითებული საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი და დადგინდა საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე განხილვა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეინაწვლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ მ. ბ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებების შესაბამისად:

1. საკუთრების მინდობის შესახებ 2009 წლის 16 აპრილის ხელშეკრულებით (სანოტარო აქტი №090052397) გ. ხ-მა მ. ბ-ს მართვისა და განკარგვის უფლებით მიანდო მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონება. დასახელებული ხელშეკრულების პირველი პუნქტის მიხედვით, განკარგვაში იგულისხმება მინდობილი ქონების გასხვისება ნებისმიერი ფორმით (ჩუქება, გაცვალა, გაყიდვა), მათ შორის, თავის თავზე გადაფორმების უფლებით. ხელშეკრულების მე-5 პუნქტში მითითებულია, რომ წინამდებარე აქტით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში მინდობილი მესაკუთრე უფლებამოსილია, დადოს გარიგებები საკუთრების მიმდობის სახელითა და ხარჯით, მათ შორის დადოს გარიგება საკუთარ თავთან (მინდობილი მესაკუთრე ერთდროულად წარმოადგენს საკუთარ თავსაც და მიმდობსაც);

2. 2009 წლის 21 აპრილს ნოტარიუსმა ნ. ხ-ამ კლინიკა „მ-ში“ ტექნიკური საშუალების გამოყენებით, მოწმეების თანდასწრებით გ. ხ-ის თხოვნით შეადგინა ანდერძი (ანდერძის შედგენის დრო – 10.30 საათიდან 11.30 საათამდე). იმავე დღეს, 13.00 საათიდან 13.45 საათამდე დროის მონაკვეთში, იმავე ნოტარიუსის თანდასწრებით შედგა დამატებით ახალი საანდერძო განკარგულება ქ. ტ-სა და ს. ა-ის სასარგებლოდ. ამ შემთხვევაში მოანდერძის თხოვნით მის ნაცვლად ანდერძზე ხელი მოაწერა მკურნალმა ექიმმა ლ. ა-ამ;

3. 2009 წლის 22 აპრილს გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე გ. ხ-მა, როგორც მჩუქებელმა, რომელსაც 2009 წლის 16 აპრილს გაფორმებული საკუთრების მინდობის

ხელშეკრულების საფუძველზე წარმოადგენდა მ. ბ-ი, მოძრავი ქონება – ფერწერული და გრაფიკული ნამუშევრები აჩუქა მ. ბ-ს;

4. 2009 წლის 22 აპრილს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გ. ხ-მა, როგორც გამყიდველმა, რომელსაც 2009 წლის 16 აპრილს გაფორმებული მინდობილობის საფუძველზე წარმოადგენდა მ. ბ-ი, მ. ბ-ს მიჰყიდა უძრავი ქონება - თბილისში, ჭ-ის ქუჩა №4-ში მდებარე ბინა №7;

5. 2009 წლის 27 აპრილის სანოტარო აქტის თანახმად, ნოტარიუსი ნ. ხ-ა გამოცხადდა კლინიკა „მედულაში“ და გ. ხ-ის თხოვნით, მოწმეების – მ. ვ-ას, მ. ყ-სა და მ. მ-ის თანდასწრებით, ლ. ა-ას ხელმოწერით (ვინაიდან გ. ხ-ს ედგა გადასხმის სისტემა და არ შეეძლო ხელის მოწერა) გააუქმა 2009 წლის 16 აპრილს ნოტარიუს ქ. ჩ-ის მიერ გაცემული საკუთრების მინდობის ხელშეკრულება №090052397;

6. გ. ხ-ი გარდაიცვალა 2009 წლის 1 მაისს;

7. ვერ იქნა დადასტურებული ის გარემოება, რომ 2009 წლის 16 აპრილის საკუთრების მინდობის შესახებ ხელშეკრულების დადებისას ადგილი ჰქონდა მ. ბ-ის მიერ საკუთრების მიმდობის – გ. ბ-ის მოტყუებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). განსახილველ შემთხვევაში, ზემოაღნიშნული ფაქტობრივი გარემოებების მიმართ, რაც სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, დასაბუთებული პრეტენზია წამოყენებული არ არის.

დადგენილი გარემოებების მხედველობაში მიღებით საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს დასკვნები, რომელთა შესაბამისად, სადავო ჩუქებისა და ნასყიდობის ხელშეკრულებები წარმოადგენს ზნეობისა და კანონის სანინააღმდეგო გარიგებებს, ვინაიდან არ შეესაბამება ამ ხელშეკრულებებით განკარგული ქონების მესაკუთრის ნებასა და მის ინტერესებს.

გამომდინარე იქედან, რომ 2009 წლის 22 აპრილის ჩუქებისა და ნასყიდობის ხელშეკრულებებით ქონების განკარგვა განხორციელდა მესაკუთრის – გ. ხ-ის მიერ გაცემული საკუთრების მინდობის შესახებ სანოტარო აქტის საფუძველზე, მათთან მიმართებით მესაკუთრის ნება სწორედ დასახელებული სანოტარო აქტის შინაარსიდან, იურიდიული მნიშვნელობიდან გამომ-

დინარე უნდა შეფასდეს.

სამოქალაქო კოდექსის 103-ე მუხლის შესაბამისად, გარიგება შეიძლება დაიდოს წარმომადგენლის მეშვეობითაც. წარმომადგენლის უფლებამოსილება ან კანონიდან გამომდინარეობს ანდა წარმოიშობა დავალების (მინდობილობის) საფუძველზე. სამოქალაქო კოდექსის 107-ე მუხლის მიხედვით, უფლებამოსილების (რწმუნებულების) მიცემა ხდება რწმუნებულის ან იმ მესამე პირის მიმართ ნების გამოვლენით, რომელთანაც უნდა შედგეს წარმომადგენლობა. სამოქალაქო კოდექსის 104-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, იმ გარიგებით, რომელსაც წარმომადგენელი დებს თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, და იმ პირის სახელით, რომელსაც იგი წარმოადგენს, უფლებები და მოვალეობები წარმოეშობა მხოლოდ წარმოდგენილ პირს.

სამოქალაქო კოდექსის 709-ე მუხლის შესაბამისად, დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია, შეასრულოს მისთვის დავალებული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე.

სამოქალაქო კოდექსის 724-ე მუხლის მიხედვით, საკუთრების მინდობის ხელშეკრულებით საკუთრების მიმდობი გადასცემს ქონებას მინდობილ მესაკუთრეს, რომელიც იღებს და მართავს მას საკუთრების მიმდობის ინტერესების შესაბამისად. ამავე კოდექსის 725-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მინდობილი მესაკუთრე მოვალეა, მართოს მინდობილი საკუთრება თავისი სახელით, მაგრამ საკუთრების მიმდობის რისკითა და ხარჯით.

დასახელებული ნორმების შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმომადგენლობითი უფლებამოსილება შეიძლება არსებობდეს დავალების ან საკუთრების მინდობის საფუძველზე ან მათ გარეშე. საკუთრების მინდობა, თავისი კლასიკური არსითა და დანიშნულებით, გულისხმობს მინდობილი პირის უფლებასა და ვალდებულებას, მართოს მინდობილი ქონება თავისი სახელით, თუმცა, მინდობილი მესაკუთრის ინტერესების შესაბამისად. საკუთრების მინდობა დავალების ხელშეკრულების ერთ-ერთი სახესხვაობაა იმ თავისებურებით, რომ საკუთრების მინდობის დროს დავალების არსი მდგომარეობს მინდობილი ქონების მართვაში. დავალების ხელშეკრულება კი მიეკუთვნება იმ ხელშეკრულებათა ტიპს, რომელიც დაკავშირებულია სამუშაოს შესრულებასთან. დავალებისა და საკუთრების მინდობის ხელშეკრულება ხასიათდება ერთი მთავარი საერთო თავისებურებით, კერძოდ, სამართალურთიერთობის სუ-

ბიექტი სხვა მესამე პირი არ არის. სამართალურთიერთობა ყალიბდება ერთ შემთხვევაში საკუთრების მიმდობსა და მინდობილ მესაკუთრეს შორის, ხოლო მეორე შემთხვევაში – მარნმუნებელსა და რნმუნებულს შორის. მოცემულ შემთხვევაში, გ. ხ-მა 2009 წლის 16 აპრილის სანოტარო აქტით ცალმხრივად გამოხატა ნება, მ. ბ-ის მიენიჭებინა კუთვნილი უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის უფლებამოსილება. აღნიშნული მინდობილობის სიტყვა-სიტყვითი, ლოგიკური და შინაარსობრივი განმარტების შედეგად, სახეზეა შერეული ტიპის გარიგება, რომელიც ქონების მართვის უფლებამოსილების მინიჭების ნაწილში წარმოადგენს საკუთრების მინდობას და შესაბამისად, ამ ნაწილის შესაბამისად განხორციელებული ქმედებები უნდა იქნეს დარეგულირებული სამოქალაქო კოდექსის 724-729-ე მუხლებით. თუმცა მოცემულ შემთხვევაში სადავო სამართალურთიერთობა ეხება არა ქონების მართვის ნაწილში განხორციელებულ მოქმედებას, არამედ ქონების განკარგვასთან მიმართებით დადებული გარიგებების ნამდვილობას. შესაბამისად, წარმოშობილი სადავო სამართალურთიერთობის კანონის შესაბამისად მონესრიგების მიზნებისათვის მნიშვნელოვანია, ქონების გასხვისების უფლებამოსილების მინიჭების ნაწილში სამართალურთიერთობის სწორად კვალიფიკაცია. ამ მხრივ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დავალების ხელშეკრულებისა და მინდობილობის თავისებურებანი. დავალების ხელშეკრულებისაგან განსხვავებით მინდობილობა მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის უზრუნველყოფად წარმოდგენილსა და მესამე პირს შორის და ემსახურება წარმომადგენლის უფლებამოსილების დადასტურებას. წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მინიჭება და დავალების ხელშეკრულების დადება – ეს ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი სამართალურთიერთობაა. დავალების ხელშეკრულების საფუძველზე ცალკეული მოქმედების შესასრულებლად შეიძლება გაიცეს მინდობილობა. შეიძლება არ დაიდოს დავალების ხელშეკრულება და გაიცეს მინდობილობა, ან პირიქით – დაიდოს დავალების ხელშეკრულება და არ გაიცეს მინდობილობა. ამდენად, მინდობილობას შეიძლება საფუძვლად დაედოს ან არ დაედოს დავალების ხელშეკრულება. სამოქალაქო კოდექსის 709-723-ე მუხლებით განსაზღვრული ნორმებიდან გამომდინარე, დავალების ხელშეკრულება ითვალისწინებს მარნმუნებელსა და რნმუნებულს შორის ორმხრივი უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობას. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა მარნმუნებლის მიერ ცალმხრივად გამოხატული ნება, რომელიც მიმართულია, მესამე პირ-

თა წინაშე დაადასტუროს რწმუნებულის უფლებამოსილება. შე-საბამისად, ადგილი აქვს მინდობილობის საფუძველზე წარმო-შობილ სამართალურთიერთობას, რომელიც წესრიგდება სამო-ქალაქო კოდექსის 103-114-ე მუხლებით. დასახელებული ნორ-მების შესაბამისად, მარწმუნებლის მიერ გამოხატული ნება, წარმომადგენელმა მისი სახელით განახორციელოს გარკვეული ქმედება, წარმოშობს წარმომადგენლის შესაბამის უფლებამო-სილებას.

საქმეზე დადგენილი გარემოებების მიხედვით, 2009 წლის 16 აპრილის სანოტარო აქტში ნათლად არის გადმოცემული გ. ხ-ის ნება, რომლის შესაბამისად, მან მ. ბ-ს მიანიჭა კუთვნილი ქონების ნებისმიერი ფორმით განკარგვის, მათ შორის, თავის თავზე გადაფორმების უფლებამოსილება. ამგვარად ჩამოყალი-ბებული ნების შინაარსიდან გამომდინარე, წარმომადგენლის უფლებამოსილება ქონების განკარგვასთან დაკავშირებით შე-უზღუდავია და ვერ იქნება მიჩნეული დამოკიდებულად რაიმე სახის პირობაზე. უფლებამოსილების მინიჭების ინტერესი შე-იძლება გამომდინარეობდეს მარწმუნებელსა და წარმომადგე-ნელს შორის არსებული როგორც პირადი, ასევე სახელშეკრუ-ლებო ურთიერთობიდან, რომლის დადგენა არ წარმოადგენს არ-სებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტორს მინდობილობიდან გა-მომდინარე უფლებამოსილების შეფასებისას. არამედ არსები-თია მარწმუნებლის ნების ნამდვილობა, რომლის არსებობის პი-რობებში ივარაუდება, რომ წარმომადგენლის მიერ თავისი უფ-ლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული მოქმედებე-ბი შეესაბამება მარწმუნებლის ინტერესებს. სწორედ ამგვარი პრეზუმცია გამომდინარეობს კანონიდან, რომელიც თითქმის გაუბათილებელია და უზრუნველყოფს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობას. მარწმუნებლის ინტერესების შესაბამისად გან-ხორციელებული კანონით აუკრძალავი ქმედების ამორალურად მიჩნევაზე პრეტენზია კი დაუსაბუთებელია და ვერ იქნება გა-ზიარებული.

როგორც განიმარტა, მინდობილობის გაცემასთან დაკავში-რებული სამართალურთიერთობა დამოუკიდებელია მარწმუნე-ბელსა და რწმუნებულს შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობისაგან. მინდობილობა თუ ადასტურებს წარმომად-გენლის უფლებამოსილებას, მარწმუნებლის სახელით განახორ-ციელოს გარკვეული ქმედება, დავალება არეგულირებს ურთი-ერთობას მარწმუნებელსა და რწმუნებულს შორის. მოცემულ შემთხვევაში 2009 წლის 16 აპრილის სანოტარო აქტის სახით სახეზეა სხვადასხვა ტიპის გარიგებების სინთეზი, რომელიც სა-

კუთრების განკარგვის უფლებამოსილების მინიჭების ნაწილში მინდობილობა და არ ითვალისწინებს მარნმუნებულსა და რწმუნებულს შორის კონკრეტული სახის დავალებასთან არსებული სამართალური თვითობის არსებობას. ასეთის არსებობის შემთხვევაში რწმუნებულის მხრიდან მარნმუნებულის მიმართ არსებული ვალდებულების დარღვევა გავლენას ვერ მოახდენდა მინდობილობით განსაზღვრული უფლებამოსილების ნამდვილობაზე. ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დარღვევა კრედიტორს ანიჭებს მისგან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, რაც არ წარმოადგენს წინამდებარე დავის საგანს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე პალატა თვლის, რომ არ არსებობს 2009 წლის 16 აპრილის მინდობილობით განსაზღვრული უფლებამოსილების საფუძველზე 2009 წლის 22 აპრილს გაფორმებული ჩუქებისა და ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობის საფუძველი, რის გამოც შესაბამის ნაწილში უნდა დაკმაყოფილდეს მ. ბ-ის საკასაციო საჩივარი, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ქ. ტ-სა და ს. ა-ს უარი ეთქვას სარჩელების დაკმაყოფილებაზე.

2009 წლის 22 აპრილის ხელშეკრულებების ნამდვილობის პირობებში მ. ბ-ს არ გააჩნია გ. ხ-ის 2009 წლის 21 აპრილის ანდერძის ბათილობის მოთხოვნის მიმართ ინტერესი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 180-ე მუხლის შესაბამისად, აღიარებით სარჩელის დასაბუთებულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა შედეგის მოტანა შეუძლია მას მოსარჩელისათვის. მოცემულ შემთხვევაში სადავო ანდერძი გავლენას არ ახდენს მ. ბ-ის უფლებრივ მდგომარეობაზე. ამდენად, არ არსებობს ანდერძის ბათილად ცნობის თაობაზე კასატორის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველი. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება, ვინაიდან საქმეში არ არის მტკიცებულება, რომელიც სააპელაციო სასამართლოს არ შეუფასებია, ასევე ფაქტობრივი გარემოებები დადგენას არ საჭიროებს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარ-

ჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს მოთხოვნის დაკმაყოფილებული ნაწილის პროპორციულად. აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარე, იმის გათვალისწინებით, რომ მ. ბ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა 2009 წლის 22 აპრილის ჩუქებისა და ნასყიდობის ხელშეკრულებების ბათილად ცნობაზე უარის თქმის მოთხოვნის ნაწილში, და დასახელებული მოთხოვნის ღირებულების – 40 000 ლარის შესაბამისად მ. ბ-ის მიერ ბაჟი გადახდილია საკასაციო საჩივრისათვის 2000 ლარის ოდენობით, მონინალმდევე მხარეებს მ. ბ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროთ 2000 ლარის ანაზღაურება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. მ. ბ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც დაკმაყოფილდა ქ. ტ-ის სარჩელი გ. ხ-სა (წარმოდგენილი მ. ბ-ის მიერ 2009 წლის 16 აპრილის სანოტარო აქტის საფუძველზე) და მ. ბ-ს შორის 2009 წლის 22 აპრილს დადებული მოძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულების (რეესტრში რეგისტრაციის №090058035) ბათილად ცნობისა და მ. ბ-ის მფლობელობიდან მოძრავი ნივთების გამოთხოვის თაობაზე (მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტები), ასევე ს. ა-ის სარჩელი გ. ხ-სა (წარმოდგენილი მ. ბ-ის მიერ 2009 წლის 16 აპრილის სანოტარო აქტის საფუძველზე) და მ. ბ-ს შორის 2009 წლის 22 აპრილს დადებული უძრავი ქონების (საკადასტრო ნომერი ...) ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე (მე-6 და მე-7 პუნქტები) და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. ქ. ტ-ის სარჩელი გ. ხ-სა (წარმოდგენილი მ. ბ-ის მიერ 2009 წლის 16 აპრილის სანოტარო აქტის საფუძველზე) და მ. ბ-ს შორის 2009 წლის 22 აპრილს დადებული მოძრავი ქონების ჩუქების ხელშეკრულების (რეესტრში რეგისტრაციის №090058035) ბათილად ცნობისა და მ. ბ-ის მფლობელობიდან მოძრავი ნივთების გამოთხოვის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;
4. ს. ა-ის სარჩელი გ. ხ-სა (წარმოდგენილი მ. ბ-ის მიერ 2009

წლის 16 აპრილის სანოტარო აქტის საფუძველზე) და მ. ბ-ს შორის 2009 წლის 22 აპრილს დადებული უძრავი ქონების (საკადასტრო ნომერი ...) ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს;

5. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;

6. ქ. ტ-სა და ს. ა-ს მ. ბ-ის სასარგებლოდ დაეკისროთ ამ უკანასკნელის საკასაციო საჩივრისათვის გადახდილი ბაჟის ანაზღურება 2000 ლარის ოდენობით;

7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **გარანტის უარი პენეფიციარის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე**

### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო**

№ას-1595-1498-2012

1 ნოემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა**  
შემადგენლობა: ვ. როინიჭვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ქ.ქუთაისის მერიამ სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „ს.კ.ჯ. პ. ა.პ-ის“ მიმართ, 2012 წლის 11 იანვარს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №41 ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო, 2012 წლის 18 იანვარს გაცემული №FG0194/12 საბანკო გარანტიით განსაზღვრული საავანსო თანხის – 10000 ლარის დაკისრების მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

2012 წლის 11 იანვარს თვითმმართველ ქ.ქუთაისის მერიასა და შპს „ე-ს“ შორის დადებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების

მიზნით, 2012 წლის 18 იანვარს სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-მა“ გაცა საბანკო გარანტია, რომლის ოდენობაც განსაზღვრულია 10000 ლარით, ვადა – 2012 წლის 15 ივნისის ჩათვლით. შპს „ე-მა“ დადგენილ ვადაში სამუშაოების შესრულება ვერ უზრუნველყო, რის გამოც 2012 წლის 15 ივნისს სამოქალაქო კოდექსის 877-ე მუხლის შესაბამისად, ფოსტის მეშვეობის წერილობით მიმართა მოსარჩელემ სადაზღვევო კომპანიას გარანტიით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურების შესახებ, რაც გარანტმა არ დააკმაყოფილა იმ საფუძვლით, რომ ბენეფიციარის მოთხოვნა მას 2012 წლის 18 მაისს ჩაბარდა. მოსარჩელის განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, მას არ დაურღვევია გარანტიის მოქმედების ვადა, რაც სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველია.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით მოითხოვა:

მოსარჩელის მოთხოვნა უსაფუძვლოა და არ გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლის მე-2 ნაწილის დისპოზიციიდან, რადგანაც საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა იწურებოდა 2012 წლის 15 მაისს, ხოლო თანხის ანაზღაურების მოთხოვნა ბანკს გადაეცა 2012 წლის 18 მაისს. აღნიშნული არ წარმოშობს გარანტის ვალდებულებას თანხის ანაზღაურებაზე სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილის, 879-ე და 885-ე მუხლების მოთხოვნებიდან, რადგანაც მოთხოვნის მომენტი სათვის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა უკვე გასული იყო. მოპასუხე არ დაეთანხმა ასევე ქუთაისის მერიის მითითებას სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლზე, იმ საფუძვლით, რომ ამავე კოდექსის 1-ლი მუხლიდან გამომდინარე, საპროცესო ნორმით მატერიალური ურთიერთობის რეგულირება დაუშვებელი, საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურების მოთხოვნა კი ნამდვილია მას შემდეგ, როდესაც უფლებამოსილ პირს მიუვა კრედიტორის ნება, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლისა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილებით ქ.ქუთაისის მერიის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 3 აგვისტოს გადაწყვეტილება და ქალაქ ქუთაისის მერიის სარჩელი დაკმაყოფილდა, სს „ს. კ.ჯ.

პ.ა. ჰ-ს“ ქალაქ ქუთაისის მერიის სასარგებლოდ დაეკისრა 10 000 ლარის გადახდა შემდეგი დასაბუთებით:

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2012 წლის 18 იანვარს შპს „ე-სა“ სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-ს“ შორის გაფორმდა საბანკო გარანტიის ხელშეკრულება (№FG0194/12) 10 000 ლარზე. აღნიშნული საბანკო გარანტიით უზრუნველყოფილ იქნა 2012 წლის 11 იანვარს ქ.ქუთაისის მერიასა და შპს „ე-ს“ შორის გაფორმებული №41 ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, შპს „ე-მა“ იკისრა ვალდებულება, ქალაქ ქუთაისში ლ.მ-ის დრამატული თეატრისათვის შეესყიდა სკამები (400 ერთეული) სახელშეკრულებო თანხით 99 999 ლარი. 2012 წლის 18 იანვრის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადად განისაზღვრა 2012 წლის 15 მაისი. შპს „ე-მა“ ხელშეკრულების პირობები დაარღვია, რაც მომსახურების განევის ვადების გადაცილებაში გამოიხატა. 2012 წლის 15 მაისის ქ.ქუთაისის მერიამ №01-01-20/1112 წერილით მიმართა სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-ს“ საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის – 10 000 ლარის ჩარიცხვის მოთხოვნით, რომელიც მოპასუხეს გაეგზავნა ფოსტის მეშვეობით. ქუთაისის მერიის 2012 წლის 15 მაისის №01-01-20/1112 წერილი სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-ს“ ჩაბარდა 18 მაისს, რის გამოც, მოსარჩელეს უარი ეთქვა ვალდებულების შესრულებაზე.

დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით, პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 887-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, ამავე კოდექსის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილით და აღნიშნა შემდეგი: ქ.ქუთაისის მერიამ 2012 წლის 15 მაისის №01-01-20/1112 წერილით მიმართა სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-ს“ საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის – 10 000 ლარის ჩარიცხვის მოთხოვნით, რომელიც მოპასუხეს იმავე დღეს, 2012 წლის 15 მაისს გაეგზავნა ფოსტის მეშვეობით, რის გამოც გაზიარებულ იქნა აპელანტის მოსაზრება, რომ მისი (ბენეფიციარის) მოთხოვნა გარანტს („ჯ.პ. ა. ჰ-ს“) წარედგინა გარანტიით განსაზღვრული ვადის დამთავრებამდე – 2012 წლის 15 მაისს, რადგან ქალაქ ქუთაისის მერის 2012 წლის 15 მაისის №01-01-20/1112 წერილი საქართველოს ფოსტას ჩაჰბარდა იმავე დღეს – 2012 წლის 15 მაისს.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „ჯ. პ. ა. ჰ-ს“, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ სადავო სამართალურთიერთო-

ბის რეგულირებისათვის ანალოგიის წესის არასწორად გამოყენების გზით არასწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილით. სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და ამ ბრუნვაში ჩართულ პირთა ინტერესების დაცვის მიზნით, მატერიალური კანონმდებლობა, მართალია, ითვალისწინებს ისეთ რეგულაციებს, როგორცაა კანონისა და სამართლის ანალოგია, თუმცა ამავდროულად ადგენს მათი გამოყენების წესსა და წინაპირობებს. ანალოგიის გამოყენების უფლება არ ნიშნავს იმას, რომ სასამართლოს უფლება აქვს, კერძოსამართლებრივი ურთიერთობის რეგულირებისას ანალოგიით გამოიყენოს პროცესუალური საკითხის მომწესრიგებელი საპროცესო სამართლის ნორმა. სასამართლოს მსჯელობა არ მომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლის, მით უფრო, ამავე ნორმის მე-3 ნაწილიდან, რადგანაც კონკრეტულ შემთხვევაში, არსებობს სადავო სამართალურთიერთობის მომწესრიგებელი ნორმა – სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლი, შესაბამისად, გამოირიცხება სამართლის ანალოგიის გამოყენების შესაძლებლობა. მოცემულ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია იმის გარკვევა, თუ როდის უნდა მოხვედრილიყო ქუთაისის მერის მიერ გამოვლენილი ნება, მიმღების – სს „კ. ჯ. პ. ა-ის“ გავლენის სფეროში. ნება და მისი ფორმირება ის უხილავი პროცესია, რომელიც უნდა გაცხადდეს და გამოვლინდეს, იმისათვის, რომ სხვა პირებისათვის იგი გახდეს შეცნობადი. სამართლებრივ შედეგებზე მიმართული ნება გამოხატულებას მხოლოდ გამოვლენებაში პოულობს. ნების გამოვლენით სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის შეიძლება საკმარისი იყოს მონაწილის ცალმხრივი ნება ან აუცილებელი იყოს მონაწილეთა გაერთიანებული ნება. ამასთან, მიღებასავალდებულო ნების გამოვლენისას საკმარისი არ არის მისი მხოლოდ გაცხადება, აუცილებელია ადრესატის მიერ მისი მიღება. ამაში იგულისხმება ის, რომ ადრესატს უნდა ჰქონდეს მისი შინაარსის გაცნობის რეალური შესაძლებლობა. სწორედ ამ ვალდებულებას ამკვიდრებს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლი, რომლის თანახმად, მიღებასავალდებულო ნების ნამდვილობისას აუცილებელია: ა) ნების გამოვლენა მისი გამოხატველის ძალაუფლების სფეროდან უნდა გადავიდეს მისი მიმღების ძალაუფლების სფეროში; ბ) მიმღებს უნდა ჰქონდეს მისი შინაარსის გაცნობის რეალური შესაძლებლობა. ნების გამოვლენის ამგვარი მოწესრიგებისას ხდება ნების ნამდვილობასთან დაკავშირებული რისკების განაწილება იმგვარად, რომ ნების გამოვლენი თავად განსაზღვრავს გადაცემის სახესა და საშუალებებს და მასვე აწევს იმის რისკი, რომ

ნება არ მიუვა ან დაგვიანებით არ მიუვა ადრესატს. მიმღებს კი აწვევს რისკი, რომ იგი მისი გავლენის სფეროში მოხვედრილ ნებას რეალურად, დაგვიანების გარეშე გაეცნობა. დროის ფაქტორის მნიშვნელობა კერძო სამართლის უმნიშვნელოვანეს პრინციპს წარმოადგენს, რომლის ნათელი გამოვლინებაც ხანდაზმულობის ვადებითაა ასახული, რომელთა გაშვებაც პირის კანონიერი უფლების გაქარწყლებას იწვევს.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სასამართლომ ნების მიმტანად მიიჩნია პირი, რომელიც სადავო ურთიერთობაში არ მონაწილეობდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების საფუძველზე. ფოსტა არ იყო აღჭურვილი მიმღების წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით და მოქმედებდა მხოლოდ ნების მიმტანის სტატუსით. ფოსტისათვის მოთხოვნის გადაცემით, იგი ვერ მოექცეოდა სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-ის“ გაცნობის შესაძლებლობის ფარგლებში და სადაზღვევო კომპანიას არ ჰქონდა ნების შინაარსის გაცნობის რაიმე შესაძლებლობა. მხარეებს შორის გაფორმებული იყო საბანკო გარანტიის ხელშეკრულება, რომელიც მოქმედებდა 2012 წლის 15 მაისამდე. მხარეთა მიერ ხელშეკრულების დადება ნიშნავს ხელშეკრულებით ნაკისრი უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობას, ანუ მხარეთა მოქცევას სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში, გამომდინარე სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დანაწესიდან. მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული მოთხოვნის უფლების რეალიზაცია მხოლოდ ხელშეკრულების მოქმედების ვადაში შეუძლია, ამის შემდეგ კი, მოვალის კვლავ სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში მოქცევა შეუსაბამოა კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში დამკვიდრებულ სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და ხელშეკრულების დადებისას მხარეთა ნების თავისუფლად გამოხატვის პრინციპთან. სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლის მე-2 ნაწილი პირდაპირ განსაზღვრავს, თუ როდის უნდა წარედგინა ქუთაისის მერიას მოთხოვნა და ეს ვადა ამოიწურა გარანტიით განსაზღვრული ვადის დამთავრებისთანავე – 2012 წლის 15 მაისს. უდავოა, რომ ქუთაისის მერიას ნების გამოვლენა დათქმულ ვადებში არ განუხორციელებია, რაც სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველია, ამასთანავე, სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 8 იანვრის განჩინებით სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-ის“ საკასაციო საჩივარი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის

391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა მხარეთა დაუსწრებლად, თანახმად ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილისა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-ის“ საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სააპელაციო პალატამ დაადგინა საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, რომლებზეც კასატორს პრეტენზია არ წარმოუდგენია, შესაბამისად, სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ გარემოებებს საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულო ძალა გააჩნიათ, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილისა. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით კი დადგენილია შემდეგი:

2012 წლის 11 იანვარს ქ.ქუთაისის მერიასა და შპს „ე-ს“ შორის გაფორმებული №41 ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც შპს „ე-მა“ იკისრა ვალდებულება, ქალაქ ქუთაისში, ლ.მ-ის სახელობის დრამატული თეატრისათვის 99 999 ლარად შეესყიდა და 400 ერთეული სკამი.

2012 წლის 11 იანვრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულების უზრუნველსაყოფად, შპს „ე-სა“ და სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-ს“ შორის 2012 წლის 18 იანვარს გაფორმდა საბანკო გარანტიის ხელშეკრულება.

ხელშეკრულების თანახმად, გარანტიის ოდენობა განისაზღვრა 10 000 ლარით, ხოლო მისი მოქმედების ბოლო ვადად – 2012 წლის 15 მაისი.

შპს „ე-მა“ 2012 წლის 11 იანვრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები დაარღვია, კერძოდ, გადააცილა მომსახურების განწევის ვადები.

2012 წლის 15 მაისის ქ.ქუთაისის მერიამ №01-01-20/1112 წერილით მიმართა სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-ს“ და მოითხოვა საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის – 10 000 ლარის ჩარიცხვა.

2012 წლის 15 მაისის წერილობითი მიმართვა მოპასუხეს გავგზავნა ფოსტის მეშვეობით და ადრესატს ჩაბარდა ამავე წლის 18 მაისს, რის გამოც სს „ს.კ. ჯ. პ. ა. ჰ-მა“ უარი განაცხადა საბან-

კო გარანტიით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაზე.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, უდავოა, რომ მხარეთა შორის წარმოშობილი ურთიერთობა წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 879-ე მუხლით გათვალისწინებულ ურთიერთობას, სადაც მოსარჩელე – ქ.ქუთაისის მერია მიიჩნევა ბენეფიციარად, შპს „ე-ი“ – პრინციპალად, ხოლო სს „ს.კ. ჯ. პ. ა. ჰ-ი“ – გარანტად.

სამოქალაქო კოდექსის 885-ე მუხლით განსაზღვრულია საბანკო გარანტიით გათვალისწინებული შესრულების წინაპირობები და ნორმის მე-2 ნაწილით იმპერატიულადაა დადგენილი, რომ ბენეფიციარის მოთხოვნა უნდა წარედგინოს გარანტს გარანტიით განსაზღვრული იმ ვადის დამთავრებამდე, რა ვადითაც იგი გაცა, წინააღმდეგ შემთხვევაში გარანტი თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან (სკ 887.1 მუხლი).

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურების მოთხოვნის თაობაზე ბენეფიციარმა ნება ხელშეკრულების მოქმედების ვადის უკანასკნელ დღეს – 2012 წლის 15 მაისს გამოხატა წერილობით, თუმცა მოთხოვნა მან სს „საქართველოს ფოსტის“ მეშვეობით გაუგზავნა გარანტს, ხოლო ამ უკანასკნელს დოკუმენტი 2012 წლის 18 მაისს გადაეცა.

სააპელაციო პალატის დასკვნით ქ.ქუთაისის მერიას არ დაურღვევია ვალდებულების დარღვევის თაობაზე გარანტის ინფორმირების ვადა. სასამართლომ ეს დასკვნა დაამყარა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილს და ჩათვალა, რომ სადავო ურთიერთობის მარეგულირებელი სპეციალური ნორმის არარსებობის პირობებში ურთიერთობის რეგულირება დასაშვებია იყო საპროცესო კანონმდებლობის ნორმის ანალოგიის გზით გამოყენებით. ის გარემოება, რომ ფოსტას ბენეფიციარის ნება საბანკო გარანტიის მოქმედების ვადაში ჩაბარდა სასამართლომ გარანტიით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებისათვის საკმარის საფუძვლად მიიჩნია.

განსახილველ შემთხვევაში, სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-ი“ არ ეთანხმება სასამართლოს ზემოაღნიშნულ მსჯელობას და მიიჩნევს, რომ მან დაარღვია კანონი, კერძოდ, არასწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის მე-5 და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 61-ე მუხლებით, ამასთანავე, არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლი და არასწორად არ გაითვალისწინა,

რომ ქ.ქუთაისის მერიის ნება ნამდვილად მიიჩნეოდა ადრესატისათვის მისი მისვლის მომენტიდან, კონკრეტულ შემთხვევაში – 2012 წლის 18 მაისიდან, როდესაც უკვე გასული იყო საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა.

საკასაციო პალატა სავესებით იზიარებს სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-ის“ ზემოაღნიშნულ მოსაზრებას და თვლის, რომ იგი სწორედ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ დასაბუთებულ საკასაციო პრეტენზიას წარმოადგენს.

ამდენად, საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს გასაჩივრებულს გადაწყვეტილების შეფასებას ბენეფიციარის მიერ შეტყობინების ვადის დაცვის თაობაზე და პირველ ყოვლისა, ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის პირველი ნაწილით კანონმდებელმა განსაზღვრა ამ კოდექსის მოქმედების სფერო. დასახელებული ნორმით დადგენილია, რომ საპროცესო კანონმდებლობის ნორმა არეგულირებს მხოლოდ სასამართლოში საქმის განხილვის წესებს. ამდენად, მატერიალურ-სამართლებრივ ურთიერთობებთან მიმართებაში სამოქალაქო საპროცესო კოდექსი სპეციალურ კანონს წარმოადგენს და ამ ურთიერთობების რეგულირების მიზნით მათი ანალოგიის გზით გამოყენება ეწინააღმდეგება მოქმედი კანონმდებლობის პრინციპებს (სკ 5.3 მუხლი). აღნიშნულიდან გამომდინარე, ვადის უკანასკნელი დღის ოცდაოთხ საათამდე ფოსტისათვის დოკუმენტის ჩაბარების გათანაბრება საბანკო გარანტიის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დაცვასთან სამართლებრივ დასაბუთებასაა მოკლებული.

პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმადაც, გარანტმა უარი უნდა უთხრას ბენეფიციარს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, თუ ეს მოთხოვნა ან თანდართული დოკუმენტები არ შეესაბამება გარანტიის პირობებს, ანდა ისინი წარედგინა გარანტს გარანტიით განსაზღვრული ვადის დამთავრების შემდეგ. გარანტმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს ბენეფიციარს მისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ. დასახელებული ნორმით რეგლამენტირებულია საბანკო გარანტიით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისაგან გარანტის გათავისუფლების პირობები, რომელთაგან ერთ-ერთს წარმოადგენს მოთხოვნის წარდგენა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის დარღვევით. კანონმდებელი ნების ნამდვილობას უკავშირებს ობიექტურ ფაქტორს – გარანტის წინაშე მის

გამოვლენას ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის დაცვით, ანუ ნების ნამდვილობა პირდაპირ კავშირშია ადრესატის მიერ მისი მიღების ობიექტურ შესაძლებლობასთან. ასეთ ვითარებაში კი, ურთიერთობის მარეგულირებლად გვევლინება სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლის 1-ლი ნაწილი, რომლის თანახმადაც ნების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს მეორე მხარის მიერ მის მიღებას, ნამდვილად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როცა იგი მეორე მხარეს მიუვა.

განსახილველ შემთხვევაში, მართალია, ბენეფიციარმა ნება ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გამოავლინა (ვადის უკანასკნელ დღეს), თუმცა ეს ნება ნამდვილად საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ – 2012 წლის 18 მაისს იქცა, მაშინ, როდესაც ობიექტურად მიუვიდა გარანტს. თავის მხრივ, პალატა ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ ვადის უკანასკნელ დღეს შეტყობინების ფოსტის მეშვეობით გაგზავნის რისკის მატარებლად სწორედ ნების გამომვლენი მიიჩნევა და არა ნების ადრესატი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სააპელაციო პალატამ სამართლის ნორმის არასწორი განმარტების გზით არასწორად დააკმაყოფილა ქ.ქუთაისის მერიის სარჩელი, რის გამოც არსებობს ამ გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი (სსსკ 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი), ხოლო იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ, მოცემულ შემთხვევაში, სწორად იქნა დადგენილი დავის ფაქტობრივი გარემოებები, თუმცა არასწორი სამართლებრივი შეფასება მიეცა ამ გარემოებებს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო პალატა უფლებამოსილია, თავად მიიღოს გადაწყვეტილება წინამდებარე დავაზე:

როგორც უკვე აღინიშნა, შპს „ე-ის“ მიერ ქ.ქუთაისის მერიის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად გაცემული საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა ამოიწურა 2013 წლის 15 მაისს. უდავოა, რომ ზემოაღნიშნული ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის ანაზღაურების მოთხოვნა ბენეფიციარმა ფოსტას გადასცა ხელშეკრულების მოქმედების ვადის უკანასკნელ დღეს და ნება გარანტს მიუვიდა საბანკო გარანტიის მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, რაც სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-ს“, სამოქალაქო კოდექსის 887-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საბანკო გარანტიით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურების ვალდებულებისგან ათავისუფლებს.

სასამართლო ხარჯებთან დაკავშირებით საკასაციო პალა-

ტა ყურადღებას გაამახვილებს შემდეგზე:

საქმის მასალებით დადგენილია, რომ „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „უ“ ქვეპუნქტით ქ.ქუთაისის მერია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია, ამდენად, პირველსა და სააპელაციო ინსტანციების სასამართლოში საქმის განხილვასთან დაკავშირებით სახელმწიფო ბაჟი მას არ უნდა დაეკისროს (სსსკ 55-ე მუხლი), რაც შეეხება მხარეთა შორის სასამართლო ხარჯების განაწილების საკითხს, პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმადაც, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით დადგენილია, რომ აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან საკასაციო პალატის წინამდებარე გადაწყვეტილებით სრულად დაკმაყოფილდა სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-ის“ საკასაციო საჩივარი, ხოლო ქ.ქუთაისის მერიას უარი ეთქვა სარჩელის დაკმაყოფილებაზე, პალატა თვლის, ქ.ქუთაისის მერიას კასატორის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელი მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟი 500 ლარი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 23 ოქტომბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.
3. ქ.ქუთაისის მერიის სარჩელი საბანკო გარანტიით გათვა-

ლისწინებული თანხის – 10 000 ლარის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.

4. ქ.ქუთაისის მერიას (ს/№212721170) სს „ს. კ. ჯ. პ. ა. ჰ-ის“ (ს/№...) სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 500 ლარის ანაზღაურება.

5. ქ.ქუთაისის მერია სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.

6. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

7. საკასაციო პალატის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **თავდების სოლიდარული პასუხისმგებლობა**

### **გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო**

№ას-1087-1018-2012

1 ნოემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
პ. ქათამაძე**

**დავის საგანი:** ლიზინგისა და ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

სს „თ. ლ-მა“ სარჩელი აღძრა სასამართლოში შპს „ი-ას“, ვ. ჩ-ის, გ. ფ-სა და ლ. მ-ის მიმართ და მოითხოვა: ა) შპს „ი-ას“, ვ. ჩ-ის, გ. ფ-სა და ლ. მ-ის 2007 წლის 22 აგვისტოს №186-358 ლიზინგის ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, სოლიდარულად ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი თანხისა და პირგასამტეხლოს – ყოველ ვადაგადაცვილებულ დღეზე 0.5%-ის, სულ 64 792 აშშ დოლარის დაკისრება; ბ) შპს „ი-ას“, გ. ფ-სა და ლ. მ-ის 2007 წლის 20 ნოემბრის №186-419 ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო, სოლიდარულად ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი თანხისა და პირგასამტეხლოს – 131 550 აშშ დოლარის დაკის-

რება; გ) „ი-ას“, გ. ფ-სა და ლ. მ-ის 2007 წლის 20 ნოემბრის №419-1 ნასყიდობის ხელშეკრულებისა და ამავე ხელშეკრულების საფუძველზე 2009 წლის 19 მარტის მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმებით გათვალისწინებული და მიუწოდებელი საგნის ნაწილის ღირებულების 57 319.68 აშშ დოლარის სოლიდარულად დაკისრება.

სს „თ. ლ-მა“, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ლ.მ-მა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სს „თ. ლ-ის“ გადაცემით, კრედიტორის მოთხოვნა ნაწილობრივ – 23 000 აშშ დოლარით დააკმაყოფილა, ამავე თანხით შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა და საბოლოოდ მოითხოვა შემდეგი: №186-419 ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შპს „ი-სა“ და გ. ფ-ის 116 150 აშშ დოლარის სოლიდარულად დაკისრება; №186-358 ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შპს „ი-ას“, ვ. ჩ-სა და გ. ფ-ის 57 192 აშშ დოლარის სოლიდარულად დაკისრება. 2007 წლის 20 ნოემბრის №419-01 ნასყიდობის ხელშეკრულებისა და ამავე ხელშეკრულების საფუძველზე 2009 წლის 19 მარტის მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმებით გათვალისწინებული და მიუწოდებელი ნასყიდობის საგნის ნაწილის ღირებულების – 57 319.68 აშშ დოლარის დაკისრების მოთხოვნაზე მოსარჩელეს უარი არ უთქვამს, ხოლო ლ. მ-ის, როგორც მოპასუხის მიმართ, იშუამდგომლა საქმის წარმოებით შეწყვეტის შესახებ, ვინაიდან მათ შორის შედგა შეთანხმება და ლ.მ-მა მისი კუთვნილი უძრავი ქონების მოსარჩელისათვის გადაცემით დააკმაყოფილა სს „თ. ლ-ის“ მოთხოვნა მისი თავდებობის პროპორციული წილის შესაბამისად.

სს „თ. ლ-ის“ სარჩელი ემყარება შემდეგს:

2007 წლის 22 აგვისტოს №186-358 ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის მიმღებმა შპს „ი-ამ“ იკისრა ვალდებულება, ლიზინგის საგნის მიღების სანაცვლოდ, სს „თ. ლ-ის“ წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად, 36 თვის განმავლობაში გადაეხადა ლიზინგის ღირებულება, ხოლო აღნიშნული ხელშეკრულების შესრულების თავდებობა სოლიდარულად იკისრეს ლ. მ-მა, გ. ფ-ემ და ვ. ჩ-მა. მიუხედავად ლიზინგის საგნის დროულად გადაცემისა, შპს „ი-ამ“ არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა, სრულყოფილად არ გადაიხადა შეთანხმებით გათვალისწინებული თანხა, 2008 წლის 11 ნოემბრის შემდგომ შეწყვიტა თანხის გადახდა. 2007 წლის 20 ნოემბრის №186-419 ლიზინგის ხელშეკრულებით ლიზინგის მიმღებმა შპს „ი-ამ“ ასევე იკისრა ვალდებულება ლიზინგის საგნის მიღების სანაცვლოდ სს „თ. ლ-ის“ წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის

შესაბამისად, 24 თვის განმავლობაში გადაეხადა ლიზინგის საფასური, ხოლო აღნიშნული ხელშეკრულების შესრულების თავდება სოლიდარულად იკისრეს ლ. მ-მა და გ. ფ-ემ. შპს „ი-ამ“ არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა, მან მხოლოდ ერთჯერადად 2009 წლის 16 აპრილს გადაიხადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ნაწილი – 79451.70 ლარი, რის შემდგომაც შეწყვიტა თანხის გადახდა და კვლავ არ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას. 2007 წლის 20 ნოემბრის №419-01 ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, შპს „ი-ამ“ (გამყიდველმა) იკისრა ვალდებულება, ხელშეკრულების პირობების სრული დაცვით სს „თ. ლ-ის“ გადაეცა 177123 აშშ დოლარის ღირებულების ქონება. ხელშეკრულების შესრულების თავდება სოლიდარულად იკისრეს ლ. მ-მა და გ. ფ-ემ. მიუხედავად ამ შეთანხმებისა, შპს „ი-ას“ შეთანხმებული ქონების სრულყოფილად არ მიუწოდებია შემძენისათვის. 2009 წლის 19 მარტს შპს „ი-სა“ და სს „თ. ლ-ს“ შორის გაფორმდა ურთიერთშეთანხმების აქტი ნასყიდობის თანხის ნაწილის დაბრუნების შესახებ, რომლის თანახმადაც შპს „ი-ამ“ იკისრა ვალდებულება, სახელშეკრულებო ქონების ნაწილის – 57 319.68 აშშ დოლარის სს „თ. ლ-ის“ დაბრუნების თაობაზე, თუმცა არც ეს ვალდებულება შეუსრულებია მოპასუხეს.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვეს შემდეგი საფუძვლებით:

შპს „ი-ამ“, გ. ფ-ემ და ვ. ჩ-მა 2007 წლის 22 აგვისტოს №186-358 ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის თაობაზე აღნიშნეს, რომ სასარჩელო მოთხოვნა ძირითადი თანხის გადახდის ნაწილში უნდა გაიქვითოს მათ მიერ განხორციელებული გადახდებისა და სალიზინგო საგნის ღირებულებიდან გამომდინარე, ხოლო პირგასამტეხლოს დაკისრების მოთხოვნის ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს ხანდაზმულობის გამო. ამავე საფუძვლებით მოითხოვეს 2007 წლის 20 ნოემბრის №186-419 ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შპს „ი-ამ“ და გ. ფ-ემ, ხოლო 2009 წლის 19 მარტს შპს „ი-სა“ და სს „თ. ლ-ს“ შორის ურთიერთშეთანხმების აქტით ნასყიდობის თანხის ნაწილის დაბრუნების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის სს „თ. ლ-ის“ დაბრუნების მოთხოვნის წინააღმდეგ თავდებებმა განმარტეს, რომ მათთვის 2009 წლის 19 მარტს გაფორმებული ხელშეკრულების არსებობის შესახებ უცნობი იყო, შესაბამისად, არ უკისრიათ თავდება აღნიშნული ხელშეკრულებით შპს „ი-ას“ მიერ ნაკისრი ვალდებუ-

ლების შესრულებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 11 მარტის გადაწყვეტილებით სს „თ. ლ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შპს „ი-სა“ და გ. ფ-ეს 2007 წლის 20 ნოემბრის №186-419 ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სს „თ. ლ-ის“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ სალიზინგო საზღაურისა და პირგასამტეხლოს – 93 953 აშშ დოლარის გადახდა, შპს „ი-ას“, გ. ფ-სა და ვ. ჩ-ს 2007 წლის 22 აგვისტოს №186-358 ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სს „თ. ლ-ის“ სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ სალიზინგო საზღაურისა და პირგასამტეხლოს – 31 123 აშშ დოლარის გადახდა, შპს „ი-სა“ და გ. ფ-ეს 2007 წლის 20 ნოემბრის №419-01 ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე სს „თ. ლ-ის“ სასარგებლოდ ასევე სოლიდარულად დაეკისრათ 57 319.68 აშშ დოლარის გადახდა.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება თავდებ პირთა მიმართ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით სააპელაციო წესით გაასაჩივრეს გ. ფ-ემ და ვ. ჩ-მა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით გ. ფ-სა და ვ. ჩ-ის სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 13 მარტის გადაწყვეტილება 2007 წლის 20 ნოემბრის №186-419, 2007 წლის 22 აგვისტოს №186-358 ლიზინგის ხელშეკრულებებიდან და 2007 წლის 20 ნოემბრის №419-01 ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების ვ. ჩ-სა და გ. ფ-ის სოლიდარულად დაკისრების ნაწილში და მათ მიმართ სს „თ. ლ-ს“ ეთქვა უარი სარჩელის დაკმაყოფილებაზე შემდეგი დასაბუთებით:

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2007 წლის 22 აგვისტოს, ერთი მხრივ, სს „თ. ლ-ს“, როგორც ლიზინგის გამცემს და, მეორე მხრივ, შპს „ი-ას“, როგორც ლიზინგის მიმღებს შორის გაფორმდა №186-358 ლიზინგის ხელშეკრულება, რომლითაც სს „თ. ლ-მა“ ვალდებულება აიღო, შეესყიდა შპს „ი-ას“ მიერ შერჩეული ლიზინგის საგანი და გადაეცა იგი შპს „ი-ის“. ლიზინგის მთლიანი ფასი განისაზღვრა 168 862,88 აშშ დოლარით, ხოლო პირგასამტეხლო შეთანხმდა ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის 0,5%-ით, მაგრამ არა უმეტეს მთლიანი ფასის 20%-სა. შპს „ი-ას“ მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულება უზრუნველყოფილ იქნა, ერთი მხრივ, ლ. მ-ს, გ. ფ-ეს, ვ. ჩ-სა და, მეორე მხრივ, სს „თ. ლ-ს“ შორის 2007 წლის 22 აგვისტოს დადებული თავდებობის ხელშეკრულებით, რომლითაც თავდებმა პირებ-

მა სამოქალაქო კოდექსის 895-ე მუხლის შესაბამისად, სოლიდარული პასუხისმგებლობა იკისრეს ლიზინგის მთლიანი ფასის – 168 862,88 აშშ დოლარის ფარგლებში, მათ შორის ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის გადასახდელი თანხების პირგასამტეხლოს ან ზიანის საერთო თანხის გადახდაზეც. 2007 წლის 20 ნოემბერს, ერთი მხრივ, სს „თ. ლ-ს“, როგორც ლიზინგის გამცემსა და, მეორე მხრივ, შპს „ი-ას“, როგორც ლიზინგის მიმღებს შორის გაფორმდა №186-419 ლიზინგის ხელშეკრულება, რომლითაც სს „თ. ლ-მა“ ვალდებულება აიღო, შეესყიდა შპს „ი-ას“ მიერ შეჩქეული ლიზინგის საგანი და გადაეცა იგი შპს „ი-ის“. ლიზინგის მთლიანი ფასი განისაზღვრა 207 366,80 აშშ დოლარით, ხოლო პირგასამტეხლო შეთანხმდა ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის 0,5%-ით, არა უმეტეს მთლიანი ფასის 20%-სა. შპს „ი-ას“ მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულება უზრუნველყოფილ იქნა, ერთი მხრივ, ლ. მ-ს, გ. ფ-სა და, მეორე მხრივ, სს „თ. ლ-ს“ შორის 2007 წლის 22 ნოემბრის თავდებობის ხელშეკრულებით, რომლითაც თავდებმა პირებმა სამოქალაქო კოდექსის 895-ე მუხლის შესაბამისად, სოლიდარული პასუხისმგებლობა იკისრეს, როგორც 2007 წლის 20 ნოემბრის №186-419 ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ლიზინგის მიმღების ვალდებულებებზე მთლიანი ფასის – 207 366,80 აშშ დოლარის ფარგლებში ისე, 2007 წლის 20 ნოემბრის №419-01 ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გამყიდველის ვალდებულებებზე, მთლიანი ფასის – 177 123 აშშ დოლარის ფარგლებში. მათ შორის, ლ. მ-სა და გ. ფ-ის, როგორც თავდები პირების პასუხისმგებლობა განისაზღვრა ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის გადასახდელი თანხების, პირგასამტეხლოს ან ზიანის საერთო თანხის გადახდაზეც. სს „თ. ლ-მა“ 2007 წლის 20 ნოემბრისა და 22 აგვისტოს №186-419 და №186-358 ლიზინგის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ლიზინგის საგნის გადაცემის ვალდებულება შეასრულა და შპს „ი-ას“ გადაეცა ლიზინგის შეთანხმებული საგნები. 2009 წლის 19 მარტს, ერთი მხრივ, სს „თ. ლ-ს“, როგორც მყიდველს და, მეორე მხრივ, შპს „ი-ას“, როგორც გამყიდველს შორის გაფორმდა „ურთიერთშეთანხმების აქტი, ნასყიდობის თანხის ნაწილის დაბრუნების შესახებ“, რომლის თანახმადაც, 2007 წლის 20 ნოემბრის №419-01 ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების არასრულად განხორციელების გამო, მხარეები შეთანხმდნენ ღირებულების ნაწილის – 57 319,68 აშშ დოლარის (დღგ-ს ჩათვლით), შპს „ი-ას“ მიერ სს „თ. ლ-ის“ 2009 წლის 30 ოქტომბრამ-

დე ეტაპობრივ დაბრუნებაზე. 2010 წლის 20 ოქტომბერს შპს „ი-ას“ ეცნობა მასთან გაფორმებული 2007 წლის 20 ნოემბერისა და 22 აგვისტოს №186-419 და №186-358 ლიზინგის ხელშეკრულებების იმავე წლის 19 მაისიდან ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ იმ საფუძვლით, რომ დაირღვა ლიზინგის ხსენებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ლიზინგის საზღაურის გადახდის გრაფიკი, რის თაობაზეც გაფრთხილდნენ ასევე თავდები პირებიც.

არ იქნა გაზიარებული აპელანტთა მოსაზრება, რომ 2009 წლის 19 მარტის შეთანხმებიდან გამომდინარე ჯარიმის გადახდის დაკისრების მოთხოვნაზე არ უნდა გავრცელებულიყო თავდებ პირთა პასუხისმგებლობა, რადგანაც 2007 წლის 22 ნოემბრის თავდებობის ხელშეკრულების თანახმად, ლ. მ-მა და გ. ფ-ემ პასუხისმგებლობა იკისრეს სს „თ. ლ-ის“ მიმართ ლიზინგის მთლიანი ფასის – 207 366,80 აშშ დოლარის ფარგლებში და 2007 წლის 20 ნოემბრის №419-01 ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მთლიანი ფასის – 177 123 აშშ დოლარის ფარგლებში. გარდა ამისა, ლ. მ-სა და გ. ფ-ის, როგორც თავდები პირების პასუხისმგებლობა, ამავე ხელშეკრულების 2.2 პუნქტის შესაბამისად, ასევე განისაზღვრა ვალდებულების შეუსრულებლობის ან არააჯეროვანი შესრულებისათვის გადასახდელი თანხის პირგასამტეხლოს ან ზიანის საერთო თანხის გადახდაზეც. სასამართლოს შეფასებით, თავდებთა პასუხისმგებლობა ვრცელდებოდა არა მხოლოდ 2007 წლის 20 ნოემბერის №419-01 ნასყიდობის ხელშეკრულებაზე, არამედ 2009 წლის 19 მარტს შპს „ი-სა“ და სს „თ. ლ-ს“ შორის გაფორმებული ურთიერთშეთანხმების აქტით შპს „ი-ას“ მიერ ნაკისრ ვალდებულებებზეც, ვინაიდან 2009 წლის 19 მარტის ურთიერთშეთანხმების აქტი არეგულირებდა არა შპს „ი-სა“ და სს „თ. ლ-ს“ შორის წარმოშობილ დამოუკიდებელ ურთიერთობას, არამედ აღნიშნული შეთანხმება უშუალოდ გამომდინარეობდა 2007 წლის 20 ნოემბრის №419-01 ნასყიდობის ხელშეკრულებებიდან. 2009 წლის 19 მარტის სს „თ. ლ-ს“ და შპს „ი-ას“ შორის გაფორმებული „ურთიერთშეთანხმების აქტი ნასყიდობის თანხის ნაწილის დაბრუნების შესახებ“, რომელზე დაყრდნობითაც მოსარჩელე მოითხოვდა ძირითად მოვალესთან ერთად თავდები პირებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას, წარმოშობდა სოლიდარულ ვალდებულებას როგორც შპს „ი-ის“, ასევე გ. ფ-სა და ლ. მ-ის.

გაზიარებულ იქნა გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა ლიზინგის საგნების საზღაურის დადგენის თაობაზე, კერძოდ, №186-358 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ლიზინ-

გის საგნის ღირებულება მისი დაბრუნების მომენტიდან შეადგენდა 110 000 ლარს, ხოლო №186-419 ხელშეკრულების საგნის ღირებულება – 54 869 აშშ დოლარს. საქალაქო სასამართლომ ასევე სწორად დაადგინა, რომ აღნიშნული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულების ოდენობა ლიზინგის საგნის საბაზრო ღირებულების, გადახდილი თანხის, პირგასამტეხლოს და შემცირებული მოთხოვნის გათვალისწინებით, №186-358 ხელშეკრულებიდან გამომდინარე შეადგენდა 31 123 აშშ დოლარს, ხოლო №186-419 ხელშეკრულებიდან გამომდინარე – 93 953 აშშ დოლარს. სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტთა პოზიცია მოთხოვნის ხანდაზმულობის თაობაზე და მიუთითა, რომ 2007 წლის 22 აგვისტოსა და 20 ნოემბრის ლიზინგის ხელშეკრულებების შესრულების მიზნით, შპს „ი-ას“ მიერ თანხის გადახდისას იფარებოდა, როგორც ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი თანხა, ასევე, ის პირგასამტეხლოც, რაც შპს „ი-ას“ ერიცხებოდა ჯარიმის სახით. თავის დროზე შპს „ი-ას“ სადავოდ არ გაუხდია მის მიერ გადახდილი თანხის ნაწილით მასზე დარიცხული ჯარიმის დაფარვის ფაქტი. შპს „ი-ას“ მიერ დარიცხული ჯარიმის გარკვეული ნაწილის გადახდით, ამ უკანასკნელმა, სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის შესაბამისად, აღიარა სს „თ. ლ-ის“ წინაშე ნაკისრი ვალდებულება.

2012 წლის 16 თებერვალს სს „თ. ლ-მა“, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 272-ე 273-ე მუხლების თანახმად, მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ლ. მ-ის მიმართ საქმის წარმოების შეწყვეტის მოთხოვნით. მოსარჩელის განცხადების შესწავლით, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ლ. მ-მა ვალდებულების შესრულების მიზნით 23 000 აშშ დოლარის ღირებულების ქონება გადასცა მოსარჩელეს საკუთრებაში, რის გათვალისწინებითაც „თ. ლ-მა“ უარი განაცხადა ამ უკანასკნელის მიმართ აღძრულ სარჩელზე, რაც თბილისის საქალაქო სასამართლოს 2012 წლის 16 თებერვლის საოქმო განჩინებით დაკმაყოფილდა, განჩინება არ გასაჩივრებულა.

პალატამ დადგენილად მიიჩნია ის გარემოებაც, რომ ლ. მ-ის მიმართ საქმის წარმოების შეწყვეტის მოთხოვნა განპირობებული იყო ამ უკანასკნელსა და სს „თ. ლ-ს“ შორის არსებული 2012 წლის 12 იანვრის შეთანხმებით. რომლის თანახმადაც, მორიგების საგანს წარმოადგენდა სს „თ. ლ-სა“ და შპს „ი-ას“ შორის 2007 წლის 22 აგვისტოს №186-358 და 20 ოქტომბრის №186-419 ლიზინგის ხელშეკრულებების შეწყვეტის და 2007 წლის 20 ოქტომბერს გაფორმებული №419-01 ნასყიდობის ხელშეკრუ-

ლებიდან გამომდინარე სს „თ. ლ-ის“ მიმართ არსებული დავალიანების დაფარვა. 2.1. პუნქტის მიხედვით, კრედიტორი თანახმა იყო 2011 წლის 14 ივნისს სასამართლოში აღძრული სასარჩელო მოთხოვნის – შპს „ი-სა“ და მისი თავდები პირების მიმართ, ზემოაღნიშნული ხელშეკრულებების საფუძველზე არსებული ჯამური დავალიანების – 253 662, 68 აშშ დოლარის ოდენობით შესრულების სანაცვლოდ მიეღო თავდებისგან სხვა შესრულება (სამოქალაქო კოდექსის 379-ე მუხლი), თავდების საკუთრებაში არსებული სამი ერთეული უძრავი ქონების კრედიტორისთვის გადაცემისა და მის საკუთრებად აღრიცხვის სახით, რითაც კრედიტორის ინტერესი დაკმაყოფილდებოდა 23 000 აშშ დოლარის ოდენობით. შეთანხმების 2.11 პუნქტის თანახმად, კრედიტორმა თანხმობა განაცხადა ლ. მ-ის მიერ ვალდებულების ჯეროვნად და დათქმულ ვადაში შესრულების შემთხვევაში, უარი განცხადებინა დავაზე მის მიმართ, რა საფუძვლითაც შეწყდებოდა საქმის წარმოება.

2012 წლის 16 თებერვალს, სს „თ. ლ-მა“, მორიგების პირობის შესაბამისად, შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა 23 000 აშშ დოლარით, ლიზინგის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე მოთხოვნის პროპორციულად იმ გარემოებაზე მითითებით, რომ ერთ-ერთმა სოლიდარულმა თავდებმა – ლ. მ-მა სს „თ. ლ-ს“, ნაკისრი ვალდებულების შესრულების მიზნით, გადასცა 23 000 აშშ დოლარის ღირებულების კუთვნილი უძრავი ქონება. მოსარჩელის მოთხოვნით, №186-419 ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავდაპირველი მოთხოვნა – 131,550 აშშ დოლარი შემცირდა 15,400 აშშ დოლარით და ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა 116,150 აშშ დოლარის შპს „ი-სა“ და გ. ფ-ის დაკისრება; №186-358 ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თავდაპირველი მოთხოვნა – 64,792 აშშ დოლარი მოსარჩელემ შეამცირა 7 600 აშშ დოლარით და ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოითხოვა 57,192 აშშ დოლარის შპს „ი-ას“, გ. ფ-სა და ვ. ჩ-ის დაკისრება; უცვლელად დარჩა №419-01 ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის ოდენობა, თუმცა იგი დატოვებულ იქნა მხოლოდ „ი-სა“ და გ. ფ-ის მიმართ, ხოლო ლ. მ-ის მიმართ, ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მთლიან მოთხოვნაზეც უარი იქნა ნათქვამი.

სააპელაციო პალატამ მოსარჩელის მოქმედებების როგორც პროცესუალურ-სამართლებრივი, ასევე მატერიალურ-სამართლებრივი კუთხით შეფასების შედეგად, ჩათვალა, რომ მოსარჩელის ნებას წარმოადგენდა, საბოლოოდ, ლ. მ-ის მიერ უძრავი ქონების გადაცემის სანაცვლოდ, რომლითაც კრედიტორის თან-

ხმოებით, შპს „ი-სა“ და მისი თავდები პირების ვალდებულება 23 000 აშშ დოლარის მოთხოვნის ნაწილში შეწყდა სხვა შესრულებით, ლ. მ-ის გათავისუფლება ზემოაღნიშნული სამი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების დანარჩენი ნაწილის შესრულებისგან. სააპელაციო პალატამ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 273-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, განმარტა, რომ სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმა შეუქცევადია და მისი შედეგის შეცვლა დაუშვებელია. ისევე როგორც მატერიალურ – სამართლებრივი კუთხით, სამოქალაქო კოდექსის 448-ე მუხლის საფუძველზე ვალის პატიება ვალდებულების შეწყვეტას იწვევს, რაც მოთხოვნის უფლებას უკარგავს კრედიტორს.

არ იქნა გაზიარებული სს „თ. ლ-ის“ მოსაზრება, რომ კრედიტორმა უარი თქვა ლ. მ-ის მიმართ, მის მიერ შესრულებული ვალდებულების და არა ვალის პატიების გამო. მოპასუხეთა ვალდებულება შესრულებით შეწყდა მხოლოდ 23 000 აშშ დოლარის ნაწილში. სწორედ ამიტომ, გაათავისუფლა ყველა მოვალე ამ თანხის გადახდის ვალდებულებისგან მოსარჩელემ. მანვე კვლავ დავის საგნად დატოვა ვალდებულების დარჩენილი ნაწილი, თუმცა ლ. მ-ის მიმართ მასზეც თქვა სარჩელზე უარი, და ასევე ასახა თავის ნება – გაათავისუფლოს იგი დარჩენილი ვალდებულების შესრულებისგან 2012 წლის 12 იანვრის მორიგების აქტში. პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 450-ე მუხლის მე-3 ნაწილით და აღნიშნა, რომ მოსარჩელემ იკისრა ვალდებულება, არ მოეთხოვა დარჩენილი თანხა ლ. მ-ან, ასევე, გამოიყენა მისთვის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლით მინიჭებული დისპოზიციურობის უფლებამოსილება და სამუდამოდ დათმო სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლება ლ. მ-ის მიმართ, რაც წარმოშობდა სამოქალაქო კოდექსის 450-ე მუხლით დადგენილი წესით დანარჩენი სოლიდარულად თავდები პირების – გ. ფ-სა და ვ. ჩ-ის სოლიდარული ვალდებულებისაგან გათავისუფლების საფუძველსაც.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა სს „თ. ლ-მა“, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების ძალაში დატოვება შემდეგი საფუძველებით:

დაუსაბუთებელია სააპელაციო პალატის დასკვნა, 2012 წლის 12 იანვარს შემდგარი მორიგება, სოლიდარული თავდების მიერ ვალდებულების ნაწილობრივ შესრულების თაობაზე (სკ-ის 379-ე მუხლი) თუ რატომ წარმოადგენს ვალის პატიებას და არა ვალ-

დებულების ნაწილობრივ შესრულებას, მოცემულ შემთხვევაში ლ.მ-მა კრედიტორის მიმართ შეასრულა სოლიდარული თავდებობიდან გამომდინარე მისი მოვალეობა ნაწილობრივ, სს „თ. ლ-მა“ დააზუსტა მოთხოვნა ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულების თაობაზე სხვა მოვალეთა მიმართ. მოცემულ შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსის 463-ე მუხლის შესაბამისად, ერთ-ერთმა სოლიდარულმა მოვალემ, სოლიდარული ვალდებულების შესრულებაში მონაწილეობა მიიღო, თუმცა მას ვალდებულება სრულად არ შეუსრულებია, რაც გამოიწვევდა სხვა სოლიდარულ მოვალეთა გათავისუფლებას ვალდებულების შესრულებისაგან, რის გამოც სააპელაციო პალატამ არასწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 448-ე მუხლით. მორიგებით დასტურდება, რომ ვალის პატიებაზე შეთანხმებას ადგილი არ ჰქონია, არამედ კრედიტორი დაეთანხმა ნაწილობრივ შესრულებას, რის შედეგადაც სხვა მოვალეთა ვალდებულება ძალაში რჩება. სასამართლოს გადანყვეტილების გამოტანისას უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 463-ე და 465-ე მუხლებით და არა ამავე კოდექსის 448-ე და 450-ე მუხლებით, რადგანაც მოცემულ შემთხვევაში ვალის პატიება საქმის მასალებით არ დასტურდება, თავის მხრივ, ვალდებულების ნაწილობრივ შესრულება და ვალის პატიება ერთმანეთისაგან განსხვავებული ცნებებია. სამოქალაქო კოდექსის 450-ე მუხლის არასწორი განმარტებით, სააპელაციო პალატამ საქალაქო სასამართლოსაგან განსხვავებით მხარეთა მორიგება მცდარად დაუკავშირა ზემოაღნიშნული ნორმით რეგულირებულ ურთიერთობას. სააპელაციო პალატამ ასევე არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მხარეთა მიერ საქმის მორიგების გზით დამთავრების უფლება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ სააპელაციო პალატა ლ.მ-ის მიმართ სასარჩელო მოთხოვნაზე უარის თქმას ვალის პატიებად მიიჩნევდა, მას უნდა ეხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 449-ე მუხლით, რომლის თანახმადაც, ვალის პატიების შემთხვევაშიც კი, კრედიტორს უფლება აქვს, სხვა სოლიდარული თავდების მიმართ მოთხოვნა დაიტოვოს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 24 ოქტომბრის განჩინებით სს „თ. ლ-ის“ საკასაციო საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ცნობილი იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაიწყო ზეპირი მოსმენის გარეშე, თანახმად ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილისა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება, სს „თ. ლ-ის“ საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ ის უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებები გამო:

სადავო ურთიერთობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანს კონკრეტულ შემთხვევაში წარმოადგენს სოლიდარული თავდებობიდან გამომდინარე ერთ-ერთი თავდების მიერ ვალდებულების ნაწილობრივ შესრულება სხვა სოლიდარული თავდებების მიმართ მოახდენდა თუ არა გავლენას.

მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ დადგენილად ცნო საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2007 წლის 22 აგვისტოს, ერთი მხრივ, სს „თ. ლ-ს“, როგორც ლიზინგის გამცემს და, მეორე მხრივ, შპს „ი-ას“, როგორც ლიზინგის მიმღებს შორის გაფორმდა №186-358 ლიზინგის ხელშეკრულება, რომლითაც სს „თ. ლ-მა“ ვალდებულება აიღო, შეესყიდა შპს „ი-ას“ მიერ შერჩეული ლიზინგის საგანი და გადაეცა იგი შპს „ი-ის“. ლიზინგის მთლიანი ფასი განისაზღვრა 168 862,88 აშშ დოლარით, ხოლო პირგასამტეხლო შეთანხმდა ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის 0,5%-ის, მაგრამ არა უმეტეს მთლიანი ფასის 20%-სა.

შპს „ი-ას“ მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულება უზრუნველყოფილ იქნა, ერთი მხრივ, ლ. მ-ს, გ. ფ-ეს, ვ. ჩ-სა და, მეორე მხრივ, სს „თ. ლ-ს“ შორის 2007 წლის 22 აგვისტოს დადებული თავდებობის ხელშეკრულებებით, რომლითაც თავდებმა პირებმა სამოქალაქო კოდექსის 895-ე მუხლის შესაბამისად, სოლიდარული პასუხისმგებლობა იკისრეს ლიზინგის მთლიანი ფასის – 168 862,88 აშშ დოლარის ფარგლებში, მათ შორის ვალდებულების შესრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის გადასახდელი თანხების პირგასამტეხლოს ან ზიანის საერთო თანხის გადახდაზეც.

2007 წლის 20 ნოემბერს, ერთი მხრივ, სს „თ. ლ-ს“, როგორც ლიზინგის გამცემსა და, მეორე მხრივ, შპს „ი-ას“, როგორც ლიზინგის მიმღებს შორის გაფორმდა №186-419 ლიზინგის ხელშეკრულება, რომლითაც სს „თ. ლ-მა“ ვალდებულება აიღო, შეესყიდა შპს „ი-ას“ მიერ შერჩეული ლიზინგის საგანი და გადაეცა იგი შპს „ი-ის“. ლიზინგის მთლიანი ფასი განისაზღვრა 207 366,80 აშშ დოლარით, ხოლო პირგასამტეხლო შეთანხმდა ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის 0,5%-ით, არა უმეტეს

მთლიანი ფასის 20%-სა.

შპს „ი-ას“ მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულება უზრუნველყოფილ იქნა, ერთი მხრივ, ლ. მ-ს, გ. ფ-სა და, მეორე მხრივ, სს „თ. ლ-ს“ შორის 2007 წლის 22 ნოემბრის თავდებობის ხელშეკრულებით, რომლითაც თავდებმა პირებმა, სამოქალაქო კოდექსის 895-ე მუხლის შესაბამისად, სოლიდარული პასუხისმგებლობა იკისრეს, როგორც 2007 წლის 20 ნოემბრის №186-419 ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ლიზინგის მიმღების ვალდებულებებზე მთლიანი ფასის – 207 366,80 აშშ დოლარის ფარგლებში, ისე 2007 წლის 20 ნოემბრის №419-01 ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გამყიდველის ვალდებულებებზე, მთლიანი ფასის – 177 123 აშშ დოლარის ფარგლებში. მათ შორის, ლ. მ-სა და გ. ფ-ის, როგორც თავდები პირების პასუხისმგებლობა განისაზღვრა ვალდებულების შესრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის გადასახდელი თანხების, პირგასამტეხლოს ან ზიანის საერთო თანხის გადახდაზეც.

სს „თ. ლ-მა“ 2007 წლის 20 ნოემბრისა და 22 აგვისტოს №186-419 და №186-358 ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ლიზინგის საგნის გადაცემის ვალდებულება შეასრულა და შპს „ი-ას“ გადაეცა ლიზინგის შეთანხმებული საგნები.

2009 წლის 19 მარტს, ერთი მხრივ, სს „თ. ლ-ს“, როგორც მყიდველს და, მეორე მხრივ, შპს „ი-ას“, როგორც გამყიდველს შორის გაფორმდა „ურთიერთშეთანხმების აქტი, ნასყიდობის თანხის ნაწილის დაბრუნების შესახებ“, რომლის თანახმადაც, 2007 წლის 20 ნოემბრის №419-01 ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების არასრულად განხორციელების გამო, მხარეები შეთანხმდნენ ღირებულების ნაწილის – 57 319,68 აშშ დოლარის (დღგ-ს ჩათვლით), შპს „ი-ას“ მიერ სს „თ. ლ-ის“ 2009 წლის 30 ოქტომბრამდე ეტაპობრივ დაბრუნებაზე.

2010 წლის 20 ოქტომბერს შპს „ი-ას“ ეცნობა მასთან გაფორმებული 2007 წლის 20 ნოემბრისა და 22 აგვისტოს №186-419 და №186-358 ლიზინგის ხელშეკრულებების იმავე წლის 19 მაისიდან ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ იმ საფუძველით, რომ დაირღვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ლიზინგის საზღაურის გადახდის გრაფიკი, რის თაობაზეც გაფრთხილდნენ ასევე თავდები პირები.

2009 წლის 19 მარტის სს „თ. ლ-ს“ და შპს „ი-ას“ შორის გაფორმებული „ურთიერთშეთანხმების აქტი ნასყიდობის თანხის ნაწილის დაბრუნების შესახებ“, რომელზე დაყრდნობითაც მოსარჩელე მოითხოვდა ძირითად მოვალესთან ერთად თავდები

პირებისათვის პასუხისმგებლობის დაკისრებას, წარმოშობდა სოლიდარულ ვალდებულებას, როგორც შპს „ი-ის“, ასევე გ.ფ-სა და ლ.მ-ის.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ №186-358 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ლიზინგის საგნის ღირებულება მისი დაბრუნების მომენტისთვის შეადგენდა 110 000 ლარს, ხოლო №186-419 ხელშეკრულების საგნის ღირებულება – 54 869 აშშ დოლარს.

სადავო ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულების ოდენობა ლიზინგის საგნის საბაზრო ღირებულების, გადახდილი თანხის, პირგასამტეხლოს და შემცირებული მოთხოვნის გათვალისწინებით, №186-358 ხელშეკრულებიდან გამომდინარე შეადგენს 31 123 აშშ დოლარს, ხოლო №186-419 ხელშეკრულებიდან გამომდინარე – 93 953 აშშ დოლარს.

გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილია ის გარემოებაც, რომ სს „თ. ლ-ის“ მოთხოვნა ხანდაზმული არ არის, კერძოდ, დადგენილია, რომ 2007 წლის 22 აგვისტოსა და 20 ნოემბრის ლიზინგის ხელშეკრულებების შესრულების მიზნით, შპს „ი-ას“ მიერ თანხის გადახდისას იფარებოდა, როგორც ლიზინგის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი თანხა, ასევე ის პირგასამტეხლოც, რაც შპს „ი-ას“ ერიცხებოდა ჯარიმის სახით. შპს „ი-ას“ სადავოდ არ გაუხდია მის მიერ გადახდილი თანხის ნაწილით მასზე დარიცხული ჯარიმის დაფარვის ფაქტი. შპს „ი-ას“ მიერ დარიცხული ჯარიმის გარკვეული ნაწილის გადახდით, ამ უკანასკნელმა, სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლის შესაბამისად, აღიარა სს „თ. ლ-ის“ წინაშე ნაკისრი ვალდებულება.

სააპელაციო პალატის მიერ დადგენილი ზემოაღნიშნული გარემოებები სს „თ. ლ-ს“ განსახილველი საკასაციო საჩივრით სადავოდ არ გაუხდია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის ძალით კი, წინამდებარე საქმეზე მათ საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულო ძალა გააჩნიათ.

განსახილველ შემთხვევაში, სააპელაციო პალატამ სოლიდარული თავდებების ვალდებულების შესრულებისაგან გათავისუფლების საფუძვლად მიიჩნია ის გარემოება, რომ სს „თ. ლ-მა“ საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვისას ერთ-ერთი სოლიდარული თავდების – ლ. მ-ის მიმართ აღძრულ სარჩელზე უარი განაცხადა, იმ საფუძვლით, რომ ნაცვლად სადავო ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებისა, კრედიტორმა ერთ-ერთი სოლიდარული თავდებისაგან მიიღო მისი წილი ვალდებულების ტოლფასი სხვა შესრულება და მორიგების

ფარგლებში ერთ-ერთი სოლიდარული თავდების მიმართ მოთხოვნაზე უარი განაცხადა. სააპელაციო პალატამ აღნიშნული ჩათვალა ვალის პატიებად, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 450-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და მიიჩნია, რომ სოლიდარული თავდებების მიმართ ვალდებულება შეწყდა ვალის პატიებით.

განსახილველ შემთხვევაში, სს „თ. ლ-ი“ არ ეთანხმება გასაჩივრებული გადაწყვეტილების ამ მსჯელობას და მიიჩნევს, რომ სასამართლომ დაარღვია კანონი, კერძოდ, გადაწყვეტილების დასაბუთებისას არასწორად იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 448-ე მუხლითა და 450-ე მუხლის მე-3 ნაწილით, ამასთანავე, არასწორად განმარტა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლი. კასატორის ამ პრეტენზიის შესწავლით, პალატა თვლის, რომ სს „თ. ლ-მა“ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლით გათვალისწინებული დასაბუთებული შედეგება წარმოადგინა.

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზემოაღნიშნულ დასკვნას და მიიჩნევს, რომ სს „თ. ლ-ს“ სოლიდარული თავდებისათვის არ უპატიებია ვალი და ამ გზით სოლიდარული თავდებობიდან გამომდინარე ვალდებულება არ შეწყვეტილა.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ვალის პატიება, რასაც შედეგად შეიძლება ვალდებულების შეწყვეტა მოჰყვეს, თავის მხრივ, წარმოადგენს ორმხრივ გარიგებას სადაც გარკვევით უნდა აისახოს მხარეთა ნება, მიმართული ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერობის შეწყვეტისაკენ. იგი ორმხრივი შეთანხმება და მიზნად უნდა ისახავდეს მატერიალური სამართლით რეგულირებული შედეგის მიღწევას – მიუღებელი შესრულებისაგან მოვალის გათავისუფლებას (სკ 448-ე მუხლი), ამასთან, ეს ნება არაორაზროვნად უნდა იყოს გადმოცემული. საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებაში – მორიგების აქტში, სადაც საუბარია სოლიდარული მოვალის ლ. მ-ან, ნაცვლად ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულებისა, სხვა შესრულების მიღებასა და მორიგების ფარგლებში თავდების მის მიმართ სარჩელზე უარის თქმის შესახებ, არ არის დეკლარირებული კრედიტორისა და მოვალის შეთანხმება ვალის პატიებაზე, ამდენად, ეს გარიგება (მორიგება) არ შეიძლება შეფასდეს სამოქალაქო კოდექსის 448-ე მუხლის კონტექსტში.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 465-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც კრედიტორს შეუძლია თავისი სურვილისამებრ შესრულება მოსთხოვოს ნებისმიერ მოვალეს როგორც მთლიანად, ასევე ნაწილობრივ. ვალდებულების მთლი-

ანად შესრულებამდე დანარჩენი მოვალეების ვალდებულება ძალაში რჩება. დასახელებული ნორმისა და საქმეში წარმოდგენილი სასარჩელო მოთხოვნის შემცირების შესახებ განცხადების ანალიზის შედეგად, საკასაციო პალატა მიდის დასკვნამდე, რომ სს „თ. ლ-მა“ ლ. მ-ან ვალდებულება სხვა შესრულების მიღებით შეწყვიტა იმგვარად, რომ მას მოთხოვნის დარჩენილ ნაწილზე უარი არ უთქვამს, ამდენად, სახეზე არ არის სამოქალაქო კოდექსის 450-ე მუხლის მე-3 ნაწილით რეგულირებული ურთიერთობა (ერთ-ერთი თავდების გათავისუფლება ვალის გადახდის საგან).

საპირისპირო ვითარებაშიც კი, როდესაც მორიგების ფარგლებში მხარე უარს აცხადებს სოლიდარული თავდების მიმართ წარდგენილ მოთხოვნაზე, თუ მხარეთა ნება არ იქნება მიმართული სამოქალაქო კოდექსის 450-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული შედეგის მიღწევაზე, არ შეიძლება ვალის პატიების სამართლებრივი შედეგი მხოლოდ ვარაუდზე დაყრდნობით დადგინდეს. ამ კუთხით პალატა იზიარებს კასატორის მსჯელობას, რომ მოსარჩელის მიერ ერთ-ერთი სოლიდარული თავდების მიმართ წარდგენილ მოთხოვნაზე უარის თქმის შემთხვევაშიც კი, ეს გარემოება არც მატერიალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით წარმოადგენს ვალის პატიებას, რადგანაც სამოქალაქო კოდექსის 449-ე მუხლით კანონმდებელმა დაადგინა, რომ სხვა სოლიდარული მოვალეებისათვის ვალის პატიება ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისათვის ათავისუფლებს სხვა სოლიდარულ მოვალეებსაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კრედიტორი მათ მიმართ მოთხოვნას იტოვებს. ამ შემთხვევაში კრედიტორს შეუძლია დარჩენილი სოლიდარული მოვალეების მიმართ მხოლოდ ერთი მოთხოვნა გამოიყენოს განთავისუფლებული მოვალის წილის გამოკლებით.

საკასაციო პალატა მიუთითებს სს „თ. ლ-ის“ წერილობით განმარტებებზე, სადაც მოსარჩელემ, საქმის პირველი ინსტანციის წესით განხილვისას დაადასტურა, რომ იგი უარს ამბობდა ლ. მ-ის მიმართ მოთხოვნაზე, ხოლო დანარჩენი მოპასუხეების მიმართ მოითხოვდა სარჩელის საერთო წესით განხილვას, უფრო მეტიც, მოსარჩელემ ამავე განცხადებასთან ერთად წარადგინა დოკუმენტი, რომლითაც „მორიგების აქტით“ გათვალისწინებული ლ. მ-ან მიღებული შესრულების ფარგლებში შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა დარჩენილი სოლიდარული მოვალეების მიმართ, რაც უტყუარად იძლევა იმ დასკვნის საფუძველს, რომ კრედიტორს სოლიდარული მოვალეების მიმართ მოთხოვნაზე უარი არ უთქვამს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სასამართლომ დაარღვია კანონი, რასაც შედეგად არასწორი გადაწყვეტილების მიღება მოჰყვა, შესაბამისად, არსებობს მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველი (სსსკ 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი).

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავოს არ წარმოადგენს წინამდებარე საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები, ამასთანავე, არ დგინდება სოლიდარული თავდებებისათვის ვალის პატიება და ამ გზით სოლიდარული თავდებობიდან გამომდინარე ვალდებულების შეწყვეტა, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ არსებობს გ. ფ-სა და ვ. ჩ-ის მიმართ სს „თ. ლ-ის“ სარჩელის (დაზუსტებული მოთხოვნის ფარგლების გათვალისწინებით) დაკმაყოფილებისათვის სამოქალაქო კოდექსის 895-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძველი.

რაც შეეხება სასამართლო ხარჯების განსაზღვრის საკითხს, საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმადაც, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. იმ მხარის წარმომადგენლის დახმარებისათვის განეულ ხარჯებს, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, სასამართლო დააკისრებს მეორე მხარეს გონივრულ ფარგლებში, მაგრამ არა უმეტეს ამ კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ოდენობისა. ამავე ნორმის მე-2 და მე-3 ნაწილებით კი დადგენილია, რომ ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის

სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

დასახელებული ნორმისა და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ წინამდებარე გადაწყვეტილებით სრულად დაკმაყოფილდა სს „თ. ლ-ის“ საკასაციო საჩივარი, პალატა მიიჩნევს, რომ ვ. ჩ-სა და გ. ფ-ეს სს „თ. ლ-ის“ სასარგებლოდ უნდა დაეკისროთ კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 8 000 ლარის ანაზღაურება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. სს „თ. ლ-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი.
3. სს „თ. ლ-ის“ სარჩელი გ. ფ-სა და ვ. ჩ-ის მიმართ დაკმაყოფილდეს:
  - 3.1. 2007 წლის 20 ნოემბრის №186-419 ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შპს „ი-ის“ დაკისრებული სალიზინგო საზღაურისა და პირგასამტეხლოს – 93 953 აშშ დოლარის გადახდა ძირითად მოვალესთან ერთად სოლიდარულად დაეკისროს გ. ფ-ეს მოსარჩელე სს „თ. ლ-ის“ სასარგებლოდ.
  - 3.2. 2007 წლის 22 აგვისტოს №186-358 ლიზინგის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შპს „ი-ის“ დაკისრებული სალიზინგო საზღაურისა და პირგასამტეხლოს - 31 123 აშშ დოლარის გადახდა ძირითად მოვალესთან ერთად სოლიდარულად დაეკისროთ გ. ფ-სა და ვ. ჩ-ს მოსარჩელე სს „თ. ლ-ის“ სასარგებლოდ.
  - 3.3. 2007 წლის 20 ნოემბრის №419-01 ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე შპს „ი-ის“ დაკისრებული 57 319.68 აშშ დოლარის გადახდა ძირითად მოვალესთან ერთად სოლიდარულად დაეკისროს გ. ფ-ეს სს „თ. ლ-ის“ სასარგებლოდ.
4. გ. ფ-სა და ვ. ჩ-ს სს „თ. ლ-ის“ სასარგებლოდ დაეკისროთ ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 8 000 ლარის ლარის ანაზღაურება.

5. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.  
6. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## საზიარო უფლების გაუქმება

### ბანჩინება

№ას-294-280-2013

4 ოქტომბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავეიძე,  
პ. სილაგაძე

**დავის საგანი:** საზიარო უფლების გაუქმება წილის ნატურით გაყოფის გზით

#### აღწერილობითი ნაწილი:

ი. გ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში თ. რ-ის, ა. კ-ის, გ. ი-ის, გ. ბ-ის, გ. მ-ის, გ. ქ-ას, გ. მ-ის, დ. ს-ის, დ. წ-ის, დ. მ-ის, ე. ა-ის, ზ. დ-ას, თ. კ-ის, თ. თ-ის, თ. გ-ის, თ. მ-ის, ი. ხ-ის, ი. ა-ის, ი. მ-ის, ლ. ც-ის, მ. ი-ის, მ. ო-ის, მ. თ-ას, მ. გ-ის, მ. ჯ-ის, მ. წ-ის, მ. თ-ას, მ. კ-ის, გ. გ-ის, ნ. ბ-ის, ნ. ბ-ის, ნ. ი-ის, ნ. გ-ის, ნ. გ-ის, ნ. ი-ის, ნ. ფ-ის, ნ. ა-ის, ო. ჩ-ის, რ. ხ-ის, ს. მ-სა და ც. პ-ას მიმართ ქ. თბილისში, დ-ის ქ. №10/2-ში მდებარე 127,99 კვ.მ ფართზე მხარეთა თანასაკუთრების გაუქმებისა და მოსარჩელისათვის კუთვნილი 3/48 ნაწილის შესაბამისი 7,6 კვ.მ ფართის (ოთახი №2) ნატურით გამოყოფის მოთხოვნით შემდეგ გარემოებათა გამო:

ქ. თბილისში, დ-ის ქ. №10/2-ში მდებარე 127,99 კვ.მ უძრავი ქონება წარმოადგენს მხარეთა თანასაკუთრებას, საიდანაც ი. გ-ის კუთვნილი ფართი თანასაკუთრების 3/48 ნაწილია. აღნიშნული წილი შეადგენს მთლიანი ქონებიდან 7.99 კვ. მეტრს, მოპასუხეთა საკუთრება კი, ამ ქონების 1/48-1/48 ნაწილითაა განსაზღვრული. მოპასუხეები ი. გ-ს კუთვნილი ქონებით სარგებლობის შესაძლებლობას არ აძლევენ, რის გამოც მხარე მოითხოვს თანასაკუთრებიდან კუთვნილი რეალური წილი გამოყოფას სარჩელზე დართული დამოუკიდებელი სასამართლო ექ-

სპერტის დ. მ-ის დასკვნის დანართი №1-ის გათვალისწინებით, რომლის თანახმადაც დადგენილია საზიარო საგნის იმგვარი გაყოფა, რომ საჭირო არაა ნივთის რეკონსტრუქცია, ამასთან, ამგვარი გამოყოფით არ შემცირდება ქონების ღირებულება, რაც ასევე დასტურდება სარჩელზე დართული აუდიტორული დასკვნის თანახმად. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხეების ნაწილი თანახმა არიან ნივთის იმგვარი გამიჯვნისა, როგორც მოსარჩელეს აქვს სარჩელით მოთხოვნილი.

მოპასუხეებმა: ნ. გ-ემ, ც. პ-ამ, თ. თ-მა, ს. მ-ემ, ზ. დ-ამ, ც. პ-ამ და ნ. გ-მა წარდგენილი შესაგებლით დაეთანხმნენ სარჩელს, ხოლო მოპასუხეთა ნაწილმა სარჩელი არ ცნო და მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძვლებით მოითხოვეს:

სადავო ქონება წინა საუკუნის 90-იან წლებში განხორციელებული სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის გზით შეიძინა მაშინდელი ადვოკატთა კოლეგიის ნაძალადევის რაიონის იურიდიული კონსულტაციის შრომითმა კოლექტივმა და მისი მიზანი, პრივატიზაციის მარეგულირებელი კანონმდებლობის შესაბამისად, იყო ქონების გამოყენება პროფილის შეუცვლელად, ანუ საადვოკატო საქმიანობისათვის. საერთო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან იზოლირებული წილის გამოყოფა შეუძლებელია ყოველგვარი საინჟინრო ტექნიკური ნორმების დაცვით რეკონსტრუქციისა და ღირებულების შემცირების გარეშე. შენობა ავარიულია და რაიმე სახის რეკონსტრუქციის განხორციელება დაუშვებელია. გაქირავებული ფართიდან მიღებული თანხა ხმარდება შენობის გარემონტებასა და გათბობას, აგრეთვე, კომუნალურ გადასახადებს და შენობის სამართლებრივი მდგომარეობის მონესრიგებას, მოსარჩელე კი, სწორედ, შენობის გარემონტებული ნაწილის გამიჯვნას მოითხოვს. მოპასუხეთა მითითებით, საზიარო უფლების გაუქმება მხოლოდ მოსარჩელის წილის გამოყოფით, სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად, დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა, არ შეესაბამება საზიარო უფლების ნატურით გაყოფის სამართლებრივ დანაწესს და შესაბამისად არ უნდა დაკმაყოფილდეს, ამასთან, ქონების ნატურით გამოყოფა შეამცირებს მის ღირებულებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილებით ი. გ-ის სარჩელის არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 31 იანვრის განჩინებით ი. გ-ის სააპელა-

ციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 9 ნოემბრის გადაწყვეტილება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ გაიზიარა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დადგენილი გარემოება, რომ ქ.თბილისში, დ-ის ქ. №10/2-ში მდებარე 127.99 კვ.მ №1 შენობა-ნაგებობა რეგისტრირებულია შემდეგ პირთა საკუთრებად: ა. რ-ის, ა. კ-ის, გ. ი-ის, გ. ბ-ის, გ. მ-ის, გ. ქ-ას, გ. მ-ის, დ. ს-ის, დ. წ-ის, დ. მ-ის, ე. ა-ის, ზ. დ-ას, თ. ნ-ის, თ. თ-ის, თ. გ-ის, თ. მ-ის, ი. ხ-ის, ი. გ-ის, ი. ა-ის, ი. მ-ის, ლ. ც-ის, მ. ი-ის, მ. ო-ის, მ. თ-ას, მ. გ-ის, მ. ჯ-ის, მ. ნ-ის, მ. თ-ას, მ. კ-ის, მ. გ-ის, ნ. ბ-ის, ნ. ბ-ე, ნ. ი-ის, ნ. გ-ის, ნ. გ-ის, ნ. კ-ის, ნ. ი-ის, ნ. ფ-ის, ნ. ა-ის, ო. ჩ-ის, რ. ხ-ის, ს. მ-სა და ც. პ-ას. თ. რ-ი ა. რ-ის მემკვიდრეა, რომელმაც მამკვიდრებლის დანაშთი ქონება მიიღო სრულად. მ.გ-ის ანდერძისმიერ მემკვიდრეს წარმოადგენს გ. გ-ი. 2010 წლის 17 ნოემბერს ექსპერტ დ. მ-ს გადასაწყვეტად დაესვა შემდეგი კითხვა: როგორ შეიძლება ქ.თბილისში, ც. დ-ის ქ. №10/2-ში მდებარე სახლთმფლობელობიდან, კერძოდ ლიტ. „ა1-დან“ გამოიყოს 3/48 იდეალური წილის შესაბამისი რეალური წილის ფართი სრული იზოლაციით. ექსპერტის დასკვნის შესაბამისად, 3/48 იდეალური წილი შეადგენდა 7,99 კვ. მეტრს. აღნიშნული ფართის იზოლირებულად გამოყოფა ყოველგვარი რეკონსტრუქციისა და გადაკეთების გარეშე ტექნიკურად შესაძლებელი იყო, კერძოდ №2 ოთახი ფართით 7.60 კვ. მეტრისაგან შედგებოდა და საჭირო იყო №1 და №2 ოთახებში გამავალი კარის ლიობის ამოშენება, ხოლო №2 ოთახში ც. დ-ის ქუჩის მხარეს განთავსებულ ლიობში შესასვლელის მოწყობა, როგორც ეს ნახაზზე იყო მითითებული, შესაბამისად, 2010 წლის 17 ნოემბრის №26 დასკვნის საფუძველზე დადგენილად იქნა მიჩნეული, რომ 3/48 იდეალური წილის შესაბამისი ფართის იზოლირებულად გამოყოფა ყოველგვარი რეკონსტრუქციისა და გადაკეთების გარეშე, დანართი №1-ის შესაბამისად, შესაძლებელი იყო.

სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა ი. გ-ის მოსაზრება, რომ უძრავი ქონების ნატურით გაყოფა დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტის დ. მ-ის 2010 წლის 17 ნოემბრის დასკვნის შესაბამისად, საფუძველიანი იყო. სააპელაციო პალატის შეფასებით, ექსპერტის დასკვნის თანახმად, დგინდებოდა, რომ სადავო ქონებიდან 3/48 იდეალური წილის შესაბამისი ფართის იზოლირებულად გამოყოფა ყოველგვარი რეკონსტრუქციისა და გადაკეთების გარეშე შესაძლებელი იყო დასკვნის №1 დანართის

შესაბამისად. ი. გ-ის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენდა საერთო საკუთრებიდან მოსარჩელის კუთვნილი წილის – 3/48-ის შესაბამისი ფართის გამოყოფა მთლიანი ნივთის დანარჩენი ნაწილისაგან. ექსპერტისათვის დასმული შეკითხვის ფორმულირებიდან გამომდინარე კი, დგინდებოდა მხოლოდ ერთი თანამესაკუთრის – ი. გ-ის 3/48 იდეალური წილის შესაბამისი ფართის გამოყოფის შესაძლებლობა. პალატამ მიუთითა უძრავი ქონების თანამესაკუთრებზე, იმ გარემოებაზე, რომ ქ.თბილისში, დ-ის ქ. №10/2-ში მდებარე №1 შენობა-ნაგებობის 3/48 ნაწილის მესაკუთრე იყო მოსარჩელე. ი. გ-ის სასარჩელო მოთხოვნას არ წარმოადგენს საერთო საკუთრების საგანზე საზიარო უფლების გაუქმება, იგი მოითხოვდა უძრავ ქონებაზე საზიარო უფლების იმგვარად გაუქმებას, რომ სადავო 127.99 კვ.მ ფართიდან მას ნატურით გამოყოფოდა მხოლოდ მისი კუთვნილი 3/48 ნაწილის შესაბამისი წილი 7.6 კვ.მ (ოთახი №2), რის დასადასტურებლადაც მიუთითებდა საქმეში წარმოდგენილ ექსპერტის დასკვნაზე, ხოლო ეს დასკვნა პასუხს იძლეოდა სწორედ მოსარჩელის კუთვნილი ფართის საერთო ფართობისაგან გამოყოფის შესაძლებლობებზე და არა უძრავ ნივთზე საზიარო უფლების გაუქმებაზე.

სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლზე, 961-ე მუხლის პირველ ნაწილზე და განმარტა, რომ ნორმათა შინაარსში იგულისხმებოდა ის გარემოება, რომ საზიარო საგანზე საზიარო უფლების გაუქმებისათვის საკმარისი იყო ერთ-ერთი მონილის მოთხოვნაც. ნატურით გაყოფის გზით საზიარო უფლების გაუქმების აუცილებელ წინაპირობას, პალატის განმარტებით, წარმოადგენს ის გარემოება, რომ გაყოფის შედეგად თითოეულმა მონილემ უნდა მიიღოს ინდივიდუალური საკუთრება. მოცემულ შემთხვევაში კი, მოსარჩელემ მიუთითა იმ გარემოებაზე და წარმოადგინა ის მტკიცებულება, რომლითაც შესაძლებელი იყო მოსარჩელის კუთვნილი წილის – 3/48 ნაწილის შესაბამისი ფართის გამოყოფა მთლიანი ნივთის დანარჩენი ნაწილისაგან და არა უძრავ ქონებაზე საერთო საკუთრების უფლების სრულად გაუქმება, რაც, სასამართლოს შეფასებით, სამოქალაქო კოდექსის 953-968-ე მუხლებით დადგენილ მოთხოვნებს ეწინააღმდეგებოდა, ვინაიდან, არც სასარჩელო მოთხოვნით და არც მოსარჩელის მიერ წარდგენილი ექსპერტის დასკვნით დანარჩენი თანამესაკუთრების წილობრივი მჩვენებლების შესაბამისად, მათთვის ფართის რეალურად გამოყოფის შესაძლებლობა გათვალისწინებული არ იყო.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გა-

ასაჩივრა ი. გ-მა, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება შემდეგ გარემოებათა გამო:

არასწორია სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ საქმის მასალებით არ ირკვეოდა სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველები, სასამართლომ, მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის 2010 წლის 17 ნოემბრის დასკვნის შეფასებით მიუთითა თანასაკუთრებიდან მოსარჩელის წილის გამოყოფის შესაძლებლობაზე, თუმცა არასწორად დაასკვნა, რომ თანასაკუთრების გაყოფა შესაძლებელი იყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყველა მესაკუთრე მიიღებდა ინდივიდუალურ საკუთრებას, სასამართლოს მსჯელობა არ გამომდინარეობს სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და 963-ე მუხლის შინაარსიდან. მოსარჩელის მიერ წარდგენილი ექსპერტიზის დასკვნებით დადგენილია, როგორც წილის ნატურით გაყოფის შესაძლებლობა, ისე ამ გაყოფის შედეგად ქონების ღირებულების შეუმცირებლობის ფაქტი. საქმის მასალებში არ მოიპოვება არც ერთი საწინააღმდეგო მტკიცებულება, მათ შორის მოპასუხეების მიერ წარდგენილი, რაც შესაძლებელია, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველი გამხდარიყო. კასატორის განმარტებით, მისი სასარჩელო მოთხოვნა საზიარო უფლების წილის ნატურით გამოყოფის გზით გაუქმებაა, ამ მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობები დადასტურებულია მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, ისეთ ვითარებაში, როდესაც სასამართლო თვლის, რომ არ დასტურდება სხვა თანამესაკუთრეთა წილის გამოყოფის შესაძლებლობა, ხოლო მოპასუხეებს ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება სასამართლოსათვის არ წარუდგენიათ, სააპელაციო პალატამ არასწორად დააკისრა მოსარჩელეს სადავო გარემოების მტკიცების ტვირთი. სააპელაციო პალატას არ უმსჯელია ნივთის დანიშნულებისამებრ გამოყენების შესაძლებლობაზე, თუმცა იგი დაეთანხმა გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას, რომლითაც სასამართლომ მტკიცებულებათა არასებობის პირობებში უსაფუძვლოდ დაადგინა სადავო გარემოებები. კასატორი ასევე არ დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდან მოპასუხეთა ინიციატივით ჩატარებული ექსპერტიზის დასკვნის გამოთხოვაზე უარის თქმის შესახებ, რაც, კასატორის მოსაზრებით, კიდევ ერთხელ დადასტურებდა სარჩელის საფუძველიანობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 20 მაისის განჩინებით ი. გ-ის საკასაციო

საჩივარი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე, თანახმად ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილისა, ხოლო 2013 წლის 30 ივლისის განჩინებით გ. ი-ის უფლებამონაცვლედ ცნობილ იქნა მისი პირველი რიგის მემკვიდრე ი. ი-ი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, ი. გ-ის საკასაციო საჩივარი, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება და თვლის, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება).

სააპელაციო პალატამ დადგინილად მიიჩნია საქმის გადანყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

ქ.თბილისში, დ-ის ქ. №10/2-ში მდებარე 127.99 კვ.მ შენობა-ნაგებობა №1 წარმოადგენს ა. რ-ის, ა. კ-ის, გ. ი-ის, გ. ბ-ის, გ. მ-ის, გ. ქ-ას, გ. მ-ის, დ. ს-ის, დ. წ-ის, დ. მ-ის, ე. ა-ის, ზ. დ-ას, თ. ნ-ის, თ. თ-ის, თ. გ-ის, თ. მ-ის, ი. ხ-ის, ი. გ-ის, ი. ა-ის, ი. მ-ის, ლ. ც-ის, მ. ი-ის, მ. ო-ის, მ. თ-ას, მ. გ-ის, მ. ჯ-ის, მ. ნ-ის, მ. თ-ას, მ. კ-ის, მ. გ-ის, ნ. ბ-ის, ნ. ბ-ე, ნ. ი-ის, ნ. გ-ის, ნ. გ-ის, ნ. კ-ის, ნ. ი-ის, ნ. ფ-ის, ნ. ა-ის, ო.ი ჩ-ის, რ. ხ-ის, ს. მ-სა და ც. პ-ას საკუთრებას.

ქ.თბილისში, დ-ის ქუჩა №10/2-ში მდებარე 127.99 კვ.მ შენობა-ნაგებობა №1-ის 3/48 იდეალური წილის მესაკუთრეა ი. გ-ი.

მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი 2010 წლის 17 ნოემბერს ექსპერტ დ. მ-ის მიერ გაცემული დასკვნის თანახმად, სადავო ქონების 3/48 იდეალური წილი შეადგენს 7,99 კვ. მეტრს. ამავე დასკვნის თანახმად, დადგენილადაა მიჩნეული, რომ ტექნიკური თვალსაზრისით, აღნიშნული ფართის იზოლირებულად გამოყოფა ყოველგვარი რეკონსტრუქციისა და გადაკეთების გარეშე, შესაძლებელია დასკვნის დანართ №1-ში ნაჩვენები ვარიანტის მიხედვით.

სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ ზემოაღნიშნულ გარემოებებს საკასაციო სასამართლოსათვის სავალდებულო ძალა გააჩნიათ, ვინაიდან ი.გ-ს ამ გარემოებების საწინააღმდეგო შედავება არ წარმოუდგენია.

სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია ის გარემოებაც, რომ ი. გ-ის სასარჩელო მოთხოვნას არ წარმოადგენს საერთო საკუთრების საგანზე საზიარო უფლების გაუქმება, იგი მოითხოვს უძრავ ქონებაზე საზიარო უფლების იმგვარად გაუქმებას, რომ ქ.თბილისში, დ-ის ქ. №10/2-ში მდებარე საერთო 127.99 კვ.მ ფართიდან ნატურით გამოეყოს მხოლოდ მისი კუთვნილი 3/48 ნაწილის შესაბამისი წილი 7.6 კვ.მ ფართი (ოთახი №2). კასატორს აღნიშნულის საპირისპირო არგუმენტი არ წარმოუდგენია. მისი საკასაციო პრეტენზია ძირითადად შემოიფარგლება, ერთი მხრივ, ექსპერტიზის დასკვნის არასრულყოფილი გამოკვლევით და, მეორე მხრივ, სასამართლოს მიერ მტკიცების ტვირთის არასწორად განაწილებით.

საკასაციო პალატა მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის პირველსა და მე-3 ნაწილებზე, რომლებითაც დადგენილია შემდეგი: თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. დასახელებული ნორმით დადგენილია მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების წესი, რომელიც უმეტესად ორიენტირებულია მატერიალური კანონმდებლობის მოთხოვნებზე. მოცემულ შემთხვევასთან მიმართებაში კი, მოსარჩელის მტკიცების საგანს წარმოადგენს მისი მოთხოვნის საფუძვლიანობა.

ამ თვალსაზრისით ი.გ-მა სარჩელს დაურთო ექსპერტის დასკვნა, რომლის შეფასებისას დადგინდა, რომ ექსპერტს კვლევითის დაესვა შემდეგი შეკითხვა: თუ როგორ შეიძლებოდა ქ.თბილისში ც. დ-ის ქ. №10/2-ში მდებარე სახლთმფლობელობიდან, კერძოდ ლიტ. „ა1-დან“ 3/48 იდეალური წილის გამოყოფა შესაბამისი რეალური წილის ფართის სრული იზოლაციით. ექსპერტიზის დასკვნით მოსარჩელის კითხვას გაეცა შემდეგი პასუხი: 3/48 იდეალური წილი შეადგენდა 7.99 კვ. მეტრს. აღნიშნული ფართის იზოლირებულად გამოყოფა ყოველგვარი რეკონსტრუქციისა და გადაკეთების გარეშე ტექნიკურდ იყო შესაძლებელი, კერძოდ №2 ოთახი ფართით 7.60 კვ.მ, რა დროსაც საჭირო იყო №1 და №2 ოთახებში გამავალი კარის ლიობის ამოშენება, ხოლო, №2 ოთახში შესასვლელის მოწყობა ც.დ-ის ქუჩის მხარეს განთავსებულ ლიობში ისე, როგორც ნახაზზე იყო მითითებული (დანართი1). 2010 წლის 17 ნოემბრის №26 დასკვნის საფუძველზე დადგინდა, რომ შესაძლებელი იყო 3/48 იდეალუ-

რი წილის შესაბამისი ფართის იზოლირებულად გამოყოფა ყოველგვარი რეკონსტრუქციისა და გადაკეთების გარეშე, როგორც ეს დანართი №1-ში იყო ნაჩვენები.

ექსპერტიზის დასკვნიდან ერთმნიშვნელოვნად არ ირკვევა შესაძლებელი იყო თუ არა უძრავ ქონებაზე საზიარო უფლების იმგვარად გაყოფა, რომ თითოეულ მესაკუთრეს მისი იდეალური წილის შესაბამისად, რეალურად გამოყოფოდა ფართი.

ი. გ-ი არ ეთანხმება სასამართლოს მოსაზრებას სარჩელის დაუსაბუთებლობის თაობაზე და თვლის, რომ ზემოაღნიშნული გარემოება მოპასუხე მხარეს უნდა დაედასტურებინა, რასაც საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს. კასატორის ამ მოსაზრების მართებულობის კვლევის მიზნით საჭიროა სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი მატერილური ნორმის წინაპირობების შემოწმება. დავის გადაწყვეტისათვის გამოყენებული უნდა იქნას სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული საზიარო უფლებების მარეგულირებელი ნორმები, რადგანაც სამოქალაქო კოდექსის 953-ე მუხლის თანახმად, თუ უფლება რამდენიმე პირს ერთობლივად ეკუთვნის, მაშინ გამოიყენება ამ თავის წესები, თუკი კანონიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 961-ე მუხლის 1-ლ ნაწილზე, რომლის თანახმადაც, თითოეულ მონილეს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება. დასახელებული ნორმის დისპოზიციით განსაზღვრულია საზიარო უფლების მქონე პირის უფლებამოსილება, ნებისმიერ დროს მოითხოვოს საზიარო უფლების გაუქმება, რომელიც შეიძლება განხორციელდეს საზიარო საგნის ნატურით გაყოფის გზით (სსკ 963-ე მუხლი), ხოლო თუ ნატურით გაყოფა გამორიცხულია – საზიარო საგნის რეალიზაციით (სსკ 964-ე მუხლი). აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საზიარო უფლების გაუქმებისათვის ამ ვალდებულებით-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილის მიერ ნების გამოვლენა საკმარისია, თუმცა მხარის მხოლოდ ეს უფლება სარჩელის დაკმაყოფილების საკმარის საფუძველს არ წარმოადგენს, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი ადგენს, რომ საზიარო უფლება უქმდება ნატურით გაყოფისას, თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად ღირებულების შემცირების გარეშე, თანაბარი წილების განაწილება მონაწილეთა შორის ხდება კენჭისყრით.

დასახელებული ნორმა მიუთითებს ორ აუცილებელ პირობაზე, კერძოდ, საზიარო უფლება უქმდება საზიარო საგნის (საგნების) ნატურით გაყოფისას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ: 1)

საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად; 2) ამგვარი დაყოფის შედეგად არ მცირდება ნივთის ღირებულება. როგორც პირველი, ასევე მეორე ელემენტი უნდა არსებობდეს ერთდროულად იმისათვის, რომ დადგეს ამ ნორმით გათვალისწინებული იურიდიული შედეგი, ამასთან, ორივე შემთხვევაში ნატურით გამოყოფილმა საგანმა არ უნდა დაკარგოს დანიშნულება, რასაც ის ასრულებდა გაყოფამდე, ე.ი არ უნდა წაერთვას ის ფუნქცია და მნიშვნელობა, რასაც იგი ასრულებდა მესაკუთრისათვის. ამდენად, სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი მხოლოდ იმ შემთხვევაში ითვალისწინებს საგნის ნატურით გაყოფის შესაძლებლობას, თუ იგი არ დაკარგავს თავის ფუნქციონალურ დანიშნულებას. ღირებულებაში ნივთის საბაზრო ღირებულება (ფასი) კი არ იგულისხმება, არამედ მოიაზრება მისი საგნობრივი (ფუნქციონალური) დანიშნულება, რომლის შემცირება ნივთის გაყოფამ არ უნდა გამოიწვიოს.

როგორც უკვე აღინიშნა, მოსარჩელემ მისი მოთხოვნის დადასტურების მიზნით სასამართლოს წარუდგინა ექსპერტიზის დასკვნა, სადაც ქონებიდან მისი კუთვნილი იდეალური წილის გამოყოფის შესაძლებლობასა და ამ გაყოფის შედეგად მისი ღირებულების შემცირება-არშემცირებაზე საუბარი, თუმცა მას არ წარმოუდგენია იმგვარი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა საზიარო უფლების გაუქმების ერთ-ერთ იმპერატიულ ელემენტს – საზიარო საგნის დაყოფა შესაძლებელია თუ არა ერთგვაროვან ნაწილებად, ანუ სხვა თანამესაკუთრეთა იდეალური წილის რეალურად გამოყოფა რამდენადაა შესაძლებელი, რაც სწორედ მოსარჩელის მტკიცებების საგანს წარმოადგენდა. ამდენად, კასატორის პრეტენზია, რომ მოპასუხეს საპირისპირო მტკიცებულება არ წარუდგენია, სამართლებრივ დასაბუთებასაა მოკლებული, ვინაიდან მოთხოვნის საფუძვლიანობის დადასტურება სწორედ ი. გ-ის ვალდებულებას წარმოადგენდა, რაც მან სათანადოდ ვერ უზრუნველყო.

გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სადავო ქონება წარმოადგენს არასაცხოვრებელ ფართს და, აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ შესაძლებელია მისი ეკონომიკური მიზნებისათვის გამოყენება. აღნიშნული თავისებურებების გათვალისწინებით, სადავო ქონების ნატურით გაყოფისას გამოყოფილი ნაწილები უნდა ინარჩუნებდნენ ერთმანეთთან მიმართებით (და არა მთლიანად საზიარო საგანთან მიმართებით) თანაბარ ღირებულებას რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნას ის ეკონომიკური ინტერესი, რომელიც გააჩნიათ საზიარო უფლების მქონე პირებს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა; გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სააპელაციო პალატამ საქმეში არსებული მტკიცებულებების არსებითად სწორი შეფასებით გზით დაადგინა საქმის ფაქტობრივი გარემოებები, ამასთან, არსებითად სწორარი სამართლებრივი შეფასება მისცა დადგენილ გარემოებებს, რომელთა თაობაზეც მხარეს დასაბუთებული შედეგება არ წარმოუდგენია, პალატა თვლის, რომ არ არსებობს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საფუძველი.

რაც შეეხება კასატორის პრეტენზიას სააპელაციო პალატის მიერ ექსპერტიზის დასკვნის გამოთხოვაზე უარის არასწორად თქმის შესახებ, საკასაციო პალატა აღნიშნული მოსაზრების მართებულობას ვერ შეაფასებს, ვინაიდან ი. გ-ს საოქმო განჩინება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესით არ გაუსაჩივრებია, მიუთითა მხოლოდ მის უსაფუძვლობაზე იმგვარად, რომ ამ განჩინების გაუქმება კასატორს წინამდებარე საკასაციო საჩივრით არ უთხოვია. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილით კი გათვალისწინებულია, რომ საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა.

საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების თაობაზე პალატა აღნიშნავს შემდეგს: „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, არ არსებს მხარეთა შორის სასამართლო ხარჯების განაწილების წინაპირობა, რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის მიზნებიდან გამომდინარე, პალატა თვლის, რომ კასატორს არც სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ უნდა დაე-

კისროს სახელმწიფო ბაჟის გადახდა.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. ი. გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
2. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 31 იანვრის განჩინება დარჩეს უცვლელად.
3. კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია.
4. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**საზიარო უფლების გაუქმება**

**განჩინება**

№ას-1090-1021-2012

5 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. ქათამაძე

**დავის საგანი:** საზიარო უფლების გაუქმება ნივთის ნატურით გაყოფის გზით

**აღწერილობითი ნაწილი:**

ლ. წ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში გ.ც-ას, ნ.ც-ას, ლ.ს-ის, მ.ბ-ის, ი.ა-ის, ნ.ხ-ის, ფ.ფ-ას, ჯ.კ-ის, თ.კ-ეს, ნ.ბ-ის, ნ.ა-ის, თ.ჩ-ას, რ.ნ-ის, ლ.გ-ის, კ.ბ-ის, გ.გ-ის, თ.პ-ის, ბ.დ-ის, ს.შ-ის, გ.ლ-ის, ნ.ჭ-ის, დ.ჩ-ის, მ.ტ-ის, მ.ა-ეს, რ.ჩ-ისა და რ.ყ-ის მიმართ და მოითხოვა, გაუქმდეს საზიარო უფლება ქ.თბილისში, ბ-ოს ქუჩა №2ა-ში მდებარე უძრავ ნივთზე მისი ნატურით გაყოფის გზით და მოსარჩელეს ინდივიდუალურ საკუთრებაში გამოეყოს 16,17

კვ.მ ოთახი შემდეგი საფუძვლებით:

2012 წლის 14 ივნისს ფიზიკურ პირთა ჯგუფმა სახელმწიფოსაგან საზიარო უფლებით შეიძინა ქ.თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის ბ-ოს ქ. №2ა-ში მდებარე არასაცხოვრებელი 250,42 კვ.მ. 2002 წლის 15 სექტემბერს სასამართლოს მიერ ფიზიკურ პირთა სარჩელის საფუძველზე აღნიშნული ფართი ნაწილობრივ გაიმიჯნა, კერძოდ, ფასადიდან მარცხენა მხარეს, ანუ 125,21 კვ.მ, მიეკუთვნა ფიზიკურ პირთა ნაწილს, ხოლო მარჯვნივ იმავე რაოდენობის ნაკვეთი – ლ. კ-ეს. ხსენებული უძრავი ქონების ერთ-ერთი თანამესაკუთრეა მოსარჩელე ლ. ნ-ი.

აღნიშნული საზიარო უფლება უნდა გაუქმდეს და მოსარჩელეს ნატურით გამოეყოს კუთვნილი წილი – 16,17 კვ.მ №1 ოთახი, რაც უნდა განხორციელდეს საინჟინრო და აუდიტორული ექსპერტიზის ცენტრის მიერ 2010 წლის 6 აპრილს შედგენილი დასკვნის მიხედვით.

მოპასუხეებმა – ნ.ჭ-მა და ნ.ბ-მა სარჩელი ცნეს, ხოლო თ.ჩ-ა, დ.ჩ-ი, რ.ნ-ი, თ.პ-ი, თ.კ-ე და ლ.გ-ი სასარჩელო მოთხოვნას არ დაეთანხმნენ, ვინაიდან ნივთის ნატურით გაყოფის გზით საზიარო უფლების გაუქმების წინაპირობები არ არსებობს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 20 მარტის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ გაასაჩივრა სააპელაციო წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 11 ივლისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო პალატამ დაადგინა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებანი:

ქ.თბილისში, ბ-ოს ქ. №2ა-ში მდებარე 125,21 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის თანამესაკუთრეები არიან ლ.ნ-ი და მოპასუხეები.

ლ. ნ-ის საკუთრებაშია უძრავი ნივთის 13,68%, მ. ბ-ის საკუთრებაში – 7,84%, ნ.ა-ის საკუთრებაში – 11,52%, 66,96% კი ეკუთვნით ფიზიკურ პირთა ჯგუფს №23/1653-კ საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის №1 დანართის მიხედვით.

ქ. თბილისში, ბ-ოს ქ. №2ა-ში მდებარე უძრავი ნივთის 13,68% ლ.ნ-მა შეიძინა 2010 წლის 2 თებერვლის, 12 მარტის, 15 მარტისა და 19 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულებების საფუძველზე. აღნიშნული გარიგებების მიხედვით, ლ. ნ-ის მიერ შეძენილი არასაცხოვრებელი ფართის სრული მოცულობაა 17,12 კვ.მ.

მოსარჩელე ლ. ნ-ი სარჩელით ითხოვს რეალური წილის გამოყოფას, ანუ საზიარო უფლების გაუქმებას, შესაბამისად, სარჩელის საფუძვლიანობის შემონახვისას უნდა დადგინდეს, შესაძლებელია თუ არა საზიარო საგნის წილების ნატურით გაყოფა ერთგვაროვან ნაწილებად წილთა ღირებულების შემცირების გარეშე.

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ 2011 წლის 25 ნოემბრის დასკვნის თანახმად, ქ. თბილისში, ბ-ოს ქ. №2ა-ში მდებარე №1 ოთახის გამოყოფა შესაძლებელია დანარჩენი ოთახებისაგან ისე, რომ მათი ღირებულება არ შემცირდეს. შესასვლელი კარის მოწყობა შესაძლებელია შენობის ფასადის მხრიდან ფანჯრის გვერდით ან ფანჯრის ადგილას.

სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლის შესაბამისად, საზიარო უფლებიდან გამომდინარე მოთხოვნის რეალიზაცია დამოკიდებულია ამ უფლების მფლობელ პირთა მდგომარეობასა და ინტერესებზე. საზიარო უფლების გაუქმება ნატურით გაყოფისას დასაშვებია საზიარო უფლების მონაწილეთა წილობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზიარო საგნის (საგნების) ერთგვაროვან ნაწილებად დაყოფა შესაძლებელია ღირებულების შემცირების გარეშე.

პალატის მითითებით, ექსპერტის დასკვნით დადგენილია, რომ საზიარო საგნიდან 16,17 კვ.მ ოთახის გამიჯვნა შესაძლებელია, თუმცა არაფერია ნათქვამი, რამდენად არის შესაძლებელი საზიარო უფლების ობიექტის – 125,21 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის დაყოფა 27 თანამესაკუთრეთა შორის ისე, რომ არ დაირღვეს ამ უფლების მფლობელ პირთა უფლებები. მნიშვნელოვანია, თანამესაკუთრეთა წილობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, დაყოფილი ნაწილები შეინარჩუნებენ თუ არა ღირებულებას (საგნობრივ დანიშნულებას).

სამოქალაქო კოდექსის 150-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საზიარო საგანი, არასაცხოვრებელი ფართი არის 125,21 კვ.მ, თანამესაკუთრეთა რიცხვი კი 27-ია. ამასთან, საქმის მასალებით არ დასტურდება, შესაძლებელია თუ არა საზიარო საგნის იდეალური წილის შესაბამის ფართებად დაყოფა ისე, რომ არ დაირღვეს საზიარო უფლების მონაწილე პირთა უფლებები ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ ქონების ნატურით გაყოფით საზიარო უფლების გაუქმება შეუძლებელია.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება ლ. ნ-მა გაასაჩივრა საკასაციო წესით, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღება შემდეგი საფუძვლებით:

სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო კოდექსის 961-ე, 963-ე მუხლები და უგულვებლყო ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც სადავო ქონებიდან კასატორის წილის გამოყოფა შესაძლებელია მისი ღირებულების შემცირების გარეშე, ასევე დასაშვებია შესასვლელი კარის მოწყობაც. აღნიშნული დასკვნა არც ერთი ინსტანციის სასამართლოს სადავოდ არ გაუხდია.

ამდენად, სააპელაციო პალატამ სადავო საზიარო უფლების გაუქმება შეუძლებლად უკანონოდ მიიჩნია. კასატორისათვის ქონების წილის ნატურით გადაცემით სხვა თანამესაკუთრეთა უფლებები არ შეილახება და მათი კუთვნილი წილის ღირებულება არ შემცირდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 7 სექტემბრის განჩინებით ლ. წ-ის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლით და ამავე კოდექსის 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ ლ.წ-ის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნდა დარჩეს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლომ დაადგია, რომ ქ.თბილისში, ბ-ოს ქ. №2ა-ში მდებარე 125,21 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის თანამესაკუთრეები არიან ლ.წ-ი და მოპასუხეები.

ლ. წ-ის საკუთრებად აღრიცხულია უძრავი ნივთის 13,68%, მ. ბ-ის საკუთრებად – 7,84%, ნ. ა-ის საკუთრებად – 11,52%, 66,96% კი ეკუთვნით ფიზიკურ პირთა ჯგუფს №23/1653-კ საკუთრების დამადასტურებელი მოწმობის №1 დანართის მიხედვით.

ქ. თბილისში, ბ-ოს ქ. №2ა-ში მდებარე უძრავი ნივთის 13,68% ლ.წ-მა შეიძინა 2010 წლის 2 თებერვლის, 12 მარტის, 15 მარტისა და 19 მარტის ნასყიდობის ხელშეკრულებების საფუძველზე. აღნიშნული გარიგებების მიხედვით, ლ. წ-ის მიერ შეძენილი არასაცხოვრებელი ფართის სრული მოცულობაა 17,12 კვ.მ.

ამდენად, საზიარო საგანი, არასაცხოვრებელი ფართი არის 125,21 კვ.მ, თანამესაკუთრეთა რიცხვი კი, 27-ია.

სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერ-

ტიზის ეროვნული ბიუროს“ 2011 წლის 25 ნოემბრის დასკვნის თანახმად, ქ. თბილისში, ბ-ოს ქ. №2ა-ში მდებარე №1 ოთახის გამოყოფა შესაძლებელია დანარჩენი ოთახებისაგან ისე, რომ მათი ღირებულება არ შემცირდეს. შესასვლელი კარის მოწყობა შესაძლებელია შენობის ფასადის მხრიდან ფანჯრის გვერდით ან ფანჯრის ადგილას.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ექსპერტის დასკვნით დადგენილია, რომ საზიარო საგნიდან 16,17 კვ.მ ოთახის გამოჯვანა შესაძლებელია, თუმცა არაფერია ნათქვამი, რამდენად არის შესაძლებელი საზიარო უფლების ობიექტის – 125,21 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის დაყოფა 27 თანამესაკუთრეთა შორის ისე, რომ არ დაირღვეს ამ უფლების მფლობელ პირთა უფლებები. მნიშვნელოვანია, თანამესაკუთრეთა წილობრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, დაყოფილი ნაწილები შეინარჩუნებენ თუ არა ღირებულებას (საგნობრივ დანიშნულებას).

კასატორის განმარტებით, სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სამოქალაქო კოდექსის 961-ე, 963-ე მუხლები და უგულებელყო ექსპერტიზის დასკვნა, რომლითაც სადავო ქონებიდან კასატორის წილის გამოყოფა შესაძლებელია მისი ღირებულების შემცირების გარეშე, ასევე დასაშვებია შესასვლელი კარის მოწყობაც. აღნიშნული დასკვნა არც ერთი ინსტანციის სასამართლოს სადავოდ არ გაუხდია.

საკასაციო პალატა არ იზიარებს კასატორის მოსაზრებას და განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლი მიუთითებს ორ აუცილებელ ფაქტორზე, რომლის არსებობა იწვევს ამ ნორმით გათვალისწინებულ იურიდიულ შედეგს. საზიარო უფლება უქმდება საზიარო საგნის (საგნების) ნატურით გაყოფისას მხოლოდ იმ შემთხვევაში: 1) თუ საზიარო საგანი (საგნები) შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად; 2) მათი დაყოფა შესაძლებელია ღირებულების შემცირების გარეშე. როგორც პირველი, ასევე მეორე ელემენტი უნდა არსებობდეს ერთდროულად იმისათვის, რომ დადგეს ამ ნორმით გათვალისწინებული შედეგი. განსახილველ დავასთან მიმართებით, როგორც პირველ, ასევე მეორე შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ ის, რომ ნატურით გამოყოფილმა საგანმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება, რასაც ის ასრულებდა გაყოფამდე, ე.ი. არ უნდა წაერთვას ის ფუნქცია და მნიშვნელობა, რასაც იგი ასრულებდა მესაკუთრეებისათვის (არა მხოლოდ მოსარჩელისათვის, არამედ, ასევე მოპასუხეებისათვის).

უპირველეს ყოვლისა, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ სადავო ქონება წარმოადგენს არასაცხოვრებელ ფართს

და, აქედან გამომდინარე, უნდა ვიფიქროთ, რომ შესაძლებელია მისი ეკონომიკური მიზნებისათვის გამოყენება. აღნიშნული თავისებურებების გათვალისწინებით სადავო ქონების ნატურით გაყოფისას გაყოფილი ნაწილები უნდა ინარჩუნებდნენ ერთმანეთთან მიმართებით (და არა მთლიანად საზიარო საგანთან მიმართებით) თანაბარ ღირებულებას რა დროსაც უნდა გათვალისწინებულ იქნეს ის ეკონომიკური ინტერესი, რომელიც გააჩნიათ საზიარო უფლების მქონე პირებს.

ამასთან, უნდა აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ სამოქალაქო კოდექსის 963-ე მუხლში მითითებული დებულება, რომ საზიარო უფლების გაუქმება შესაძლებელია, თუ საზიარო საგანი შეიძლება დაიყოს ერთგვაროვან ნაწილებად არ ნიშნავს, რომ მხოლოდ ტოლ ნაწილებად უნდა გაიყოს, ან ერთი და იმავე ღირებულების ნაკვეთებად, ე.ი, არ შეიძლება უპირატესობა მივანიჭოთ ან მხოლოდ ტოლ ნაწილებად დაყოფის წესს ან მხოლოდ ერთი და იმავე ღირებულების ნაწილებს. ნატურით გამოყოფილმა საგანმა არ უნდა დაკარგოს ის დანიშნულება, რასაც ის ასრულებდა გაყოფამდე, ე.ი. არ უნდა წაერთვას ის ფუნქცია და მნიშვნელობა, რაც გააჩნია ნივთს.

ამდენად, სადავო ქონების ნატურით გაყოფის შესაძლებლობის თაობაზე მტკიცების ტვირთი აკისრია მოსარჩელეს, რომელმაც ვერ დაასტურა თავისი მოთხოვნის საფუძვლიანობა.

საკასაციო საჩივარში ყურადღება გამახვილებულია ექსპერტიზის დასკვნაზე. კასატორი მიიჩნევს, რომ ექსპერტიზის დასკვნა პასუხობს კანონის მოთხოვნებს და ის არასწორად შეფასებულია სააპელაციო სასამართლოს მიერ. არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს კასატორის ეს მოსაზრება. საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ექსპერტის დასკვნის მიხედვით საზიარო საგნიდან 16,17 კვ.მ ოთახის გამიჯვნა შესაძლებელია, თუმცა არაფერია ნათქვამი, რამდენად არის შესაძლებელი საზიარო უფლების ობიექტის – 125,21 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის დაყოფა 27 თანამესაკუთრეთა შორის ისე, რომ არ დაირღვეს ამ უფლების მფლობელ პირთა უფლებები. აქედან გამომდინარე, ექსპერტიზის დასკვნა არ პასუხობს ზემომითითებული ნორმით გათვალისწინებულ წინაპირობებს.

ამასთან ერთად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლო არ შეუძლია, თავისი ინიციატივით შეამოწმოს

საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა.

საკასაციო საჩივარი არ მოიცავს მითითებას სხვა (ექსპერტიზის დასკვნის შეფასების გარდა) პროცესულ დარღვევებზე, რის გამოც საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, შეამოწმოს ისინი.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ლ. ნ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 11 ივლისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

### **უსაფუძვლო გამდიდრება**

#### **განჩინება**

№ას-1084-1015-2012

7 თებერვალი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
პ. ქათამაძე,  
ბ. ალავიძე

**დავის საგანი:** ფულადი ვალდებულების შესრულება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ი. მ-მა სარჩელით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს ა. და ი. პ-ების მიმართ და მოითხოვა ფულადი ვალდებულების შესრულება შემდეგი დასაბუთებით: 2001 წლის 1 მაისს მხარეთა შორის დაიდო უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება. ნასყიდობის ფასი 1 800 აშშ დოლარი მყიდველს ერთი წლის გან-

მავლობაში უნდა გადაეხადა. ი. მ-მა გადაიხადა 110 აშშ დოლარი და 30 ლარი. მოპასუხეებმა უძრავი ქონება ი. მ-ის სახელზე არ აღრიცხეს და გადახდილი თანხის დაბრუნებაზეც უარი განაცხადეს. მოსარჩელე ცხოვრობდა და სარგებლობდა უძრავი ქონებით, ვიდრე მოპასუხემ არ გამოასახლა. ი. მ-მა 2001 წლის სექტემბერში დაასრულა დამხმარე სათავსის ე.წ. „ლოჯის“ მიშენება საცხოვრებელ სახლზე. აქედან გამომდინარე, მოპასუხეებს სოლიდარულად უნდა დაეკისროთ ნივთზე განუყოფი ხარჯების 10 081 ლარის, გადახდილი ნაყიდობის საფასურის 110 აშშ დოლარისა და 30 ლარის გადახდა.

მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე – ნ. ო-ი ეთანხმება სასარჩელო მოთხოვნას.

მოპასუხეებმა წარმოდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნეს შემდეგი დასაბუთებით: 2001 წლის 1 მაისის შეთანხმების საფუძველზე ი. მ-მა გადაიხადა მხოლოდ 110 აშშ დოლარი და 30 ლარი, რის გამოც მოსარჩელეს ქონება არ გადასცემია. მოსარჩელის მიერ მიშენებული უკანონო ნაგებობაა და ექვემდებარება დემონტაჟს. მან ჩაატარა მხოლოდ 150 ლარის ღირებულების უმნიშვნელო შესაკეთებელი სამუშაოები, რომლის თაობაზეც თანხმობა ა. პ-სა და ი. პ-ს მოსარჩელისათვის არ მიუციათ.

გორის რაიონული სასამართლოს 2012 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილებით ი. მ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ა. პ-სა და ი. პ-ს მოსარჩელე ი. მ-ის სასარგებლოდ 110 აშშ დოლარისა და 30 ლარის სოლიდარული წესით გადახდა დაეკისრა. ი. მ-ის სარჩელი მოპასუხე ა. პ-ისა და ი. პ-ისათვის 10 081 ლარის გადახდის დაკისრების შესახებ მოთხოვნის ნაწილში არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ა. პ-სა და ი. პ-ს ი. მ-ის სასარგებლოდ 10 081 ლარის გადახდა დაეკისრათ. პალატამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: 2001 წლის 1 მაისს, ერთი მხრივ, ი. მ-სა და ნ. ო-ს და, მეორე მხრივ, ი. პ-სა და ა. პ-ს შორის წერილობით გაფორმდა შეთანხმება, რომლითაც ი. და ა. პ-ები ი. მ-ის ოჯახს 2002 წლის 1 მაისამდე 1 800 აშშ დოლარის გადახდის სანაცვლოდ, საკუთრებაში გადასცემდნენ ქ. კასპში, კ-ას ქ. №16-ში მდებარე საცხოვრებელ ბინას (შემდგარი ორი ოთახისა და აბაზანა-სამზარეულოსაგან). ა. და ი. პ-ები არიან მეუღლეები, ასევე მეუღლეები არიან ი. მ-ი და ნ. ო-ი. პალატამ მიიჩნია,

რომ ა. და ი. პ-ებს ი. მ-ისაგან 2001 წლის 1 მაისის შეთანხმების საფუძველზე 23.05.2011წელს 110 აშშ დოლარი და 30 ლარი აქვთ მიღებული.

პალატამ განმარტა, რომ, მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელეს არ წარმოუდგენია იმ გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულება, რომ მან მოპასუხეებს ამ თანხის გარდა, ასევე გადასცა 1163 აშშ დოლარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნა გადაცემული თანხის დაბრუნების თაობაზე საფუძვლიანია მხოლოდ 110 აშშ დოლარისა და 30 ლარის დაბრუნების ნაწილში. 2001 წლის 25 ივლისის დაიდო პრივატიზაციის ხელშეკრულება, ერთი მხრივ, კასპის კომუნალურ საწვინჯვეულებო სამშენებლო მომსახურების სამმართველოს საბინაო განყოფილების წარმომადგენელსა და, მეორე მხრივ, ა. პ-სა და ი. ს-ს (პ-ს) შორის, რომლის თანახმად, მათ ქ. კასპში, კ-ას ქ. №16-ში მდებარე ორ-ოთახიანი საცხოვრებელი ბინა საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცათ. აღნიშნული ბინა 2001 წლის 5 სექტემბერს საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღირიცხა ა. პ-სა და ი. ს-ს სახელზე.

2001 წლის 25 ივლისის პრივატიზაციის ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნით დავა წამოიწყო მოპასუხის ა. პ-ის ძმამ – ვ. პ-მა და თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდა. საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ვ. პ-ის მოთხოვნით, გაუქმდა ა. პ-ის მესაკუთრეობის თაობაზე არსებული სარეგისტრაციო ჩანაწერი 2011 წლის 16 თებერვალს. მოგვიანებით, 2011 წლის 14 ნოემბერს კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ა. პ-ის სახელზე გაიცა საკუთრების უფლების მონმობა №26, რომლის მიხედვითაც, მას გადაეცა საკუთრებაში ქ.კასპში, კ-ას ქ. №16-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ორი 33,71მ<sup>2</sup> ოთახი. აღნიშნული ქონება 2011 წლის 15 ნოემბერს საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა ა. პ-ის საკუთრების უფლებით, თუმცა მოპასუხეთა მხრიდან სადავოდ არ გამხდარა ის გარემოება, რომ აღნიშნული ფართი კვლავაც წარმოადგენს მოპასუხეთა, როგორც მეუღლეთა თანასაკუთრებას, შესაბამისად, მათი საკუთრების უფლება ბინის 33,71მ<sup>2</sup> ფართზე 2001 წლის 5 სექტემბრიდან ფაქტობრივად არ გაუქმებულა. საქმის მასალებით დგინდება, რომ ა. პ-მა 2011 წლის დეკემბერში ანუ, მას მერე, რაც საბოლოოდ დაირეგისტრირა საკუთრების უფლება სადავო ქონებაზე, 2001 წლის 1 მაისის შეთანხმების საფუძველზე მცხოვრები ი. მ-ი ოჯახთან ერთად გამოასახლა.

ამდენად, დასტურდება, რომ ქ. კასპში, კ-ას ქ. №16-ში მდე-

ბარე უძრავი ნივთის მესაკუთრედ დავის მიმდინარეობისას მიიჩნეოდა მოპასუხე, რადგან მისი უფლება სათანადო წესით იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში. პალატამ არ გაიზიარა ქ. კასპში, კ-ას ქ. №16-ში ლოჯის მიშენებისა და ჩატარებული სარემონტო სამუშაოების ღირებულების ანაზღაურების უსაფუძვლობის თაობაზე მოპასუხის არგუმენტი, უკანონოდ განხორციელებული მშენებლობა არ წარმოდგენს სამოქალაქო ბრუნვის ობიექტს და მისი განხორციელების თაობაზე ი. მ-ს არ ჰქონდა მესაკუთრის თანხმობა, ხოლო სარემონტო სამუშაოებიდან ჩატარებულია მხოლოდ 150 აშშ დოლარის სამუშაოები. საქმეში წარმოდგენილია მთავარი არქმშენის სპექციის 10.12.2003 წლის წერილები რომლითაც ა. პ-ი გაფრთხილებულია, ქ. კასპში, კ-ას ქ. №16-ში უკანონო მშენებლობის მიმდინარეობის შესახებ. იმავე წლის 22 დეკემბერს მიღებულ იქნა დადგენილება, აღნიშნული მშენებლობის გამო, 2000 ლარით ა.პ-ის დაჯარიმების შესახებ. პალატამ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზეც, რომ ქ. კასპში, კ-ას ქ. №16-ში არსებული უკანონო მიშენების დემონტაჟის თაობაზე შიდა ქართლის რეგიონული არქმშენის სპექციის სარჩელზე, შეწყდა წარმოება გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 ივნისის განჩინებით, მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო. აღნიშნული განჩინებითვე დგინდება, რომ „პროექტის შემთანხმებული და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ანდა პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის 660-ე ბრძანებულებით განისაზღვრა უნებართვო მშენებლობების დაკანონების წესები და პროცედურა, რის გამოც, გორის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ არქმშენის სპექციის უარი სარჩელზე არ ეწინააღმდეგებოდა მოქმედ კანონმდებლობას. მხარეთა შორის დავას არ იწვევს ის გარემოება, რომ მთავარი არქმშენის სპექციის 22.12.2003 წლის დადგენილება ა. პ-ის 2000 ლარით დაჯარიმების თაობაზე არ აღსრულებულა, შესაბამისად, ა. და ი. პ-ებს ამ ოდენობის ქონებრივი დანაკლისი არ განუცდიათ.

ამდენად, პალატამ მიიჩნია, რომ ბინაზე განეული ხარჯების დაკისრების კუთხით უმნიშვნელოა მოწინააღმდეგე მხარის პოზიცია იმის თაობაზე, რომ ქ. კასპში, კ-ას ქ. №16-ში დამხმარე სათავსი (ლოჯის) მიშენებულია უპროექტოდ, გამომდინარე იქიდან, რომ მესაკუთრეები სარგებელს იღებენ ბინაზე მიშენებული დამხმარე ფართით (ლოჯით). მხარეთა განმარტებებით, დას-

ტურდება, რომ მოსარჩელის მიერ მიშენებული ლოჯის ხარჯზე, არსებულ ფართს მიემატა ე.წ დამხმარე ფართი, სადაც მოწყობილ იქნა სამზარეულო (სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 19 ივნისის სხდომის ოქმი 13:33). შესაბამისად, თუკი მოპასუხეთა კუთვნილი ფართი შედგებოდა ერთი საცხოვრებელი ოთახისა და სამზარეულოსაგან, მოსარჩელის ხარჯზე გაკეთებული გაუმჯობესების შედეგად ა. პ-ის სარგებლობაში არსებულ ფართს მიემატა სამზარეულო, საკუთრებად რეგისტრირებული 33,71 კვ.მ ფართის ნაცვლად, 53,25 კვ.მ ფართით, შეუზღუდავად სარგებლობენ მოპასუხეები მას შემდეგ, რაც ბინიდან მოსარჩელის ოჯახი გამოასახლეს. ამასთან, იმის გათვალისწინებით, რომ მთავარმა არქმშენისსპექციამ ზემოთ მითითებული საფუძვლით უარი თქვა მისი დემონტაჟის მოთხოვნაზე, არსებობს ლოგიკური, აშკარა და თანმიმდევრული ვარაუდის საფუძველი, რომ მიშენება შესაძლოა დაექვემდებაროს ლეგალიზებას მომავალში მესაკუთრის მიერ ან დარჩეს მის სარგებლობაში დაურეგისტრირებელი სახით.

პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელემ მიშენებასა და სარემონტო სამუშაოებზე განია ხარჯები, რაც შეადგენს 10081 ლარს. აღნიშნული გარემოება დასტურდება შპს „გ-ის“ მიერ შესრულებული სარემონტო სამუშაოების აღწერითა და შეფასებით, ასევე, აუდიტორული დასკვნით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 134-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, წერილობით მტკიცებულებებს წარმოადგენს აქტები, საბუთები, საქმიანი და პირადი ხასიათის წერილები, რომლებიც შეიცავს ცნობებს საქმისთვის მნიშვნელოვან გარემოებათა შესახებ. შესაბამისად, პალატამ მიიჩნია, რომ საქმეში წარმოდგენილი აუდიტორული დასკვნა განეკუთვნება 134-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განსაზღვრულ წერილობით მტკიცებულებას, რომლითაც გამყარებულია მოსარჩელის განმარტება ბინაზე ჩატარებული სარემონტო სამუშაოების ღირებულების თაობაზე და დგინდება, რომ ქ. კასპში, კ-ას ქ. №16-ში არსებული ბინის გარემონტებაზე გაწეული ხარჯები შეადგენს დაახლოებით 11000 ლარს. აღნიშნული გარემოება ასევე, დასტურდება შპს „გ-ის“ მიერ 2012 წლის 9 იანვრის შედგენილი ხარჯთაღრიცხვით, რომელიც იძლევა ინფორმაციას ი. მ-ის მიერ ქ. კასპში, კ-ას ქ. №16-ში შესრულებული სარემონტო სამუშაოების ჩამონათვალისა და მისი ღირებულების თაობაზე, რომელიც მთლიანობაში შეადგენს 10081 ლარს. ორივე მითითებული გაანგარიშება შედგა სპეციალისტის მონაწილეობით, შესაბამისად, მონინალმდევე მხარის მიერ მტკიცებულებათა წარმოუდგენლობის და მისი მოსაზრე-

ბის მხოლოდ ზეპირი გადმოცემის პირობებში არ არსებობს მითითებული დოკუმენტებით გაკეთებული გაანგარიშების არასარწმუნოდ მიჩნევის საფუძველი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 103-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები. ამავე კოდექსის მე-4 მუხლით უზრუნველყოფილია მხარეთა თანაბარი შესაძლებლობები, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები, მტკიცებულებები. საპროცესო კანონმდებლობით დამკვიდრებული მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპიდან გამომდინარე, ფაქტობრივი გარემოებების მითითება, მონინალმდევე მხარის არგუმენტებთან შედავება და პოზიციების შესაბამისი მტკიცებულებებით გამყარება, მხარის პროცესუალურ ვალდებულებას წარმოადგენს და მისი ჯეროვნად განუხორციელებლობა ინვევს მონინალმდევე მხარისთვის საპროცესო ვალდებულების შესრულების გაიოლებას. ამასთან, როგორც მოსარჩელეა შეზღუდული სარჩელში მითითებული გარემოებებით და ეკისრება მათი მტკიცების ვალდებულება, მოპასუხეც, თავის მხრივ, ვალდებულია, შესაგებლით საცილოდ გახადოს მოსარჩელის მიერ წარმოდებული ფაქტები და გააქარწყლოს მოსარჩელის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები. მოპასუხე მხარეებს შესაგებლით, მოსარჩელის პოზიციის გასაბათილებლად აუდიტის დასკვნის და შპს „გ-ის“ გაანგარიშების საპირისპიროდ რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენიათ, უფრო მეტიც სადავოდაც არ გაუხდიათ ჩატარებული სამუშაოების ღირებულება. მათი პოზიცია მხოლოდ იმაზე მითითებით შემოიფარგლა, რომ სამუშაოები განხორციელდა მათი თანხმობის გარეშე.

მითითებული ფაქტების გათვალისწინებით პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხეები მოსარჩელის ხარჯზე გამდიდრდნენ. სამოქალაქო კოდექსის 976-991-ე მუხლებიდან გამომდინარე, პირის ქონების გაზრდა ან დაზოგვა სხვა პირის ხარჯზე კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული საფუძვლის გარეშე, წარმოადგენს უსაფუძვლო გამდიდრებას და წარმოშობს უსაფუძვლოდ შექმნილის ან დაზოგილი ქონების უფლებამოსილი პირისათვის გადაცემის ვალდებულებას. მოცემულ ნორმათა ძირითადი დებულება ისაა, რომ სხვა პირის ხარჯზე მიღებული სარგებლის (რაც შეიძლება გამოიხატოს ქონების დაზოგვაშიც) უკან დაბრუნების ვალდებულება წარმოიშობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს პირი ამით გამდიდრდა. სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პირს, რომელმაც შეგნებულად ან შეცდომით ხარჯები გასწია მეორე პირის

ქონებაზე, შეუძლია, მისგან მოითხოვოს თავისი დანახარჯების ანაზღაურება, თუ მეორე პირი ამით გამდიდრდა. ამასთან, მე-2 ნაწილის თანახმად, გამდიდრების არსებობა განისაზღვრება იმ მომენტიტ, როცა მოვალეს უბრუნდება თავისი ნივთი ან იგი ღირებულების გაზრდის შედეგად სხვაგვარად იღებს სარგებელს. მოცემული ნორმის სამართლებრივი ანალიზი ცხადყოფს, რომ მითითებულ ნორმაში ასახული დანახარჯების ანაზღაურების უფლება პირს წარმოეშობა მხოლოდ გარკვეული გარემოებების არსებობის შემთხვევაში. კერძოდ, ანაზღაურების მოთხოვნის უფლება წარმოიშობა თუ სხვის ქონებაზე გასწიეს ხარჯი, მათ შორის, შეგნებულადაც და არა მხოლოდ შეცდომით. დანახარჯების შედეგად ნივთის ღირებულება უნდა გაიზარდოს. ამასთან, გაზრდილი ღირებულება უნდა არსებობდეს ნივთის დაბრუნების მომენტისათვის. ე.ი. გამდიდრების ფაქტის დადგენისას, გამდიდრების ოდენობა უნდა განისაზღვროს იმ მომენტისათვის, როცა უფლებამოსილ პირს უბრუნდება თავისი ნივთი, ანუ, განსახილველ შემთხვევაში, გადამწყვეტია იმის დადგენა გაზრდილი ღირებულება არსებობს თუ არა ნივთის დაბრუნების მომენტისათვის, ე.ი. მოცემულ შემთხვევაში, საქმეში არსებული წერილობითი მტკიცებულებებით დადგინდა ნივთის ღირებულების არსებითი მომატება ი. მ-ის მიერ განხორციელებული გაუმჯობესებების საფუძველზე, კერძოდ, დადგინდა, რომ ი. მ-ის მიერ ნივთზე განეულმა ხარჯებმა შეადგინა 10 081 ლარი, გაუმჯობესებას კი შედეგად მოჰყვა უფლებამოსილი პირების – ა. და ი. პ-ების გამდიდრება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა ა. და ი. პ-ებმა შემდეგი დასაბუთებით: სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მოცემულ შემთხვევაში, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელი იყო ხელშეკრულება ან უსაფუძვლო გამდიდრების წინაპირობები. ერთის არსებობა გამორიცხავს მეორეს. მხარეებს სადავოდ არ გაუხდიათ 2001 წლის 1 მაისის წერილობითი ხელშეკრულების არსებობა საცხოვრებელი ბინის საკუთრებაში გადაცემასთან დაკავშირებით 1800 აშშ დოლარის 2002 წლის 1 მაისამდე გადახდის სანაცვლოდ. დამხმარე ფართი არ წარმოადგენდა შეთანხმების საგანს. ი. ს-ის ნების გამოვლენა და თანხმობა ლოჯიის მიშენებასთან დაკავშირებით განპირობებული და ნამდვილი იყო ამ შეთანხმების კეთილსინდისიერი შესრულების პირობებში, იმ დროს და არა 10 წლის შემდეგ. მოპასუხეები 10 წლის განმავლობაში მოსარჩელის შეუსრულებელი ვალდებულების გამო ქირით ცხოვ-

რობენ.

უდავოა, რომ მოსარჩელემ ბრალეულად 2002 წლის 1 მაისამდე არ გადაიხადა ბინის ღირებულება 1800 აშშ დოლარი და დღემდე არ აპირებს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის შესაბამისად გადახდას. მიშენება მოსარჩელეს დღემდე მიაჩნია თავის საკუთრებად და ფლობს მას. ამასთან, არ არსებობს მისი გამოსახლების კანონიერი საფუძველი, რადგან არ არსებობს საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტი.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ ა. და ი. პ-ების საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლით და გასაჩივრებული გადაწყვეტილება შეამოწმა საკასაციო საჩივრის ფარგლებში.

მოცემულ საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. 2001 წლის 1 მაისს ერთი მხრივ, ი. მ-სა და ნ. ო-ს და მეორე მხრივ, ი. პ-სა და ა. პ-ს შორის წერილობით გაფორმდა შეთანხმება, რომლითაც ი. და ა. პ-ები ი. მ-ის ოჯახს პირად საკუთრებაში გადასცემდნენ ქ. კასპში, კ-ას ქ. №16-ში მდებარე საცხოვრებელ ბინას 1 800 აშშ დოლარის 2002 წლის 1 მაისამდე გადახდის სანაცვლოდ;

2. რომ ა. და ი. პ-ები არიან მეუღლეები. ასევე მეუღლეები არიან ი. მ-ი და ნ. ო-ი;

3. ა. და ი. პ-ებს ი. მ-ისაგან, 2001 წლის 1 მაისის შეთანხმების საფუძველზე, 23.05.2011 წელს მიღებული აქეთ 110 აშშ დოლარი და 30 ლარი;

4. 2001 წლის 25 ივლისს დაიდო პრივატიზაციის ხელშეკრულება ერთი მხრივ, კასპის კომუნალურ საწესჩვეულებო სამშენებლო მომსახურების სამმართველოს საბინაო განყოფილების წარმომადგენელსა და მეორე მხრივ, ა. პ-სა და ი. ს-ს (პ-ს) შორის, რომლის თანახმად, მათ უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცათ ქ. კასპში, კ-ას ქ. №16-ში მდებარე ორ ოთახიანი საცხოვრებელი ბინა, რომლის მთლიანი ფართი იმ დროისათვის იყო 39მ<sup>2</sup>. აღნიშნული ბინა 2001 წლის 5 სექტემბერს საჯარო რეესტრში საკუთრების უფლებით აღირიცხა ა. პ-სა და ი. ს-ს სახელზე;

5. 2001 წლის 25 ივლისის პრივატიზაციის ხელშეკრულების

გაუქმების მოთხოვნით დავა წამოიწყო მოპასუხის ა. პ-ის ძმამ – ვ. პ-მა და თბილისის საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილებით მისი მოთხოვნა დაკმაყოფილდა. საოლქო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ვ. პ-ის მოთხოვნით, გაუქმდა ა. პ-ის მესაკუთრეობის თაობაზე არსებული სარეგისტრაციო ჩანაწერი 2011 წლის 16 თებერვალს. მოგვიანებით, 2011 წლის 14 ნოემბერს კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ა. პ-ზე გაიცა საკუთრების უფლების მოწმობა №26, რომლის მიხედვითაც მას გადაეცა საკუთრებაში ქ. კასპში, კ-ას ქ. №16-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ორი ოთახი 33,71მ<sup>2</sup> ფართით. აღნიშნული ქონება 2011 წლის 15 ნოემბერს საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა ა. პ-ის საკუთრების უფლებით, თუმცა მოპასუხეთა მხრიდან სადავოდ არ გამხდარა ის გარემოება, რომ აღნიშნული ფართი კვლავაც წარმოადგენს მოპასუხეთა როგორც მეუღლეთა თანასაკუთრებას, შესაბამისად, მოპასუხეთა საკუთრების უფლება ბინის 33,71მ<sup>2</sup> ფართზე 2001 წლის 5 სექტემბრიდან, ფაქტობრივად, არ გაუქმებულა.

6. ა. პ-მა 2011 წლის დეკემბერში, ანუ, მას მერე რაც საბოლოოდ დაირეგისტრირა საკუთრების უფლება ქ. კასპში, კ-ას ქ. №16-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ორ ოთახზე, მითითებული ბინიდან გამოასახლა 2001 წლის 1 მაისის შეთანხმების საფუძველზე მცხოვრები ი. მ-ი ოჯახთან ერთად;

7. ქ. კასპში, კ-ას ქ. №16-ში მდებარე უძრავი ნივთის მესაკუთრედ დავის მიმდინარეობის მთელი პერიოდის მანძილზე კვლავ მიიჩნეოდა მოპასუხე, რადგან მისი უფლება სათანადო წესით იყო რეგისტრირებული საჯარო რეესტრში.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). „დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია“ გულისხმობს მხარის მითითებას საპროცესო-სამართლებრივ დარღვევებზე, რის შედეგადაც საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები არასწორად დადგინდა. მოცემულ შემთხვევაში, კასატორებს ამგვარი პრეტენზია არ წარმოუდგენიათ.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში საკასაციო საჩივრის საფუძველები გაზიარებული ვერ იქნება.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მითითებას, რომ ქ. კასპში, კ-ას ქ. №16-ში არსებული უკა-

ნონო მიშენების დემონტაჟის თაობაზე შიდა ქართლის რეგიონალური არქმშენინსპექციის სარჩელზე შეწყდა წარმოება გორის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 4 ივნისის განჩინებით, მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის გამო. აღნიშნული განჩინებითვე დგინდება, რომ „პროექტის შემთანხმებელი და მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანოს მიერ უნებართვოდ ან/და პროექტის დარღვევით აშენებული ობიექტების, ან მათი ნაწილების ლეგალიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 24 ნოემბრის №660 ბრძანებულებით განისაზღვრა უნებართვო მშენებლობების დაკანონების წესები და პროცედურა, რის გამოც, გორის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ არქმშენინსპექციის უარი სარჩელზე არ ეწინააღმდეგებოდა მოქმედ კანონმდებლობას. მთავარი არქმშენინსპექციის 22.12.2003 წლის დადგენილება ა. პ-ის 2000 ლარით დაჯარიმების თაობაზე არ აღსრულებულა, შესაბამისად, ა. და ი. პ-ებს ამ ოდენობის ქონებრივი დანაკლისი არ განუცდიათ; ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, ბინაზე განეული ხარჯების დაკისრების კუთხით უმნიშვნელოა პოზიცია იმის თაობაზე, რომ ქ. კასპში, კ-ას ქ. №16-ში დამხმარე სათავსო (ლოჯი) მიშენებულია უპროექტოდ, გამომდინარე იქედან, რომ მესაკუთრეები სარგებელს იღებენ ბინაზე მიშენებული დამხმარე ფართით (ლოჯით). მხარეთა განმარტებებით დასტურდება, რომ მოსარჩელის მიერ მიშენებული ლოჯის ხარჯზე, არსებულ ფართს მიემატა ე. წ. დამხმარე ფართი, სადაც მოეწყო სამზარეულო (სააპელაციო სასამართლოს 2012 წლის 19 ივნისის სხდომის ოქმი 13;33), შესაბამისად, თუკი მოპასუხეთა კუთვნილი ფართი შედგებოდა ერთი საცხოვრებელი ოთახისა და სამზარეულოსაგან, მოსარჩელის ხარჯზე გაკეთებული გაუმჯობესების შედეგად ა. პ-ის სარგებლობაში არსებულ ფართს მიემატა მიშენებული სამზარეულო. მის ხარჯზე ა. პ-ის ოჯახის სარგებლობაშია ნაცვლად საკუთრებად რეგისტრირებული 33,71 კვ.მ ფართისა, 53,25 კვ.მ ფართი.

სამოქალაქო კოდექსის 987-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პირს, რომელმაც შეგნებულად ან შეცდომით ხარჯები გასწია მეორე პირის ქონებაზე, შეუძლია მისგან მოითხოვოს თავისი დანახარჯების ანაზღაურება, თუ მეორე პირი ამით გამდიდრდა; ამასთან, იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გამდიდრების არსებობა განისაზღვრება იმ მომენტიტ, როცა მოვალეს უბრუნდება თავისი ნივთი, ან იგი ღირებულების გაზრდის შედეგად სხვაგვარად იღებს სარგებელს. საკასაციო სა-

სამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ ზემოთითხილებული გარემოებები მოპასუხეთა გამდიდრებას ადასტურებს და მოსარჩელის მხრიდან საკუთარი დანახარჯის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას წარმოშობს.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორების მტკიცებას, რომ რემონტის ხარჯები არის გაბერილი და მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. მოცემულ შემთხვევაში, ასანაზღაურებელი ხარჯების სხვაგვარი გაანგარიშება მოპასუხეს სასამართლოსათვის არ წარუდგენია.

საკასაციო სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ დაუსაბუთებელი კასატორების მითითება იმ გარემოებაზე, რომ 2008 წლის 4 ივნისის განჩინებით შეწყდა ადმინისტრაციული საქმის წარმოება უნებართვოდ მიშენებული ფართის დემონტაჟის შესახებ სარჩელზე მოსარჩელის მიერ უარის თქმის გამო. ამ საქმეში ჩაბმული იყო ვ. პ-ი და არა ა. პ-ი. აღნიშნულის საპირისპიროდ, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სადავო ბინის მესაკუთრეები მოპასუხეები არიან, ხოლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ გააჩნიათ უნებართვოდ მიშენებული ფართის დაკანონების შესაძლებლობა. აღნიშნული შესაძლებლობით სარგებლობა მათ ნებაზეა დამოკიდებული. სადავო მიშენება, რომლის დაკანონებისა და საკუთარი სურვილის შესაბამისად განკარგვის პერსპექტივაც მოპასუხეებს გააჩნიათ, აშენებულია მოსარჩელის მიერ, შესაბამისად, ის გარემოება, რომ ადმინისტრაციული საქმის წარმოებისას ა. პ-ი მხარედ ჩაბმული არ ყოფილა, განსახილველი სამოქალაქო დავის გადანყვეტაზე გავლენას ვერ მოახდენს, ვინაიდან, მოპასუხეების კვლავ სარგებლობენ სადავო მიშენებით და მათ არ ესპობათ ამ მიშენების დაკანონების შესაძლებლობა.

კასატორი ასევე მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა მოსარჩელის სადავო ბინაში წლების მანძილზე ცხოვრების ფაქტი, ისე, რომ მას ბინის ნასყიდობის თანხა გადახდილი არ ჰქონდა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ვინაიდან მოსარჩელემ 2001 წლის 1 მაისის შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება არ შეასრულა, მოპასუხემ იგი ბინიდან გამოასახლა. ხელშეკრულებით ნაკისრი პირველადი ვალდებულების შეუსრულებლობა ამ ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენს და არ გამოორიცხავს შემძენის მიერ ნივთზე გაღებული ხარჯების ანაზღაურების შესაძლებ-

ლობას, ამდენად, მიშენების ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის თვალსაზრისით, უსაფუძვლოა მოპასუხის არგუმენტი, რომ მოსარჩელე ბინაში წლების მანძილზე ცხოვრობდა და ნასყიდობის ფასი არ გადაუხდია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მიხედვით, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დასაბუთებული, კანონიერია და მისი გაუქმების სამართლებრივი საფუძველი არ არსებობს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო 410-ე, 284-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

- ა. და ი. პ-ების საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
- უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება;
- საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

# უსაფუძვლო გამდიდრება

## ბანკინება

№ას-1150-1079-2012

7 მარტი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: თ. თოდრია (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ ქათამაძე

**დავის საგანი:** კანონისმიერი ფულადი ვალდებულების შეს-  
რულება

### აღწერილობითი ნაწილი:

სს „ვ.ბ.ჯ-ამ“ სარჩელი აღძრა სასამართლოში გ., ნ. და ნ. გ-ის წინააღმდეგ და მოითხოვა გ. გ-ის, მის სასარგებლოდ, 61 727.91 ლარის, ნ.გ-ის – 29 316.35 ლარისა და ნ. გ-ის – 28 955.74 ლარის დაკისრება შემდეგი საფუძვლით: 1999 წლიდან მოპასუხებთან იმყოფებოდა საკრედიტო სახელშეკრულებო ურთიერთობაში, რომლის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა მოპასუხეების საკუთრებაში არსებული, გორის რაიონის სოფელ ქვეშში მდებარე უძრავი ქონება. 2010 წლის 29 დეკემბრის სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე, სს „ვ.ბ.ჯ-ა“ აღნიშნულ უძრავ ქონებაზე რეგისტრირებული იყო როგორც პირველი რიგის იპოთეკარი. იგივე ქონება დატვირთული იყო ნ., ნ. და გ. გ-ის სხვა ვალდებულებათა უზრუნველსაყოფადაც, მათ შორის რეგისტრირებული იყო საგადასახადო იპოთეკა/გირავნობა მესაკუთრეთა საგადასახადო დავალიანების უზრუნველსაყოფად. მოპასუხეებს ჰქონდათ საგადასახადო დავალიანება, რომელიც შეგნებულად გადაიხადა სს „ვ. ბ. ჯ-ამ“ 2011 წლის მაის-ივნისში.

მოპასუხეებმა სარჩელი არ ცნეს იმ საფუძვლით, რომ მათ ბანკის მიერ დავალიანების დაფარვაზე უარი არ განუცხადებიათ და იგი არ იყო უფლებამოსილი გადაეხადა სხვისი ვალი.

გორის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილებით სს „ვ.ბ.ჯ-ის“ სარჩელი დაკმაყოფილდა, გ. გ-ს სს „ვ.ბ.ჯ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა 61 727.91 ლარის, ნ. გ-ს – 29 316.35 ლარის, ხოლო ნ. გ-ს – 28 955.74 ლარის გადახდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს გ., ნ. და ნ.გ-მა, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილე-

ბაზე უარის თქმა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 30 იანვრის განჩინებით გ. გ-ის სააპელაციო საჩივარი დარჩა განუხილველად დაუშვებლობის გამო, რაც ძალაში დარჩა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 12 მარტის განჩინებით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 ივნისის განჩინებით ნ. და ნ. გ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ საქმეზე დადგენილად მიიჩნია და არც მხარეებს გაუხდიათ სადავოდ შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

1999 წლიდან, ერთი მხრივ, სს „ვ.ბ.ჯ-ა“ და, მეორეს მხრივ, გ. გ-ი, ნ.გ-ი და ნ.გ-ი იმყოფებოდნენ საკრედიტო სახელშეკრულებო ურთიერთობაში (მხარეთა ახსნა-განმარტებები, სხდომის ოქმი 13.10.2011წ);

გ. გ-ს ჰქონდა საგადასახადო დავალიანება 61 727.91 ლარი, რომელიც სს „ვ.ბ.ჯ-ამ“ 2011 წლის მაის-ივნისში შეგნებულად გადაიხადა (ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შედარების აქტი ს.ფ. 15; 13/06/2011 საგადასახადო დავალება №12, 13/06/2011 საგადასახადო დავალება №11);

ნ. გ-ს ჰქონდა საგადასახადო დავალიანება 29 316.35 ლარი, რომელიც სს „ვ.ბ.ჯ-ამ“ 2011 წლის მაის-ივნისში შეგნებულად გადაიხადა (ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შედარების აქტი, 31/05/2011 საგადასახადო დავალება №10, 31/05/2011 საგადასახადო დავალება №13, 31/05/2011 საგადასახადო დავალება №12);

ნ.გ-ს ჰქონდა საგადასახადო დავალიანება 28 955.74 ლარი, რომელიც სს „ვ.ბ.ჯ-ამ“ 2011 წლის მაისი-ივნისში შეგნებულად გადაიხადა (ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შედარების აქტი, 31/05/2011 საგადასახადო დავალება №6, 31/05/2011 საგადასახადო დავალება №9, 31/05/2011 საგადასახადო დავალება №7, 31/05/2011 საგადასახადო დავალება №8);

სს „ვ.ბ.ჯ-ის“ სასარგებლოდ საკრედიტო ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით დაიტვირთა უძრავი ქონება, მდებარე გორის რაიონის სოფელ ქ-ი, მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №..., რომლის მესაკუთრეებს წარმოადგენდნენ გ. გ-ი, ნ.გ-ი და ნ.გ-ი;

2010 წლის 29 დეკემბრის საალსრულებო ფურცლის №3/10-08 29 საფუძველზე სს „ვ.ბ.ჯ-ა“ უძრავ ქონებაზე, მდებარე გორის რაიონის სოფელ ქ-ი, დარეგისტრირდა, როგორც პირველი

რიგის იპოთეკარი. იგივე ქონება დატვირთული იყო იპოთეკით ნ.გ-ის, გ. გ-სა და ნ.გ-ის სხვა ვალდებულებათა უზრუნველსაყოფადაც, მათ შორის რეგისტრირებული იყო საგადასახადო იპოთეკა/გირავნობა მესაკუთრეთა საგადასახადო დავალიანების უზრუნველსაყოფად.

პალატამ მიიჩნია, რომ, მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობდა ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც აუცილებელია დავის სამოქალაქო კოდექსის 969-ე და 974-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის, შესაბამისად, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ექცევა უსაფუძვლო გამდიდრების რეგულირების ფარგლებში. შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 986-ე მუხლი, რომლის შესაბამისად, პირს, რომელიც შეგნებულად ან შეცდომით სხვის ვალებს ისტუმრებს, შეუძლია, ამ პირს მოსთხოვოს თავისი ხარჯების ანაზღაურება.

პალატამ აღნიშნა, რომ აპელანტი სარჩელის უსაფუძვლობასთან დაკავშირებით უთითებდა იმ გარემოებაზე, რომ საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, სს „ვ.ბ.ჯ-ა“ საერთოდ არ იყო უფლებამოსილი, მოპასუხეთა ნაცვლად დაეფარა საგადასახადო დავალიანება (საგადასახადო კოდექსის, 53.4 მუხლი, საგადასახადო კოდექსის 239-ე მუხლის მე-6 ნაწილით). აღნიშნულთან დაკავშირებით, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემული დავის გადაწყვეტის მიზნებისათვის მიუთითებულ არგუმენტს არ გააჩნდა არსებითი მნიშვნელობა. მოცემულ შემთხვევაში, იმ დადგენილი გარემოების გათვალისწინებით, რომ საგადასახადო დავალიანება მოსარჩელემ გადაიხადა, რის საფუძველზეც უძრავი ქონება გათავისუფლდა საგადასახადო იპოთეკა/გირავნობისაგან, ამასთან, თანხის გადახდის კანონშესაბამისობა, კანონით დადგენილი წესით სადავო არ გამხდარა, დადგენილი ფაქტობრივი გარემოების ანალიზისა და სამოქალაქო კოდექსის 316.1 და 317.1 ნორმათა საფუძველზე, პალატამ მიიჩნია, რომ სარჩელი საფუძვლიანი იყო და კანონიერად იქნა დაკმაყოფილებული.

პალატამ აღნიშნა, რომ სარჩელის უსაფუძვლობასთან დაკავშირებით აპელანტი ასევე მიუთითებდა იმ გარემოებაზე, რომ უძრავი ქონების აუქციონზე რეალიზაციის შედეგად დავალიანების გადახდა, ბანკს, როგორც პირველი რიგის იპოთეკარს, არ ევალებოდა (საგადასახადო კოდექსის 239.6 მუხლი) და შესრულებაზე ვალდებულ პირებად რჩებოდნენ მოპასუხეები. აღნიშნულთან დაკავშირებით, ბანკის წარმომადგენელმა განმარტა, რომ გადახდა შეესაბამებოდა მათ ინტერესებს, ვინაიდან

მოპასუხეებთან მიმდინარეობდა დავა პირველი რიგის იპოთეკარად რეგისტრაციასთან დაკავშირებით და ვინაიდან უძრავ ქონებაზე რეგისტრირებული იყო საგადასახადო იპოთეკა/გირავნობა, მათ თავიდან აიცილეს შემოსავლების სამსახურთან შესაძლო დავა იპოთეკის რიგითობასთან დაკავშირებით. ამდენად, პალატის აზრით, მოსარჩელე სხვისი ვალდებულების შესასრულებლად ითვალისწინებდა რა თავის ინტერესებს, შეასრულა მოპასუხეთა ვალდებულება, რაც მას ანიჭებდა უფლებას, უსაფუძვლო გამდიდრების საფუძველზე მოვალის მიმართ წამოეჭრა მოთხოვნა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 ივნისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ნ. და ნ.გ-მა, მოითხოვეს მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი საფუძველებით: სასამართლომ სათანადო დასაბუთების გარეშე არ გაიზიარა მოპასუხეთა არგუმენტი, რომ ამ ურთიერთობის მიმართ უნდა გამოყენებულიყო ამ კოდექსის 969-ე და 974-ე მუხლები, რომლებითაც დაუშვებლად ითვლება შემსრულებლისათვის განეული ხარჯების ანაზღაურების შესაძლებლობა. სააპელაციო სასამართლო შემოიფარგლა მხოლოდ აღნიშნული ნორმების შინაარსზე მითითებით, თავადვე მიიჩნია დადგენილად, რომ, როცა წარმოებული შესრულება არ შეესაბამება მეპატრონის ნებას ან სულაც ეწინააღმდეგება მის ინტერესებს, შემსრულებელს არ შეუძლია მოსთხოვოს მეპატრონეს თავისი ხარჯების ანაზღაურება მოცემული სამართლებრივი ინსტიტუტის ფარგლებში. ამდენად, პალატამ არასწორად მიუთითა, რომ არ არსებობდა ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც აუცილებელია დავის სამოქალაქო კოდექსის 969,974-ე მუხლებით კვალიფიკაციისათვის და მიიჩნია, რომ საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები ექცეოდა უსაფუძვლო გამდიდრების რეგულირების ფარგლებში, რის გამოც უნდა გამოყენებულიყო სამოქალაქო კოდექსის 936-ე მუხლი, თუმცა განჩინებაში საერთოდ არ მიუთითებია, კონკრეტულად რომელი ფაქტობრივი გარემოება მიიჩნია პალატამ დადგენილად, რომელიც გათვალისწინებულია უსაფუძვლო გამდიდრებისათვის დადგენილი ნორმებით და არ დაუსაბუთებია, თუ რატომ უნდა გამოეყენებინა აღნიშნული ნორმა.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების იურიდიული დასა-

ბუთების შემონმების შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. და ნ.გ-ის საკა-საციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს და უცვლელად უნ-და დარჩეს სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი გან-ჩინება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ გ-ის წარმომადგენელ-მა პირველი ინსტანციის სასამართლოში სადავოდ არ გახადა ფაქტობრივი გარემოებები და აღნიშნა, რომ ყურადღებას ამახ-ვილებს საქმის მხოლოდ სამართლებრივ მხარეზე (2011წ. 13. 10. სხდომის ოქმის ჩანაწერი 12.37.20). ასევე გასათვალისწინე-ბელია, რომ გ-ის სააპელაციო საჩივარი, ასევე ეხება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების მხოლოდ სამარ-თლებრივ მხარეს. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამარ-თლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გა-რემოებები:

1999 წლიდან, ერთი მხრივ, სს „ვ.ბ.ჯ-ა“ და, მეორე მხრივ, გ. გ-ი, ნ.გ-ი და ნ.გ-ი იმყოფებოდნენ საკრედიტო სახელშეკრულე-ბო ურთიერთობაში (მხარეთა ახსნა-განმარტებები, სხდომის ოქ-მი 13.10.2011წ);

გ. გ-ს ჰქონდა საგადასახადო დავალიანება 61 727.91 ლარი, რომელიც სს „ვ.ბ.ჯ-ამ“ 2011 წლის მაის-ივნისში შეგნებულად გადაიხადა (ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შედარების აქტი; 13/06/2011 საგადასახადო დავალება №12, 13/ 06/2011 საგადასახადო დავალება №11);

ნ. გ-ს ჰქონდა საგადასახადო დავალიანება 29 316.35 ლარი, რომელიც სს „ვ.ბ.ჯ-ამ“ 2011 წლის მაის-ივნისში შეგნებულად გადაიხადა (ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შედარების აქტი, 31/05/2011 საგადასახადო დავალება №10, 31/ 05/2011 საგადასახადო დავალება №13, 31/05/2011 საგადასა-ხადო დავალება №12);

ნ.გ-ს ჰქონდა საგადასახადო დავალიანება 28 955.74 ლარი, რომელიც სს „ვ.ბ.ჯ-ამ“ 2011 წლის მაის-ივნისში შეგნებულად გადაიხადა (ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის შედარების აქტი, 31/05/2011 საგადასახადო დავალება №6, 31/ 05/2011 საგადასახადო დავალება №9, 31/05/2011 საგადასახა-დო დავალება №7, 31/05/2011 საგადასახადო დავალება №8);

სს „ვ.ბ.ჯ-ას“ სასარგებლოდ საკრედიტო ხელშეკრულების უზრუნველყოფის მიზნით იპოთეკით დაიტვირთა უძრავი ქო-ნება მდებარე გორის რაიონის სოფელ ქ-ი, მიწის (უძრავი ქონე-ბის) საკადასტრო კოდი №..., რომლის მესაკუთრეებს წარმოად-გენდნენ გ. გ-ი, ნ.გ-ი და ნ.გ-ი);

29.12.2010 წლის სააღსრულებო ფურცლის №3/10-08 29 სა-

ფუძველზე სს „ვ.ბ.ჯ-ა“ უძრავ ქონებაზე, მდებარე გორის რაიონის სოფელ ქ-ი, დარეგისტრირდა, როგორც პირველი რიგის იპოთეკარი. იგივე ქონება დატვირთული იყო იპოთეკით ნ.გ-ის, გ. გ-სა და ნ.გ-ის სხვა ვალდებულებათა უზრუნველსაყოფადაც, მათ შორის რეგისტრირებული იყო საგადასახადო იპოთეკა/გირავნობა მესაკუთრეთა საგადასახადო დავალიანების უზრუნველსაყოფად.

საკასაციო პალატა კიდევ ერთხელ დასძენს, რომ კასატორს არც პირველ ინსტანციის სასამართლოში და არც სააპელაციო საჩივრით სადავოდ არ გაუხდია მითითებული ფაქტები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, იმსჯელოს ფაქტობრივი გარემოებების დადგენის პროცესის მართებულებაზე, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. ამავ ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). აქედან გამომდინარე, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს სააპელაციო სასამართლოს დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივ შეფასებაზე.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქმის მასალებით დადგენილია, რომ სს „ვ.ბ.ჯ-ამ“ გადაიხადა მესამე პირის წინაშე (ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის წინაშე) ნ.გ-ის დავალიანება 29 316.35 ლარის ოდენობით და ნ.გ-ის დავალიანება – 28 995.74 ლარი. მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს ის ფაქტობრივი გარემოებები, რაც აუცილებელია დავის სამოქალაქო კოდექსის 969-ე და 974-ე მუხლით კვალიფიკაციისათვის, შესაბამისად, საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები, ექცევა უსაფუძვლო გამდიდრების რეგულირების ფარგლებში. აქედან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ სადავო ურთიერთობა მოაწესრიგა სამოქალაქო კოდექსის 986-ე მუხლით.

საკასაციო პალატა იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას და განმარტავს, რომ დავალების გარეშე სხვისი

საქმეების შესრულების ინსტიტუტი განსხვავდება უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტით განსაზღვრული 986-ე მუხლისაგან, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 969-ე მუხლის თანახმად, პირი (შემსრულებელი), რომელიც დავალების ან სხვა საფუძვლის გარეშე ასრულებს სხვა პირის (მეპატრონის) საქმეებს, ვალდებულია, შეასრულოს ისინი კეთილსინდისიერად. განსახილველი ინსტიტუტი იცავს მეპატრონეს ისეთ შემთხვევებისაგან, როდესაც გარკვეული აუცილებლობით არის განპირობებული დავალების ან სხვა საფუძვლის გარეშე მის საქმეებში ჩარევა, მაგალითად, საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, მაგრამ კანონი ავალდებულებს შემსრულებელს ეს საქმეები შეასრულოს კეთილსინდისიერად. შესაბამისად, განსახილველი ინსტიტუტით დაცულია მეპატრონის ინტერესები და შემსრულებელმა უნდა იმოქმედოს ისე, როგორც მეპატრონემ ან მისი დავალებით რწმუნებულმა. ამდენად, უნდა იყოს ისეთი ვითარება, როდესაც, მიუხედავად დავალების ან სხვა საფუძვლის არარსებობისა, აუცილებლობა მოითხოვს მეპატრონის საქმეების შესრულებას, რაც უნდა განხორციელდეს ისე, როგორც ამას მეპატრონე გააკეთებდა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 974-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, შემსრულებელს არ შეუძლია, მოითხოვოს განუხილავი ხარჯების ანაზღაურება, თუ მის მიერ საქმეთა შესრულება ეწინააღმდეგება მეპატრონის ნებას ან არ შეესაბამება მის ინტერესებს. თუ შემსრულებელს შეეძლო სცოდნოდა ამის შესახებ, მაშინ იგი ვალდებულია, აანაზღაუროს შესრულებით გამოწვეული ზიანი.

მითითებული ნორმით კიდევ ერთხელ ხაზგასმულია ამ ინსტიტუტის მიზანზე. რომლის თანახმად, შემსრულებელი თავისი საქმიანობით ცდილობს, სარგებელი მოუტანოს მეპატრონეს, მიუხედავად იმისა, რომ არც დავალებით და არც სხვა საფუძველით მას ეს არ ევალებოდა. შესაბამისად, შემსრულებლის საქმეები უნდა შეესაბამებოდეს მეპატრონის ნებას ან კანონიერ ინტერესებს.

ამდენად, საკასაციო პალატა სრულად იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებას, რომლის თანახმად, როდესაც საკითხი ეხება სხვის საქმეთა გამართლებულ, მეპატრონის ინტერესებთან შეფარდებულ საქმეთა გაძლიერებასთან, მაშინ მომხდარი ქონებრივი მიმოქცევა განიხილება როგორც სამართლებრივი საფუძვლის მქონე და ამიტომ გამოიყენება დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულების მომწესრიგებელი ნორმები. როდესაც შესრულებული მოქმედებები მეპატრონის ნებას

არ შეესაბამება ან სულაც მის ინტერესებს ეწინააღმდეგება, ამ პირობებში მომხდარი ქონებრივი ტრანსმისიები მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს. მოცემული სამართლებრივი ინსტიტუტის ფარგლებში (სხვისი საქმეების შესრულება დავალების გარეშე) შემსრულებელს არ შეუძლია, მოსთხოვოს მეპატრონეს თავისი ხარჯების ანაზღაურება, ამიტომ გამოიყენება უსაფუძვლო გამდიდრების ნორმები, რომელთა დანიშნულებაა ქონებრივი წონასწორობის აღდგენა და სამართლებრივი კონსონანსის დამყარება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 986-ე მუხლის თანახმად, პირს, რომელიც შეგნებულად ან შეცდომით სხვის ვალებს ისტუმრებს, შეუძლია, ამ პირს მოსთხოვოს თავისი ხარჯების ანაზღაურება. განსახილველი ნორმა განმარტებულ უნდა იქნეს უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტისათვის დამახასიათებელი ნიშნების გათვალისწინებით.

განსახილველი ნორმა განეკუთვნება დანახარჯების კონდიქციას, რაც შეიძლება დავახასიათოთ, როგორც დამატება დავალების გარეშე სხვისი საქმის შესრულების სამართლისათვის.

კონკრეტული ფაქტობრივი სიტუაციის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს შესაფასებელ ფაქტებზე, რომლის თანახმად 29.12.2010 წლის სააღსრულებო ფურცლის №3/10-08 29 საფუძველზე სს „გ.ბ.ჯ-ა“ უძრავ ქონებაზე, მდებარე გორის რაიონის სოფელ ქ-ი, დარეგისტრირდა, როგორც პირველი რიგის იპოთეკარი. იგივე ქონება დატვირთული იყო იპოთეკით ნ.გ-ის, გ. გ-სა და ნ.გ-ის სხვა ვალდებულებათა უზრუნველსაყოფადაც, მათ შორის რეგისტრირებული იყო საგადასახადო იპოთეკა/გირავნობა მესაკუთრეთა საგადასახადო დავალიანების უზრუნველსაყოფად.

ბანკის მიერ საგადასახადო დავალიანება გადახდილია, რის საფუძველზეც უძრავი ქონება გათავისუფლდა საგადასახადო იპოთეკა/გირავნობისაგან. ასევე მნიშვნელოვანია დადგენილი ფაქტები იმის თაობაზე, რომ თანხის გადახდის კანონშესაბამისობა კანონით დადგენილი წესით სადავო არ გამხდარა.

ამდენად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 986-ე მუხლის მიზანს, როგორც ზოგადად უსაფუძვლო გამდიდრებისთვისაა დამახასიათებელი, წარმოადგენს ქონებრივი ბალანსის აღდგენა.

განსახილველი ნორმა ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც პირი შეგნებულად ან შეცდომით სხვის ვალებს ისტუმრებს. კონკრეტულ შემთხვევაში, ბანკმა შეგნებულად გადაიხადა გ-ის ვალი, რაც განპირობებული იყო უძრავი ქონების საგადასა-

ხადო იპოთეკა/გირავნობისაგან განთავისუფლებით. უსაფუძვლო გამდიდრების ინსტიტუტისათვის გათვალისწინებული თავისებურებების მიხედვით, 986-ე მუხლით განსაზღვრული შემთხვევა, რომელიც ეხება შეგნებულად სხვისი ვალების გასტუმრებას, გულისხმობს სამართლებრივი საფუძვლის გარეშე სხვისი ვალების გასტუმრებას, რასაც გააჩნდა ბანკის ეკონომიკური ინტერესი. ამ წინაპირობების არსებობისას განსახილველი ნორმა ანიჭებს სხვისი საქმეების გამწევ პირს, მოითხოვოს უსაფუძვლოდ გამდიდრებულ პირისაგან თავისი ხარჯების ანაზღაურება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. და ნ.გ-ის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 ივნისის განჩინება;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**სამედიცინო დანახვების მიერ მიყენებული  
ზიანის ანაზღაურება**

**გადანყვებითა  
საქართველოს სახელით**

№ას-247-237-2013

1 ივლისი, 2013 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
თ. თოდრია

**დავის საგანი:** ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

ნ. შ-მა თბილისის საქალაქო სასამართლოში შპს „აკად. ო. ლ. სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის“ წინააღმდეგ სარჩელი აღძრა და მოითხოვა მოპასუხისათვის მატერიალური ზიანის, 52 000 ლარის, ასევე მორალური ზიანის, 500 000 ლარის, ანაზღაურების დაკისრება.

სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ საფუძვლებს: 2008 წლის 27 მაისს ნ. შ-ს „აკად. ო. ლ. სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში“ ჩაუტარდა ქირურგიული ოპერაცია, კარძოდ, მარჯვენა თირკმლის კისტის პერკუტანული პუნქცია. პუნქციის გაკეთებისას ექიმმა ე. ფ-ემ დააზიანა თირკმლის პარენქიმა, მასში არსებული ვენისა და არტერიის კედლები. 2008 წლის 2 ივნისს, ჯანმრთელობის მკვეთრი გაუარესების გამო, მოსარჩელე მოათავსეს უროლოგიის ეროვნულ ცენტრში, სადაც დაუდგინდა დიაგნოზი: მარჯვენა თირკმლის კისტის პუნქციის შემდგომი ტრავმა – არტერო-ვენური ფისტულა. 2008 წლის 10 ივნისს, ამ გართულების შედეგად, მოსარჩელეს მარჯვენა თირკმელი ამოკვეთეს. პუნქციის შემდგომი გართულება გამოწვეულია ლ. კლინიკაში მიღებული არაკვალიფიციური სამედიცინო მომსახურებით, კერძოდ, პუნქციის ჩატარებამდე ნ. შ-ს არ განემარტა ოპერაციული ჩარევის სავარაუდო შედეგების, თანმხლები გართულებებისა და რისკების, ასევე მკურნალობის ალტერნატიული საშუალებების, მათი თანმხლები რისკისა და შესაძლო შედეგების თაობაზე. პუნქცია განხორციელდა ე.წ. „რეალურ დროში კონტროლის“ გარეშე, გარდა ამისა, პროფ. ე. ფ-ე სერტიფიცირებულია როგორც რადიოლოგი, შესაბამისად, მას

ოპერაციის ჩატარების უფლება არ ჰქონდა. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მიიღო მატერიალური და მორალური ზიანი, კერძოდ, ცენტრალურ საუნევერსიტეტო კლინიკასა და უროლოგიის ეროვნულ ცენტრში მოსარჩელისათვის განეული სამედიცინო მომსახურების ღირებულებაა 3 974,15 ლარი. ჯანმრთელობის დაზიანების გამო მოსარჩელე საჭიროებს წელიწადში ორჯერ ექიმი-უროლოგის მეთვალყურეობასა და საკონტროლო დიაგნოსტიკას, რის ღირებულებაც ამჟამად წელიწადში 88 ლარია, 50 წელზე გაანგარიშებით – 4400 ლარი. თირკმლის ამოკვეთის შემდეგ მოსარჩელეს ნაოპერაციები ადგილის შეხორცების შედეგად დარჩა ნაწიბურები და საჭიროებს პლასტიკურ ოპერაციას. ისრაელის ქ. რამიტგანის ხაიმ-შიბას სახელობის საავადმყოფოს მონაცემებით წინასაოპერაციო გამოკვლევების ღირებულებაა 1320 აშშ დოლარი, პლასტიკური ოპერაციის – არანაკლებ 15 000 აშშ დოლარი, სასტუმროს ხარჯი 14 დღეზე შეადგენს 4200 აშშ დოლარს, ორი ადამიანის მგზავრობის ღირებულება – 3815 ლარს, სულ 34 346 ლარს. მოსარჩელეს ასევე მიაღდა მორალური ზიანი, კერძოდ, თირკმლის დაკარგვის გამო იგი მუდმივად განიცდის სულიერ ტკივილსა და არასრულფასოვნების განცდას.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო. მისი განმარტებით, ნ. შ-ს პუნქციის გაკეთებამდე ექიმმა აუხსნა, რომ სამედიცინო ჩარევა გადაუდებელ აუცილებლობას არ წარმოადგენდა და ურჩია, კიდევ დაფიქრებულიყო. 22 დღის შემდეგ ნ. შ-ი გამოცხადდა კლინიკაში მიღებული გადაწყვეტილებით. ექიმმა მას ხელახლა განუმარტა, რომ კისტის დასაცლელად სასურველი იყო პუნქციის გაკეთება, თუმცა, ამ მეთოდის გამოყენების მიუხედავად, ნეფრაქტომია შეიძლება მაინც ყოფილიყო საჭირო, ანუ სახეზე იყო პაციენტის ინფორმირებული თანხმობა. პუნქცია რეალურ დროში კონტროლით, კომპიუტერული ტომოგრაფიით ჩატარდა. სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ ამ ოპერაციასთან დაკავშირებით მხოლოდ სამედიცინო დოკუმენტების არასრულად წარმოებაზე მიუთითა და სხვა დარღვევები არ აღმოუჩინა. კომისიური სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით, მსგავსი გართულება კანონზომიერია. მოპასუხის მტკიცებით, ნ. შ-ის სარჩელი ხანდაზმულია, რადგანაც დელიქტური ვალდებულებების ხანდაზმულობის ვადა 3 წელია. მოსარჩელემ 2008 წლის 2 ივნისისათვის უკვე იცოდა მისი ჯანმრთელობის დაზიანების თაობაზე, სარჩელი კი, 2011 წლის 14 დეკემბერს აღძრა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა

კოლეგიის 2012 წლის 30 მარტის გადაწყვეტილებით ნ. შ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილებით ნ. შ-ის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 30 მარტის გადაწყვეტილება და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება; ნ. შ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, სს „აკადემიკოს ო. ლ. სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრს“ ნ. შ-ის სასარგებლოდ დაეკისრა მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად 38 746 ლარისა და მორალური ზიანის საკომპენსაციოდ 5000 ლარის გადახდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები მიიჩნია:

1. ნ. შ-ს სს „აკად. ო. ლ. სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში“ ექოსკოპიური კვლევით დაუდგინდა მარჯვენა თირკმლის ზედა პოლუსის გიგანტური კისტა. 2008 წლის 27 მაისს ნ. შ-ს სამედიცინო დანესებულებაში, კომპიუტერულ-ტომოგრაფიული კონტროლის ქვეშ ჩაუტარდა კისტის პერკუტანული პუნქცია;

2. თირკმლის კისტის პერკუტანული პუნქციისას დაზიანდა თირკმლის არტერიისა და ვენის ერთ-ერთი განტოტება, კერძოდ, ზემო პოლუსისაკენ მიმავალი ტოტები, რის გამოც განვითარდა არტერიო-ვენური ფისტულა, რამაც გამოიწვია შემდგომი სისხლდენა. ნ. შ-ს 07.06.08 წელს უროლოგიის ეროვნულ ცენტრში დაუდგინდა მარჯვენა თირკმლის კისტის პუნქციის შემდგომი ტრავმა, არტერიოვენოზური ფისტულა, რაც წარმოადგენს 27.05.08 წელს ჩატარებული მანიპულაციის გართულებას, რის შედეგადაც საჭირო გახდა მარჯვენა თირკმლის ამოკვეთა;

3. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის 2008 წლის 22 ივლისის №455/40 დასკვნის თანახმად, 2008 წლის 27 მაისს ჩატარებული პუნქციის დროს თირკმლის პარენქიმის სისხლძარღვი დაზიანდა. 2008 წლის 7 ივნისს უროლოგიის ეროვნულ ცენტრში ნ. შ-ს დაუდგინდა მარჯვენა თირკმლის კისტის პუნქციის შემდგომი ტრავმა – არტერიო-ვენოზური ფისტულა, რაც წარმოადგენს 2008 წლის 27 მაისს ჩატარებული სამედიცინო მანიპულაციის გართულებას. არსებული გართულების – არტერიო-ვენოზური ფისტულის ინტრაორგანული რეკონ-

ტრუქცია შუძლებელი იყო, რის გამოც საჭირო გახდა მარჯვენა თირკმლის ამოკვეთა;

4. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის 2009 წლის 18 აგვისტოს №270/40 დასკვნის თანახმად, წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტაციით, ნ. შ-ს 27.05.08 წელს ჩატარებული თირკმლის კისტის პერკუტანული პუნქციისას დაუზიანდა თირკმლის არტერიის და ვენის ერთერთი განტოტება. კერძოდ, ზემო პოლუსისკენ მიმავალი ტოტები, რის გამოც განვითარდა არტერიო-ვენური ფისტულა, რამაც გამოიწვია შემდგომი სისხლდენა. პუნქციის შედეგად არტერიო-ვენური ფისტულის განვითარება წარმოადგენს პერკუტანული ქირურგიული ჩარევის ერთ-ერთ გართულებას. ღია ოპერაციის წარმოება ტაქტიკურად იყო სრულიად გამართლებული, რადგანაც სიცოცხლისათვის საშიში სისხლდენა გრძელდებოდა. ინტრაოპერაციულად არტერიო-ვენური ფისტულის რეკონსტრუქცია ვერ მოხერხდა მისი ინტრაორგანული ლოკალიზაციის გამო. შესაბამისად, მიღებული იქნა თირკმლის ლიკვიდაციის გადაწყვეტილება;

5. კისტის პერკუტანული პუნქციისას თირკმლის არტერიის და ვენის დაზიანებას ადასტურებს უროლოგიის ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი გ. მ-ე, უროლოგიის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი ლ.მ-ე, ექსპერტ უროლოგი გ. ქ-ი, საქართველოს ანგიოლოგიისა და სისხლძარღვთა ქირურგიის ცენტრის დირექტორი კ. ყ-ი, უროლოგიის ეროვნული ცენტრის წამყვანი სპეციალისტი გ. ხ-ი, თსუ-ს პროფესორი მ. მ-ი;

6. სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ, კომისიური წესით შეისწავლა სს „აკადემიკოს ო. ლ. სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში“ პაციენტ ნ. შ-ის განუხლები სამედიცინო დახმარების ხარისხი. კომისიის მიერ საკითხის შესწავლისას გამოვლენილი იქნა შემდეგი ტენდენციები და დარღვევა-ნაკლოვანებები:

ა) სს „აკადემიკოს ო. ლ. სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში“ პაციენტის ვიზიტები არაა ასახული პაციენტთა რეგისტრაციის დავთარში;

ბ) პაციენტზე არაა გახსნილი ამბულატორიული ბარათი;

გ) პუნქციის შედეგად მიღებული სითხე ლაბორატორიულად არაა გამოკვლეული.

7. სს „აკ. ო. ლ. სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2009 წლის 8 იანვრის ბრძანებით დი-აგნოსტიკური დეპატრამენტის უფროსს ე. ფ-ეს მიეცა გაფ-

რთხილება სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დარღვევის გამო;

8. შპს „აკადემიკოს ნ. ყ-ის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის“ მიერ გაცემული მკურნალობის ხარჯთაღრიცხვით დადგენილია, რომ 2011 წლის 29 სექტემბერს ნ. შ-ის ჩატარებულმა მკურნალობის ღირებულებამ შეადგინა 522,15 ლარი;

9. სს „ა. წ-ის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის“ მიერ გაცემული მკურნალობის ხარჯთაღრიცხვით დადგენილია, რომ 2008 წლის 7-17 ივნისს ნ. შ-ის ჩატარებული მკურნალობის ღირებულებამ შეადგინა 3 452 ლარი;

10. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 27.01.2012 წლის №01/4329 წერილის შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სერტიფიცირებული „რადიოლოგის“ საქმიანობა მოიცავს კომპიუტერული ტომოგრაფიის წარმოებას შემდეგი მოცულობით: ყველა შესაძლო ნოზოლოგიის დიაგნოსტიკა და ადრეული დიაგნოსტიკა, ქირურგიული მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრა, მკურნალობის ეფექტურობის შეფასება, ქირურგიული (სამკურნალო) მანიპულაციების და სადიაგნოსტიკო პუნქციის ჩატარება კომპიუტერული ტომოგრაფიის ქვეშ, კონტრასტული კვლევის ჩატარება; ამდენად, პროფესორი ე. ფ-ე უფლებამოსილი იყო ჩატარებინა თირკმლის კისტის პერკუტანული პუნქცია კომპიუტერული ტომოგრაფიის კონტროლით.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, სამედიცინო შეცდომით მოქალაქის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების გამო სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის წარმოშობის პირობები იგივეა, როგორც ყველა დელიქტურ ვალდებულებებში: ზიანი, მართლწინააღმდეგობა, ბრალი და მიზეზობრივი კავშირი. ამასთან, თითოეული ამ კომპონენტის თავისებურება სამედიცინო საქმიანობის ხასიათით განისაზღვრება. იმავე პირობების არსებობას მოითხოვს სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლი, რომლის ძალითაც სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას (ქირურგიული ოპერაციის ან არასწორი დიაგნოზით დამდგარი შედეგი და სხვა) პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძვლებით. ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის. ნორმის მიზნიდან გამომდინარე, მართლწინააღმდეგო ქმედებად მიიჩნევა სამედიცინო დაწესებულების მიერ არასწორად განხორციელებული დიაგნოსტიკა და

მკურნალობა, რამაც გამოიწვია ზიანი. ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის აუცილებელია, დადგინდეს საექიმო შეცდომა. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტით, მცდარ სამედიცინო ქმედებად განმარტებულია ექიმის მიერ უნიებლიედ, პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო სადიაგნოზო და ან სამკურნალო ღონისძიებების ჩატარება, რაც მიყენებული ზიანის უშუალო მიზეზი გახდა. კანონის აღნიშნული დანაწესიდან გამომდინარეობს, რომ ექიმის მიერ პაციენტისათვის ზიანის მიყენება არ უნდა იყოს წინასწარ განზრახული, წინააღმდეგ შემთხვევაში ექიმის პროფესიულ შეცდომად აღარ ჩაითვლება.

სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლში მითითებული შემთხვევების არსებობისას არაბრალეულობის მტკიცების ტვირთი აწევს სამედიცინო დაწესებულებას. ასეთ დროს პაციენტის ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტის არსებობა ქმნის იმის პრეზუმფციას, რომ მის ჯანმრთელობას ზიანი სამედიცინო დაწესებულების ბრალით მიადგა და საწინააღმდეგოს დადასტურება სამედიცინო დაწესებულებას აწევს.

სააპელაციო სასამართლოს მითითებით, თირკმლის კისტის პერკუტანული პუნქციისას დაზიანდა თირკმლის არტერიისა და ვენის ერთ-ერთი განტოტება. ამ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი განაწილებულია შემდეგნაირად: სამედიცინო დაწესებულება ვალდებულია ამტკიცოს, რომ არტერიისა და ვენის განტოტება არ ყოფილა დაზიანებული უშუალოდ მანიპულაციის დროს. მოპასუხის პოზიცია, მოცემულ გარემოებასთან მიმართებაში იმგვარია, რომ პაციენტს სისხლდენა დაეწყო მანიპულაციიდან რამდენიმე დღის შემდეგ. ექსპერტ უროლოგის გ.ქ-ის განმარტებით: „როდესაც პუნქციის დროს ზიანდება არტერია და ვენა, ექიმს შეიძლება მიეღო ქარვისებური სითხე, თუ არტერიის და ვენის დაზიანება იქნებოდა უმნიშვნელო, ხოლო თუ იქნებოდა დეფექტი, მაშინ შეიძლება ყოფილიყო კოლტები ამოღებულ სითხეში.“ პუნქციის შედეგად მიღებული სითხე ლაბორატორიულად არ ყოფილა გამოკვლეული, რაც სამედიცინო დაწესებულების ვალდებულებას წარმოადგენდა. მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს ლაბორატორიული კვლევის შედეგი, რაც გამორიცხავს მოპასუხის მტკიცებას იმის შესახებ, რომ ვენისა და არტერიის დაზიანება არ ყოფილა გამონვეული მანიპულაციის შედეგად.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოსაზრება, რომ სისხლდენა გამონვეული იყო კისტის დაცლის შედეგად გამონვეული წნევის დისბალანსით. სასამართლოს მითითებით, აღ-

ნიშნულთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია ექსპერტ გ. ქ-ის განმარტება, რომ წნევის დისბალანსით შესაძლებელია მხოლოდ ვენის დაზიანება, მოცემულ შემთხვევაში კი, დაზიანებული იყო როგორც ვენა, ასევე არტერია (2012 წლის 14 დეკემბრის სხდომის ოქმი 17:39:14).

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის 2009 წლის 18 აგვისტოს №270/40 დასკვნის თანახმად, როდესაც თირკმლის ზედა პოლუსი განთავსებულია ნეკნთა რკალიდან შორს, შესაძლებელია ნემსს ჰქონდეს ირიბი მიმართულება და გაიაროს თირკმლის პარენქიმის სიღრმეში და გამოიწვიოს მსგავსი დაზიანება, თუმცა ეს სავარაუდოა. სამედიცინო დოკუმენტაციიდან გამომდინარე უცნობია ამ ვარაუდის რეალობა; ამდენად, მსგავსი დაზიანება დასაშვებია და აღნიშნულს განსაზღვრავს თირკმლის ზედა პოლუსის მდებარეობა. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ სამედიცინო დოკუმენტაცია ნაწარმოებია არასრულყოფილად და შესაბამისად ვერ ირკვევა აღნიშნული საკითხიც.

სააპელაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამედიცინო დოკუმენტაციის დადგენილი წესით წარმოება მედიცინის მუშაკის მტკიცების ტვირთს ამსუბუქებს. ამა თუ იმ სავალდებულო სამკურნალო მოქმედების სათანადო განხორციელების დასადასტურებლად ექიმს შეუძლია, სამედიცინო დოკუმენტაცია გამოიყენოს. მოცემულ შემთხვევაში, სამედიცინო დოკუმენტაცია არ არის ნაწარმოები სრულყოფილად. ექსპერტ გურამ ქარაზანაშვილის განმარტებით, მათთვის ცნობილია თირკმლის ანატომია, შედარებით ნაკლები სისხლძარღვებისა და წვრილი კალიბრის სისხლძარღვების ადგილმდებარეობა. ასევე შესაძლებელია იმის განსაზღვრა, თუ რომელი ანატომიური ზონიდან უნდა შევიდეს ნემსი. ამდენად, ანატომიური ზონის სწორად განსაზღვრა გამორიცხავს ნემსის მოხვედრას თირკმლის პარენქიმის სიღრმეში და შესაბამისად, მასში არსებული ვენისა და არტერიის დაზიანებას. პაციენტისათვის მიყენებული ზიანისას, როგორც წესი, ექიმის განზრახი ბრალი არ გვაქვს. ასეთ შემთხვევაში საკმარისია, დადგინდეს ექიმის გაუფრთხილებლობა, რაც გულისხმობს მის მიერ ნაკისრი ვალდებულებების აუცილებელი გულისხმიერებისა და ყურადღების გარეშე განხორციელებას. გულისხმიერებასა და ყურადღებაში იგულისხმება ექიმის მიერ საჭირო სამედიცინო მოქმედებების ზედმიწევნით ხარისხიანად, აღიარებული სამედიცინო სტანდარტების შესაბამისად შესრულება და რისკის მინიმუმამდე დაყვანა. ლევან

სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის 2009 წლის 18 აგვისტოს №270/40 დასკვნის თანახმად, წარმოდგენილ სამედიცინო დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, გაურკვეველია, რეალურ დროში, კტ ან ულტრაბგერითი კონტროლით ხორციელდებოდა თუ არა პუნქცია. თუკი ამგვარი კონტროლი არსებობდა, მაშინ ძნელი იქნება „არასწორად ჩატარებულ“ პუნქციაზე საუბარი. ექსპერტ გ. ქ-ის განმარტებით „დოკუმენტში არ არის დეტალურად აღწერილი მანიპულაციის ტექნიკური აღწერილობა, რის გამოც ვერ გიპასუხებთ რისკი მინიმუმამდე იყო თუ არა დაყვანილი პუნქციის დროს.... თუკი პუნქციის გაკეთების მომენტში ექიმს არ აქვს წინ მონიტორი, სადაც აკონტროლებს ნემსის მსვლელობას, ეს არ არის რეალურ დროში კონტროლი, რაც ზრდის გართულების რისკს“. მოცემულ შემთხვევაში მანიპულაცია არ ჩატარებულა რეალურ დროში კონტროლით, შესაბამისად რისკები არ ყოფილა დაყვანილი მინიმუმამდე.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით არ დგინდება, ნ. შ-ს ექიმმა მიაწოდა თუ არა ინფორმაცია მოსალოდნელ რისკებთან დაკავშირებით, რის საფუძველზეც მას მიეცემოდა არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა. შედეგად, მანიპულაციის დროს დადგენილი გართულების გამო, მან დაკარგა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ორგანო – თირკმელი.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკასა და უროლოგიის ეროვნული ცენტრში განეული ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნის ნაწილში სარჩელი ხანდაზმულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლის საფუძველზე, რომლის შესაბამისად, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ. მოცემულ შემთხვევაში მოთხოვნის წარმოშობის მომენტად უნდა ჩაითვალოს 2008 წლის 10 ივნისი, რა დროსაც ნ. შ-ს ჩაუტარდა ოპერაცია – ამოკვეთეს მარჯვენა თირკმელი. ამ დროისათვის მისთვის ცნობილი იყო, რომ კისტის პუნქციის დროს დაზიანდა თირკმლის პარენქიმაში არსებული ვენური და არტერიული სისხლძარღვები, რამაც გამოიწვია არტერიო-ვენური ფისტულა და გარდაუვალი გახდა თირკმლის ამოკვეთა.

რაც შეეხება მომავალში გასაწევ ხარჯებს, კერძოდ, წელი-

ნადში ორჯერ ექიმ-უროლოგის მეთვალყურეობასა და საკონტროლო დიაგნოსტიკისათვის 50 წელზე გაანგარიშებით 4400 ლარის (წლიური 88 ლარი) და თირკმლის ამოკვეთის გამო ნაოპერაციები ადგილის შეხორცების შედეგად დარჩენილი ნაწიბურის გამოსასწორებლად საჭირო პლასტიკური ოპერაციის ხარჯებს 34 346 ლარის ოდენობით, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, ექვემდებარება ანაზღაურებას.

სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლზე და მოცემულ შემთხვევაში, მორალური ზიანის გონივრულ ოდენობად 5000 ლარი მიიჩნია.

სააპელაციო სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება მოპასუხემ საკასაციო წესით გაასაჩივრა მისი გაუქმებისა და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღების მოთხოვნით შემდეგი საფუძვლებით: სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლი. სასამართლომ არ გაითვალისწინა, რომ მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს ექიმის ბრალეულ ქმედებასა და თირკმლის ამოკვეთას შორის მიზეზშედეგობრივი კავშირი. კისტის პუნქცია ტექნიკურად სწორად ჩატარდა და მისი ჩატარება აუცილებელი იყო. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა ორი მნიშვნელოვანი გარემოება: ნ. შ-ის ორგანიზმის თავისებურება და მისი დიაგნოზი. საქმეში არსებული მტკიცებულებებით ირკვევა, რომ ნ. შ-ის თირკმელი იყო ანომალიური, კერძოდ, თირკმელი შედიოდა დამატებით ორი ვენა. სწორედ ეს ანომალია შეიძლება ყოფილიყო მანიპულაციისას გართულებისა და სისხლდენის მიზეზი. სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა, რომ ნ. შ-ს დაუდგინდა ქრონიკული პიელონეფრიტი, თირკმლის 2/3 ეჭირა კისტას. ამ სამედიცინო ჩვენების გათვალისწინებით, თირკმლის ამოკვეთა მანინგ გარდაუვალი იქნებოდა. საქმეზე დაკითხულმა სპეციალისტებმა აჩვენეს, რომ ანომალიურ სისხლძარღვს ექიმი პუნქციის ჩატარების დროს ვერ აღმოაჩენდა და იგი, შესაძლოა, არც დოპლეროგრაფიით გამოჩენილიყო, თუმცა ამგვარ კვლევას თირკმლის პუნქცია არ საჭიროებს. სხდომაზე სპეციალისტად დაკითხულმა კ. ყ-ა განმარტა, რომ 8 სმ-იანი კისტა 12 სმ-იანი თირკმელში ისედაც გამოიწვევდა მის ამოკვეთას. სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 145-ე მუხლი და არ გაითვალისწინა, რომ მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნებზე ხანდაზმულობის ვადა ერთდროულად იწურება. სასამართლომ მორალური ზიანის ანაზღაურებისას იმსჯელა ხანდაზმულ მოთხოვნაზე, ასევე დაეყრდნო არაქართულენოვან დოკუმენტს, რომელიც მტკიცებუ-

ლებას არ წარმოდგენს. სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლი. ნ. შ-ს არ წარუდგენია რაიმე მტკიცებულება, რომ მას ნამდვილად ესაჭიროება ნეფრაქტომიის შემდგომი ნაწიბურის მოშორება პლასტიკური ქირურგიის ჩარევით. დღევანდელი მედიცინის ფარგლებში, შესაძლებელია ნაწიბურის გაქრობა პლასტიკური ქირურგიის გარეშეც, გარდა ამისა, საქმეში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც ამ ოპერაციის ღირებულებას დაადასტურებდა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ განიხილა საკასაციო საჩივარი, შეინაწვლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთებულობა და მიიჩნევს, რომ შპს „აკად. ო. ღ. სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის“ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო, პირველ რიგში, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე ამახვილებს ყურადღებას:

1. ნ. შ-ს სს „აკად. ო. ღ. სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში“ ექოსკოპიური კვლევით დაუდგინდა მარჯვენა თირკმლის ზედა პოლუსის გიგანტური კისტა. 2008 წლის 27 მაისს ნ. შ-ს სამედიცინო დაწესებულებაში, კომპიუტერულ-ტომოგრაფიული კონტროლის ქვეშ ჩაუტარდა კისტის პერკუტანული პუნქცია;

2. თირკმლის კისტის პერკუტანული პუნქციისას დაზიანდა თირკმლის არტერიისა და ვენის ერთ-ერთი განტოტება. კერძოდ, ზემო პოლუსისაკენ მიმავალი ტოტები, რის გამოც განვითარდა არტერიო-ვენური ფისტულა, რამაც გამოიწვია შემდგომი სისხლდენა. ნ. შ-ს 07.06.08 წელს უროლოგიის ეროვნულ ცენტრში დაუდგინდა მარჯვენა თირკმლის კისტის პუნქციის შემდგომი ტრავმა, არტერიოვენოზური ფისტულა, რაც წარმოადგენს 27.05.08 წელს ჩატარებული მანიპულაციის გართულებას, რის შედეგადაც საჭირო გახდა მარჯვენა თირკმლის ამოკვეთა;

3. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის 2009 წლის 18 აგვისტოს №270/40 დასკვნის თანახმად, წარმოდგენილი სამედიცინო დოკუმენტაციით, ნ. შ-ს 27.05.08 წელს ჩატარებული თირკმლის კისტის პერკუტანული პუნქციისას დაუზიანდა თირკმლის არტერიის და ვენის ერთერთი განტოტება.

კერძოდ, ზემო პოლუსისკენ მიმავალი ტოტები, რის გამოც განვითარდა არტერიო-ვენური ფისტულა, რამაც გამოიწვია შემდგომი სისხლდენა. პუნქციის შედეგად არტერიო-ვენური ფისტულის განვითარება წარმოადგენს პერკუტანული ქირურგიული ჩარევის ერთ-ერთ გართულებას. ღია ოპერაციის წარმოება ტაქტიკურად იყო სრულიად გამართლებული, რადგანაც სიცოცხლისათვის საშიში სისხლდენა გრძელდებოდა. ინტრაოპერაციულად არტერიო-ვენური ფისტულის რეკონსტრუქცია ვერ მოხერხდა მისი ინტრაორგანული ლოკალიზაციის გამო. შესაბამისად, მიღებული იქნა თირკმლის ლიკვიდაციის გადანყვეტილება;

4. კისტის პერკუტანული პუნქციისას თირკმლის არტერიის და ვენის დაზიანებას ადასტურებს უროლოგიის ეროვნული ცენტრის მეცნიერ-თანამშრომელი გ. მ-ე, უროლოგიის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორი ლ. მ-ე, ექსპერტ უროლოგი გ.ქ-ი, საქართველოს ანგიოლოგიისა და სისხლძარღვთა ქირურგიის ცენტრის დირექტორი კ. ყ-ი, უროლოგიის ეროვნული ცენტრის წამყვანი სპეციალისტი გ. ხ-ი, თსუ-ს პროფესორი მ. მ-ი;

5. სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტომ, კომისიური წესით შეისწავლა სს „აკადემიკოს ო. ლ. სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში“ პაციენტ ნ. შ-ის განუხლები სამედიცინო დახმარების ხარისხი. კომისიის მიერ საკითხის შესწავლისას გამოვლენილი იქნა შემდეგი ტენდენციები და დარღვევა-ნაკლოვანებები:

ა) სს „აკადემიკოს ო. ლ. სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში“ პაციენტის ვიზიტები არაა ასახული პაციენტთა რეგისტრაციის დავთარში;

ბ) პაციენტზე არაა გახსნილი ამბულატორიული ბარათი;

გ) პუნქციის შედეგად მიღებული სითხე ლაბორატორიულად არაა გამოკვლეული.

6. სს „აკ. ო. ლ. სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2009 წლის 8 იანვრის ბრძანებით დი-აგნოსტიკური დეპატრამენტის უფროსს ე. ფ-ეს მიეცა გაფრთხილება სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოების წესის დარღვევის გამო;

7. შპს „აკადემიკოს ნ. ყ-ის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკის“ მიერ გაცემული მკურნალობის ხარჯთაღრიცხვით დადგენილია, რომ 2011 წლის 29 სექტემბერს ნ. შ-ის ჩატარებულმა მკურნალობის ღირებულებამ შეადგინა 522,15 ლარი;

8. სს „ა. ნ-ის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის“

მიერ გაცემული მკურნალობის ხარჯთაღრიცხვით დადგენილია, რომ 2008 წლის 7-17 ივნისს ნ. შ-ის ჩატარებული მკურნალობის ღირებულებამ შეადგინა 3 452 ლარი;

9. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 27.01.2012 წლის №01/4329 წერილის შესაბამისად, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, სერტიფიცირებული „რადიოლოგის“ საქმიანობა მოიცავს კომპიუტერული ტომოგრაფიის წარმოებას შემდეგი მოცულობით: ყველა შესაძლო ნოზოლოგიის დიაგნოსტიკა და ადრეული დიაგნოსტიკა, ქირურგიული მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრა, მკურნალობის ეფექტურობის შეფასება, ქირურგიული (სამკურნალო) მანიპულაციების და სადიაგნოსტიკო პუნქციის ჩატარება კომპიუტერული ტომოგრაფიის ქვეშ, კონტრასტული კვლევის ჩატარება; ამდენად, პროფესორი ე. ფ-ე უფლებამოსილი იყო ჩატარებინა თირკმლის ცისტის პერკუტანული პუნქცია კომპიუტერული ტომოგრაფიის კონტროლით.

საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანია სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების კანონიერება ნ. შ-ის სამომავლო მკურნალობის ხარჯების, მორალური ზიანის ანაზღაურებისა და პლასტიკური ოპერაციის ღირებულების მოპასუხისათვის დაკისრების ნაწილში.

სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლის მიხედვით, სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას (ქირურგიული ოპერაციის ან არასწორი დიაგნოზით დამდგარი შედეგი და სხვ.) პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძვლებით. ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის.

იმავე კოდექსის 992-ე მუხლის თანახმად კი, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი, შესაბამისად, არასათანადო მკურნალობის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურებისათვის, ისევე როგორც, ზოგადად, დელიქტური პასუხისმგებლობისათვის, აუციელებელია მართლსაწინააღმდეგო ქმედების, ზიანის, მათ შორი მიზეზობრივი კავშირისა და ბრალის ერთობლიობა. მართლსაწინააღმდეგო ქმედებად, ამ შემთხვევაში, მიიჩნევა ექიმის შეცდომა, მის მიერ არჩეული არასწორი მკურნალობის კურსი, ან არასათანადოდ ჩატარებული ქირურგიული ჩარევა და ა.შ, რომელმაც პაციენტის ჯანმრთელობა დააზიანა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამარ-

თლოს მსჯელობას ნ. შ-ის ჯანმრთელობის დაზიანებისას სამკურნალო დაწესებულების ბრალეულობასთან დაკავშირებით. განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხეს ევალეზობდა საკუთარი ბრალის გამომრიცხველი მტკიცებულებების სასამართლოსათვის წარდგენა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორმა, ამ თვალსაზრისით, ვერ უზრუნველყო საკუთარი პოზიციის დაცვა.

როგორც საქმის მასალებიდან ირკვევა, მოპასუხე ამტკიცებდა, რომ არტერია დაზიანდა არა პუნქციის დროს, არამედ სისხლდენა რამდენიმე დღის შემდეგ დაიწყო.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სააპელაციო სასამართლოს არგუმენტს, რომ ამ შემთხვევაში, მტკიცების ტვირთი სამედიცინო დაწესებულებას ეკისრებოდა. მოპასუხე ვალდებულია ამტკიცოს, რომ არტერიისა და ვენის განტოტება არ ყოფილა დაზიანებული უშუალოდ მანიპულაციის დროს. ექსპერტუროლოგ გ. ქ-ის განმარტებით, „როდესაც პუნქციის დროს ზიანდება არტერია და ვენა, ექიმს შეიძლება მიელო ქარვისებური სითხე, თუ არტერიის და ვენის დაზიანება იქნებოდა უმნიშვნელო, ხოლო თუ იქნებოდა დეფექტი, მაშინ შეიძლება ყოფილიყო კოლტები ამოღებულ სითხეში“. პუნქციის შედეგად მიღებული სითხე ლაბორატორიულად არ ყოფილა გამოკვლეული, რაც სამედიცინო დაწესებულების ვალდებულებას წარმოადგენდა. მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს ლაბორატორიული კვლევის შედეგი, რაც გამორიცხავს მოპასუხის მტკიცებას იმის შესახებ, რომ ვენისა და არტერიის დაზიანება არ ყოფილა გამონვეული მანიპულაციის შედეგად.

მოპასუხე ასევე განმარტავდა, რომ ქირურგმა ნ. შ-ს ინფორმაცია მიაწოდა პუნქციასთან დაკავშირებული შესაძლო გართულებების თაობაზე, ასევე აუხსნა, რომ კისტის ზომებიდან გამომდინარე, ნეფრაქტომია მაინც შეიძლება გამხდარიყო საჭირო, ამდენად, არსებობდა პაციენტის ინფორმირებული თანხმობა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს დასკვნის თანახმად, შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაცია წაწარმოები არ არის, ამდენად, ზემოაღნიშნული გარემოებების სისწორე მხოლოდ დაინტერესებული მხარის (მოპასუხის) განმარტებით ვერ დადასტურდება.

საკასაციო სასამართლო სრულად ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს მსჯელობას, რომ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2009 წლის

18 აგვისტოს №270/40 დასკვნის თანახმად, როდესაც თირკმლის ზედა პოლუსი განთავსებულია ნეკნთა რკალიდან შორს, შესაძლებელია ნემსს ჰქონდეს ირიბი მიმართულება და გაიაროს თირკმლის პარენქიმის სიღრმეში და გამოიწვიოს მსგავსი დაზიანება, თუმცა ეს სავარაუდოა. სამედიცინო დოკუმენტაციის არარსებობიდან გამომდინარე, უცნობია, ამ ვარაუდის რეალობა. სამედიცინო დოკუმენტაციის დადგენილი წესით წარმოება მედიცინის მუშაკის მტკიცების ტვირთს ამსუბუქებს. კონკრეტული სავალდებულო სამკურნალო მოქმედების სათანადოდ განხორციელება შესაბამისი სამედიცინო დოკუმენტაციით დასტურდება, საიდანაც უნდა ირკვეოდეს, როგორც შესაბამისი მანიპულაციის მსვლელობა, ისე ექიმის მიერ წინასწარ განხორციელებული ღონისძიებები, რაც უზრუნველყოფდა დაზიანების რისკის მინიმუმამდე შემცირებას. ბუნებრივია, როდესაც საუბარია სამედიცინო ჩარევაზე, გართულების ალბათობა ყოველთვის არსებობს, მაგრამ ექიმის ბრალი გამოირიცხება იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ განხორციელებული ქირურგიული ჩარევა შეესაბამება სამედიცინო სფეროში დამკვიდრებულ სტანდარტებს, ასევე მის მიერ ჩატარებულია ყველა შესაძლო წინასწარი ღონისძიება ამგვარი გართულების რისკის შესამცირებლად. მოცემულ შემთხვევაში, სამედიცინო დოკუმენტაცია სრულყოფილად არ არის წაწარმოები. საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნიდან გამომდინარე, არათუ წინასწარი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია, არამედ, წარდგენილი სამედიცინო დოკუმენტებიდან თავად პუნქციის მსვლელობა არ ირკვევა სათანადოდ, ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხე ვერ ადასტურებს სამკურნალო დაწესებულები-სა და კონკრეტული ექიმის მიერ გართულების რისკის ასაცილებლად ყველა შესაძლო ზომის გატარებასა და, შესაბამისად, სამედიცინო ჩარევის სათანადო გულისხმიერებით ჩატარების ფაქტს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში არსებობდა სამკურნალო დაწესებულების პასუხისმგებლობისათვის კანონმდებლობით დადგენილი სავალდებულო წინაპირობები, თუმცა აღნიშნული გარემოება არ გულისხმობს ნ. შ-ის სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობასაც, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, კერძოსამართლებრივი უფლების განხორციელება, კანონით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა, შეზღუდულია ხანდაზმულობით.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ანაზღაურებას ექ-

ვემდებარებოდა ნ. შ-ის სამომავლო მკურნალობის ხარჯები, კერძოდ, წელიწადში ორჯერ ექიმ-უროლოგის მეთვალყურეობასა და საკონტროლო დიაგნოსტიკისათვის წლიური 88 ლარი 50 წელზე გაანგარიშებით, სულ 4400 ლარი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ამ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია.

სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლის მიხედვით, დელიქტით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების ხანდაზმულობის ვადა არის სამი წელი იმ მომენტიდან, როცა დაზარალებულმა შეიტყო ზიანის ან ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ.

მოცემულ შემთხვევაში, გამომდინარე უნდა დადგინდეს, რა მომენტიდან შეიტყო დაზარალებულმა ზიანისა და ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ, ამასთან, მითითებული მუხლი განსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც დაზარალებულს ზიანის მიმყენებლისაგან სასამართლო წესით ან მის გარეშე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა შეუძლია და არ აქვს მნიშვნელობა, პერიოდულად შესასრულებელ ვალდებულებაზე საუბარი, თუ ერთჯერადად გადასახდელ თანხაზე (იხ. მაგ. სუსგ №ას-1014-271-08). სააპელაციო სასამართლომ, თირკმლის ამოკვეთისას განეული მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებაზე მსჯელობისას სწორად დაადგინა, რომ ნ. შ-მა ზიანის დადგომისა და ზიანის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ 2008 წლის 10 ივნისს შეიტყო, რა დროსაც მას მარჯვენა თირკმელი ამოკვეთეს. ამ დროისათვის მისთვის ცნობილი იყო, რომ კისტის პუნქციის დროს დაზიანდა თირკმლის პარენქიმაში არსებული ვენურ-არტერიული სისხლძარღვები, რამაც გამოიწვია არტერიო-ვენური ფისტულა და გარდაუვალი გახდა თირკმლის ამოკვეთა, მაგრამ სააპელაციო სასამართლომ, გაურკვეველი მოსაზრებით (შესაბამისი დასაბუთება გადაწყვეტილებაში ასახული არ არის), ცალკე გამოყო სამომავლო მკურნალობის ხარჯების დაკისრების შესახებ სასარჩელო მოთხოვნა. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ორივე აღნიშნული მოთხოვნა ხანდაზმულია, ვინაიდან, როდესაც ნ. შ-ს ჩაუტარდა ოპერაცია და ამოკვეთეს თირკმელი, მისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო, სამომავლოდ ექიმის მეთვალყურეობის საჭიროების თაობაზე, შესაბამისად, ორივე აღნიშნულ მოთხოვნაზე ხანდაზმულობის ვადის დენა ერთდროულად, 2008 წლის 10 ივნისს დაიწყო და 2011 წლის 10 ივნისს ამოიწურა. სარჩელი კი, ამ ვადის გასვლის შემდეგაა აღძრული.

რაც შეეხება ნაწილის მოშორებისათვის საჭირო პლასტი-

კური ქირურგიის ღირებულებას, საკასაციო სასამართლო იზიარებს კასატორის მტკიცებას, რომ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება ამგვარი ოპერაციის აუცილებლობა ან მისი რეალური ღირებულება.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, რომ მოსარჩელემ ამ ნაწილში საკუთარი მოთხოვნის დასასაბუთებლად ერთადერთი მტკიცებულება წარადგინა: ისრაელის ხაიმ-შიბას სახელობის სამედიცინო ცენტრის ელექტრონული შეტყობინება, რომელიც განსაზღვრავს მსგავსი ტიპის ოპერაციის, წინასწარი გამოკვლევებისა და კონსულტაციის საორიენტაციო ღირებულებას. აღნიშნული წერილით არ დასტურდება ის გარემოება, რომ ნ. შ-ი ნამდვილად საჭიროებს ნაწიბურის მოსაშორებლად პლასტიკურ ოპერაციას და არც ის, რომ იგი სწორედ ამ კლინიკაში გეგმავს ოპერაციის ჩატარებას. მოცემული დოკუმენტით მხოლოდ ისრაელის კლინიკაში არსებული ფასები დგინდება, რაც საფუძვლად არ უნდა დაედოს მოპასუხისათვის ამ საორიენტაციო ღირებულების პირდაპირ დაკისრებას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, ნ. შ-ს უნდა დაედასტურებინა ნაწიბურის მოსაშორებლად პლასტიკური ოპერაციის აუცილებლობა, ხოლო ამგვარი ოპერაციისა და თანმდევი გამოკვლევა-კონსულტაციის ღირებულება უნდა დასტურდებოდეს სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტით (ხარჯთაღრიცხვით) და არა ელექტრონული ფოსტით გამოგზავნილი სავარაუდო ღირებულებით, რომელიც ზოგად ინფორმაციას შეიცავს და არ ადასტურებს კონკრეტული სამედიცინო შემთხვევისათვის გათვალისწინებული მოქმედებების ღირებულებას, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება ისეთ საკითხზე მიიღო, რომლის შესაბამისი მტკიცებულებაც, საქმეში წარმოდგენილი არაა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, გადაწყვეტილების აღწერილობით ნაწილში მოკლედ უნდა მიეთითოს მოსარჩელის მოთხოვნა, მოპასუხის პოზიცია მოსარჩელის მოთხოვნასთან დაკავშირებით, სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებანი, მტკიცებულებანი, რომ-

ლებსაც ემყარება სასამართლოს დასკვნები, მოსაზრებანი, რომლებითაც სასამართლო უარყოფს ამა თუ იმ მტკიცებულებას. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის მიხედვით კი, გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილში უნდა აღინიშნოს სამართლებრივი შეფასება და კანონები, რომლებითაც სასამართლო ხელმძღვანელობდა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული გადანყვეტილებით სააპელაციო სასამართლოს არათუ ზემოაღნიშნულ გარემოებებზე არ უმსჯელია, არამედ, საერთოდ არ დაუსაბუთებია, რომელ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ან რა სამართლებრივი მოსაზრებით მიიჩნია, რომ ნაწიბურის გამოსასწორებლად საჭირო პლასტიკური ოპერაციის ხარჯები, 34 346 ლარი, ექვემდებარებოდა ანაზღაურებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გასაჩივრებულ ნაწილში სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილება დაუსაბუთებელია, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ე“ და „ე1“ ქვეპუნქტების თანახმად, მისი გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

იმავე კოდექსის 411-ე მუხლის მიხედვით კი, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადანყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადანყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები.

ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი არ არის მტკიცებულებები, რომლებიც სააპელაციო სასამართლოს არ შეუფასებია და საქმის ფაქტობრივი გარემოებები დადგენას არ საჭიროებს, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, თავად მიიღოს საქმეზე გადანყვეტილება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. შ-ის სასარჩელო მოთხოვნა, სამომავლო მკურნალობის ხარჯების დაკისრების თაობაზე, ხანდაზმულია, ხოლო პლასტიკური ოპერაციის ღირებულების დაკისრების შესახებ მოთხოვნა დაუსაბუთებელია, ამდენად, არ უნდა დაკმაყოფილდეს.

რაც შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ სასარჩელო მოთხოვნას, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც, შესაბამისად, როგორც მატერიალური, ისე არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი არის ჯანმრთელობის დაზიანება, ამდენად, ეს მოთხოვნა, მოცემული დავის ფარგლებში, დამოკიდებულია

ჯანმრთელობის დაზიანებით გამონვეული ზიანის ანაზღაურების საფუძვლების არსებობასა და მოცულობაზე. ვინაიდან მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველი, ამ შემთხვევაში, ჯანმრთელობის დაზიანებაა, მოთხოვნის დაკმაყოფილება შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ჯანმრთელობის დაზიანებით გამონვეული ზიანის ანაზღაურების მავალდებულებელი წინაპირობები, მათ შორის ერთ-ერთია უფლების განხორციელების ხანდაზმულობის ვადა, ვინაიდან ამ ვადის ამონურვის შემდეგ, მოთხოვნა განუხორციელებელი ხდება, რის შესახებაც საკასაციო სასამართლომ დანვრილებით ზემოთ უკვე იმსჯელა. არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა, კონკრეტული დავის სპეციფიკიდან გამომდინარე, ასევე უნდა აითვალოს იმ მომენტიდან, როდესაც მოსარჩელემ ზიანისა და მის ანაზღაურებაზე ვალდებული პირის შესახებ შეიტყო, რაც იმას ნიშნავს, რომ, ფაქტობრივად, არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის ვადასთან ერთად იწურება, როგორც ამას კასატორი მიუთითებს, შესაბამისად, სარჩელი ამ ნაწილშიც ხანდაზმულია და არ უნდა დაკმაყოფილდეს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. იმავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით კი, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნ. შ-მა შპს „აკად. ო. ლ. სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრს“ უნდა აუნაზღაუროს საკასაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟი – 2187,30 ლარი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

### **გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა:**

1. შპს „აკად. ო. ლ. სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენ-

ტრის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;

2. ნ. შ-ის სამომავლო მკურნალობის ხარჯების, პლასტიკური ოპერაციის ღირებულებისა და მორალური ზიანის ანაზღაურების, სულ 43746 ლარის, გადახდის დაკისრების ნაწილში გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილება და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება:

3. ნ. შ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;

4. ნ. შ-ს დაეკისროს შპს „აკად. ო. ღ. სახელობის ეროვნული სამედიცინო ცენტრის“ სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ საკასაციო ინსტანციაში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 2187,30 ლარის ანაზღაურება;

5. დანარჩენ ნაწილში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 11 იანვრის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად;

საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **სამედიცინო დანახვების მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურება**

### **ბანჩინება**

№ას-1163-1092-2012

25 დეკემბერი, 2013 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ბ. ალავიძე,  
პ. სილაგაძე**

**დავის საგანი:** ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების  
გამო ზიანის ანაზღაურება

### **აღწერილობითი ნაწილი:**

ნ. ტ-მა სარჩელი აღძრა სასამართლოში სამედიცინო ფირმა შპს „დ. ფ. ფ. ო-ეს“ მიმართ და მოითხოვა 2007 წლის 4 მაისს გადახდილი 2 763 ლარისა და 2008 წლის 16 ოქტომბერს გადახდილი 4 840 ლარის, 2007 წელს, მოპასუხის ბრალით იძულებით აღებული ერთწლიანი უფასო შვებულების გამო, მიუღებელი 1

668 ლარის, 2008 წლის 1 სექტემბრიდან 2009 წლის 1 სექტემბრამდე მიუღებელი ხელფასის – 1 668 ლარის, 2009 წლის 1 სექტემბრიდან 2010 წლის 1 სექტემბრამდე მიუღებელი ხელფასის – 3 939,60 ლარის, მოპასუხის რეკომენდაციით ქ.ბათუმსა და ქ.თბილისში ჩატარებული მკურნალობის ხარჯის – 6 282 ლარის, 2010 წლის 14 სექტემბრიდან სამსახურიდან გათავისუფლების გამო, 2011 წლის 13 ივნისამდე მიუღებელი საშუალო ხელფასის – 3 283 ლარის, ასევე საპენსიო ასაკის დადგომამდე – 2023 წლის 22 ივლისამდე კომპენსაციის სახით საშუალო ხელფასის 60%-ის, 144 თვეზე სულ 28 224 ლარის შპს სამედიცინო ფირმა „დ. ფ. ფ. ო-ის“ დაკისრება შემდეგი საფუძვლებით:

2007 წლის 1 მაისს მხარეთა შორის გაფორმდა ხელშეკრულება სამედიცინო მომსახურების შესახებ. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენდა დიაგნოსტიკა, ოპერაცია და ოპერაციის შემდგომი მკურნალობა. ნ. ტ-ს დაუდგინდა დიაგნოზი – ჰაშიმიტოს ჩიყვი და 2007 წლის 2 მაისს თირეოიდექტომია. ოპერაციისას ექიმმა პაციენტს დაუზიანა შებრუნებული ნერვი, რამაც გამოიწვია ხმოვანი იოგის პარეზი. ხელშეკრულების თანახმად, მოსარჩელემ 2007 წლის 4 მაისს გადაიხადა 2763 ლარი.

ოპერაციის შემდგომი ნეგატიური შედეგების გამო, ნ. ტ-ს არაერთხელ მოუხდა თბილისში ჩამოსვლა და კლინიკისათვის მიმართვა. ოპერაციის ჩამტარებული პროფესორის – კ. მ-ის რჩევით, 2008 წლის 18 ოქტომბერს ჩაუტარდა ოპერაცია – მარცხენა ხმოვანი იოგის ლატერალიზაცია, თუმცა უშედეგოდ. მოსარჩელემ ოპერაციისათვის იმავე წლის 16 ოქტომბერს გადაიხადა 3840 ლარი.

როგორც ოპერაციის ჩატარებამდე, ისე ოპერაციის წინა პერიოდში სამედიცინო დაწესებულება პაციენტს უმტკიცებდა, რომ ეს იყო რიგითი ოპერაცია და მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას რაიმე საფრთხეს არ უქმნიდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, სავალდებულო იქნებოდა პაციენტის ან სხვა უფლებამოსილი პირის ინფორმირებული თანხმობა, აღნიშნულმა განმარტებამ განაპირობა პაციენტის თანხმობა ოპერაციაზე. მეორე ოპერაციის შემდგომ ნ.ტ-ს კვლავ აღენიშნებოდა უარყოფითი სიმპტომები, რის გამოც, დისფონიის დიაგნოზით მას გაუკეთდა მესამე ოპერაცია – ლატერალიზებული მარცხენა ხმოვანი იოგის კორექცია, ამჯერად მოსარჩელეს ოპერაციის თანხა აღარ გადაუხდია, თუმცა იგი გაფრთხილებული იყო შესაძლო არასასურველ შედეგზე.

მოსარჩელის განმარტებით, ის 1993 წლიდან ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას, 2010 წლის 14 სექტემბერს, ხმის დაკარ-

გვის გამო, იძულებული გახდა დაეტოვებინა სამსახური, თუმცა გამოჯანმრთელების იმედით, 2007 წლის 2 მაისიდან გათავისუფლებამდე სკოლა ყოველმხრივ უწყობდა ხელს ნ. ტ-ს.

მოპასუხემ სარჩელი არ ცნო და მოითხოვა მის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი დასაბუთებით:

მოპასუხე არ დაეთანხმა მოსარჩელის განმარტებას შებრუნებული ნერვის დაზიანებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ კლინიკაში მიმართვის დროისათვის ნ. ტ-ს შებრუნებული ნერვის ფუნქციის მოშლა უკვე აღენიშნებოდა, რაც გამოწვეული იყო დიდი ზომის სიმსივნის ხანგრძლივი ზეწოლით, ეს პრობლემა მეტად გაღრმავდა ჩატარებული ოპერაციის შემდგომ, რაც გამოიწვია შებრუნებული ნერვის სისხლის მომარაგების ანატომიურმა თავისებურებამ, რაც საშუალოდ დამახასიათებელია მოსახლეობის 2-6%-ისათვის. ოპერაციის ჩატარებას თავად პაციენტი მოითხოვდა და არ არსებობს საექიმო შეცდომა. ორივე ოპერაციის ჩატარებისას მოსარჩელე სათანადოდ იყო ინფორმირებული მისი შესაძლო გართულებებისა და რისკების თაობაზე. მოპასუხე არ დაეთანხმა მოსარჩელის მითითებას 2008 წლის 18 ოქტომბერს გადახდილი თანხის თაობაზე და აღნიშნა, რომ ნ. ტ-ის დაზიანებული თხოვნით ამ ოპერაციისათვის გადახდილია მხოლოდ 320 ლარი, ამასთანავე, წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდება, რომ სამუშაოდან გათავისუფლება საექიმო შეცდომით გამოწვეულმა ზიანმა განაპირობა. მოპასუხემ ასევე მიუთითა მოსარჩელის მოთხოვნის ხანდაზმულობაზე, თანახმად სამოქალაქო კოდექსის 1008-ე მუხლისა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილებით ნ. ტ-ის სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილებით ნ. ტ-ის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2012 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც ნ. ტ-ის სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, მოპასუხე შპს სამედიცინო ფირმა „დ. ფ. ფ. ო-ეს“ ნ. ტ-ის სასარგებლოდ დაეკისრა ამ უკანასკნელის მიერ 2007 წლის 4 მაისს გადახდილი 2763 ლარისა და 2008 წლის 16 ოქტომბერს გადახდილი 3840 ლარის ანაზღაურება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატამ დადგინილად ცნო, რომ 2007 წლის 1

მაისს ნ. ტ-მა შპს სამედიცინო ფირმა „დ. ფ. ფ. ო-ეს“ მიმართა ჩივილებით: ხმის ტემბრის შეცვლა, ფარისებრი ჯირკვლის ლოკალიზაციის ადგილზე დიდი ხანი სიმსივნური წარმონაქმნის არსებობა, დისკომფორტი, საერთო სისუსტე, ჰაერის უკმარისობა, გულის ცემის აჩქარება. 2007 წლის 1 მაისს ნ. ტ-სა და შპს სამედიცინო ფირმა „დ. ფ. ფ. ო-ეს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება სამედიცინო მომსახურების შესახებ. ნ. ტ-ს კლინიკაში გამოკვლევის შედეგად დაუდგინდა დიაგნოზი: ჰაშიმოტოს ჩიყვი. 2007 წლის 2 მაისს ნ. ტ-ს მოპასუხე კლინიკაში ჩაუტარდა ოპერაცია – თირეოიდექტომია (ფარისებრი ჯირკვლის ამოკვეთა). 2008 წლის 16 ოქტომბერს პაციენტი ნ. ტ-ი კვლავ მოთავსდა მოპასუხე კლინიკაში ჩივილით სუნთქვის უკმარისობა და დიაგნოზით: ჰაშიმოტოს ჩიყვი, თირეოიდექტომიის შემდგომი პერიოდი, მარცხენა ხმოვანი იოგის პარეზი. 2008 წლის 17 ოქტომბერს გაუკეთდა ოპერაცია – მარცხენა ხმოვანი იოგის ლატერალიზაცია. 2008 წლის 20 მაისს სუნთქვა აღდგა და ნ. ტ-ი გაეწერა კლინიკიდან. 2010 წლის 19 აპრილს ნ. ტ-ი მესამედ მოთავსდა კლინიკაში ჩივილებით: ხმის ტემბრის შეცვლა, პერიოდულად სუნთქვის გაძნელება და დიაგნოზი – ჰაშიმოტოს ჩიყვი, თირეოიდექტომიის შემდგომი პერიოდი, დისფონია. 2010 წლის 20 აპრილს გაუკეთდა ოპერაცია – ლატერალიზებული მარცხენა ხმოვანი იოგის კორექცია. 2010 წლის 25 აპრილს ნ. ტ-ი გაეწერა კლინიკიდან. სამედიცინო საბუთის ჩანაწერით, სუნთქვა თავისუფალი იყო, ხმის ტემბრი – გაუმჯობესებული.

არ იქნა გაზიარებული პირველი ინსტანციის დასკვნა, რომ მოსარჩელე ნ. ტ-ის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენება მოპასუხე შპს სამედიცინო ფირმა „დ. ფ. ფ. ო-ეს“ ქმედებით არ მომხდარა. პალატამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე და განმარტა, რომ ამა თუ იმ სამოქალაქო საქმის სწორად გადაწყვეტისათვის და სასამართლო გადაწყვეტილების გამოსატანად აუცილებელია ფაქტების დადგენა, რაც მხოლოდ მტკიცებულებათა მეშვეობით არის შესაძლებელი, შესაბამისად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავს დასაშვებ მტკიცებულებათა ზუსტ ჩამონათვალს, რომელთაგან ნებისმიერი დასაშვებია და მხარეს თავისი შეხედულებით შეუძლია განსაზღვროს, თუ რომელი მტკიცებულება უნდა გამოიყენოს და წარადგინოს სასამართლოში თავისი უფლების დასაცავად. ჩამოთვლილ მტკიცებულებათაგან არც ერთს აქვს უპირატესი იურიდიული მნიშვნელობა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით დადგენილი წესით. მოსარჩე-

ლემ მოთხოვნის საფუძველად მითითებული გარემოების დასა-  
დასტურებლად წარადგინა სსიპ ლევან სამხარაულის სახელო-  
ბის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს კომისიური  
სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის 2010 წლის 19 ოქტომ-  
ბრის №358/40 დასკვნა, რომლის თანახმად, ნ. ტ-ის ამჟამინდე-  
ლი მდგომარეობა – სუნთქვის გაძნელება (სტრიდორი), დისფო-  
ნია – დაკავშირებულია პირველი (02.05.07 წ.) ოპერაციული ჩა-  
რევის (თირეოიდექტომია) გართულებასთან. აღნიშნული გარ-  
თულების რისკი, სხვადასხვა ავტორების მონაცემებით, ოპე-  
რირებულ პაციენტებში 2-დან 6%-ს შეადგენს. გართულების  
რისკი იზრდება დიდი ზომის ჩიყვის დროს, როდესაც სიმსივნე-  
რი წარმონაქმნი ახდენდა ტრაქეასა და საყლაპავზე ზეწოლას,  
აგრეთვე დაავადების ხანგრძლივი ანამნეზის დროს. შემდგომ-  
ში (17.10.08წ. და 20.04.10წ.) ჩატარებული ოპერაციები მიმარ-  
თული იყო გართულების შედეგების აღმოფხვრისაკენ. განსა-  
ხილველი კატეგორიის დავების სპეციფიკიდან გამომდინარე,  
სამედიცინო დახმარების მოქმედებასა და შედეგების მიზეზ-  
შედეგობრივი კავშირის დადგენისათვის, მნიშვნელოვანია ექ-  
სპერტის დასკვნა. სპეციალური ცოდნით აღჭურვილი ექსპერ-  
ტის დასკვნის დახმარებით სასამართლომ უნდა დაადგინოს მე-  
დიცინის მუშაკის ქმედებისა და უარყოფით შედეგებს შორის  
მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობა ან არ არსებობა. პა-  
ლატამ ჩათვალა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ექსპერტის დას-  
კვნით დგინდებოდა, რომ ნ. ტ-ის ამჟამინდელი მდგომარეობა –  
სუნთქვის გაძნელება (სტრიდორი), დისფონია – დაკავშირებუ-  
ლი იყო პირველი (02.05.07წ.) ოპერაციული ჩარევის (თირეოი-  
დექტომია) გართულებასთან. შემდგომში (17.10.08წ. და  
20.04.10წ.) ჩატარებული ოპერაციები მიმართული იყო გართუ-  
ლების შედეგების აღმოფხვრისაკენ. სტატისტიკური მონაცე-  
მებით, აღნიშნული გართულების რისკი ოპერირებულ პაციენ-  
ტებში მხოლოდ 2%-დან 6%-ს შეადგენს. პაციენტს მეორე და  
მესამე ოპერაცია ჩაუტარდა სამედიცინო დაწესებულების ხარ-  
ჯზე, რის გამოც პალატამ ჩათვალა, რომ ნ. ტ-ის ჯანმრთელო-  
ბისათვის ვნების მიყენება, მაღალი ალბათობით, გამოწვეული  
იყო შპს სამედიცინო ფირმა „დ. ფ. ფ. ო-ეს“ ქმედებით. სასამარ-  
თლომ მიუთითა იმ გარემოებაზეც, რომ ზემოაღნიშნულ გარე-  
მობათა საპირისპირო, გამაბათილებელი ან სულ მცირე, გან-  
სხვავებული ფაქტების დამადასტურებელი ალტერნატიული  
მტკიცებულებები, მოპასუხეს სასამართლოში არ წარუდგენია,  
მარტოოდენ მითითება მტკიცებულების უსაფუძვლობაზე კი,  
საკმარისი არ იყო და არ შეესაბამებოდა მტკიცების ტვირთის

სამართლიანი და ობიექტური განაწილების სტანდარტს, ვინაიდან, სასამართლოს მოსაზრებით, მტკიცებას ექვემდებარება, როგორც სარჩელის, ასევე შესაგებლის საფუძვლები. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, პალატამ განმარტა, რომ მოწინააღმდეგე მხარემ ვერ შეძლო ექსპერტიზის დასკვნით დადასტურებული ფაქტობრივი გარემოების გაქარწყლება, აღნიშნულ მტკიცებულებას სასამართლო მხედველობაში იღებს, როგორც საპროცესო ნორმის დაცვით მიღებულ და მოწინააღმდეგე მხარის მიერ შეუცდილებად წერილობით დოკუმენტს. აღნიშნულ მსჯელობასა და სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით, გაზიარებულ იქნა ექსპერტის დასკვნა, რომლის თანახმადაც ნ. ტ-ის ამჟამინდელი მდგომარეობა – სუნთქვის გაძნელება (სტრიდორი), დისფონია – დაკავშირებული იყო პირველი ოპერაციული ჩარევის (თირეოიდექტომია) გართულებასთან.

პალატამ ასევე დაადგინა, რომ შპს სამედიცინო ფირმა „დ. ფ. ფ. ო-ი“ მკურნალობისათვის ნ. ტ-მა 2007 წლის 4 მაისს გადაიხადა 2763 ლარი, 2008 წლის 16 ოქტომბერს – 3840 ლარი.

დადგენილი გარემოებების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 1007-ე, 992-ე მუხლებით და განმარტა, რომ სამედიცინო შეცდომით მოქალაქის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის ზიანის მიყენების გამო სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობის წარმოშობის პირობები იგივეა, როგორც ყველა დელიქტურ ვალდებულებებში: ზიანი, მართლწინააღმდეგობა, ბრალი და მიზეზობრივი კავშირი. ამასთან, თითოეული ამ კომპონენტების თავისებურება სამედიცინო საქმიანობის ხასიათით განისაზღვრება. იმავე პირობების არსებობას მოითხოვს სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლი, რომლის ძალითაც სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას (ქირურგიული ოპერაციის ან არასწორი დიაგნოზით დამდგარი შედეგი და სხვ.) პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძვლებით. ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის. ნორმის მიზნიდან გამომდინარე, მართლსაწინააღმდეგო ქმედებად მიიჩნევა სამედიცინო დაწესებულების მიერ არასწორად განხორციელებული დიაგნოსტიკა და მკურნალობა, რამაც გამოიწვია ზიანი, ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლის მიხედვით, მტკიცების ტვირთი აკისრია სამედიცინო დაწესებულებას, ანუ მან უნდა ამტკიცოს, რომ ზიანი მისი ქმედების შედეგად არ

დადგა.

ზიანის ანაზღაურების დაკისრებისათვის აუცილებელია, დადგინდეს საქეიმო შეცდომა. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტით, მცდარ სამედიცინო ქმედებად განმარტებულია ექიმის მიერ უნებლიედ, პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო სადიაგნოზო და ან სამკურნალო ღონისძიებების ჩატარება, რაც მიყენებული ზიანის უშუალო მიზეზი გახდა. „პაციენტთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლით, პაციენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს: ა) კომპენსაცია ქონებრივი და არაქონებრივი ზიანისა, რომლებიც გამოწვეულია: ა.ა) პაციენტის უფლებების დარღვევით; ა.ბ) მცდარი სამედიცინო ქმედებით. კანონის აღნიშნული დანაწესების ანალიზით პალატამ დაასკვნა, რომ ექიმის მიერ პაციენტისათვის ზიანის მიყენება არ უნდა იყოს წინასწარ განზრახული, წინააღმდეგ შემთხვევაში, ექიმის ქმედება პროფესიულ შეცდომად აღარ ჩაითვლება, ვინაიდან ასეთი მოქმედება სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო ნორმებითაა რეგულირებული; ექიმის მიერ ჩატარებული სადიაგნოზო, თუ სამკურნალო ღონისძიება პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობისათვის შეუსაბამო, მიუღებელი უნდა იყოს; ექიმი პასუხისმგებელია მხოლოდ მცდარ სამედიცინო მოქმედებაზე და მისი საქმიანობის მიმართ ბრალეულობის ვარაუდი (პრეზუმფცია) არ მოქმედებს; პაციენტისათვის მიყენებული ზიანი გამოწვეული უნდა იყოს ექიმის არასწორი მოქმედებით.

პალატამ მიუთითა იმ დადგენილ გარემოებაზე, რომ ნ. ტ-ის ამჟამინდელი მდგომარეობა დაკავშირებული იყო პირველი (02.05.07წ.) ოპერაციული ჩარევის (თირეოიდექტომია) გართულებასთან, სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის შესაბამისად, დამდგარი ზიანი უნდა წარმოადგენდეს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. იმ შემთხვევაშიც, თუ ზიანი წინასწარ იყო სავარაუდო, თუ იგი მოვალის უშუალო მოქმედებით არ იყო გამოწვეული, მისი პასუხისმგებლობა გამორიცხულია.

დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სასამართლომ ჩათვალა, რომ არსებობდა ზიანის ნაწილობრივ ანაზღაურების ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები, კერძოდ, შპს სამედიცინო ფირმა „დ. ფ. ფ. ო-ი“ მკურნალობისათვის ნ. ტ-ის მიერ 2007 წლის 4 მაისს გადახდილი 2763 ლარი-სა და 2008 წლის 16 ოქტომბერს – 3840 ლარის ნაწილში. დანარჩენ ნაწილში აპელანტმა ვერ გააბათილა პირველი ინსტანციის

სასამართლოს დასკვნები, წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, სასამართლოს მოსაზრებით, არ შეიძლებოდა დადგენილიყო ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შედეგად შრომისუუნარო გახდა თუ არა ნ. ტ-ი, ამისათვის საჭირო იყო სამედიცინო-საექსპერტო დასკვნა, თანახმად სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილისა და „შრომითი მოვალეობის შესრულებისას მუშაკის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შედეგად ზიანის ანაზღაურების წესის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2007 წლის 24 მარტის №53 დადგენილებისა. სასამართლოს მოსაზრებით, ნ. ტ-ს უფლება ჰქონდა, სამედიცინო-სოციალური ექსპერტიზის კომისიის მიერ მისი შრომისუუნარობის (თუკი ასეთი დადასტურდება) ხარისხის დადგენის შემდეგ აღეძრა სარჩელი შესაბამისი ოდენობის სარჩოს დანიშვნის თაობაზე.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს „დ. ფ. ფ. ო-ემ“ და მოითხოვა მისი სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გაუქმება შემდეგი დასაბუთებით:

სააპელაციო პალატის დასკვნა, რომ ნ. ტ-ის ჯანმრთელობას ვნება საექიმო შეცდომის შედეგად მიაღდა არასწორია და არ გამომდინარეობს საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან, პალატა, ერთი მხრივ, მიუთითებს, რომ მოსარჩელის ამჟამინდელი მდგომარეობა მაღალი ალბათობით მოპასუხე კლინიკის ბრალითაა გამოწვეული, თუმცა არ გაუთვალისწინებია ის გარემოება, რომ საქმეში წარმოდგენილი ავადმყოფობის ისტორიის თანახმად, მოსარჩელის მიერ კლინიკისათვის პირველად მიმართვისას მას უკვე აღენიშნებოდა ეს პრობლემები, ავადმყოფის გადმოცემითვე, ეს ჩივილები მას კლინიკისათვის მიმართვამდე რამდენიმე წლით ადრე დაეწყო, თავად ცვლილებები განპირობებული იყო დიდი ზომის სიმსივნური წარმონაქმნის ხანგრძლივი ზენოლით შებრუნებულ ნერვებზე და ამის შედეგად განვითარებული სისხლმომარაგების მოშლით. ეს უკანასკნელი მდგომარეობა ჩატარებული ოპერაციის შემდგომ მეტად გამწვავდა და იგი ოპერაციის შედეგს არ წარმოადგენს. დადასტურებულია ის გარემოებაც, რომ ოპერაციის შემდგომ ინტენსიური თერაპიის პალატაში ჩატარებული ფიზიოთერაპიული კვლევის შედეგად მარცხენა ხმოვანი იოგი სრულფასოვნად ფუნქციონირებდა, რაც მოწმობს ფაქტს, რომ მარცხენა შებრუნებული ნერვის ინტერაოპერაციულად დაზიანებას ადგილი არ ჰქონია. პაციენტის სამედიცინო ისტორიის თანახმად, იგი სადავო პერიოდში მარჯვენა ხმოვანი იოგის მოძრაობის შეზღუდვას უჩიოდა. პაციენტის მიერ კლინიკისათვის განმეორე-

ბით მიმართვის შემდგომ ჩატარებული ფიზიოლოგინგოსკოპიული დიაგნოსტიკებით დადგინდა უკვე მარცხენა ხმოვანი იოგის დამბლა, ხოლო მარჯვენა ხმოვანი იოგი ფუნქციონირებდა სრულფასოვნად. აღნიშნული გარემოებები ნათლად ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ ოპერაციული ჩარევისას მარცხენა შებრუნებული ნერვის მექანიკურ დაზიანებას ადგილი არ ჰქონია და მოგვიანებით განვითარებული მისი ფუნქციის უკმარისობა სისხლმომარაგების მოშლით იყო გამოწვეული. ანალოგიურ ვითარებაში სისხლმომარაგების დარღვევა, მსოფლიო წამყვანი კლინიკების სტატისტიკის თანახმად, პაციენტების 2-დან 6%-ს აღენიშნება, რაც ექიმის შეცდომით არ არის გამოწვეული და არ მიიჩნევა პაციენტის ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენებად. სააპელაციო პალატამ ასევე არასწორად შეაფასა წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნა, რადგანაც არც ამ მტკიცებულებით და არც სასამართლო სხდომაზე დაკითხული ექსპერტის განმარტებით არ არის დადასტურებული სამედიცინო დაწესებულების ქმედებით პაციენტის ჯანმრთელობის დაზიანების ფაქტი. თავად დასკვნაში გადმოცემულია თუ რა მოიაზრება ზოგადად ჯანმრთელობის მდგომარეობის ზიანის ცნებაში.

საყურადღებოა სააპელაციო პალატის გადანყვევტილების 4.6 პუნქტის დასკვნა, სადაც სასამართლო აღნიშნავს, რომ მე-2 და მე-3 ოპერაციები პაციენტს სამედიცინო დაწესებულების ხარჯზე ჩაუტარდა, მაში, როდესაც ამავე გადანყვევტილების 4.7 პუნქტში სასამართლო მიუთითებს, რომ მე-2 ოპერაციისათვის ნ. ტ-მა 2008 წლის 16 ოქტომბერს მოპასუხეს გადაუხადა 3840 ლარი, რომელიც სარეზოლუციო ნაწილში 4840 ლარამდეა გაზრდილი, ხოლო უსწორობის გასწორების შესახებ განჩინებით იგი კვლავ 3840 ლარადაა ჩამოყალიბებული. რეალურად, პირველი ოპერაციის თანხა – 2763 ლარი პაციენტმა თავად გადაიხადა, ხოლო მე-2 ოპერაციის თანხა პაციენტს არ გადაუხდია, ამ თანხის მცირედი ნაწილი – 320 ლარი დაფარა სადაზღვევო კომპანია „იმედი ჯ-მა“ ოპერაციიდან 6 თვის შემდეგ და საქმეში წარმოდგენილია შესაბამისი მტკიცებულება. სწორედ ამ მტკიცებულების წარდგენის შემდგომ შეამცირა სასარჩელო მოთხოვნა მოსარჩელემ.

კასატორის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორად არ გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილები და დავის გადანყვევტილისათვის საბოლოოდ არც ექსპერტიზის დასკვნას და არც ექსპერტად მონვეული პირის განმარტებას არ დაეყრდნო. იმ გარემოებაზე მითითებით, რომ მე-2 და მე-3 ოპერაციები პაციენტს უსასყიდ-

ლოდ ჩაუტარდა (რეალურად მას გადავადებული ჰქონდა მე-2 ოპერაციის ღირებულება და ამ ღირებულების მხოლოდ მცირე ნაწილი გადაიხადა სადაზღვევო კომპანიამ, ხოლო მე-3 ოპერაცია მხოლოდ სუბიექტური ფაქტორის – პაციენტის მწვავე ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით ჩატარდა უფასოდ, ასევე იმისათვის, რათა გონივრულ ფარგლებში ყოფილიყო აცხლებული სასამართლო დავა), სასამართლომ მხოლოდ ვარაუდზე დაყრდნობით დააკმაყოფილა მხარის მოთხოვნა. სააპელაციო პალატამ გადაწყვეტილებაში ასევე არასწორად განმარტა სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლი, კერძოდ, ნორმის დისპოზიციაში აღნიშნული ზიანი სასამართლომ გაათანაბრა პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის ყოველგვარ გართულებასთან. სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ კონკრეტულ სამედიცინო ჩარევას თან სდევს სხვა სამედიცინო სახის რეციდივის პროცენტული რისკი. კასატორის მოსაზრებით, კონკრეტული რეციდივი სწორედ ამ პროცენტულ მაჩვენებლებში მოიაზრება და საპირისპიროს მტკიცება მოწინააღმდეგეს ევალება. სასამართლომ არასწორად არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 991-ე მუხლი, როდესაც უსაფუძვლოდ მიაკუთვნა აპელანტს ის, რაც მას არ გადაუხდია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 3 დეკემბრის განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, შპს „დ. ფ. ფ. ო-ეს“ საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დაინიშნა ზეპირი მოსმენის გარეშე, თანახმად ამავე კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილისა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „დ. ფ. ფ. ო-ეს“ საკასაციო საჩივარი საფუძვლიანია და ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი გარემოებების გამო:

განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო პალატამ ნაწილობრივ – მკურნალობისათვის განუული ხარჯების ანაზღაურების ნაწილში დააკმაყოფილა ნ.ტ-ის სარჩელი, ხოლო დანარჩენ ნაწილში მოსარჩელეს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, ამასთანავე, განემარტა, რომ სათანადო წინაპირობების არსებობის შემთხვევაში, მას უფლება ჰქონდა, საერთო წესით მი-

ემართა სასამართლოსათვის.

სააპელაციო პალატის გადაწყვეტილების დასკვნებს არ ეთანხმება სამედიცინო დაწესებულება – შპს „დ. ფ. ფ. ო-ე“ და მოითხოვს სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში მის გაუქმებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს სარჩელის დაკმაყოფილების თაობაზე გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნების მართებულობა, თანახმად სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წინამდებარე დავაზე საკასაციო სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისათვის სავალდებულო ძალის მქონეა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2007 წლის 1 მაისს ნ. ტ-მა შპს სამედიცინო ფირმა „დ. ფ. ფ. ო-ეს“ მიმართა ჩივილებით: ხმის ტემბრის შეცვლა, ფარისებრი ჯირკვლის ლოკალიზაციის ადგილზე დიდი ხანი სიმსივნური წარმონაქმნის არსებობა, დისკომფორტი, საერთო სისუსტე, ჰაერის უკმარისობა, გულის ცემის აჩქარება;

2007 წლის 1 მაისს ნ. ტ-სა და შპს სამედიცინო ფირმა „დ. ფ. ფ. ო-ეს“ შორის გაფორმდა ხელშეკრულება სამედიცინო მომსახურების შესახებ. ნ. ტ-ს კლინიკაში გამოკვლევის შედეგად დაუდგინდა დიაგნოზი: ჰაშიმოტოს ჩიყვი;

2007 წლის 2 მაისს ნ. ტ-ს მოპასუხე კლინიკაში ჩაუტარდა ოპერაცია – თირეოიდექტომია (ფარისებრი ჯირკვლის ამოკვეთა);

2008 წლის 16 ოქტომბერს პაციენტი ნ. ტ-ი კვლავ მოთავსდა მოპასუხე კლინიკაში ჩივილით სუნთქვის უკმარისობა და დიაგნოზით: ჰაშიმოტოს ჩიყვი, თირეოიდექტომიის შემდგომი პერიოდი, მარცხენა ხმოვანი იოგის პარეზი;

2008 წლის 17 ოქტომბერს პაციენტს გაუკეთდა ოპერაცია – მარცხენა ხმოვანი იოგის ლატერალიზაცია;

2008 წლის 20 მაისს აღდგა სუნთქვა და ნ. ტ-ი გაენერა კლინიკიდან;

2010 წლის 19 აპრილს ნ. ტ-ი მესამედ მოთავსდა კლინიკაში ჩივილებით ხმის ტემბრის შეცვლა, პერიოდულად სუნთქვის გაძნელება, დიაგნოზი: ჰაშიმოტოს ჩიყვი, თირეოიდექტომიის შემდგომი პერიოდი, დისფონია;

2010 წლის 20 აპრილს გაუკეთდა ოპერაცია – ლატერალიზებული მარცხენა ხმოვანი იოგის კორექცია;

2010 წლის 25 აპრილს ნ. ტ-ი გაენერა კლინიკიდან. სამედი-

ცინო საბუთის ჩანაწერით, სუნთქვა თავისუფალი იყო, ხმის ტემპრი – გაუმჯობესებული;

აღნიშნულის გათვალისწინებით, პალატამ დაასკვნა, რომ ნ. ტ-ის ჯანმრთელობას ვნება შპს სამედიცინო ფირმა „დ. ფ. ფ. ო-ეს“ ქმედებით მიაღგა. პალატამ ეს დასკვნა დაამყარა: ა) მოსარჩელის მიერ საქმეში წარდგენილ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს კომისიური სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის 2010 წლის 19 ოქტომბრის №358/40 დასკვნას; ბ) იმ გარემოებას, რომ სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, აღნიშნული გართულების რისკი ოპერირებულ პაციენტებში მხოლოდ 2%-დან 6%-ს შეადგენს; გ) პაციენტს მეორე და მესამე ოპერაცია ჩაუტარდა სამედიცინო დაწესებულების ხარჯზე; დ) მოწინააღმდეგე მხარემ ვერ შეძლო ექსპერტიზის დასკვნით დადასტურებული ფაქტობრივი გარემოების გაქარწყლება, რაც მისი მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა.

კასატორი არ ეთანხმება გასაჩივრებული გადაწყვეტილების ზემოაღნიშნულ დასკვნებს და თვლის, რომ სასამართლოს მსჯელობა არ გამომდინარეობს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი და მე-3 ნაწილებიდან. დავის გადაწყვეტისათვის პალატა საბოლოოდ არც ექსპერტიზის დასკვნას და არც ექსპერტად მონვეული პირის განმარტებას არ დაეყრდნო, ამასთანავე, არასრულყოფილად იქნა გამოკვლეული მკურნალობისა და სამედიცინო მანიპულაციების ამსახველი მტკიცებულებები. კასატორი ასევე მიიჩნევს, რომ გადანყვეტილება სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლის არასწორ განმარტებას ემყარება. ნორმის დისპოზიციაში აღნიშნული ზიანი სასამართლომ გაათანაბრა პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის ყოველგვარ გართულებასთან. არ იქნა გათვალისწინებული ის გარემოება, რომ კონკრეტულ სამედიცინო ჩარევას თან სდევს სხვა სამედიცინო სახის რეციდივის პროცენტული რისკი. კონკრეტული რეციდივი სწორედ ამ პროცენტულ მაჩვენებლებში მოიაზრება და საპირისპიროს მტკიცება მოწინააღმდეგეს ევალება.

საკასაციო პალატა თვლის, რომ შპს „დ. ფ. ფ. ო-ეს“ ზემოაღნიშნულ მოსაზრება დასაბუთებულ შედავებას არ წარმოადგენს შემდეგი გარემოებების გამო:

პირველ ყოვლისა, საკასაციო სასამართლო მიუთითებს სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას (ქირურგიული ოპერაციის ან არასწორი დიაგნოზით დამდგარი შედეგი და სხვ.)

პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძვლებით. ზიანის მიმყენებელი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან, თუ დაამტკიცებს, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის. დასახელებული ნორმა განამტკიცებს საექიმო შეცდომით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების წესს და ადგენს ზიანის ანაზღაურების ზოგად პირობებს. ნორმის დისპოზიციით სამედიცინო დაწესებულებას პასუხისმგებლობა ეკისრება დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე, თუ სახეზეა ამ ვალდებულების წარმოშობის ოთხი ზოგადი პირობა: ზიანი; ქმედება (უმოქმედობის) არამართლზომიერება; ბრალი და მიზეზობრივი კავშირი. საყურადღებოა, რომ დელიქტური ვალდებულების ზემოაღნიშნული შემადგენლობის რომელიმე ელემენტის არარსებობა გამოორიცხავს სარჩელის დაკმაყოფილების წინაპირობას.

სამოქალაქო კოდექსის 1007-ე მუხლი განამტკიცებს ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას საერთო წესით. ამავე კოდექსის 412-ე და 992-ე მუხლების თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს, ხოლო პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახვი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.

საკასაციო პალატა ყურადღებას გაამახვილებს სამედიცინო შეცდომით გამოწვეული ზიანის შემადგენლობაში ბრალის ხარისხზე. სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის სავალდებულოა დადასტურდეს ექიმის გაუფრთხილებლობა და არა განზრახვა არასასურველი შედეგის დადგომის მიმართ, ამასთანავე, დამდგარი ზიანი უშუალოდ ამ ქმედების შედეგს უნდა წარმოადგენდეს და არა მკურნალობის თანმდევ შედეგს, რომლის თავიდან აცილების შესაძლებლობაც სამედიცინო დაწესებულებას ობიექტურად არ შეეძლო.

ტერმინი „მცდარი საექიმო ქმედება“ შემდეგი სახით არის განმარტებული კანონში „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტით: მცდარი სამედიცინო ქმედება – ექიმის მიერ უნებლიედ პაციენტის მდგომარეობისათვის შეუსაბამო სადიაგნოზო და/ან სამკურნალო ღონისძიებების ჩატარება, რაც მიყენებული ზიანის უშუალო მიზეზი გახდა;

„პაციენტის უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, პაციენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს

და მოითხოვოს კომპენსაცია ქონებრივი და არაქონებრივი ზიანისა, რომლებიც გამოწვეულია: ა.ა) პაციენტის უფლებების დარღვევით; ა.ბ) მცდარი სამედიცინო ქმედებით.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, პალატა იზიარებს გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობას, რომ მოპასუხე სამედიცინო დაწესებულებას ეკისრება მტკიცება იმისა, რომ ზიანის დადგომაში მას ბრალი არ მიუძღვის.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს, ხოლო ამავე კოდექსის 103-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მტკიცებულებებს სასამართლოს წარუდგენენ მხარეები.

ზემოაღნიშნული მსჯელობა მიუთითებს, რომ სადავოდ მიჩნეული უფლების კანონიერება უნდა დამტკიცდეს; დარღვეული უფლების დაცვა მხარეს კონკრეტული ფაქტებზე დაყრდნობით შეუძლია და ამ ფაქტების მითითება მხარის მოვალეობაა; საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტები, რომელიც სადავოა, დამტკიცებას საჭიროებს; ფაქტების დამტკიცების ტვირთი ფაქტების მიმთითებელ მხარეებს ეკისრებათ; გამონაკლისს წარმოადგენს მატერიალური სამართლით გათვალისწინებული შემთხვევა, როდესაც ფაქტების დამტკიცების ტვირთი ამა თუ იმ ნორმით განსხვავებულია დაადა მონესრიგებული. მტკიცების ტვირთის გადანაწილებას არა მარტო საპროცესო-სამართლებრივი მნიშვნელობა აქვს, არამედ არსებითი მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობაც გააჩნია, ვინაიდან მხარის მიერ ამ საპროცესო მოვალეობის შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად განხორციელებას, შედეგად მოჰყვება ამავე მხარისათვის უარყოფითი, არახელსაყრელი შედეგი.

სამედიცინო ზიანის ანაზღაურების ვალდებულების კვლევისას, ურთიერთობის მარეგულირებელი მატერიალური ნორმებით, დამდგარ ზიანსა და სამედიცინო დაწესებულების ქმედებას შორის მიზეზობრივი კავშირის არარსებობის მტკიცების ტვირთი ეკისრება მოპასუხე დაწესებულებას.

სააპელაციო პალატამ სავსებით სამართლიანად მიუთითა, რომ ზიანის ანაზღაურების ფაქტის სამტკიცებლად მოსარჩელემ წარმოადგინა სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა და ამ დასკვნაზე დაყრდნობით ჩათვალა, რომ მოსარჩელის ჯანმრთელობას ზიანი მოპასუხე დაწესებულების ქმედებით მიადგა, სასამართლომ ეს დასკვნა სხვა გარემოებებთან ერთად დაამყარა იმასაც, რომ მოპასუხეს მისი (ექსპერტიზის დასკვნის) გამაქარ-

წყლებელი მტკიცებულება არ წარმოუდგენია.

მოპასუხე შემოიფარგლა მხოლოდ საექსპერტო დასკვნის კრიტიკითა და სამედიცინო დოკუმენტაციაზე მითითებით, რომელთა საფუძველზეც ექსპერტმა შეადგინა დასკვნა, რაც თავისთავად არ აქარწყლებს წარმოდგენილ დოკუმენტში მითითებულ გარემოებებს, საყურადღებოა ასევე სასამართლო სხდომაზე მოწვეული ექსპერტის განმარტებაც, თუმცა ამ განმარტების შესწავლით საკასაციო სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ სააპელაციო პალატამ წარმოდგენილ დოკუმენტებს სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა საგნებით ეთანხმება გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასკვნას სამედიცინო დანესებულების მიერ პაციენტისათვის ზიანის მიყენების თაობაზე. შპს „დ. ფ. ფ. ო-ეს“ საკასაციო საჩივარი კი ამ ნაწილში არ შეიცავს დასაბუთებულ პრეტენზიას, რის გამოც, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლიდან გამომდინარე, ზიანის მიყენების ნაწილში არ არსებობს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი.

რაც შეეხება მიყენებული ზიანის ოდენობას, მოცემულ შემთხვევაში, სააპელაციო სასამართლომ, ერთი მხრივ, დაადგინა, რომ შპს სამედიცინო ფირმა „დ. ფ. ფ. ო-ი“ მკურნალობისათვის ნ. ტ-მა 2007 წლის 4 მაისს გადაიხადა 2763 ლარი, 2008 წლის 16 ოქტომბერს – 3840 ლარი, მეორე მხრივ, ასევე დადგენილად ცნო, რომ ნ. ტ-ს მე-2 და მე-3 ოპერაცია ჩაუტარდა სამედიცინო დანესებულების ხარჯზე, აღნიშნული კი, დაუკავშირა სამედიცინო დანესებულების მიერ შეცდომის მაღალი ალბათობით დაშვების წინაპირობას. ამ დასკვნის საწინააღმდეგოდ, სააპელაციო სასამართლომ ზიანის ანაზღაურების დაკისრებისას იმსჯელა და მოპასუხეს პაციენტის სასარგებლოდ დაეკისრა ნ. ტ-ის მიერ მე-2 ოპერაციისათვის გადახდილი თანხა – 3840 ლარი.

კასატორი არ ეთანხმება სასამართლოს ამ მსჯელობას წინააღმდეგობრიობის, ასევე დაუსაბუთებლობის მოტივით და მიიჩნევს, რომ გადაწყვეტილების დასკვნები არ ემყარება საქმეში არსებული მტკიცებულებების სრულყოფილ გამოკვლევას.

პალატა იზიარებს კასატორის ამ მოსაზრებას და თვლის, რომ იგი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლით გათვალისწინებული დასაბუთებული შედაგებაა.

პირველ ყოვლისა, როგორც აღინიშნა, სააპელაციო სასამართლო ადგენს, რომ ნ. ტ-ს მე-2 და მე-3 ოპერაციების ღირებულება არ გადაუხდია, აღნიშნულის საპირისპიროდ კი, სამედიცინო

დანესებულებას პირველი ოპერაციის ღირებულებასთან ერთად აკისრებს მეორე ოპერაციის გამო გადახდილ თანხას – 3840 ლარს. საყურადღებოა, რომ გადაწყვეტილება არ შეიცავს მსჯელობას ამ თანხის ოდენობის თაობაზე, კერძოდ, თუ რა მტკიცებულებებს ემყარება სასამართლოს დასკვნა, მით უფრო იმ ვითარებაში, როდესაც სამედიცინო დანესებულება სარჩელის თაობაზე წარდგენილი შესაგებლითვე არ ეთანხმებოდა მოსარჩელის ამ მითითებას. გარდა აღნიშნულისა, მე-2 ოპერაციის ღირებულების თაობაზე მოსარჩელემ წარადგინა შპს „დ. ფ. ფ. ო-ეს“ მიერ გაცემული ანგარიშფაქტურები და ფასთა კალკულაცია, ხოლო მოპასუხის განმარტებით, ოპერაციიდან გარკვეული დრის შემდეგ თანხის მხოლოდ ნაწილი გადარიცხა სადაზღვევო კომპანია „იმედი გ-მა“, ამ ფაქტის სამტკიცებლად საქმეში წარმოდგენილი 2009 წლის 6 აპრილის №980 საგადახდო დავალება, რომლის თანახმადაც მოპასუხე კლინიკის ანგარიშზე სს „საერთაშორისო სადაზღვევო კომპანია იმედი L INTERNATIONAL-მა“ პედაგოგთა სამედიცინო მომსახურების ფარგლებში გადარიცხა 320 ლარი. ამ გარემოებათა გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მე-2 ოპერაციისათვის ნ. ტ-ის მიერ გადახდილი თანხის ოდენობის დადგენისათვის სავალდებულოა მტკიცებულებათა დამატებით გამოკვლევა.

რაც შეეხება კასატორის მითითებას მოსარჩელის უსაფუძვლო გამდიდრების თაობაზე, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ამ მოსაზრებას (სააპელაციო პალატამ დაარღვია სამოქალაქო კოდექსის 991-ე მუხლის მოთხოვნები) და განმარტავს, რომ განსახილველი დავის საგანს წარმოადგენს საექიმო შეცდომით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, ისეთ ვითარებაში კი, როდესაც დასადგენ გარემოებათა წრე განისაზღვრება ზიანის ფაქტის შემადგენლობისა და მისი ოდენობის გამოკვლევით, არ არსებობდა უსაფუძვლო გამდიდრების მარეგულირებელი ნორმის გამოყენების წინაპირობები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზიანის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში უნდა გაუქმდეს მოცემულ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს. ამავე ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ გადაწყვეტილებას საკასაციო სასამართლომ საფუძვლად უნდა დაუ-

დოს სამართლებრივი შეფასება, რომელიც სავალდებულოა სააპელაციო სასამართლოსათვის. საქმე ხელახლა განსახილველად შეიძლება დაუბრუნდეს სააპელაციო სასამართლოს იმავე ან სხვა შემადგენლობას.

საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ საქმეში არსებული მტკიცებულებების გამოკვლევით უტყუარად უნდა დაადგინოს მე-2 ოპერაციისათვის განეული ხარჯები და დაადგინოს ანაზღაურებას დაქვემდებარებული ზიანის ოდენობა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. თუ სარჩელი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ, მაშინ მოსარჩელეს ამ მუხლში აღნიშნული თანხა მიეკუთვნება სარჩელის იმ მოთხოვნის პროპორციულად, რაც სასამართლოს გადაწყვეტილებით იქნა დაკმაყოფილებული, ხოლო მოპასუხეს – სარჩელის მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელზედაც მოსარჩელეს უარი ეთქვა. ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება აგრეთვე სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. ამავე ნორმის მე-4 ნაწილის შესაბამისად კი, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დაწყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით.

მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან საქმე ხელახლა განსახილველად უბრუნდება სააპელაციო სასამართლოს, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის განხილვასთან დაკავშირებული ხარჯების მხარეთა შორის განაწილების საკითხიც შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისას უნდა განისაზღვროს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 412-ე, 284-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „დ. ფ. ფ. ო-ეს“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკ-

მაყოფილდეს.

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება მიყენებული ზიანის ოდენობის განსაზღვრის ნაწილში და ამ ნაწილში საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.

3. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.

4. საკასაციო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი გადახდილია.

5. საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## საქიჯელი

### ვალის არსებობის აღიარება

ვალდებულების შესრულების მიღება	
არაუფლებამოსილი პირის მიერ .....	3
ფულადი ვალდებულების შესრულება .....	14
ნივთის ნაკლით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება .....	25
ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა .....	35
ჩუქების დაუშვებლობა .....	49
ჩუქების გაუქმება დასაჩუქრებულის უმადურობის გამო .....	60
საზღაურის გადახდა შესრულებული სამუშაოსათვის .....	76
საკუთრების მინდობა .....	94
გარანტიის უარი ბენეფიციარის	
მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე .....	111
თავდების სოლიდარული პასუხისმგებლობა .....	121
საზიარო უფლების გაუქმება .....	138
საზიარო უფლების გაუქმება .....	148
უსაფუძვლო გამდიდრება .....	154
უსაფუძვლო გამდიდრება .....	166
სამედიცინო დანესებულების მიერ მიყენებული	
ზიანის ანაზღაურება .....	175
სამედიცინო დანესებულების მიერ მიყენებული	
ზიანის ანაზღაურება .....	193

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32  
ტელ.: (995 32) 2982103  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)